N25 (576) 23/VI-29/VI-2011 ფასი 1 ლარი

# გზა





## ჩემი რჩეული
## გალაკტიონ ტაბიძე
ხუთტომეული
ტომი I

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
გალაკტიონ ტაბიძე
ტომი II

## ექსკლუზიური ინტერვიუ

ჩეჩენი ბოევიკების მიერ ნაწამებ ქართველ მხატვართან

„მათ ადამიანის დასახიჩრება და მოკვლა არაფრად უღირდათ"

## ნინუცა მაყაშვილი პეტოს თავს არიდებდა

„ჩემი პარტნიორი უნიჭოა"

## სტიქიის გამომწვევი მიზეზები და სახიფათო ზონები




რატომ ასაიდუმლოებენ ძალოვნები წყალდიდობის დროს გაუჩინარებული სამხედროს ვინაობას

## ავსტრიაში მცხოვრები ქეთი ქემოკლიძის წარმატება



მომღერალი, რომელსაც კრიტიკოსები ქათინაურით ამკობენ



## ცათამბჯენები და ჯორჯ კოხის საოცარი გამოგონება

ქართველი, რომელმაც ამერიკის მრეწველობაში გადატრიალება მოახდინა



## როდის იცვლის იმიჯს ნუკი კოშკელიშვილი

ISSN 1987 - 5029

## რჩევები ზღვის, მზისა და გარუჯვის მოყვარულთათვის



# პლასტიკური ქირურგიის
# კლინიკა „კარაპს მედლაინი"
## მკერდის პლასტიკის თანამედროვე შესაძლებლობები და კიდევ ბევრი სხვა რამ...

კლინიკა „მედლაინის" პრიორიტეტული მიმართულებაა ესთეტიკური და რეკონსტრუქციულ-პლასტიკური ქირურგია, რომელსაც სათავეში უდგანან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პლასტიკური ქირურგი **ალექსანდრე კალანტაროვი** და პლასტიკური ქირურგი **კოტე მათითაშვილი**. კლინიკაში ტარდება ნებისმიერი სახის ესთეტიკური ოპერაცია ცხვირის პლასტიკიდან დაწყებული მუცლის პლასტიკითა და მკერდის ნებისმიერი ოპერაციით დამთავრებული. აგრეთვე: ლიპოსაქცია-ლიპოსკულპტურა, სხეულის ნებისმიერი მიდამოს დეტალური პლასტიკა, სახის ენდოსკოპიური დაჭიმვა განაკვეთების გარეშე "KARL STORZ"-ის ფირმის ულტრათანამედროვე აპარატურის გამოყენებით, ტუჩების პლასტიკა, ქუთუთოების პლასტიკა, სხეულის კონტურული პლასტიკა, ბოტოქსი, ბიოთავსებადი გელის ინექციები, ცხვირის ფორმის კორექცია – რინოპლასტიკა, პაციენტის სურვილისამებრ ნებისმიერი შედეგის მიღებით, წინასწარი ვიზუალური შერჩევით, ცხვირით სუნთქვის აღდგენა და ცხვირის ფორმის ერთდროული კორექცია – სრული გაუტკივარებით, დიდი ზომის ტამპონების და ნახვევების გარეშე, ოპერაციის შემდგომი პერიოდის მაქსიმალური გამარტივებით.

ამჯერად შევჩერდებით მკერდის პლასტიკაზე და გავცემთ იმ შეკითხვებზე პასუხს, რაც პაციენტთა უმრავლესობას აინტერესებს. **მკერდის პლასტიკა ტარდება ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის: მოშვებული და დაკიდებული, დიდი ან პატარა ზომის მკერდი, მკერდის ასიმეტრიის, ასევე სარძევე ჯირკვლის დაავადების გამო გადატანილი ოპერაციის ან მკერდის მოკვეთის შემდგომ.**

შესაძლებელია მკერდის აწევა და მოდელირება, დვრილისა და არეოლის პლასტიკა, ასევე მკერდის გადიდება და დაპატარავება. რაც შეეხება იმპლანტებს, ჩვენ ვიყენებთ მსოფლიო პრაქტიკაში კარგად გამოცდილ და დანერგილ სხვადასხვა ზომის, ფორმისა და მოცულობის სილიკონის იმპლანტებს, ყველაფერი დამოკიდებულია პაციენტის სურვილსა და მკერდის არსებულ მდგომარეობაზე. ზოგიერთ ქალბატონს მოსწონს დიდი მოცულობის მკერდი, ზოგიერთს კი სურვილი აქვს დაიბრუნოს მისი ადრინდელი ფორმა. ძალზე ხშირად ორსულობისა და ძუძუთი კვების შემდგომ მკერდი იცვლება, კარგავს მოცულობას, ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია კომბინირებულად გაკეთდეს მკერდის აწევა და მოცულობის შევსება პროთეზის ან საკუთრივ მკერდის ქსოვილის გამოყენებით. პროთეზირების შემდგომ სარძევე ჯირკვალს არანაირი დამატებითი რისკი არ უჩნდება რაიმე დაავადების პროვოცირებისათვის. პროთეზირების გამოყენებით შესაძლებელია მოკვეთილი მკერდის აღდგენა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამ მიზნით გამოიყენება ადამიანის საკუთარი სისხლმომარაგებადი ქსოვილი. სწორედ ამიტომ დღეისათვის პრობლემას არ წარმოადგენს ნაოპერაციები ან მოკვეთილი მკერდის ფორმის აღდგენის საკითხი. ჩვენს კლინიკაში ამ თემაზე აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ონკო-მამოლოგ გია ციხისელთან, სარძევე ჯირკვალზე პირველადი ჩარევის დროს წყდება საკითხი ერთ ეტაპად მკერდის აღდგენის შესაძლებლობაზე.

რაც შეეხება დიდი ზომის მკერდს, ასევე შესაძლებელია მკერდის ზომების სასურველ მოცულობამდე შემცირება და მოდელირება. ხშირია აგრეთვე მკერდის ასიმეტრია, როდესაც ერთი მკერდი განსხვავდება მეორისაგან. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლენილია დიდი ზომის დვრილი და არეოლა. საბედნიეროდ, ამ ტიპის დეფორმაციები ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი შემთხვევები, საკმაოდ ეფექტურად ექვემდებარება ქირურგიულ კორექციას. ოპერაციები კეთდება სრული გაუტკივარების ქვეშ, უმეტეს შემთხვევაში პაციენტი ჩვენს კლინიკაში რჩება 1 დღე, ოპერაციის შემდგომ ის უმოკლეს პერიოდში უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

**თუ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა, მას შეუძლია მიმართოს კლინიკის საინფორმაციო სამსახურს ან გაიაროს კონსულტაცია ქირურგებთან.**

877 22 99 22

22 44 17

**ჭავჭავაძის გამზ. 5**

www.plasticsurgerygeo.com

# საირმე

## განახლებული კურორტი

## თქვენი ჯანმრთელობის საწინდარი



**საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სასმელი მინერალური წყლების მიღება კურორტულ პირობებში ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე თუნდაც სახლის პირობებში. ექიმმა მინერალური წყლების გამოყენებისას მკურნალობის ტექნიკა უნდა შეარჩიოს კონკრეტული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ საუბარია საჭმლის მომნელებელი ორგანოების მკურნალობაზე, მაშინ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მომნელებელი ორგანოების საწყისი ფუნქციური მდგომარეობა და მინერალური წყლის ფიზიკო-ქიმიური შედგენილობის სპეციფიკური მოქმედება.**

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სასმელი მინერალური წყლების მიღება კურორტულ პირობებში ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე თუნდაც სახლის პირობებში. ექიმმა მინერალური წყლების გამოყენებისას მკურნალობის ტექნიკა უნდა შეარჩიოს კონკრეტული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ საუბარია საჭმლის მომნელებელი ორგანოების მკურნალობაზე, მაშინ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მომნელებელი ორგანოების საწყისი ფუნქციური მდგომარეობა და მინერალური წყლის ფიზიკო-ქიმიური შედგენილობის სპეციფიკური მოქმედება.

მაგალითად, ცნობილი და დადასტურებული ფაქტია, რომ მინერალური წყალი „საირმე“, რომლის ბუნებრივი საბადოები კურორტ საირმეში მდებარეობს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ღვიძლში, აძლიერებს ნაღვლის წარმოშობასა და გამოყოფას და იწვევს ბილირუბინის, ქოლესტერინის და ქოლის მჟავას კონცენტრაციის მომატებას ნაღველში. ასევე აძლიერებს პანკრეასის წვენის გამოყოფას და მათში ბიკარბონატების მომატებას. ასევე ეს სამკურნალო წყალი მნიშვნელოვნად აძლიერებს და აჩქარებს რეგენერაციულ ფუნქციას, იცვლება ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტების აქტივობა. ამ წყალს აქვს ანტიოქსიდანტური და სედატიური ეფექტი.

მინერალური წყლები ასევე იწვევს კუჭისა და პანკრეასის წვენის გამოყოფის სტიმულაციას, შინაგან ორგანოთა სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას. ამ ეფექტს ემთხვევა სისხლში ჰორმონ გასტრინის მომატებაც. თუ ყველა ჩამოთვლილი პრობლემა თქვენთვის ნაცნობი და აქტუალურია, მაშინ აუცილებლად უნდა ესტუმროთ განახლებულ კურორტ საირმეს, რომელიც დამსვენებლების მისაღებად უკვე მზად არის.

ნანა გულუა, *კურორტოლოგ-ბალნეოთერაპევტი:* „საირმემ, როგორც კურორტმა, ფუნქციონირება გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. სწორედ ამ დროს დაიწყო მინერალური წყლების შემადგენლობისა და სამკურნალო თვისებების შესწავლა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ინფრასტრუქტურა მწყობრიდან გამოვიდა. რა თქმა უნდა, ასეთი პირობებით კურორტის განვითარებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. საბედნიეროდ, „საირმის განვითარების კომპანიამ“, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ძალიან დიდი შრომა გასწია და ვითარება საირმეში რადიკალურად შეიცვალა. დღეს იქ დამსვენებლებს სრულიად განახლებული, თანამედროვე, ევროპული დონის კურორტი ელის.

საირმე გახლავთ ბალნეოლოგიური კურორტი, უნიკალური კლიმატითა და ადგილმდებარეობით, სადაც მინერალური წყლებით გასტროენტეროლოგიური და უროლოგიური პროფილის პაციენტებს მკურნალობენ. საერთაშორისო დონის სამკურნალო-დიაგნოსტიკურ-სარეაბილიტაციო და ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი დამსვენებლებს გარდა ტრადიციული ბალნეოპროცედურებისა სთავაზობს საირმესთან ძალიან ახლოს ე.წ. „უდაბნოში“ განახლებულ სპა-ცენტრს, რომელშიც შესაძლებელია შემდეგი პროცედურების ჩატარება: ბალნეოთერაპია, ჰიდროთერაპია, ჰიდროკოლონოთერაპია, მასაჟი, ფიტო-ბარი-ჟანგბადის კოქტეილები, პელოიდოთერაპია (ტალახით მკურნალობა) სატრენაჟორო დარბაზი და სხვა.

ასევე საირმეში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა, სადაც პაციენტებს მოემსახურებიან სხვადასხვა პროფილის ექიმები: გასტროენტეროლოგი, უროლოგი, თერაპევტი, პროქტოლოგი, კარდიოლოგი, დიეტოლოგი. აქედან გამომდინარე, დამსვენებელს საშუალება ექნება მიიღოს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება.

ყველა პაციენტმა უნდა იმოქმედოს ექიმის დანიშნულების მიხედვით. სპა-ცენტრში პროცედურების დოზირებასა და რაოდენობას განსაზღვრავს ექიმი ბალნეოთერაპევტი. სპა-ცენტრის ძირითად, ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მინერალური, სულფატურ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყალი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა პროცედურის სახით. საქართველოს კურორტოლოგთა მიერ შესწავლილია და შემუშავებულია სრულყოფილი მეთოდიკა, დოზირება და ხანგრძლივობა, რაც უკუჩვენებების რისკს მინიმუმამდე ამცირებს.

მოწვეული ექიმების გარდა, კურორტს ემსახურებიან ადგილობრივი სპეციალისტებიც, რომლებსაც დიდი გამოცდილების გარდა, „საირმის განვითარების კომპანიის“ გადაწყვეტილებით, დამატებით ჩაუტარდათ გადამზადების კურსი სიახლეების თვალსაზრისით, რათა დამსვენებლებმა უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურება მიიღონ“.

**www.sairme.com.ge**

**240-45-45, 8 99 09 37 03**

**info@sairme.com.ge**

# Elos

## სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი



## სხეულზე პროცედურები

**Elos — ეპილაცია** წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

## სახის პროცედურები

**Elos გაახალგაზრდავება** — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

**ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე**

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

**29 00 66 29 47 47**

**თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge**

## როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

### მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- არეგულირებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

**როდენი**






მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი"-ს სააფთიაქო ქსელს,
და სხვა ქალაქის აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
299 00 14; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

№25 (576)
23 — 29 ივნისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

ქვირის პალიტრა
გზა

## ქვეყანა



### უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურე და ცხრაკლიტულში დამალული კითხვები

მსხვერპლის შესახებ რომ ვკითხე, ორივემ დანანებით თქვა, — სამხედრო ბაზიდან ერთი ჯარისკაცი წყალმა წაიღო, მესამე დღეა, ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენო...

9

## სახე



### მომავალი ფსიქოლოგისა და ასტროფიზიკოსის დუეტი

„თავიდან სცენარისტებმა მითხრეს, როგორი ადამიანი უნდა ყოფილიყო პაატა, მაგრამ მას თანდათან ჩემეულ თვისებებსაც ვუმატებ. ვილაცისგან რაღაც ფრაზას ან სიტყვას მოვისმენ, რომელიც მომეწონება და მერე იმას გადასაღებ მოედანზე ვიყენებ".

20

■ მინიატიურები 5
„მაგრები"

■ ძრელი მსოფლიო 6

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 7

■ კრიმინალური ქრონიკა 13

■ გამოცდები 14
საატესტაციო გამოცდების შედეგები და მოულოდნელობები

■ კარიერა 17

■ ფესტივალი 18
„არტ-გენის" ფესტივალი მირზაანში და სტუმართმოყვარე კახელები

■ ტანდემი 20
მომავალი ფსიქოლოგისა და ასტროფიზიკოსის დუეტი

■ ემიგრანტი 23
„შარვლიანი" როლების შემსრულებელი ქართველი მეცო...

■ გემოვნება 25
„ამ ზაფხულს გრძელი კაბების შეძენას ვაპირებ"

■ ვარსკვლავები 26
ვარსკვლავური სტილი

■ ბედი კაცისა 28
ჩეჩენი ბოევიკების ტყვეობაში გატარებული წელიწადი...

## ცხოვრება

### მძივებით ფერწერას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს...



„ახალგაზრდობაში „აკაკის აკვანში" პატარა როლი შევასრულე. თბილისში ხალხი მცნობდა, ჩემი ფოტოები იყიდებოდა, ბავშვები ლექსებს მიძღვნიდნენ... მოკლედ, თავი ჰოლივუდის ვარსკვლავი მეგონა"...

33

## გზავნილები

### „ოჯახის შენარჩუნების მიზნით ყველა საშუალება გამართლებულია"



„პასუხი პირველ რიგში, საკუთარ მეუღლეს უნდა მოსთხოვო! ქართველი ქალების უმეტესობა თვალებს იბრმავებს და იმის შიშით ცხოვრობს, ქმრებმა არ მიგვატოვონო. სჯობს, საკუთარი თავი შეიყვარო და იმ ქალთან თავი არ დაიმციროო".

64

## ■ გვიმრავლოს! 31

„ღვთის შეწევნას ყველა მრავალშვილიანი ოჯახი გრძნობს“...

## ■ ოსტატი 33

„როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, ქართველები მაშინ დამაფასებენ“

## ■ ხელოვანი 35

საქმე, რომელიც პროფესიაზე მეტია

## ■ თინეიჯერული პონტები 37

ნაპოვნი დედმამიშვილი და სასიკვდილოდ გამეტებული დედა

## ■ საკითხავი ქალებისათვის 41

თვალები სულის სარკეა

## ■ ისტორიის ლაბირინთები 43

ამერიკის ქიმიური მრეწველობის ქართველი მეფე

## ■ ერუდიტი 46

გულისა და გონების ჭიდილი და „მოგზაურობა“ წიგნის სამყაროში

## ■ ანტიდეპრესანტი 48

## ■ ტაძარი 48

„მეფის ძის ქორწილი“ ანუ რჩეულნი, ღირსნი ზეციური სასუფევლისა

## ■ ჯანმრთელობა 50

## ■ წვეთი პოეზია 52

## ■ რეალური 53

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

## ■ მისტიკური დეტექტივი 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

## ■ რომანი 60

სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

## ■ გზავნილები 64

ყველაზე დაუვიწყარი დღე

## ■ ყველა ერთისათვის 66

## ■ მობილი-ზაცია 68

## ■ ქართული სპორტის ლეგენდები 74

## ■ ეს სამყაროა 77

## ■ გასართობი 78

## ■ ასტროლოგია 80

## ■ სკანვორდი 81

## ■ საფირმო კროსვორდი 82


### სამყარო



## რჩევები ზღვის, მზისა და გარუჯვის მოყვარულთათვის

„ზოგადად გარუჯვა — კანის ტრავმატიზაციაა, რადგან, როდესაც კანის მექანიკური ტრავმირება ხდება, კანი წითლდება, გარუჯვისას კი — შავდება, რაც მისი დაცვითი რეაქციაა და ეს არანაირი სიჯანსაღის მომტანი არ არის“.

40

### ბიბლუსი



## ხაფანგი



— იქნებ ჭრილობაში რაღაც საშინელება ჩაგაკერეს.

— რა საშინელებაა?.. რას მიედ-მოედები?

— კარგი, კარგი, ჰო! — დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია მარიკამ. — შენი შეშინება არ მინდა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ვიღაცამ რაღაცისთვის გაგიკეთა?

56

### ტაიმ-აუტი



## მილიონები გარდაცვალების შემდეგ

მუსიკოსი — მაიკლ ჯექსონი 2009 წლის 25 ივნისს, 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2010 წლის ბოლოსთვის, მომღერლის მემკვიდრეებმა ჯექსონის სახელის, სიმღერებისა და ფილმების გამოყენებისთვის 275 მლნ დოლარი მიიღეს.

77


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

# „მაგრები“



**შესავლის ნაცვლად** ბოდიშის მოხდით უნდა დავიწყო: წინა კვირის „პროვოკაციაში“ კოკო-კონსტანტინე გამსახურდიას „გაელჩებაზე“ რომ ვხუმრობდი, იქ დავწერე, — „მეტროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში“ რა უნდა, ამ საქმისა (ანუ მეტროლოგიისა, საზომთმცოდნეობისა) არაფერი გაეგება-მეთქი.

შემშლია, მეტროლოგიის კი არა, „მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში“ წარუგზავნია სამშობლოს ბატონი კონსტანტინე! ბოდიში, მომიტევეთ, ბატონო კონსტანტინე, მე მეტროლოგია მეგონა, თორემ მეტეოროლოგიაში რომ „გლიჯავთ“ ანუ მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტი რომ ხართ, ყველამ იცის!.. თავი მომიკვდეს, ეს რა დამემართა, როგორ დავაბრალე არაკომპეტენტურობა...

ისე, მაშინვე ვიფიქრე, ჩვენი პრეზიდენტი ასე ბრმად ხომ არ შეარჩევდა კანდიდატურას, მაგას ხომ არ სჩვევია ალოგიკური გადაწყვეტილებების მიღება-მეთქი, — მაგრამ ვჩქარობდი და...



გავცივდი, სიცხე მაქვს და ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, ამის ბრალი არ არის, რომ უკვე ხუმრობაც აღარ მინდა ამ გაუბედურებულ ქვეყანაში მომხდარ ამბებზე და ამ ამბების „პერსონაჟებზე“... მით უმეტეს, „მთავარ პერსონაჟზე“...

ყველამ ვიცით, რა უბედურება დაატყდა რიკოთსა და სურამის მოსახლეობას სტიქიამ. საუბედუროდ, მსხვერპლიც არის — ეს „მთავარი პერსონაჟი“ კი მესამე დღეს(!) გამოჩნდა ტელევიზორში და გაწუწულ და თმადაუვარცხნელ გილაურს ეუბნება:

— ძალიან მაგარია, რომ მალევე დაიწყეთ გზის აღდგენა, თორემ ტურისტულ სეზონს საფრთხე დაემუქრებოდა (ამ სიტყვას უკვე ველარ ვიტან, — „მაგარია“! ისე დაამკვიდრეს მაგან და მაგისმა კარის მინისტრ-კომპოზიტორმა ეს სიტყვა, რომ ამას წინათ ნუცუბიძის ქუჩაზე დიდი სარეკლამო ბანერი ვნახე, რომლითაც განათლების სამინისტრო(!) გვამცნობს: „სპორტი მაგარია!“).

მერე სხვა არხზე ვუსმინე, მერე სააგენტოების ცნობებშიც ვნახე — თქვენც არ მომიკვდეთ: დალოცვილო, გზის აღდგენა და ტურისტული სეზონი კარგია (კარგი კი არა, „მაგარია“), მაგრამ იმ 1500 ოჯახს რომ ნაგვითა და ტალახით აევსო სახლები, იმათ ვინ მიხედავს? ერთი სიტყვაც არ უთქვამს მათ დახმარებაზე!

ისე, ეგ ტურისტული სეზონიც ძალიან „მაგარია“ ჩვენში: შარშან ჩვენი ზღვისპირეთის კაფე-რესტორნების უმეტესობა სომხებს ჰქონდათ ნაქირავები, თავიანთსავე თვისტომებს უმასპინძლდებოდნენ და ლუდი რომ ლუდია, ისიც კი სომხური ჰქონდათ („კილიკია“ ერქვა; გავსინჯე, არ მომეწონა). ჰოდა, მითხარით ერთი, რომელ შემოსავალზეა საუბარი? 3 მილიონ ტურისტს ველით წელსო! ძალიან „მაგარია“, მაგრამ სომხეთის მოსახლეობა სულ 3 მილიონია, ჩვენთან სხვა ტურისტი არ ჩამოდის და ე.ი. მთელი სომხეთი გვესტუმრება ზაფხულში?!

ვაა! მართლა „მაგარია“!

კიდევ რა არის „მაგარი“, იცით?! ვერონიკა როა, ქობალია, მაგას გაუგზავნია სომხეთში ე.წ. „სარეკლამო ავტობუსი“ — დადის თურმე ეს მოხატული ავტობუსი (თანაც ძალიან „მაგარი“ ავტობუსი ყოფილა) ერევნის ხალხმრავალ ადგილებში და ჩვენს მეზობლებს ბათუმქობულეთში ეპატიჟება...

ჰო, მართლა: ჩვენს ხელისუფალთ და მათ მაკმეველ ტელევიზიებს ხომ ძალიან უყვართ სხვადასხვა რეიტინგით თავმოწონება — ახლაც „კურიერ-ქრონიკა-მოამბეებმა“ გვახარეს: ძალიან კომპეტენტურმა ამერიკულმა ორგანიზაციამ მსოფლიოს 177 ქვეყნის „მაგრობის“ რეიტინგი გამოაქვეყნა და 47-ე ადგილზე ვართო!

ოღონდ ერთი რამის თქმა „დაავიწყდათ“: რატომ არის ამ რეიტინგში პირველ ადგილზე... სომალი(!), ხოლო ბოლოზე — ფინეთი(!!!).

„უკუღმა, ასინეთა, უკუღმა!“ — ხომ გახსოვთ? აქაც ასე ყოფილა: თურმე ნუ იტყვით და, ეს გახლავთ „სახელმწიფო სტრუქტურების უუნარობის ინდექსი“ და ვინც პირველ ადგილზეა, ის ყველაზე უუნაროა! „მაგარია“, არა?!

**P.S.** ყველაზე „მაგარი“ ამ დღეებში მაინც დასუფთავების გადასახადის ახალი პრინციპია — დახარჯული ელექტროენერგიის მიხედვით გადაგვახდევინებენ. აბა, რა! თუ ბევრ დენს ხარჯავ, ე.ი. ნაგავიც ბევრი გაქვს(?!).

როგორ მინდა, ის კაცი გავიცნო და „თვალებში ჩავხედო“, ვინც ეს მოიფიქრა...

P.P.S. **ძველი ანეკდოტი გამახსენდა ნაგავზე — იმდროინდელი, ნაგვის მანქანები რომ დადიოდა თბილისში და ვედროებით რომ ჩაგვქონდა ხოლმე.**

**ნაგვის მანქანა გაჩერდა და მენაგვემ აივანზე მდგარ ლიპიან ბიძას ასძახა:**

**— ნაგავი გაქვთ?**

**— მოიცა, ცოლს ვკითხავ. ქალო, ნაგავი გვაქვს?**

**— გვაქვს, ბევრი, — უპასუხა ქალმა.**

**— აღარ გვინდა, ძმაო, ბევრი გვქონია...**

**ჰოდა, აქაც ეგრეა — აღარ გვინდა, ძმაო, ისედაც ბევრი „მაგარი“ ნაგავი გვყავს...**

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# ქვეყანა

## მედვედევმა არჩევნებში პუტინთან მეტოქეობა გამორიცხა



2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დმიტრი მედვედევი და ვლადიმირ პუტინი ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან — ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

კითხვაზე, — უშვებს თუ არა მედვედევი იმის შესაძლებლობას, რომ მან და პუტინმა საპრეზიდენტო არჩევნებში ერთდროულად მიიღონ მონაწილეობა, პრეზიდენტმა უპასუხა: „ეს რთული წარმოსადგენია, მინიმუმ, ერთი მიზეზის გამო: ჩემს კოლეგასა და ძველ ამხანაგთან, ვლადიმირ პუტინთან ერთად, ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოვადგენთ. ჩვენ შორის კონკურენცია ჩვენი მიზნებისა და ამოცანების საწინააღმდეგოდ იმუშავებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს არ იქნებოდა საუკეთესო სცენარი ჩვენი ქვეყნისთვის და კონკრეტული სიტუაციისთვის“. ამასთანავე, კითხვაზე, — გეგმავს თუ არა, მეორე ვადით გაპრეზიდენტებისთვის არჩევნებში მონაწილეობას, მედვედევმა ორაზროვანი პასუხი გასცა: „ნებისმიერი ხელმძღვანელი, როგორც პრეზიდენტი, უბრალოდ ვალდებულია, უნდოდეს არჩევნებში მონაწილეობა. მეორე საკითხია — მიიღებს თუ არა ის არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილებას“. მან ასევე განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტის პოსტს მეორე ვადით მაინც დაიკავებს, შეეცდება, ყველაფერი გააკეთოს გაცხადებული მიზნების მისაღწევად, ეს მიზნები კი გულისხმობს „ეკონომიკის, საზოგადოების, პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციას“. ■

## სარკოზის ყოფილი ცოლი ადანაშაულებს...



ნიკოლა სარკოზის მეორე ცოლი, სესილია ატიასი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდისთვის, ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემას აპირებს. ის სარკოზის ღალატში ადანაშაულებს და ამბობს, რომ მეუღლე მას ისე ექცეოდა, როგორც უსულო თოჯინას. ამჟამად სესილია ნიუ-იორკში მეორე ქმართან — რიშარ ატიასთან და ვაჟთან (რომელიც მას სარკოზისგან ჰყავს) ერთად ცხოვრობს და ადგილობრივ საქველმოქმედო ფონდს ხელმძღვანელობს. ■

## ციხეში მკურნალობა მოინდომა

59 წლის ამერიკელმა რიჩარდ ჯეიმს ვეროუნმა ბანკი იმისთვის გაქურდა, რომ ციხეში მოხვედრილიყო. „მამაკაცი ადგილობრივი ბანკის ერთერთ ფილიალში მივიდა და კლერკს წერილი გადასცა. წერილში აღნიშნული იყო, რომ თუ ფულს არ მიიღებდა, ბანკის თანამშრომლებს იარაღით გაუსწორდებოდა. ამის შემდეგ მამაკაცი გასასვლელში დაჯდა და პოლიციას მშვიდად დაელოდა“, — წერს ადგილობრივი პრესა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მძარცველი დააკავეს, მაგრამ იარაღი ვერ უპოვეს. როგორც ვეროუნმა გამომძიებელს უთხრა, ძარცვას არც აპირებდა — მას უბრალოდ, ციხეში მოხვედრა სურდა, რათა უფასო სამედიცინო დახმარებით ესარგებლა. როგორც გაირკვა, უმუშევარი მამაკაცი სიმსივნითაა დაავადებული. აშშ-ში ადამიანი, რომელიც სამსახურს დაკარგავს, ავტომატურად კარგავს სამედიცინო დაზღვევასაც, დაზღვევის გადასახადი თვეში მინიმუმ 150 დოლარია. რადგან ვეროუნს იარაღი არ აღმოაჩნდა, ციხეში მხოლოდ 12 თვეს გაატარებს. ■

## ნაგვისგან შექმნილი სკულპტურები

იტალიელმა მხატვარმა დარიო ტორინიმ ნაგვისგან სკულპტურები შექმნა. ტორინის აზრით, სილამაზის დანახვა ყველაფერში შეიძლება. მხატვარმა უამრავი დასახელების გამოუსადეგარი ნივთი მოაგროვა და ხელოვნების ნიმუშად აქცია. სკულპტურის შესაქმნელად მხატვარი დამტვრეული კომპიუტერის დეტალებს, პლასტიკატისგან დამზადებულ ბოთლებს, გატეხილ გამომთვლელ მანქანებს იყენებს. გამოუსადეგარი ნივთებისგან შექმნილი ფიგურები საკმაოდ შთამბეჭდავია. უტილიზაციის კონცეფციის მიმდევარი მხატვრები არიან — რობერტ ბრედფორდი და ლევ სიუელი. ■




რადიო თავისუფლება

radiotavisupleba.ge

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

# სახიფათო ზონები და სტიქიური უბედურების სავალალო შედეგები

**უკვე რამდენიმე დღეა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს სტიქია უტევს. კახეთში, მარნეულში, ცხვარიჭამიასა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსულმა ძლიერმა წვიმამ მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. წყალდიდობას რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა... ჩანგრეულია ხიდები, მოსახლეობას შინაური ფრინველი და ოთხფეხა პირუტყვი დაეხოცა. განადგურებულია სახნავ-სათესი მიწები. მოვარდნილმა მეწყერმა რიკოთის მიმდებარე ტერიტორიას, ხაშურსა და სურამს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. როგორც მეტეოროლოგიური კვლევების ცენტრში გვითხრეს, წვიმიანი ამინდი 23 ივნისამდე გაგრძელდება... შევეცადე გამერკვია, რამდენი სახიფათო ზონა არსებობს საქართველოში; რა პრევენციული ზომების მიღება შეუძლია სახელმწიფოს და სად უნდა ვეძებოთ პრობლემის სათავე.**

*ლალი პაპასკირი*

**ზურაბ ჯანელიძე,** *ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტის გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი:*

— საქართველოში განსაკუთრებით მეწყერსაშიში ზონებია: იმერეთი, რაჭა და მთიანი აჭარა. მეწყრის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული პრევენციული ზომების მიღება ღვარცოფის მოვარდნამდე, რეალურია. მეწყერი არის წყალგამტარი და წყალგაუმტარი ფენები მიწის ქვეშ, ისინი ერთმანეთზე სრიალებს; მისი გააქტიურება განსაკუთრებით, წვიმის დროს ხდება... საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პრევენციული ზომები სახელმწიფომ და თავად მოსახლეობამაც უნდა მიიღონ. ადრეული პრევენციისთვის შეიძლება, ასეთი რამ გაკეთდეს: სანამ მეწყერი გააქტიურდება, შეიძლება, იმ ადგილას მცენარეები დაირგას. ცხადია, ეს მეწყერს მთლიანად ვერ შეაჩერებს მაგრამ ამით, სავალალო შედეგების თავიდან არიდება შესაძლოა. გარდა ამისა, მეწყერსაშიშ ზონებში არ უნდა იყოს მოსახლეობა და კომუნიკაციები. საქართველოში კი ასეთი ზონები ძირითადად, დასახლებულია.

**გიორგი გაჩეჩილაძე,** *„მწვანეთა პარტიის" ლიდერი:*

— საქართველო მთიანი ქვეყანაა და მისი ტერიტორიის 75% ფერდობებსა და მთებს შეადგენს. გარდა იმისა, რომ უნიკალური ბუნება გვაქვს, მას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს: ეროზია, ზვავი, წყალდიდობა და მეწყერი მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებას სტიქიური უბედურებებისგან დამცავი, ბუნებრივი მექანიზმიც ჰქონდა — ეს იყო ტყის საფარი, რომლის დიდი ნაწილი ფერდობებზე იყო განლაგებული, ოღონდ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პრობლემის გამო, ტყეები გაიჩეხა, რაც გაზაფხულის ხანგრძლივი წვიმების დროს, სტიქიურ უბედურებებს უწყობს ხელს... მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ტყის ბუნებრივი საფარი მასობრივად განადგურდა, სტიქიურმა უბედურებებმა მასშტაბური სახე შეიძინა. 90-იან წლებში მოსახლეობა ძირითადად, ხეტყის ბიზნესით ირჩენდა თავს; რაც მაშინ გადარჩა, სააკაშვილის ხელისუფლებამ 49-წლიანი იჯარით, ჩინელებსა და ინდოელებს გადასცა, ისინი კი, ყველანაირი პირობისა და შეზღუდვის გარეშე მიადგნენ და ასწლოვანი ხეები გაჩეხეს. როგორც მეტყევეები ამბობენ, ტყეებში ძირითადად უხარისხო, დაბალი, დატოტვილი და დაგრეხილი ხეებია დარჩენილი. პრევენციის მიზნით კი არაფერი კეთდება, მხოლოდ ტელეკამერების წინ აწყობენ საჩვენებელ ღონისძიებებს და რამდენიმე ხეს რგავენ, რომლის მოვლაზე შემდეგ არავინ ზრუნავს... აგვისტოს ომის დროს ბორჯომში ტყის მასივი განადგურდა, იქაურობა დამწვარი ხეებისგანაც არავის გაუწმენდია, თუმცა ამისთვის თანხა გამოყვეს... ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი ხეტყეზე და მხოლოდ სანიტარიული გაჭრის ნებართვა გასცეს. სხვა შემთხვევაში, მომავალ გაზაფხულზე უარესი სურათის შემსწრენი გავხდებით, რადგან შიდა რეგიონულ პრობლემებს გლობალური დათბობაც ემატება, რომლის გამოც სტიქიური პროცესები კიდევ უფრო შეუქცევადი გახდება. ტემპერატურის მომატების გამო ოკეანიდან და ზღვიდან მეტი წყალი ორთქლდება და შესაბამისად, ნალექების რაოდენობაც მატულობს. გლობალურ დათბობასთან და კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციის პროგრამები მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ შეიმუშავა. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ორიენტირებული ხელისუფლება ჰყავთ, სპეციალური სამსახურებია შექმნილი, მეცნიერები ჰიდროლოგიურ პროგნოზებს აკეთებენ და ხელისუფლებას წინასწარ ატყობინებენ, თუ სად შეიძლება მოვარდეს ღვარცოფი, სად არის მოსალოდნელი წყალდიდობა და მეწყრის ჩამოწოლა. ეკოლოგიური კატასტროფა საქართველოს მსგავს მთიან სახელმწიფოებში — ავსტრიასა და შვეიცარიაშიც ხშირია, მაგრამ მსხვერპლი თითქმის არ არის, ხოლო ზარალი უმნიშვნელოა, რადგან ამ ქვეყნებში მეტეოროლოგიური ინსტიტუტები მუშაობენ, ხელისუფლება პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს, ნაპირდაცვით სამუშაოებს აწარმოებს, საშიშ უბნებზე მშენებლობას კრძალავს და გზების დაგებისას მეწყრულ პროცესებს ითვალისწინებს. ჩვენს ხელისუფლებას კი გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარება ზედმეტი ფულის ხარჯვად მიაჩნია. ასეთი პოლიტიკის შედეგია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონი საკმაოდ სერიოზული საფრთხის წინაშეა. ბუნებრივი კატასტროფები წელიწადში 300 მილიონ დოლარამდე ზარალს იწვევს, რადგან ინგრევა სახლები და ხიდები, ნადგურდება ინფრასტრუქტურა, ნაყოფიერ მიწებს უჩნდება ეროზია. ადამიანის სიცოცხლეზე აღარ მაქვს ლაპარაკი. სტიქიური უბედურების გამო, საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში, 10 ათასი ადამიანი დაიღუპა და 50 ათასი ოჯახი ეკომიგრანტი გახდა. საბჭოთა კავშირის

ვაწარმოებთ კვერცხუჯრედისა და სპერმის დონორობის, ასევე სუროგატი დედობის მსურველთა რეგისტრაციას
დაინტერესებული პირები ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
მისამართი: ლუბლიანას ქ.2/6 ტელეფონზე: 868 40 50 50
ორშაბათი-პარასკევი (10:00-დან 17:00-მდე)

დროს, საქართველოში საკმაოდ ძლიერი გეოლოგიის სამსახური არსებობდა, სადაც უამრავი სპეციალისტი მუშაობდა და მათი მთავარი ფუნქცია მთიანი რეგიონების კონტროლი იყო. მდინარეებზე დაკვირვების პუნქტები იყო განთავსებული; ყოველდღიურად იზომებოდა წყლის ტემპერატურა და ქვალორღის რაოდენობა, რის საფუძველზეც, კვლევითი ინსტიტუტები პროგნოზებს აკეთებდნენ.

**— თუ არის შესწავლილი, განსაკუთრებით საშიშ ზონებად რომელი რაიონები მიიჩნევა?**

— საქართველოში სულ 53500 სახიფათო ზონა არსებობს, აქედან 5000 — ზვავსაშიში კერაა. ამისთვის სპეციალური რუკებიც შევადგინეთ და ხელისუფლებას მივაწოდეთ, მაგრამ ქაღალდზე პრობლემები არ გვარდება. მმართველ გუნდს არაფერი აინტერესებს, მშენებლობის დროსაც კი არ ითხოვს ეკოლოგიურ და გეოლოგიურ დასკვნებს; მთავარია, ფული აიღონ. ამიტომაც არ ჩამოდიან საქართველოში სერიოზული ინვესტორები, ისინი როგორც აქაურ გარემოს გაიცნობენ, მაშინვე უარს ამბობენ თანამშრომლობაზე.

**მერაბ გაფრინდაშვილი,** *გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:*

— გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების თვალსაზრისით, მსოფლიოში რთულ რეგიონებში შემავალ ქვეყნებს შორის საქართველოც არის. აქ არსებული მგრძნობიარე გეოლოგიური გარემო, ამგები ქანები სტიქიური უბედურების კერას ქმნის. გარდა ამისა, ბოლო 20 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში სეისმური აქტივობა (მიწისძვრები) შეინიშნება და კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში მომეტებული წყალდიდობა, ღვარცოფი და მეწყერი გამოიწვია, — გლობალური დათბობაა. თუმცა გარემოში ადამიანის უხეში ჩარევაც არ უნდა გამოგვრჩეს, რაც ბოლო დროს საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის არასწორად წარმართვით გამოიხატება.

**— ტყის საფრის უკანონო გაჩეხვას გულისხმობთ?**

— არა მხოლოდ ტყის საფრის — ლაპარაკია ფერდობების გაჭრაზეც, რომელიც ხშირ შემთხვევაში, მეწყრის ჩამოწოლის ერთ-ერთი წინა პირობაა... გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შედგენილი რუკის თანახმად, საქართველოში 50 ათასზე მეტი მეწყრული უბანი და 3 ათასზე მეტი ღვარცოფტრანსფორმირებადი წყალსადინარი გვაქვს. ასეულობით კილომეტრზე ზღვისა და მდინარის ნაპირების გარეცხვის საშიშროება არსებობს და ასევე ასეულობით ქვათაცვენისა და კლდეძვრეობის უბანი გვაქვს. ჩემ მიერ ჩამოთვლილი უბნები სტიქიური უბედურებების პერიოდში მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

**— რა პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო, რათა ამ სახიფათო უბნებზე მოსალოდნელი მოვლენების განეიტრალება მოხდეს? თუ ხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები და თუ შენდება ჯებირები ან დამცავი სისტემები?..**

— ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ასეთ მასშტაბურ პრობლემებთან გამკლავება, პრევენცია და დამცავი ღონისძიებების გატარება ადვილი არ არის. თუმცაღა 2004 წლიდან სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები განახორციელა და დღემდე აგრძელებს.

**— კონკრეტულად?**

— ჩვენი უწყება ამ მიმართულებით დიდი ხანია, მუშაობს და არ მახსოვს, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული პრობლემების დროს სახელმწიფო სტრუქტურებს ოდესმე ასე კოორდინირებულად ემუშავათ. მაგალითისთვის გეტყვით: რიკოთის უღელტეხილზე წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრაში ჩართული იყო რამდენი სამინისტროსა და სახელმწიფო უწყების პირველი პირი. იმ გზის მთლიანი განადგურების დიდი საფრთხე არსებობდა, მაგრამ მოსალოდნელი საფრთხე წინასწარ შევისწავლეთ და 48 საათის განმავლობაში შეუსვენებლად მუშაობის ხარჯზე, გზის გადარჩენა შევძელით... როგორც მოგახსენეთ, საქართველოში ბევრი ავარიული უბანი გვაქვს, თუმცა რამდენიმე, განსაკუთრებით მძიმე ავარიულ ადგილას კაპიტალური სამაგრი სამუშაოები ჩავატარეთ. ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან ცუდი მდგომარეობა იყო ქობულეთის სანაპიროზე, სადაც ინერტული მასალა შევიტანეთ, რომელიც მდინარე კინტრიშიდან მოვხსენით და იქ ხელოვნური, მყარი საფარი გავაკეთეთ. ასევე, აღვნიშნავდი მდინარე ცხენისწყალსა და არაგვის ხეობაში ჩატარებულ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ლენტეხში, ცაგერსა და უფლისციხეში გაკეთებულ უსაფრთხოების ზოლებს... გარდა ამისა, შევადგინეთ საინფორმაციო ბუკლეტები იმ დასახლებული პუნქტების ჩამონათვლით, სადაც სხვადასხვა სახის სტიქიური უბედურების საფრთხე არსებობს... ჩვენს სპეციალისტებს წყალდიდობებისა და მეწყრის პროგნოზირება შეუძლიათ და შესწავლილი აქვთ, მაგრამ მის პრევენციას დიდი თანხები ესაჭიროება: ვინაიდან ეს პრობლემა საქართველოში წლების განმავლობაში არსებობდა, მისი მოგვარება მილიარდობით ლარი ჯდება.

**ზურაბ მელიქიშვილი,** *პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოსა და პრეზიდენტის ფონდებიდან ხდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ამ დროისთვის საკმარისი თანხა არ გააჩნია. სახელმწიფოს სტიქიის შედეგების აღმოფხვრა, სავარაუდოდ, 14 მილიონი ლარი დაუჯდება. ზარალის დათვლა ჯერჯერობით არ დასრულებულა და თუ საჭირო გახდება, დამატებით თანხებსაც გამოვყოფთ... საქმე ის არის, რომ ასეთი ტიპის პრობლემები საქართველოს 1960 წლიდან აწუხებს. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება მაშინაც პრობლემას წარმოადგენდა, რადგან უზარმაზარ თანხებთან იყო დაკავშირებული. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი სულ 7 მილიარდ 350 მილიონს შეადგენს და ეს თანხა ყველა სფეროზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს... როცა ხელისუფლების გულგრილობაზე საუბრობენ, მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ კანონის გვერდის ავლით სახლები წლების წინ შენდებოდა. რესტორანი, რომელიც რამდენიმე დღის წინ რიკოთის უღელტეხილზე მოვარდნილმა ნიაღვარმა წაიღო, ასევე კომუნისტების დროს აშენდა.

**— თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კომუნისტების მმართველობის დროს მომხდარ კანონდარღვევებს ბოლო წლებში ახალი დარღვევები ემატება და ვერც ტყის საფრის განადგურებას ავუვლით გვერდს..**

— დიახ, ცნობილია, რომ ტყის საფარი ამაგრებს მიწას, მაგრამ რიკოთზე, სურამსა და კიდევ არაერთ რაიონში, რომელიც სტიქიური უბედურების ზონა გახდა, ტყეები არ გაჩეხილა. იმავეს ვიტყოდი დუშეთსა და მცხეთა-მთიანეთზეც, რომლებსაც წყალდიდობამ გადაუარა.

*P.S. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტმა მოგვაწოდა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სტიქიური უბედურებებით მიღებულ ზარალს ასახავს. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1995-2003 წლებში მატერიალურმა ზარალმა 558 მლნ ლარზე მეტი შეადგინა; 2004-2009 წლებში სახელმწიფომ სულ 548 მლნ 7 ათასი ლარი იზარალა. ამ წლების განმავლობაში, სტიქიურ უბედურებებს, ოფიციალური მონაცემებით, 62 ადამიანი ემსხვერპლა. რაც შეეხება 2009 წლის შემდგომი პერიოდის მონაცემებს — ჯერჯერობით ზუსტდება, ამიტომ სრულყოფილი არ გახლავთ.* ■

# უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურე და ცხრაკლიტულში დამალული კითხვები

**ნორიოს სამხედრო ბაზიდან ადამიანი გაუჩინარდა. ჩემი მეგობარი სრულიად შემთხვევით შეესწრო ორი მამაკაცის საუბარს, რომლებიც თავიანთი მეგობრის ვაჟიშვილის დაღუპვის გამო წუხდნენ. მათი საუბრიდან გაირკვა, რომ გარდაცვლილი ნორიოს სამხედრო ბაზაზე მსახურობდა და 17 ივნისს, წყალდიდობის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მამაკაცებმა ისიც დაიჩივლეს, რომ ეს ამბავი არც ერთ ტელევიზიას არ გაუშუქებია.**

ხათუნა ბახტურიძე

ინფორმაციის დასაზუსტებლად, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების პრესცენტრებს დავუკავშირდი. როგორც გაირკვა, ისინი ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ. გადავწყვიტე, სიმართლის დასადგენად, ნორიოში თავად წავსულიყავი.

როდესაც სამხედრო ბაზას მივუახლოვდი, დანგრეული სამხედრო კარვები მომხვდა თვალში, რომლებიც თავის დროზე, სავარაუდოდ, რკინის კონსტრუქციებით უნდა ყოფილიყო აგებული. ბაზის გალავანი სრულიად მოშლილი იყო. ეზო გვერდით მდებარე მდინარიდან გადმოსული ტალახითა და შლამით იყო სავსე. ადგილზე რამდენიმე ამწე და სატვირთო მანქანა მუშაობდა. სამხედრო ფორმაში ჩაცმული მამაკაცები ფიცრებსა და სხვა სამშენებლო მასალებს ეზიდებოდნენ... სამხედრო ბაზის შესასვლელთან ავტომობილი გავაჩერე და კართან მდგომ ფორმიანებს ვკითხე, თუ რომელი უწყების წარმომადგენლები იყვნენ? მიპასუხეს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ. დაკარგული პირის შესახებ არაფერი მიკითხავს, ვიცოდი, მაინც არაფერს გამიმხელდნენ...

ბაზას გავცდი, სოფელ ნორიოში შევედი და გზად მიმავალ ორ ქალბატონს გამოველაპარაკე. არ მითქვამს, რომ ჟურნალისტი ვარ; სასხვათაშორისოდ ვკითხე, — წყალდიდობამ ძალიან ხომ არ დაგაზარალათ-მეთქი? ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, ბევრი ივიშვიშეს და იწუწუნეს: მოსავალი სულ გაგვიფუჭდა, სახლები ჩამოგვეშალაო... ისიც მითხრეს, რომ ნორიოსთან ახლოს ერთი პატარა დასახლება გარე სამყაროს სრულიად მოსწყდა, რადგან სოფელთან მისასვლელი ბეტონის ხიდი წყალმა წაიღო. მსხვერპლის შესახებ რომ ვკითხე, ორივემ დანანებით თქვა, — სამხედრო ბაზიდან ერთი ჯარისკაცი წყალმა წაიღო, მესამე დღეა, ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენო... რადგან ქალბატონებმა არც დაღუპულის ვინაობა იცოდნენ და არც ის, თუ როგორ გაიტაცა წყალმა სამხედრო



ბაზიდან ძალოვანი უწყების წარმომადგენელი, სოფლისკენ მიმავალი გზა განვაგრძე. იმედი მქონდა, რომ ამ ამბის შესახებ მამაკაცებს მეტი ეცოდინებოდათ. ასეც აღმოჩნდა...

როგორც ნორიოს მკვიდრმა, ხანში შესულმა მამაკაცმა მიამბო, ორი „ძალოვანი“ წყალმა მაშინ წაიღო, როდესაც ისინი მდინარეში ჩავარდნილი ავტომობილის ამოყვანას ცდილობდნენ. მაშველებს ერთ-ერთი მათგანი მალევე ამოუყვანიათ წყლიდან, მეორე კი უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

როგორც გაირკვა, დაღუპულის ვინაობა სოფელში არავინ იცოდა. ინფორმაციის გადასამოწმებლად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესცენტრს მივმართე. სხვათა შორის, უწყების ვებგვერდზე საკმაოდ გარკვევით წერია (სტილი დაცულია): „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ მასმედიასა და საზოგადოებაში არსებული ინტერესების დაკმაყოფილება (ინფორმაციის საჯაროობის ნორმების დაცვით); ჩვენ მზად ვართ, ჟურნალისტებისა და საზოგადოებისთვის საინტერესო და საჯაროობის თვალსაზრისით დასაშვები ინფორმაციები თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში დროულად მოგაწოდოთ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებებში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან სიახლეს და ცვლილებებს ჩვენ ვათავსებთ დეპარტამენტის ინტერნეტგვერდის ახალი ამბების სვეტში. დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილის შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ამავე გვერდზე მითითებულ კოორდინატებზე. იმისათვის, რომ არ შეხვიდეთ შეცდომაში, შემდგომი გართულებებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ პენიტენციარულ სისტემასთან დაკავშირებით სხვა წყაროებისგან მიღებული ინფორმაცია ჩვენთან გადაამოწმოთ. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის“. ეს გაფრთხილება თუ მოწოდება მხოლოდ ფორმალობა აღმოჩნდა. პრესცენტრის ხელმძღვანელმა, თეა სუხიშვილმა მომხდარი ფაქტი ვერც დაადასტურა და ვერც უარყო. მართალია, შემპირდა, ინფორმაციას მოგვიანებით დავაზუსტებო, მაგრამ მოგვიანებით ჩემს ზარს საერთოდ აღარ უპასუხა. იძულებული გავხდი, ინფორმაცია ისევ საკუთარი ძალებით, კულუარულად მომეძიებინა... მოვიძიე კიდეც: როგორც სანდო წყარომ მაცნობა, დაღუპული ძალოვანი — ამირან გოგუავაა. ჩვენ მწუხარებას გამოვთქვამთ ამირან გოგუავას ტრაგიკულად დაღუპვის გამო, სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და ახლობლებს და ვიმედოვნებთ, რომ „სასჯელაღსრულება“ გარდაცვლილს მაინც მიაგებს შესაბამის პატივს. ■



# აფხაზი შვილმკვდარი დედები თბილისში

## „იქნებ უფლის სიყვარულმა გაგვაერთიანოს“



**„თბილისში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. ბოლოს 80-იანი წლების დასაწყისში ვიყავი... ახლა აქ მე და რამდენიმე ჩემნაირი უბედური დედა, ქართველი პატრიარქის ინიციატივითა და კიდევ რამდენიმე მიზეზით ჩამოვედით... ქართველი და აფხაზი მეომრების სახელზე ტაძარი შენდება, რაც როგორც მიცვალებულებისთვის, ისე ცოცხლებისთვისაც დიდი მადლია. იქნებ უფლის სიყვარულმა გაგვამთლიანოს... აფხაზ და ქართველ დედებს ერთი სატკივარი გვაქვს, 90-იან წლებში შვილები დავკარგეთ... ეს იყო შეცდომა, რომელსაც აფხაზეთში ნაწილი აღიარებს, ნაწილი — არა. ზოგი კი მაშინდელ ომს ისევ და ისევ ღირსეულ ნაბიჯად მიიჩნევს. მაგრამ არ გვინდა ამაზე საუბარი, ახლა ისღა დაგვრჩენია, ერთად ვილოცოთ ჩვენი შვილების სულებისთვის და ვისურვოთ, რომ მომავალმა თაობებმა მტრობით დანგრეული, სიყვარულით ააშენონ“, — მითხრა თბილისში სტუმრად ჩამოსულმა აფხაზმა ქალბატონმა, რომელსაც შვილი 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ომის დროს დაეღუპა...**

ლალი პაპასკირი

*18 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების ლავრის ეზოში, აფხაზეთში დაღუპული ქართველი და აფხაზი მეომრების სახელზე ასაშენებელი პირველი ტაძრის საძირკველი აკურთხა. ამ ცერემონიას, წმინდა სინოდის წევრებთან და მრევლთან ერთად, ქართველი დედები და „დევნილთა კონგრესის“ მოწვევით აფხაზეთიდან გადმოსული შვილმკვდარი დედებიც დაესწრნენ.*

*როგორც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, სიმონ კანანელის სახელობის სამნავიანი ტაძრის ძირითადი ფართობი 200 კვადრატული მეტრი იქნება. ტაძარში კი წმინდა მღვდელთმთავრის, იოანე ოქროპირისა და წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელობის ორი ტრაპეზი აიგება.*



*ეკლესიის პროექტის დამკვეთები ფონდის — „მზე შინა და მზე გარეთა“ პრეზიდენტი, აფხაზეთის ომის მონაწილე, ამჟამად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი მინდია გულუა, ასევე — აფხაზეთის ომის ვეტერანები და „დევნილთა კონგრესი“ არიან. თვით პროექტზე კი, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტის ავტორმა და მთავარმა არქიტექტორმა არჩილ მინდიაშვილმა იზრუნა...*

*საძირკვლის კურთხევამდე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა და საზოგადოებას აუწყა, რომ ტაძარი სიმონ კანანელის სახელზე შენდება. მან ყველა ის ადამიანი დალოცა, ვინც ტაძრის მშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას.*

*იმ წმინდა ადგილას რამდენიმე წუთის განმავლობაში ოცზე მეტი შავოსანი დედა ერთმანეთის პირისპირ მდუმარედ იდგა. ენგურს გაღმა საქართველოდან გადმოსული სტუმრებისთვის უამრავი კითხვის დასმა მინდოდა: როგორ ცხოვრობენ, რას ფიქრობენ ენგურს გამოღმა დარჩენილ ქართველ მოყვრებსა და იმ ადამიანებზე, ვისაც ჯერ კიდევ მტრად მიიჩნევენ; რა განცდაა ფრონტის მეორე მხარეს დაღუპული მეომრის დედასთან შეხვედრა; მაგრამ ზოგ შემთხვევაში, როცა შიდა კონფლიქტების მოგვარების მცირე იმედი ჩნდება, ალბათ აჯობებს, ასეთი კითხვები უპასუხოდ დარჩეს...*

**ინეზა,** *63 წლის, სოხუმელი აფხაზი ქალბატონი:*

— უბრალო ქართველებიც და აფხაზებიც დიდი პოლიტიკის მსხვერპლი გავხდით. ქართველი ნათესავები მყავს, მაგრამ ომის დროს ისე აირია ყველაფერი, ეს უბედურება მაინც არ ამცდა. მაშინ ჩემი შვილი 16 წლის იყო... როცა თბილისიდან მოწვევა მომივიდა, დიდხანს ვფიქრობდი, მაგრამ შემდეგ დავთანხმდი. ჩვენ ერთი სალოცავი გვაქვს. ერთმანეთის მტრობით ვერც აფხაზებმა ვიხეირეთ და არც ქართველები ცხოვრობთ უზრუნველად. იქნებ უფლის სიყვარულმა გაგვაერთიანოს... ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანური ურთიერთობები დღემდე არსებობს. იქ ნახავთ ქართველების მოვლილ საფლავებს, რომლებსაც იქაური აფხაზები ჰპატრონობენ. ასე რომ, ოდნავი ბიძგიც კი საკმარისია, რათა სახალხო დიპლომატიამ გზა გაიკვლიოს... სხვა რა შემიძლია გითხრათ?.. მადლობა თქვენს პატრიარქს! როცა ბესარიონ აპლია აფხაზი მრევლის დაყოფას ცდილობს, ილია II ქართველი ერის გაერთიანებისთვის ყველაფერს აკეთებს. ■



**ჩვენ ერთი სალოცავი გვაქვს. ერთმანეთის მტრობით ვერც აფხაზებმა ვიხეირეთ და არც ქართველები ცხოვრობთ უზრუნველად**

# ოსების მიერ მოწყობილი ქართველების გენოციდი და ფრანგულად დანახული სიმართლე...

ხათუნა ბახტურიძე

**საფრანგეთის ელჩის, ერიკ ფურნიეს საჟურნალო ინტერვიუში, კითხვაზე, — გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას 2008 წლის 8 აგვისტოს ომისა და იმის გამო, რომ ბუქარესტში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება ფაქტობრივად, გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ჩავარდა? — ბატონმა ელჩმა უპასუხა: „ვინ წამოიწყო ომი, პირველმა ვინ ისროლა ცხინვალის მიმართულებით... თქვენ ვერ შეძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის ძებნას სხვაგან და არა იქ, სადაც ის არის. ამასთან დაკავშირებით თუ ცოტა შორს მოძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა (4000 დაღუპული, 25000 ლტოლვილი) და არა საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოებს. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარის ნაციონალიზმს, რომელიც ევროპის ომების უმრავლესობის საფუძველი იყო, რომელიც საბედნიეროდ გადავლახეთ და ავირჩიეთ სხვა ღირებულებები, რომლებიც წარმოსახვითი ერების ოცნებებზე მაღლა დგას“.**

**რის საფუძველზე ადანაშაულებს ფურნიე ქართველ მენშევიკებს ოსების გაჟლეტაში და რამდენად შეესაბამება მსგავსი განცხადებები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლის სტატუსს — ამის გარკვევას, ისტორიკოს მიხეილ ლაბაძესთან და დიპლომატ ზურაბ აბაშიძესთან საუბრისას შევეცადე.**

**მიხეილ ლაბაძე:**

— 1921 წელს საქართველო უკვე „გაწითლებული“ იყო, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას მენშევიკური ხელისუფლება აღარ მართავდა. ბატონი ფურნიე ალბათ 1920 წლის 8 მაისიდან 7 ივლისამდე დატრიალებულ მოვლენებს გულისხმობს. თუმცა ოსი ხალხის გენოციდი არც მაშინ მომხდარა, — არც 4000 კაცი დაღუპულა და არც 25000 ლტოლვილი ყოფილა. თავად ოსი კომუნისტებიც კი 1935 წელს გამოცემულ წიგნში (რომელიც ცხინვალში ანუ მაშინდელ სტალინირში გამოსცეს) წერენ, რომ დაღუპულთა რაოდენობა 669 კაცს აღწევდა, ლტოლვილებისა კი — 20 ათასს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მონაცემებიც ხელოვნურად არის გაყალბებული. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ჩარჩო-ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მოსკოვმა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ცნო. 8 მაისს ანუ მეორე დღესვე, დილის 7 საათზე ოსებმა დაიწყეს ანტიქართული აჯანყება — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საბჭოთა რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ ეს აჯანყება საქართველოში მცხოვრებმა ოსებმა კი არა, რუსეთის მიერ მართულმა, ჩრდილოკავკასიელმა ოსებმა დაიწყეს. მართალია, მათ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხის დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა, მაგრამ რუსების დახმარებით, ერთ თვეში ცხინვალი აიღეს. გაგეცინებათ და, რუსეთის ელჩმა საქართველოში, კიროვმა განაცხადა, — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა მზადყოფნას გამოხატავს, დაეხმაროს საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაშიო. თბილისმა მოსკოვს ამის გამო ოფიციალურად მადლობაც კი გადაუხადა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავად ცხინვალელმა ოსებმა გამოხატეს აღშფოთება ჩრდილოკავკასიელი ოსების მოქმედების გამო.

— **აღშფოთების მიზეზი რა იყო?**

— ცხინვალელი ოსების დიდი ნაწილი მიწათმოქმედებით იყო დაკავებული, ჩრდილოკავკასიელი ოსები კი მეკობრეობით ირჩენდნენ თავს. როდესაც მეკობრე ოსები საქართველოში შემოვიდნენ და ონიდან დუშეთამდე „წითელი წყობილება“ დაამყარეს, მშვიდობიან მიწათმოქმედ ოსებს ძარცვა დაუწესეს. ადგნენ ცხინვალელი ოსები და თბილისში იჩივლეს — ოფიციალურად მოითხოვეს ქართული გვარდიის დახმარება. საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალელი ოსების ჩრდილოელებისგან დაცვა ვალიკო ჯუღელს დაავალა. მან რეგიონში წესრიგის დასამყარებლად გამიზნული ოპერაცია განახორციელა, რომელიც ერთ კვირას გაგრ-



## ვანო ჩხარტიშვილი ბრიტანეთში მეცენატობისთვის დაჯილდოვდა

გასულ კვირას ლონდონში ახლახან ამოქმედებულ მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარში დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსმა ზენონმა, ინგლისში ქართული ეკლესიის მხარდაჭერასა და ქართულ ემიგრაციაში მართლმადიდებლობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის, მეცენატი ვანო ჩხარტიშვილი ეპარქიის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვა.

ეპარქია სულ რამდენიმე წელია, რაც დაფუძნდა და მისი მრევლი ინგლისში მცხოვრები, საქართველოს 30 ათასზე მეტი მოქალაქეა.

მიმდინარე წლის 6 თებერვალს ლონდონში ეპარქიის საკათედრო ტაძრის კურთხევაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღნიშნა, რომ ეს არის ისტორიული დღე და ჩვენ გვწამს, რომ მალე დადგება ის



ბედნიერი დღე, როცა საქართველო გამთლიანდება. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ერის სულიერი ერთიანობა. ეპარქიაში ქართველი მრევლის ურთიერთთანადგომა და იქ მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების მხარდაჭერა ასეთი სულიერი ერთობის პირობად მიაჩნიათ.

R

ძელდა. ამის შესახებ ჯუღელი თავის მემუარებშიც წერს, აღნიშნავს, რომ ოპერაციას მსხვერპლი ორივე მხრიდან მოჰყვა, თუმცა, რა თქმა უნდა, იმ რაოდენობით არა, რასაც ბატონი ფურნიე ასახელებს. ასე რომ, აქ ოსი ხალხის გენოციდზე ლაპარაკი — სრული აბსურდია (ქართველებს ოსების გენოციდი რომ მოეწყოთ, ცხინვალში ქართველები კი არა, ოსები იქნებოდნენ უმცირესობაში). უფრო მეტსაც გეტყვით — 1920 წლის 7 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ოსების კოლექტიური მიმართვა მთავრობისადმი, სადაც ეწერა: გორის, ხაშურის, ბაკურიანის, ცხინვალისა და ჯავის მაზრის ოსები ვაცხადებთ, რომ არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდით აჯანყებაში, პირიქით ჩრდილოკავკასიელ ოსებს წინააღმდეგობას ვუწევდით; ამის გამო დღეს ისე ვართ დაზარალებულნი, რომ სურსათის ნაკლებობას განვიცდით. საქართველოს ხელისუფლებამ დაზარალებულ ოსებს 600 მანეთის (მაშინ ეს ძალიან დიდი თანხა იყო) სანოვაგე გაუგზავნეს. მინდა აღვნიშნო, რომ აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი — მათე სანაკოევი 1935 წელს წერდა: მეგონა, ჩრდილოკავკასიელი ოსები კარგად მოიქცეოდნენ, მაგრამ მათ ჯავასა და ცხინვალში მცხოვრები ოსებიც დაარბიეს და გაძარცვეს, მე კი იძულებული გავხდი, ცხინვალი დამეტოვებინა. 1991 წელს გამოცემულ წიგნში — „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა" არაერთი დოკუმენტური ფაქტია მოყვანილი, თუ როგორ აწამებდნენ ოსები ქართველებს და იმ ოსებს, რომლებსაც აჯანყებაში ჩაბმა არ სურდათ. ისეთი საშინელი ფაქტებია მოყვანილი, რომ გამეორებაც კი მიჭირს, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მიცვალებულებს სხეულის სხვადასხვა ორგანოს აჭრიდნენ, არც ქალებსა და ბავშვებს ინდობდნენ. ამ ველურებმა 10 ივნისს რუსეთის ძალების დახმარებით დაიკავეს ცხინვალი. რატომღაც არავინ საუბრობს



იმის შესახებ, რომ ოსებმა თავად მოუწყვეს გენოციდი ქართველებს 1918 წელს ზარამგის, ალაგირისა და ბურნის რაიონებში, ანუ ისტორიულ დვალეთში (სადაც ქართველები XVII საუკუნემდე ცხოვრობდნენ). ამ რეგიონში XIX საუკუნის დასაწყისში რაჭველი მეპურეები და ხელოსნები დასახლდნენ. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ აქ ძალზე ბევრი დემობილიზებული ჯარისკაცი დაბრუნდა, რომელთაც არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ და დაიწყეს გამდიდრებული ქართველების ძარცვა. 1918 წლის მარტში კი ალაგირის ხეობაში მცხოვრები რაჭველები ერთიანად ამოხოცეს. რამდენიმე ათეულმა ადამიანმა გაქცევით უშველა თავს. გახელებული ოსები გაქცეულებს ცხინვალამდე გაჰყვნენ...

— **ბატონო ზურაბ, რამდენად მართებულად მიიჩნევთ ფრანგი დიპლომატის მიერ ოსების გენოციდში ქართველების დადანაშაულებას?**

— უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წინაშე საქართველოს გარკვეული ვალდებულებები აქვს ნაკისრი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები და ელჩები კომენტარს უმთავრესად, იმ კონტექსტში აკეთებენ, თუ როგორ ასრულებს ამ ვალდებულებებს საქართველო. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საფრანგეთის ელჩი საქართველოს შიდა პროცესებზეც საუბრობს. დღეს ზოგადად, დიპლომატები მედიის საშუალებით გაცილებით მეტს საუბრობენ, ვიდრე ეს წინა ეპოქებში ხდებოდა. ახლა დიპლომატია უფრო ღია გახდა საზოგადოებისათვის. როდესაც რუსეთში საქართველოს ელჩი გახლდით, ვცდილობდი, ხშირად გამოვჩენილიყავი მედიაში და მესაუბრა აქტუალურ თემებზე. სხვათა შორის, რუსეთის ხელისუფლებაც არაერთხელ გამიკრიტიკებია.

— **რა ვალდებულებებს გულისხმობთ, ბატონო ზურაბ? როგორც ცნობილია, სარკოზი-მედვედევის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები საქართველომ, რუსეთისგან განსხვავებით, შეასრულა...**

— დიახ, მართალია. მაგრამ ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს ის ვალდებულებები, რომლებიც ევროკავშირთან ჩვენი კანონმდებლობისა და ზოგადად სახელმწიფოებრივი მშენებლობის სტანდარტების დაახლოებას ითვალისწინებს. რაც შეეხება სარკოზი-მედვედევის შეთანხმებას — მას რუსეთი მართლაც, არ ასრულებს, საფრანგეთისა და ჩვენი სხვა დასავლელი პარტნიორების მონდომების მიუხედავად.

— **მაშინ რას ნიშნავს სარკოზის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთმა სარკოზი-მედვედევის შეთანხმება შეასრულა?**

— მართლაც, გავრცელდა ცნობა, რომ სარკოზიმ ასეთი განცხადება გააკეთა. ეს ამბავი რომელიღაც საინფორმაციო საიტზეც გამოჩნდა, მაგრამ პირადად მე, მსგავსი რამ არც სერიოზულ მედიაში და არც ოფიციალურ წყაროებში არ წამიკითხავს. რაც შეეხება ბატონ ერიკ ფურნიეს — იგი გამოცდილი დიპლომატი და კარგი ელჩია. გარდა ამისა, ძალიან მონდომებულია, რომ საქართველოსა და საფრანგეთს შორის მჭიდრო და ფართო თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს. ამ თვალსაზრისით, ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა. ვფიქრობ, რომ ჟურნალისტმა მას არაკორექტული კითხვა დაუსვა: მაინც რატომ უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას საფრანგეთი 2008 წლის აგვისტოს ომის გამო?.. ამ ქვეყანამ ომამდეც, ომის დროსაც და შემდგომ პერიოდშიც საკმარისად ბევრი რამ გააკეთა ჩვენს დასახმარებლად. საფრანგეთი თავის საგარეო პოლიტიკას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აყალიბებს და ამაში განსაკუთრებული არაფერია. ვფიქრობ, რომ ჟურნალისტის კითხვამ მისი გაღიზიანება გამოიწვია. ჩვენ, ქართველები, ნამდვილად განვიცდით თვითკრიტიკის დეფიციტს, ჩვენს პრობლემებს ხშირად სხვას ვაბრალებთ, ჩვენს თავში ნაკლებად ვიხედებით. რატომღაც მიგვაჩნია, რომ დასავლეთი ვალდებულია, იმაზე მეტად დაგვეხმაროს, ვიდრე გვეხმარება და ა.შ. ამას უცხოელებიც ამჩნევენ. ჩემი აზრით, ფურნიემ თავისი პასუხით მიგვანიშნა — თქვენს შეცდომებზე უფრო მეტი იფიქრეთ, ვიდრე საფრანგეთის „პასუხისმგებლობაზეო". თუმცა მისი პასუხის ეს პასაჟი მართლაც, ზედმეტად ემოციური ჩანს....

— **მაგრამ ემოცია, თუნდაც სამართლიანი წყრომაც, იმის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, რომ ჩვენთვის გენოციდის მოწყობა დაებრალებინა?**

— ვფიქრობ, რომ დასაზუსტებელია, სინამდვილეში რა თქვა ელჩმა: შესაძლოა, კარგადაც ვერ თარგმნეს მისი ნათქვამი.

— **ხომ არ აჯობებს ვაღიაროთ, რომ ფურნიემ უბრალოდ, ქართულოსური კონფლიქტის რეალური ისტორია არ იცის?**

— არ მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო ფრანგი დიპლომატის პროფესიონალიზმში. რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ისე, ხელისუფლების მოვალეობაა, რომ საელჩოებს სრული ინფორმაცია მიაწოდოს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა თუ საკითხის შესახებ. ■

# ბადრი ბიწაძე იძებნება

**20 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ბადრი ბიწაძეს პატიმრობა შეუფარდა. ამ მოთხოვნით სასამართლოს პროკურატურამ მიმართა, რადგან 1-ელ ივნისს მიღებული გადაწყვეტილება არ შესრულდა. ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ საქმე ძალოვნებმა 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღძრეს, რაც 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

პროკურატურამ ბრალის დასამტკიცებლად, რესტორან „ზღაპარში" ფარულად ჩაწერილი ვიდეოფირი, ასევე — ბრალდებულ გია უჩავასა და კიდევ რამდენიმე დაკავებული პირის აღიარებითი ჩვენება გაავრცელა. ისინი აცხადებდნენ, რომ დაგეგმილი ჰქონდათ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილების" დამზადება-გამოყენება და საბოლოოდ, შეიარაღებული გზით ხელისუფლების შეცვლა. პროკურატურის მოთხოვნით, ყველა დაკავებულს, ბადრი ბიწაძის გარდა, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. პროკურატურამ მაშინ 100.000 ლარის სანაცვლოდ მისი თავისუფლებაში დარჩენის შუამდგომლობა დააყენა. სასამართლომ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბიწაძეს გირაო შეუფარდა. ეს თანხა ერთ კვირაში უნდა გადაეხადა. ნინო ბურჯანაძემ სასამართლოს გადაწყვეტილება გააპროტესტა, პრესკონფერენცია მოაწყო და თქვა, რომ არც ერთ თეთრს არ გადაიხდიდა. ამასობაში ბრალდებულმა ბიწაძემ საქართველოს დატოვება შეძლო. როგორც ამბობენ, ამაში მას ხელისუფლებამ შეუწყო ხელი. მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. პროკურატურამ ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების (გირაოს) პირობების დარღვევის გამო მისი დაპატიმრება მოითხოვა. სასამართლომ ბადრი ბიწაძეს პატიმრობა შეუფარდა და ვინაიდან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მასზე ავტომატურად ძებნა გამოცხადდება ჯერ საქართველოს მასშტაბით, შემდეგ კი — ინტერპოლით.

ძებნილ ბიწაძეს ადვოკატი ლევან სამუშია იცავს. სასამართლო სხდომაზე ნინო ბურჯანაძე არ მისულა. ადვოკატი ბადრი ბიწაძის უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა. *„ეს საქმე აბსურდული და შეთითხნილია. თავიდანვე უამრავი პროცესუალური დარღვევა მოხდა. ბადრი ბიწაძეს სახაზინო წესით დაუნიშნეს ადვოკატი მაშინ, როცა მე ორდერი უკვე გაფორმებული მქონდა. არანაირი ვიდეო და ოპერატიული მასალა საქმეში არ მოიპოვება, გარდა გია უჩავასა და მისი რამდენიმე დაკავებული მეგობრის ჩვენებისა. ეს მასალა მთელმა საქართველომ მოისმინა"*, — აცხადებს ადვოკატი **ლევან სამუშია**. მისი მტკიცებით, მან ბადრი ბიწაძის ადგილსაყოფელი არ იცის და ამ ხნის განმავლობაში მასთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონია. „ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გააფორმა ჩემთან ხელშეკრულება და მხოლოდ მას ვეკონტაქტები. ოჯახმა თავიდანვე განაცხადა, რომ არანაირ თანხას არ გადაიხდიდა და დღესაც ამ პოზიციაზე რჩება... მოვითხოვე, ყოველგვარი აღმკვეთი ღონისძიების გარეშე დარჩენილიყო ბადრი ბიწაძე. არანაირი გარემოება არ არსებობდა, მისთვის პატიმრობა რომ შეეფარდებინათ, მაგრამ ჩემი პოზიცია სასამართლომ არ გაიზიარა. ავტომატურად მასზე ძებნა გამოცხადდება. ამ გადაწყვეტილებას ჩვენ გავასაჩივრებთ და შევეცდებით, ბატონი ბადრის უდანაშაულობა დავამტკიცოთ", — აცხადებს ადვოკატი. ■

# ფრთხილად, არ გაებათ თაღლითების მახეში!

თაღლითობის ფაქტი ძალიან გახშირებულია და ამ ბრალდებით არაერთი ადამიანი იხდის სასჯელს. ათასობით ჩვენი თანამოქალაქე, დამნაშავის დასჯის მიუხედავად, დაზარალებულად რჩება. თაღლითობის მსხვერპლნი ხშირად, საკუთარი თანხის უკან დაბრუნებას ვერ ახერხებენ. როგორც წესი, თაღლითებმა კანონი კარგად იციან და მათ სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხება. ასეთ დროს მსხვერპლი იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რომ დამნაშავე გისოსებს მიღმა გამოკეტეს. მაგრამ ეს რამდენად აძლევს მათ შვებას — სხვა საკითხია. ბევრი დაზარალებული არც მიმართავს სამართალდამცავებს, რადგან იცის, რომ მისი დაპატიმრებით არაფერი შეიცვლება და ისევ ცდილობს, საკუთარი თანხა სხვა გზით დაიბრუნოს, მაგრამ თაღლითისგან გაუთავებლად მხოლოდ დაპირების მოსმენა უწევს. ხშირად მათ მსხვერპლად პატიმრის ოჯახის წევრი იქცევა. პატიმრობაში მყოფთა ახლობლები ვადაზე ადრე მათი გათავისუფლების გზებს ეძებენ და ამ ძიებაში თაღლითების მახეში ებმებიან. არაერთი ფაქტი ყოფილა, როცა პატიმრის ოჯახს სახლ-კარიც გააყიდვინეს და ქუჩაში დატოვეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ადამიანები მაინც ებმებიან მახეში.

გასულ კვირას, შს სამინისტროს თანამშრომლებმა თაღლითობაში ბრალდებული, 37 წლის ალექსანდრე აბაშიძე დააკავეს. იგი ტარიელ ჯაფარიძეს დაუკავშირდა და დაჰპირდა, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, პატიმრობაში მყოფ მის შვილს ციხიდან გაათავისუფლებდა. ამ გზით ბრალდებულმა თაღლითურად მიითვისა ტარიელ ჯაფარიძის 9.000 დოლარი. დაკავებული დანაშაულს აღიარებს. „2010 წლის ივნისის დასაწყისში მეზობელმა, ეთერ გორგაძემ ტარიელ ჯაფარიძე გამაცნო. მითხრა, მას შვილი პატიმრობაში რომ ჰყავდა და მკითხა, თუ იყო შესაძლებლობა, შეწყალების საკითხის მოგვარებაში დავხმარებოდი? გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯაფარიძეს ვუთხარი, რომ მყავდა ნაცნობები მთავარ პროკურატურაში და მათი დახმარებით, პრობლემის მოგვარებას შევძლებდი, ამისთვის კი 14.000 დოლარი იყო საჭირო; 9.000 დოლარი მისთვის წინასწარ უნდა გამომერთმია, დარჩენილი 5.000 დოლარი კი — საქმის გადაწყვეტის შემდეგ. ტარიელ ჯაფარიძე მოვატყუე, გამოგონილი სახელები ვუთხარი. მისი გადახდილი 9.000 დოლარი არავისთვის შემითავაზებია, ჩემი საქმეებისთვის გამოვიყენე და არაფერი გამიკეთებია იმისთვის, რომ ჯაფარიძის პრობლემა მოგვარებულიყო", — აღნიშნავს ბრალდებული აბაშიძე. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით აღიძრა, რაც 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიება გრძელდება. ■

მოამზადა **თეა ხურცილავამ**



# საატესტაციო გამოცდების
## შედეგები და მოულოდნელობები

**დიდი ალიაქოთის, პროტესტის მიუხედავად, წელს მეთორმეტეკლასელებს საატესტაციო გამოცდები მაინც ჩაუტარდათ. ეროვნული გამოცდების ცენტრის მონაცემებით, ატესტატი 6000-მა ბავშვმა ვერ მიიღო. გადავწყვიტე, თავად კურსდამთავრებულთათვის გამომეკითხა საგამოცდო „თავგადასავლების“ შესახებ, მით უმეტეს, რომ საატესტაციო გამოცდების კითხვებზე სწორი პასუხების ინტერნეტით გავრცელებასთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა ჯერაც არ ჩამცხრალა. თუმცა ცენტრში აცხადებენ, რომ ეს თავად ახალგაზრდების ნამოქმედარია და ინტერნეტით ნანახი პასუხები გამოცდების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა...**

*ეთო ყორღანაშვილი*



თბილისელ ბავშვებს კარგი პირობები ჰქონდათ (ინტერნეტი სკოლაში), ჩემს სკოლაში კი იყვნენ ბავშვები, რომლებმაც მაუსის ხმარებაც არ იცოდნენ

**გიო ჯიქური:**

— შეიძლება ითქვას, რომ ამ 1 წლის განმავლობაში, 18 წლის ბიჭს ნევროზი გამოიჩნდა. სხვა მეთორმეტეკლასელების მსგავსად, როცა 8 გამოცდის ჩაბარების აუცილებლობის შესახებ შევიტყვე, მეც დავიძაბე. მიუხედავად ჩემი კარგი ნიშნებისა, შემეშინდა. სხვა ბავშვებივით, მეც ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის გამოცდების გამო ვნერვიულობდი: მე-7 კლასიდან მოყოლებული, ქიმიისა და ფიზიკის სწავლით არ დავინტერესებულვარ. როცა ბიოლოგიასთან ერთად, ეს 2 საგანი მეორეხარისხოვანი გახდა, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. მე-11 კლასში ბიოლოგია საერთოდ არ მისწავლია, ტექნიკურ საგნებს სემესტრულად და თან, ზედაპირულად გავდიოდით. ამიტომ იმის გაგონება, — რამდენიმე თვეში გამოცდა გექნებათო, ჩვენთვის საგანგაშო იყო! მერე იყო მიტინგები, „ოროსნების აქცია“, რამაც ჩემი აზრით, ბავშვები კიდევ უფრო დაზაფრა... დღეს, როცა ატესტატი უკვე „ჯიბეში მაქვს“, შემიძლია, თამამად გითხრა, რომ ეს გამოცდები აუცილებელი იყო. ბავშვებმა ელემენტარული რამ მაინც უნდა იცოდნენ. პირადად მე, ქიმიაში მიღებული ქულის გამო, პაატა გულიაშვილს პერსონალურ მადლობას ვუხდი!

— **პაატა გულიაშვილი რა შუაშია?**

— ალბათ გახსოვთ, კვერცხის სატელევიზიო რეკლამაში პაატა გულიაშვილი ზღვის ფონზე რომ დგას და განწირული ყვირის — დადო, დადოო! გამოცდაზე ფოტო სწორედ ამ სარეკლამო კლიპიდან იყო აღებული და ქვეშ კვერცხის ნაჭუჭთან დაკავშირებით ურთულესი შეკითხვა ეწერა. რამდენჯერაც პაატა გამოჩნდა, იმდენჯერ კითხვას პასუხი სწორად გავეცი. პაატა ფოტოდან მამხნევებდა. ჩემი არ იყოს, ისიც თელაველია და ამიტომ (*იცინის*). ამ კაცს ერის წინაშე ვუხდი მადლობას!

— **კვერცხის ნაჭუჭთან დაკავშირებულ შეკითხვებზე სწორ პასუხებს პაატა რომ „გკარნახობდა“, გასაგებია, მაგრამ ამბობდი, ფიზიკის გამოცდაზე ისეთი შედეგი მქონდა, ლამის საკუთარ თავს ავტოგრაფი ჩამოვართვიო. ქიმიის გამოცდის წინ კი წუხდი, — ამ საგნის სახელმძღვანელოს რომ გადავშლი, ქართულად წერა-კითხვაც კი მავიწყდებაო. გამოცდაზე ისეთი რა შეკითხვები იყო, რომ საბოლოო ჯამში, მაინც კარგი შედეგი უჩვენე?**

— გეოგრაფია პატარაობიდან მიყვარს. საკუთარ თავს ხუმრობით, „მაგელან 2“-ს ვუწოდებდი. ამ საგნის გამოცდაზე თავდაჯერებული შევედი, საბოლოო ჯამში კი ფიზიკაში გაცილებით მაღალი ქულა მივიღე. ახლა ფიზიკის გამოცდიდან ერთი კითხვა გამახსენდა: „წყლით სავსე კასრში მინის ცარიელი ბოთლი რომ ჩავაგდოთ, რა დაემართება — ჩაიძირება თუ?..“ მითხარი, ამის ცოდნას ფიზიკაში რაიმე განათლება სჭირდება?

— **როგორც ვიცი, თუ მოსწავლე რთულ კითხვას ვერ დაძლევდა, უფრო იოლს იღებდა, თუ იმასაც ვერ გასცემდა სწორ პასუხს — კიდევ უფრო იოლს და ა.შ. ეს ის შემთხვევა ხომ არ იყო?**

— ასეთი მარტივი კითხვების გამო ამაზე მეც ვიფიქრე და ცოტა არ იყოს, შემრცხვა, მაგრამ საბოლოო ქულის ხილვისას ვრწმუნდებოდი, რომ რთულებსაც სწორ პასუხებს ვცემდი. ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, ისეთი თავდაჯერებული ვარ, ეროვნულ გამოცდებზე საკითხები ჩინურ ენაზე რომ მომიტანონ, ვფიქრობ, იმასაც სულ „რიხინ-რიხინით“ ჩავაბარებ!

— **რთულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემისას უფრო მაღალ ქულას იღებდი, ვიდრე — იოლისას თუ მთავარი იყო, ბევრი კითხვისთვის სწორად გეპასუხა?**

— თავიდან, თუ რამდენიმე კითხვას სწორად უპასუხებდი, გამოცდიდან უცებ გიშვებდნენ. ქართულში ძალიან ცოტა კითხვა შემხვდა, ქიმიაში პირიქით — ძალიან ბევრი... ამ ალიაქოთში ყველაზე რთული და საშინელი — ბიოლოგიის გამოცდა იყო. არადა, სულ ვამბობდი, ბიოლოგიის სწავლას რა დიდი ამბავი უნდა, ბოლოს და ბოლოს, კაცი დაიზუთხავს-მეთქი.

— **როგორც ვიცი, მოსწავლეთა პირველი ნაკადის გამოცდის შემდეგ, საგამოცდო კითხვებზე სწორი პასუხები ინტერნეტით ვრცელდებოდა. შენ რომელ ნაკადში მოხვდი?**

— გამოცდის პასუხები ინტერნეტში იყო?! პირველად მესმის... სად იყავით აქამდე?! ჰმ... ყველა გამოცდა 5 საათზე მქონდა და საგამოცდო ოთახში სრულიად მარტო შევდიოდი! ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების მარტივი კითხვები ბიოლოგიის გამოცდაზე ერთიანად „ანაზღაურებული“ იყო. ეს უკანასკნელი ძალიან ორიგინალურად შეადგინეს (დარწმუნებული ვარ, „ჩაჭრილ“ ბავშვთა უმრავლესობამ ბარიერი სწორედ ამ საგანში ვერ გადალახა). წარმოგიდგენია, 40 სხვადასხვა კითხვას სულ ერთნაირი სავარაუდო პასუხები ჰქონდა!

— **„კი“, „არა“ და „არ ვიცი“?**

— უფრო საშინელი: „მიტოქონდრია“, „ენდოპლაზმური ბადე“ და „რიბოსომა“. მეორე კითხვასაც იგივე სავარაუდო პასუხები ჰქონდა, მესამესაც... ყველას! რაც ვიმეცადინე, ტვინში ისიც კი „ამებლანდა“. სხვა გამოცდების მარტივი კითხვების გამო შური იძიეს — ასე დავასკვენი (*იცინის*)!

— **ე.წ. „მედალოსნებს“ საატესტაციო გამოცდაზე როგორი შედეგი ჰქონდათ?**

— თავს ძალიან „დავიგოიმებ“, რომ გითხრა — კლასში არც ერთი „მედალ-

ოსანი“ არ მყავს-მეთქი? ბავშვებმა კარგი ქულები კი მიიღეს, მაგრამ 10 ქულა — არავინ. ისე, ატესტატები ისეთმა ბავშვებმა აიღეს, რომ ცოტა არ იყოს, მე „მიტყდება“ მათ ნაცვლად...

— **სკოლა თელავში დაამთავრე?**

— დიახ, სამწუხაროდ.

— **სამწუხაროდ?..**

— გამოცდაზე 11 კომპიუტერი გვქონდა. მათგან ერთდროულად მხოლოდ 5 „ქაჩავდა“ და ყოველ წუთში „ჭედავდა“. ექვსზე მეტი კომპიუტერის ერთდროულად ჩართვისას ინტერნეტი უარესად „ჭედავდა“. კითხვიდან კითხვაზე გადასასვლელად დამატებითი დრო გვჭირდებოდა. ბუნებრივია, დილით დაწყებულ გამოცდებს 5 საათზე მე ვასრულებდი. მაინტერესებს, დედაქალაქშიც ასეთი სიტუაცია იყო? თბილისელ ბავშვებს კარგი პირობები ჰქონდათ (ინტერნეტი სკოლაში), ჩემს სკოლაში კი იყვნენ ბავშვები, რომლებმაც მაუსის ხმარებაც არ იცოდნენ. ცხადია, მათთვის საატესტაციო გამოცდის ჩაბარება უფრო რთული იყო. ამ ყველაფერს (რასაც მე მაიმუნობას უფრო დავარქმევდი, ვიდრე — გამოცდებს) ერთადერთი დადებითი მხარე ჰქონდა: ხალხს სალაპარაკო თემა გაუჩინა და ასაკისა და სქესის მიუხედავად, მთელი წელი, ყველა ატესტატზე წუწუნებდა. გაერთო ხალხი...

**თამო მამულაშვილი:**

— მცირე ტექნიკური ხარვეზები ჩვენთანაც იყო (სკოლა თბილისში დავამთავრე). პირადად მე, გამოცდა შუადღისას მქონდა. 1-2-ჯერ კომპიუტერმა მეც „გამიჭედა“. ამბობდნენ, დილის საათებში უფრო მეტი პრობლემა იყოო. მეოთხე-მეხუთე გამოცდებზე მცირე ხარვეზებიც არ ყოფილა. მაუსის გამოყენებას რაც შეეხება, ერთმა გოგონამ მისი ხმარება მართლაც არ იცოდა, პირადი ნომრის შეყვანასაც ბევრ დროს ანდომებდა... გამოცდის დროს, სექტორში იდეალური სიჩუმე იყო.

— **ინტერნეტით გავრცელებული პასუხებით თუ ისარგებლე?**

— მე რომელი „ფეიჯის“ ლინკიც მქონდა, იქ ტექსტს ლათინური ასოებით კრებდნენ და სიმართლე გითხრათ, ვერ ვისარგებლე. თან, პასუხებში შეცდომები აღმოვაჩინე. ისტორიის გამოცდის დილას, 10-15 კითხვა ვნახე. „გვერდის“ პატრონს თავისი გვარ-სახელი არ ეწერა — რადგან ვინაობა დამალა, ე.ი. თავისი სახელის გამხელა არ უნდოდა.

— **შენი აზრით, ვის უნდა გაევრცელებინა?**

— არ ვიცი, მაგრამ ალბათ, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი აბიტურიენტი იქნებოდა და პასუხებს კეთილი მიზნით ავრცელებდა, ოღონდ დარწმუნებული ვარ, ეს „ქველმოქმედება“ ვერ განხორციელდებოდა, რადგან ყველას სხვადასხვა სირთულის კითხვა ხვდებოდა — ინტერნეტში დადებული 100 მარტივი კითხვიდან, შეიძლება, ერთიც არ შეგხვედროდა. მაგალითად, ქიმიის გამოცდაზე (დილით) ჩემს კლასელს ასეთი კითხვა შეხვდა: „რომელია რიგით 27-ე ელემენტი?“ ქიმიის გამოცდა მეც ჩავაბარე. დაახლოებით 20 არცთუ ისე იოლი კითხვა შემხვდა და მათ შორის, ასეთი მარტივი, უაზრო და სასაცილო არც ერთი არ იყო...

— **ბევრისთვის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია წინათ მეორეხარისხოვანი საგნები იყო. შენს სკოლაში ამ საგნების სწავლება როგორ მიმდინარეობდა?**

— სიმართლე გითხრათ, საუკეთესო შედეგი სწორედ ქიმიასა და ბიოლოგიაში მქონდა. ზოგადად, ამ საგნების მიმართ ნაკლები ინტერესი იყო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩემს სკოლელებს გაუმართლათ: ქიმიას, ფიზიკას მეშვიდე კლასიდან ძალიან კარგად გვასწავლიდნენ. ვისაც რა ნიშანი გვეწერა, გამოცდაზეც დაახლოებით იგივე შედეგი მივიღეთ. ბიოლოგიას რაც შეეხება, არ მიყვარს ისეთი საგნები, სადაც მხოლოდ თეორიაა სასწავლი, მაგრამ ადრე ექიმობა მინდოდა და... ბიოლოგია ერთადერთი საგანი იყო, რომელშიც გამოცდამდე 2 კვირით ადრე წავიმეცადინე.

— **წარჩინებულ მოსწავლეებს როგორი შედეგები ჰქონდათ?**

— ჩემს სკოლაში წარჩინებულთათვის განკუთვნილ მედალს რამდენიმე ადამიანი ვიღებთ. ჩვენს წლიურ ნიშანსა და გამოცდების შედეგს შორის კატასტროფული განსხვავება არავის გვქონია.

— **შენს სკოლაში ატესტატის გარეშე ვინმე დარჩა?**

— 9 მოსწავლე, სამწუხაროდ.

— **როგორი ბავშვები არიან? როგორ სწავლობდნენ?**

— არ სწავლობდნენ, მაგრამ მაინც ძალიან დიდი უსამართლობაა, რადგან ზოგმა არანაკლებ „არამსწავლელმა“ ატესტატი აიღო. ძალიან იღბლიანი ნაცნობები მყოლია: მოსალოდნელზე მაღალ ქულას იღბლის წყალობით, სწორი პასუხების „გარტყმით“ იღებდნენ.... საატესტაციო გამოცდებმა თავდაჯერება — არა, მაგრამ ნერვიულობაზე იმუნიტეტი შემძინა (*იცინის*). წინ 4 ეროვნული გამოცდა მელის, მაგრამ ვერ ვნერვიულობ. რა თქმა უნდა, დაძაბული ვარ, მაგრამ ისე არა, როგორც საატესტაციო გამოცდების პირველ დღეს ვიყავი — მაშინ პირად ნომერს ხელის კანკალით ვკრებდი. ემოციურად ძალიან გამოგვფიტეს, მაგრამ ამის მიზეზი გაურკვევლობა უფრო იყო, ვიდრე — გამოცდების სირთულე.

— **გარდა იმისა, რომ აღარ ნერვიულობ, საატესტაციო გამოცდებს, შენი აზრით, დადებითი შედეგი აქვს?**

— ვიცი, ჩემი პასუხი ჩემი თანატოლებისთვის გამაღიზიანებელი იქნება, მაგრამ ვიტყვი, რომ ჰქონდა. უბრალოდ, უკეთესად ორგანიზებული უნდა ყოფილიყო (ნაკლები ნერვიულობითა და გაურკვევლობით), თორემ მოსწავლემ, რომელიც სკოლას ამთავრებს, მინიმალური რაღაც ყველა საგანში უნდა იცოდეს. მთელი წლის განმავლობაში, გამოცდები ჩემთვის თავს დატეხილ უბედურებასთან ასოცირდებოდა....

— **წლების განმავლობაში, ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად, სკოლაში მიღებული ცოდნა მოსწავლეებისთვის საკმარისი არ იყო. ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა? მე-12 კლასში რას გასწავლიდნენ?**

— ვიქნები გამაღიზიანებლად გულწრფელი და გეტყვი: განსაკუთრებულს არაფერს გვასწავლიდნენ. აბიტური გაკვეთილი ჩვეულებრივისგან დიდად არ

**თუ გაქვთ ჭარბი წონა, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 ან გყავთ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ოჯახის წევრი**

ნუ დაელოდებით მდგომარეობის გაუარესებას და იცოდეთ, რომ ენდოკრინულ და მეტაბოლურ დარღვევათა კლინიკის ბაზაზე, დონორთა დაფინანსებით, ტარდება პილოტური პროგრამა: სიმსუქნის, პრედიაბეტისა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. კლინიკაში მოგემსახურებიან კვალიფიციური სპეციალისტები. ამ პათოლოგიათა დროული დიაგნოსტიკა ეფექტური მკურნალობის გარანტია! პაკეტის ღირებულებაა 272 ლარი, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს მხოლოდ 65 ლარს. პროგრამაში ჩართვის მსურველები

დაგვიკავშირდით: 223-81-73, 893-44-28-24, 858-97-27-41

განსხვავდებოდა. რადგან დასწრება ნებაყოფლობითი იყო, ყველას სახლში წასვლა უნდოდა. გაკვეთილზე იმ განწყობილებით მოსული თითქმის არავინ იყო, რომ რაც 11 წლის მანძილზე არ უსწავლია, 45-წუთიანი გაკვეთილებით აენაზღაურებინა. დავრწმუნდი, რომ გამოცდების მოლოდინიც ვერ გაიძულებს, ასეთ გაკვეთილზე გაჩუმდე, შენი 20 თანაკლასელიც გააჩუმო და სწავლას მონდომებით შეუდგე...

**გვანცა გურგენიძე:**

— ზოგადად, გამოცდების შედეგებით კმაყოფილი ვარ. ჩემს სკოლაში საუკეთესო შედეგი მქონდა.

— **სკოლაშიც კარგად სწავლობდი თუ საატესტაციო გამოცდებზე გაგიმართლა?**

— კარგად ვსწავლობდი. ქართული და გერმანული ენის ოლიმპიადებში ვმონაწილეობდი და მეორე ტურშიც გადავედი. ფიზიკის კონკურსში — „ვინ უკეთ იცის ფიზიკა“ — დიპლომებიც ავიღე. წელს კი ქიმიასა და გერმანულში ორი თემისთვის დამაჯილდოეს. ვინც სკოლაში კარგად არ სწავლობდა, საატესტაციო გამოცდებზე მათაც კარგი შედეგი ჰქონდათ. დაბალი დონის გადასალახავად, ბავშვებს პროგრამა ეხმარებოდა, მაგრამ მაღალ ქულებზე „გვწურავდა“. ვინც ცოტა რაღაც იცოდა, სასურველი შედეგი მალე მიიღო, ჩვენ კი გვცდიდა და გვცდიდა (*იცინის*). უმარტივეს კითხვებზე სწორი პასუხით მაღალ ქულას ვერ აიღებდი, მაგრამ მინიმალური ზღვრის გადასალახავად, საკმარისი იყო. ზოგიერთ ჩემს თანაკლასელს მათემატიკაში ბოლოს გამრავლების ტაბულა შეხვდა და ბარიერი მაინც გადალახა.

— **თქვენს სკოლაში ატესტატის გარეშე ვინმე დარჩა?**

— კი, მაგრამ არავინ „ჩაჭრილა“ — ისინი გაცდენების გამო არ დაუშვეს გამოცდებზე.

— **„მედალოსნებიდან“ ვინმეს დაბალი შედეგი ხომ არ ჰქონდა? მათ მედალს მაინც გადასცემენ?**

— ჩემს სკოლელ ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლეს ჩემზე დაბალი შედეგი ჰქონდა, მაგრამ მედალი მაინც გადასცეს. ტესტირების ქულებს ამაზე არ უმოქმედია.

— **გამოცდის რომელ ნაკადში მოხვდი? როგორც ვიცი, პირველი ნაკადის შემდეგ, ინტერნეტით სწორი პასუხები ვრცელდებოდა.**

— დიახ, მაგ მხრივ „არ გამიმართლა“ — დილის 10 საათის ნაკადში მოვხვდი. გამოცდაზე რომ მივდიოდი, ინტერნეტით საგამოცდო კითხვებზე პასუხები მერე ვრცელდებოდა.

— **პასუხებს გადახედე? შენი აზრით, ვის და როგორ შეეძლო, გაევრცელებინა?**

— კი, გადავხედე. უმეტესად ის შეკითხვები იყო, რომლებიც გამოცდაზე შემხვდა. არ ვიცი, სინათლის სიჩქარით სახლში ვინ მირბოდა ინტერნეტში პასუხების დასადებად, მაგრამ თვითონ ამბობდნენ — ბავშვები დებდნენო.

— **ვინ ამბობდა?**

— სამინისტროს „ცხელ ხაზზე“ გვეუბნებოდნენ.

— **გამოცდაზე როგორი განწყობილებით წახვედი?**

— ვერ გეტყვი, რომ კარგი განწყობილება მქონდა. არავინ ვიცოდით, რა გველოდა. საცდელი კურდღლების როლში ყოფნა არ გვსიამოვნებდა.

— **გამოცდებზე ტექნიკური ხარვეზები თუ იყო?**

— პირველ დღეს იყო — პირველ ნაკადს ნახევარ საათზე მეტხანს კომპიუტერების უმრავლესობა გათიშული ჰქონდა, — მაგრამ მერე ყველაფერი გამოსწორდა.

— **საბოლოო ჯამში, საატესტაციო გამოცდებთან დაკავშირებით რას ფიქრობ — რა დადებითი მხარეები აქვს?**

— ალბათ, რამდენიმე წელიწადში კარგ შედეგს გამოიღებს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ საატესტაციო გამოცდები ჩვენთვის არ უნდა დაენიშნათ: მთელი პროგრამის მოსამზადებლად ძალიან მცირე დრო გვქონდა... ■




# როდის არღვევს კანონს პოლიციის აკადემიის რექტორი

**„მომხიბვლელი ქალი, თავისი საქმის პროფესიონალი და მკაცრი ხელმძღვანელი“ — ასე ახასიათებენ პოლიციელები ხატია დეკანოიძეს. ხატიასთან ინტერვიუს ჩასაწერად პირველად რომ მივდიოდი, გზად იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ გამომენახა საერთო ენა „უჟმურ ჩინოვნიკთან“. როდესაც რექტორის კაბინეტის კარი გაიღო და მოღიმარი სახის ახალგაზრდა ქალი შემომეგება, ვიფიქრე, რომ რექტორის მდივანი ან თანაშემწე იქნებოდა. შევცდი: მოღიმარი ქალი პოლიციის აკადემიის რექტორი აღმოჩნდა.**

ხათუნა ბახტურიძე

*როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ხატიას თავისი ასაკითა და გარეგნობით უცხოელი კოლეგებიც არაერთხელ გაუკვირვებია. ერთ-ერთ კონფერენციაზე ევროპის პოლიციის აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი ფოიეში შეხვედრია, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რადგან რექტორის თანაშემწე ეგონა, რექტორს კი მის ზურგს უკან ეძებდა... გარდა იმისა, რომ ხატია უშუალო ადამიანია, ჩინოვნიკებს შორის ერთ-ერთი გამონაკლისთაგანია, რომელიც ინტერვიუზე უარს არასდროს ამბობს და საუბრის თემასაც წინასწარ არ ათანხმებს...*



— **ხატია, პოლიციის აკადემიაში როგორ მოხვდით?**

— ამ უწყებაში ახალი კადრი არა ვარ: ადრე უშიშროების საბჭოში ვმუშაობდი, მოგვიანებით კი შინაგან საქმეთა სამინისტროში, ადმინისტრაციის უფროსად გადავედი. 2006 წელს ამერიკაში საქართველოს საელჩოში დიპლომატად დავიწყე მუშაობა. 2 წლის შემდეგ ისევ საქართველოში ჩამოვედი და პოლიციაში დავბრუნდი. ასე რომ, ჩემი კარიერის ძირითადი ნაწილი ამ უწყებასთან არის დაკავშირებული.

— **რამდენი წლის ხართ?**

— 34 წლის.

— **ამდენი რამე როგორ მოასწარით?**

— დროის უქმად კარგვა არ მიყვარდა...

— **ოჯახი თუ გაქვთ?**

— კი, მეუღლე და ერთი ვაჟიშვილი, რომელიც ახლა 12 წლისაა.

— **რა განათლება გაქვთ მიღებული?**

— საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების სპეციალისტი ვარ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. ერთი სიტყვით, ჩემი ძირითადი პროფესია — დიპლომატიაა.

— **პროფესიული არჩევანი ოჯახმა განაპირობა?**

— არა, დიპლომატობა თავად ავირჩიე, ამაზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. ლიბერალი მშობლები მყავს, ჩემს გადაწყვეტილებებს ყოველთვის პატივს სცემდნენ, არაფერს მაძალებდნენ, მხოლოდ რჩევების მოცემით შემოიფარგლებოდნენ.

— **დიპლომატისთვის ძალოვან უწყებაში მუშაობა რთული არ იყო?**

— არა, ყოველ შემთხვევაში, მე დისკომფორტი არ მიგრძნია. ეს არის სისტემა, რომელიც ძალიან მიყვარს, ხალისით დავდივარ სამსახურში. ბუნებით პატრიოტი ვარ და მიხარია, რომ უწყებამ, სადაც ვმუშაობ, სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი და ფასეულია ის ღირებულებები, რომლებსაც ჩემი კოლეგები ემხრობიან.

— **პოლიციელებმა მითხრეს, რომ მკაცრი რექტორი ხართ...**

— მართლა?! ძალიან გამიკვირდა. კოლეგებთან ყოველთვის უშუალო ურთიერთობა მაქვს. მკაცრი მართლა არა ვარ, უბრალოდ ვითხოვ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა დაკისრებული მოვალეობა სრულყოფილად შევასრულოთ. ჩემი თავის მიმართაც მომთხოვნი ვარ...

— **ალბათ კოლეგები, როგორც ქალბატონს, განებივრებენ...**

— თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არა. სხვათა შორის, არც მინდა, ვისარგებლო იმით, რომ ქალი ვარ. როდესაც პროფესიონალიზმის პრეტენზია გაქვს, სქესის გამო პრივილეგიები არ უნდა მოითხოვო. თანაც, ჩვენთან ძალიან ბევრი ქალბატონი მუშაობს, გენდერული ბალანსი სრულადაა დაცული, როგორც აკადემიაში, ისე მთელ უწყებაში. ბოლო 3 წლის განმავლობაში ქალბატონები განსაკუთრებულად გააქტიურდნენ. იმედია, ეს ტენდენცია კიდევ გაგრძელდება. მგონი, გენდერული ბალანსი ყველაზე კარგად საქართველოს ძალოვან უწყებაშია დაცული. როდესაც უცხოეთში საქმიან შეხვედრებზე მივდივარ, გენდერულ უმცირესობაში ვხვდები ხოლმე.

— **ქალბატონები პროფესიულ მოვალეობას რამდენად კარგად ართმევენ თავს?**

— ისევე კარგად, როგორც მამაკაცები. ვინც პოლიციის აკადემიას ამთავრებს და ოფიცერთა რიგებში ეწერება, პროფესიულ მოვალეობას ყველა კარგად ართმევს თავს, სქესს მნიშვნელობა არა აქვს.

— **ამბობენ, რომ ქართველები არასპორტული ხალხი ვართ, ეს პოლიციელებზეც აისახება?**

— ქართველები მართლაც არასპორტულები ვართ. მაგრამ პოლიციის აკადემიაში ფიზიკური ნორმატივების ჩაბარების გარეშე ვერავინ მოხვდება, ამიტომ, უნდათ თუ არა, პოლიციელებს მაინც უწევთ ვარჯიში.

— **აკადემიაში სტუდენტის მიღებისას ძირითად აქცენტს რაზე აკეთებთ — მის ფიზიკურ მონაცემებზე თუ განათლებაზე?**

— ყველაფერს ვითვალისწინებთ. ფიზიკურ სტანდარტებს დიდ ყურადღებას



ვაქცევთ. აუცილებელია, რომ შესაბამისი სიმაღლე და წონა ჰქონდეს. ალბათ დამეთანხმებით, რომ მძიმეწონიანი პოლიციელი მოქნილი ვერ იქნება. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული იყოს, რადგან ის საზოგადოების უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი.

**— უწყებაში რაიმე სიახლის განხორციელებას ხომ არ გეგმავთ?**

— ჯერჯერობით გადამზადების კურსებზე ვმუშაობთ. მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ, უკვე მოქმედ პოლიციელებს ყოველ წელს ვუტარებთ ტრენინგებს.

**— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ გადამზადების კურსებზე მოსულ მოქმედ პოლიციელს ნორმატივები ვერ ჩაუბარებია?**

— იშვიათად, მაგრამ ასეც მომხდარა...

**— თქვენ რამდენად კარგად ხართ მომზადებული ფიზიკურად?**

— ბავშვობიდან ვვარჯიშობ, ვცურავ. ისე, ბოლო დროს გადატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო საცურაო აუზზე სიარულს, სამწუხაროდ, ხშირად ვეღარ ვახერხებ. რაც შეეხება ვარჯიშს, თითქმის ყოველ დილით დავრბივარ.

**— რა წოდება გაქვთ?**

— საკმაოდ დაბალი წოდება მაქვს — ლეიტენანტი გახლავართ...

**— იარაღს თუ ფლობთ?**

— არა. არც არასდროს მიცდია. მხოლოდ რამდენჯერმე ვისროლე აკადემიის სასწავლო ტირში.

**— ავტომობილსაც არ მართავთ?**

— საკუთარი არ მყავს, სამსახურის ავტომობილი მემსახურება. მანქანის მართვა არ მიყვარს. შეიძლება, მთელი კვირა ისე გავიდეს, რომ საჭესთან არ დავჯდე. ავტომობილის მართვაში მძღოლი მეხმარება.

**— მოძრაობის წესები თუ დაგირღვევიათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ არასდროს დამირღვევია, რამდენჯერმე საჭის მართვის დროს მობილურ ტელეფონზე ვილაპარაკე.

**— და დაგაჯარიმეს?**

— არა, ასეთი შემთხვევა არ მქონია, პატრულმა ვერც ერთხელ ვერ შემნიშნა. ერთი რამ უნდა ვაღიარო: თუ პატრული დარღვევისას გამომიჭერს, მაგრამ მიცნობს და არ დამაჯარიმებს, ძალიან მკაცრი რეაქცია მექნება. ვინც უნდა იყოს მძღოლი და როგორი უმნიშვნელოც უნდა იყოს დარღვევა, პატრულმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. ჩვენს უწყებაში მსგავსი პრივილეგიებით არავინ სარგებლობს. სხვათა შორის, მეგობრები გაფრთხილებული მყავს, რომ არ დამირეკონ ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო დახმარების სათხოვნელად, — პატრულმა გამაჩერა, დამაჯარიმაო, — და ასე შემდეგ.

**— პროფესიამ თქვენს ხასიათზე გავლენა ხომ არ მოახდინა?**

— არა მგონია. ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და საერთოდ, ადამიანებთან დამოკიდებულება არ შემიცვლია. მხოლოდ ერთი მიმართულებით შევიცვალე — ახლობლებისთვის ხშირად ვეღარ ვიცლი.

**— ამას თქვენი მეუღლე როგორ ეგუება?**

— იცით, ჩემი ოჯახის წევრები, შვილის ჩათვლით, ყველა ძალიან დაკავებულია, ამიტომ ჩემი მოუცლელობა არავის უკვირს. ჩემი ბიჭი ჯერ 12 წლის არის, მაგრამ უკვე ძალიან ბევრი რამით დავტვირთეთ: მინდა, რომ დროის სწორად განაწილება აქედანვე ისწავლოს.

**— მეუღლე რა პროფესიის წარმომადგენელია?**

— იურისტია, მაგრამ ახლა სხვა სფეროში მუშაობს.

**— შვილისთვის პროფესიაც აქედანვე ხომ არ გაქვთ შერჩეული?**

— არა. ჩემი მშობლების მსგავსად, მეც ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანი საკუთარ მომავალს თავად უნდა გეგმავდეს. ვნახოთ, რას აირჩევს. ჯერჯერობით მსახიობობა უნდა. სხვათა შორის, დიპლომატობა რომ არ ამერჩია, ახლა ალბათ რეჟისორი-კინოდოკუმენტალისტი ვიქნებოდი: ამ საქმით ერთხანს ძალიან ვიყავი გატაცებული.

**— ისე, ჯერ კიდევ შეგიძლიათ პროფესიის შეცვლა...**

— არა მგონია, ამის სურვილი გამიჩნდეს. ძალიან მიყვარს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებ. დღევანდელმა ჩემმა საქმიანობამ ბავშვობის ოცნებაც (დიპლომატი გავმხდარიყავი) გადაწონა. ისე, დიპლომატობა ძალიან საინტერესო სფეროა, არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ასაკში ისევ დავუბრუნდები ამ პროფესიას. ■




*ეთო ყორღანაშვილი*

**„არტ-გენი“, რომლის მიზანი საქართველოს ხალხური, ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაციაა, წელს მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა. ღონისძიებაში კახეთიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ოსტატები მონაწილეობდნენ. მათ სტუმრებს ქართული სიმღერები, ცეკვები, საბრძოლო ხელოვნების ნომრები წარუდგინეს...**

**„არტ-გენი 2011“ განათლების მნიშვნელობას ეძღვნება, რომელიც ახალგაზრდებში ქართული კულტურის, ტრადიციებისადმი ინტერესის გაღვივებას ითვალისწინებს.**

ანსამბლ „ხორნაბუჯის“ ახალგაზრდა წევრებს ქართული ხალხური ცეკვები ძალიან უყვართ და კარგადაც გამოსდით. ფესტივალში მონაწილეობისათვის ისინი გამარჯვებიდან ჩამოვიდნენ.

**ირინა პოპიაშვილი**, *„ხორნაბუჯის“ წევრი:*

— ჩვენი მასწავლებლისგან შევიტყვეთ, რომ „არტ-გენის“ ფესტივალი მირზაან-



ში იხსნებოდა და მონაწილეები მთელი საქართველოდან ჩამოდიოდნენ. 3 ცეკვა — „მთიულური“, „რაჭული“ და „ხევსურული“ წარმოვადგინეთ. კონცერტებში ხშირად ვმონაწილეობთ, მაგრამ „არტ-გენი“ ყველაზე მეტად გვიყვარს!..

მაყურებელთა განსაკუთრებული აღტაცება გოგონათა მუსიკალურ ანსამბლ „გორდელას“ სცენაზე გამოჩენამ გამოიწვია.

**ქეთი კვირკელია**, *„გორდელას“ წევრი:*

— „გორდელას“ „სავიზიტო ბარათად“ წოდებული სიმღერა — „აყვავებულა არაგვზე დეკა“ პირველად სწორედ „არტ-გენზე“ შევასრულეთ. უკვე მეოთხე წელია, ფესტივალში ვმონაწილეობთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრ ადამიანს დავუმეგობრდით. ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარი — საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენელ ბიჭებთან მეგობრობაა... მირზაანში რამდენიმე ახალი სიმღერაც შევასრულეთ. „არტ-გენის“ ფარგლებში მალე თბილისში სოლო კონცერტიც გვექნება.

# „არტ-გენის“ ფესტივალი მირზაანში და სტუმართმოყვარე კახელები







**— „გორდელას“ გასათხოვარ გოგონებს კახელი თაყვანისმცემლები არ გამოგიჩნდათ?**

— ალბათ, კახელი თაყვანისმცემლებიც გამოჩნდებოდნენ, მაგრამ ჩვენამდე ჯერ არ მოსულან. ისინი ჩვენს ხელმძღვანელს უნდა დაეკონტაქტონ, რადგან მისი თანხმობის გარეშე ასეთ საკითხებს ვერ ვწყვეტთ: „გორდელას“ 2 წევრი გაგვითხოვდა და ანსამბლიდან წავიდა. ამის გამო, ხელმძღვანელი შეშინდა. ახლა მასთან ერთგვარი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული: ჩვენმა მოწონებულმა ყმაწვილმა ბატონ თამაზთან ტესტირება უნდა გაიაროს. უმთავრესი პირობა ისაა, რომ პირადმა ცხოვრებამ კარიერაში ხელი არ შეგვიშალოს. გარკვეული კრიტერიუმები გოგონებსაც გვაქვს. მაგალითად, მე მსურს, რომ ჩემი რჩეული გიტარაზე უკრავდეს (*იცინის*)...

სხვა დღეებისგან განსხვავებით, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმს ფესტივალის დღეს ნამდვილად ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა. მუზეუმის დირექტორის — ანზორ მაძღარაშვილის თქმით, მართალია, სიღნაღსა და მირზაანს შორის მანძილი 6 კილომეტრია, მაგრამ ცუდი გზის გამო ტურისტები მირზაანში სტუმრობას ერიდებიან.

**ანზორ მაძღარაშვილი:**

— გზის გაკეთებას გვპირდებიან. ვნახოთ, რა იქნება. როგორც ხედავთ, მუზეუმი გაგვირემონტეს, ბატონ ნიკა ვაჩეიშვილის დიდი ხელშეწყობით. დარბაზში ფიროსმანის ნამუშევრების 11 ორიგინალია გამოფენილი. მუზეუმი კომპიუტერული ასლებით შეივსო. გვინდა, ეს ადგილი კულტურის ცენტრად იქცეს, სადაც ნიკო ფიროსმანის შემოქმედებით დაინტერესებული ადამიანები მთელი მსოფლიოდან ჩამოვლენ...

ქართული ხალხური ცეკვა-სიმღერის ფონზე, მირზაანელი მზია ხარაშვილი თანასოფლელ ქალბატონებთან ერთად, ხინკალსა და სხვა ტრადიციულ კერძებს ამზადებდა და ფესტივალის სტუმრებს სთავაზობდა:

— ნიკალა მოქეიფე კაცი იყო. ჩვენც, მირზაანელები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ!..

**— თქვენი ყოველდღიური ცხოვრება როგორია?**

— დიდ გასაჭირში ვართ. მართალია, სოფელში ბუნებრივი აირის მილები გაიყვანეს, წყალიც არის, მაგრამ ვერ ვსარგებლობთ — ძალიან ძვირია.

**— მოსახლეობის ძირითადი ნაწილის შემოსავლის წყარო რა არის?**

— დღესასწაულებზე 2 „კაპიკს“ „ვაკეთებთ“ და მზესუმზირების „სათოხარში“ დავდივართ, როცა ამის სეზონია. სხვა სამუშაო აქ არ არის. სკოლაც კი არ გვაქვს. პატარა ბავშვები მეზობელი სოფლის სკოლაში დადიან. ჩვენი საშველი არაა. გვინდა, „არტ-გენის“ მსგავსი ღონისძიება ხშირად გაიმართოს — შრომით დაღლილ ხალხს ცოტათი მაინც გაგვამხნევებს, ჩამკვდარ სოფლებს გაამხიარულებს...

■



# სახე

## მომავალი ფსიქოლოგისა და ასტროფიზიკოსის დუეტი

### „ერთმანეთს ვერ ვეწყობით, ჩემი პარტნიორი უნიჭოა“...

**მიუხედავად იმისა, რომ სერიალი — „შუა ქალაქში“ — უკვე ხუთი წელია, ეთერში გადის, მას არც რეიტინგი დაუკარგავს და შესაბამისად — არც მაყურებელი. როგორც სერიალის პროდიუსერები აღნიშნავენ, ეს იმის წყალობით ხდება, რომ ცდილობენ, სერიალს ყოველთვის რაღაც სიახლეები შესძინონ, ახალი გმირები, ახალი სიუჟეტური სვლები დაამატონ. სულ ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთხელ შეცვალეს ბარმენი და სალომეს ნაცვლად, პაატა-პატო-პეტო გამოჩნდა. მალევე, მისი დაც, ეკატერინე-ეკა-კატო ჩამოვიდა ესპანეთიდან. ეს ორი გმირი ხალხმა ძალიან მალე შეიყვარა. პირადად მე, განსაკუთრებულად მათი პოპულარული ფრაზა „ჰო-ჰო-ჰო“ მომწონს. პაატასა და ეკას როლებს მსახიობები — ნოდარ გურგენაშვილი და ნინუცა მაჭაშვილი ასრულებენ, რომლებსაც ინტერვიუსთვის გადასაღებ მოედანზე ვეწვიე...**



შენ ფსიქოლოგი გახდი და მე ასტროფიზიკოსი გავხდები

*ნათია ჟივიძე*

**— სერიალში როგორ მოხვდით?**

**ნოდარი:**

— მეც და ნინუცამაც თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრეთ. როგორც იცით, ნინუცა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობია. მე სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვმუშაობდი, მაგრამ ცოტა ხნის წინ იქიდან წამოვედი. თქვენ ხომ იცით, კასტინგი ბიჭებისთვის ტარდება და გოგონებისთვის. ჰოდა, მეც კასტინგი გავიარე, ერთ თვეში დამირეკეს და პაატა ფერაძის როლზე დამამტკიცეს.

**ნინუცა:**

— რაც შემეხება მე, „ღამის შოუს“ წარმომადგენლებმა კასტინგზე არაერთხელ დამიბარეს, მაგრამ ხან ორსულად ვიყავი, ხან ბავშვი მყავდა პატარა, ხან ძიძა არ მყავდა. მოკლედ, ყოველთვის რაღაც პრობლემა მქონდა. როგორც იქნა, მოვახერხე კასტინგის გავლა და მაშინვე პაატას დის, ეკას როლზე დამამტკიცეს.

**— „შუა ქალაქამდე“ ერთმანეთს იცნობდით?**

**ნოდარი:**

— თეატრალურ უნოვერსიტეტში ისეთი სიტუაციაა, რომ ყველა ყველას იცნობს. შესაბამისად, ჩვენც ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ არ ვმეგობრობდით.

**ნინუცა:**

— შენთან როგორ ვიმეგობრებდი, ყოველთვის ისეთი გამომეტყველება გქონდა, ბრაზიანი და „მუდო“ მეგონე. ნამდვილად ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი საყვარელი და „მაზალო“ ადამიანი იქნებოდი... არ ვიცი რატომ, მაგრამ შენ რომ გიყურებ, სულ მეცინება. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ პატო-პეტოს რამით ჰგავხარ. თქვენ მხოლოდ პროფილი გაქვთ ერთნაირი, თორემ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებით.

**ნოდარი:**

— მთლად მასეც არ არის, პატოსთან რაღაც საერთო ალბათ მექნება და რადგან მის როლს ვასრულებ, მას ჩემი მანერებიც აქვს. რასაკვირველია, თავიდან სცენარისტებმა მითხრეს, როგორი ადამიანი უნდა ყოფილიყო პაატა, მაგრამ მას თანდათან ჩემეულ თვისებებსაც ვუმატებ. ვიღაცისგან რაღაც ფრაზას ან სიტყვას მოვისმენ, რომელიც მომეწონება და მერე იმას გადასაღებ მოედანზე ვიყენებ.

**ნინუცა:**

— ეს მსახიობების დამახასიათებელი თვისებაა. შესაძლოა, არ დავდიოდეთ და ჩვენი გმირების მსგავს ტიპაჟებს სპეციალურად არ ვეძებდეთ, მაგრამ უცებ სადმე წავაწყდებით მსგავს ადამიანს და მერე მათ მანერებსა და საუბარს ჩვენი როლებისთვის ვიყენებთ.

**ნოდარი:**

— მსახიობები ჩვენს გმირებს დროთა განმავლობაში ვავითარებთ. შესაძლოა, გადასაღებ მოედანზე აბსოლუტურად შემთხვევით რაღაც ისეთი ვთქვათ, რაც ხალხს მოეწონება და იმ ფრაზას აიტაცებს...

**— „ჰო-ჰო-ჰოც“ ასე შემთხვევით ნათქვამი ფრაზაა?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ

ასეთია. პირადად ვიცნობ იმ კატეგორიის ადამიანს, რომელსაც შეუძლია, 5-10 წუთი ტელეფონზე ილაპარაკოს და „ჰოს“ გარდა არაფერი თქვას. მათ იმდენად მეტყველი „ჰო“ აქვთ, რომ იმასაც კი ვხვდები, თუ რა საკითხზე ლაპარაკობენ. ერთ-ერთ ჩაწერაზე კი სრულიად შემთხვევით ვთქვი ასეთი „ჰო“ და სცენარისტებს ისე მოეწონათ, რომ შემდეგ ჩაწერაზეც მითხრეს, კიდევ თქვიო. მერე ხალხმაც აიტაცა და ეს ჩემი „ჰო-ჰო-ჰოც“ პოპულარული გახდა... პაატა-პატო-პეტო კი სცენარისტების იდეაა, ისევე, როგორც ეკატერინე-ეკა-კატია და ა.შ.



აჯობებს, მაყურებელმა სცენაზე მნახოს

— **მგონი, რაღაცას მატყუებთ. თუ მანამდე ერთმანეთს იცნობდით, ნინუცას რომ ინტერვიუსთვის დავურეკე და ვუთხარი, შენთან და ნოდართან მინდა ერთობლივი ინტერვიუს ჩაწერა-მეთქი, ნოდარი ვინ არისო, რატომ მკითხა?**

— შეიძლება, უბრალოდ ვერ მიხვდა, ვისზე ელაპარაკებოდი...

**ნინუცა:**

— ახლავე აგიხსნით, რაც მოხდა. თეატრში ვიყავი რეპეტიციაზე. შენ რომ დამირეკე, ჩემ წინ ჩემი შვილი დარბოდა და იმას ვუყურებდი. რომ მითხარი, ნოდართან ერთად მინდა ინტერვიუო, გამიკვირდა, რადგან ჩემს შვილსაც ნოდარი ჰქვია, მაგრამ წლის და 7 თვისაა და ვერ ლაპარაკობს. ვიფიქრე, ამასთან ერთად რა ინტერვიუ უნდა ჩაწერონ-მეთქი?!

— **სერიალში მოსვლამდე „შუა ქალაქს“ უყურებდით?**

— უნდა ვაღიარო, რომ ამ სერიალის ერთგული მაყურებელი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან სულ გარეთ ვარ გასული, შინ იშვიათად შევდივარ და შესაბამისად, ტელევიზორსაც ნაკლებად ვუყურებ. სერიალი კი ისეთი რაღაცაა, რომ არც ერთი სერია არ უნდა გამოტოვო. თავიდანვე არ ვუყურებდი „შუა ქალაქს“. სულ რამდენიმე სერია მაქვს ნანახი და რა თქმა უნდა, რომ „მულამი“ ვეღარ დავუჭირე.

**ნინუცა:**

— ზუსტად ასე ვარ მეც. თუ არ ვმუშაობ, მაშინ ჩემს გიჟ შვილს ვასეირნებ და ტელევიზორის საყურებლად ვეღარ ვიცლი.

— **როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს, როგორც პარტნიორები?**

— ვიდრე მოხვიდოდი, მანამდე ვლაპარაკობდით და გეგმებს ვსახავდით. გვინდოდა, გაგხუმრებოდით და ამ შეკითხვას რომ დაგვისვამდი, გვეთქვა, რომ ერთმანეთს ვერანაირად ვერ ვეწყობით, რომ ჩემი პარტნიორი უნიჭოა...

**ნოდარი:**

— ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება ხოლმე გადაღება, რადგან ძალიან უნიჭოა...

**ნინუცა:**

— ასე ნამდვილად არ არის. სცენა გვქონდა, რომ ერთნაირად უნდა გაგვეცინა. ძალიან დიდხანს დავდიოდით და ვფიქრობდით, ეს როგორ მოგვეხერხებინა. ნოდარი დიდი



გულმოდგინებით მასწავლიდა, როგორ უნდა გამეცინა. იმასაც მასწავლიდა, „ჰო-ჰო-ჰო“ როგორი ინტონაციით უნდა წარმომეთქვა. ჩვენი გმირები ხომ და-ძმა არიან და შესაბამისად, რაღაც საერთო თვისება უნდა ჰქონდეთ. ამიტომ სიცილსა და სხვა რაღაცებსაც მე და ნოდარი ერთმანეთთან ვათანხმებთ, რომ ერთნაირად გავაკეთოთ. უნდა ნახო, როგორ უხარია ხოლმე, როცა ვეტყვი, ეს როგორ ვთქვა, ან ეს როგორ გავაკეთო-მეთქი? მთელი გულით ცდილობს, კარგად მასწავლოს ყველაფერი. რატომღაც, ბოლო პერიოდში დაგვჩაგრეს და ერთობლივი სცენა აღარ გვქონია.



**ნოდარმა არც კი იცის, რამდენ გოგოს უყვარს ფარულად**

**ნოდარი:**

— თავიდანვე ძალიან გავუგეთ ერთმანეთს. მალევე დავმეგობრდით.

**ნინუცა:**

— არ დაიჯეროთ, ეს ყველაფერი მოჩვენებითია (*იცინის*). ყველა გვეუბნება, ისე ჰგავხართ ერთმანეთს, მართლა და-ძმა გვგონიხართო. გადასაღებ მოედანზე რომ მივდივარ, ძალიან მიხარია, რადგან ვიცი, რომ იქ ნოდარი დამხვდება. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ხალხმა წაიკითხოს. მართლა ასეა.

**ნოდარი:**

— „ღამის შოუს“ სტუდიაში ასეთი სიტუაციაა, ყველას ძალიან ახლობლური და მეგობრული დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან. გადასაღებ მოედანს მიღმა რომ მე და ნინუცას ცუდი ურთიერთობა გვქონდეს, ამას მაყურებელიც მიხვდებოდა.

— **როგორც წესი, სერიალის მესვეურები მსახიობებს საკმაოდ ხშირად ცვლიან ხოლმე. ზარმენიც არაერთხელ შეცვალეს. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გასტანს თქვენი დუეტი?**

**ნინუცა:**

— ჩვენი ბედი აბსოლუტურად სცენარისტებზე, მაყურებელზე, ჩვენზე და ბედზეა დამოკიდებული.

**ნოდარი:**

— მსახიობი არ უნდა მოეშვას. ხშირად ხდება, რომ კარგად დაიწყებს როლის თამაშს, ყველაფერი კარგად მიდის, ხალხს უყვარს, მაგრამ მერე ცოტათი მოეშვება და ეს როლზეც ცუდად აისახება. ამიტომ არ უნდა მოვეშვათ. ყოველთვის ისე უნდა ვითამაშოთ, ვითომ პირველად გავდივართ მაყურებლის წინაშე.

— **ნინუცა, ეკასა და დათოს სიყვარულის ამბავი როგორ განვითარდება, ვერ გაგვიმხელ?**

— ამის შესახებ მართლა არაფერი ვიცი. სცენარს ეტაპობრივად ვკითხულობთ და წინასწარ არ ვიცით, მომავალში რა მოხდება. ამწუთას ჩემს პერსონაჟსაც კი არ ვიცნობ წესიერად. ვხვდები, დაახლოებით როგორი ტიპიც არის. მერე რა იქნება, არ ვიცი.

**ნოდარი:**

— არც არის საჭირო, რომ სცენარი წინასწარ ვიცოდეთ. ასე თამაში უფრო საინტერესოა. სცენარს ნელ-ნელა მივყვებით. წინასწარ რომ ვიფიქროთ, მერე რა დაემართება ჩვენს გმირს, ეს დაგვძაბავს და კალაპოტიდან ამოგვაგდებს. წარმოიდგინეთ, ადამიანს რომ უთხრან, სამ დღეში მოკვდებიო. შესაძლოა, სულაც არ მოკვდეს, მაგრამ ეს ნათქვამი მასზე ისე იმოქმედებს, რომ ამაზე ფიქრითა და ნერვიულობით, შესაძლოა, მართლა მოკვდეს ან თავი მოიკლას...

**ნინუცა:**

— ნოდარ, რაღაც ისე საუბრობ, შენ მგონი, ფსიქოლოგი უნდა გამოსულიყავი.

**ნოდარი:**

— სხვათა შორის, ფსიქოლოგია მართლა ძალიან მაინტერესებს. ერთი პერიოდი ვფიქრობდი კიდეც, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ხომ არ ჩამებარებინა-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე.

**ნინუცა:**

— შენ ფსიქოლოგი გახდი და მე ასტროფიზიკოსი გავხდები.

— **ნოდარ, როგორც ვიცი, სიმღერითაც ხარ დაკავებული...**

— მართალია. მყავს ჯგუფი — „ელექტრომაუსი“.

**ნინუცა:**

— არ გეგონოთ, რომ ეს „ელექტრომაუსი“ ელექტრონულ მუსიკას უკრავს. ყველანაირ სტილში მღერიან.

**ნოდარი:**

— კლუბებში ხშირად ვმართავთ კონცერტებს. ეს ჩემი შემოსავლის წყარო ნამდვილად არ არის. უბრალოდ, მუსიკა იმდენად მიყვარს, მინდა, ამ განხრით სერიოზული რაღაც გავაკეთო. იმის გამო არ ვუკრავ და ვმღერი, რომ გავერთო, ან გოგონების ყურება მსიამოვნებს.

— **გოგონების ყურება არ გსიამოვნებს?**

— კი, მაგრამ ამის გამო ნამდვილად არ ვდგავარ სცენაზე...

**ნინუცა:**

— ნოდარმა არც კი იცის, რამდენ გოგოს უყვარს ფარულად. არაერთს უთხოვია ჩემთვის, გაგვაცანი, ძალიან მოგვწონსო.

— **ნოდარ, არ გყავს შეყვარებული?**

— არა.

**ნინუცა:**

— რატომ მერე? ალბათ ბევრ კარგ გოგოს უყვარხარ და არჩევანი ვერ გააკეთე...

**ნოდარი:**

— ისე, ჩემი მეგობრებიც დაინტერესდნენ შენით და გარკვეული შეკითხვებიც დამისვეს.

**ნინუცა:**

— ვინ არის, გამაცანი, რა...

— **ამჟამად რომელიმე სპექტაკლში თუ ხარ დაკავებული?**

— სამეფო უბნის თეატრში 25-წუთიანი სპექტაკლების ფესტივალი — „არდი ფესტი“ ტარდება. ამ ფესტივალისთვის სოსო ბაკურაძე პატარა პიესას — „სრულიად საქართველოს მოსახლეობის აზრი“ — დგამს, რომელშიც სულ სამი ადამიანი ვმონაწილეობთ. აქ მაყურებელი აბსოლუტურად სხვა ამპლუაში მიხილავს. გარეგნულად სულ სხვა ვიქნები, თუმცა წინასწარ არაფერს ვიტყვი. აჯობებს, მაყურებელმა სცენაზე მნახოს.

— **ნინუცა, როგორც ვიცი, „რუსთავი 2“-ის კომპანიონ „ახალ არხზე“ გადაცემა „ლაბორატორია“ მიგყავს. „იმედში“ კი სერიალში თამაშობ. ამის გამო ეს ორი ერთმანეთის კონკურენტი არხი არ გაგინაწყენდა?**

— არა. „იმედში“ დღეს ვარ და შესაძლოა, ხვალ აღარ ვიყო. „ახალ არხზე“ კი ჩვეულებრივ კონტრაქტზე მაქვს ხელი მოწერილი და ფიქსირებულ ხელფასს ვიღებ. იქაც რომ სერიალში მეთამაშა, მაშინ ალბათ არ გამომიშვებდნენ...

— **შენი შვილი თუ უყურებს სერიალს?**

— კი, ეკრანზე რომ დამინახავს, „დედა-დედას“ მეძახის და თან ტელევიზორის მონიტორს ხელს ურტყამს. მერე კი სხვა არხზე გადართავს ხოლმე... ■

# „შარვლიანი“ როლების შემსრულებელი ქართველი მეცო „ლოჟიონისტების“ რჩეული გახდა



**„სამშობლოსგან შორს ყოფნა ძნელია, რადგან მას თან მუდმივი ნოსტალგია ახლავს“ — გვიმხელს მომღერალი ქეთევან ქემოკლიძე (მეცოსოპრანო), რომელიც უკვე ექვსი წელია, ავსტრიაში ცხოვრობს და მსოფლიოს საოპერო სცენებზე წარმატებით მოღვაწეობს.**

**პალერმოს, ლონდონის, მონპელიეს, ტულუზის, პარმის, ვენეციის, მადრიდისა და სხვა ქალაქების სცენებს ხშირად ამშვენებს ქეთის მომხიბვლელი გარეგნობა და ულამაზესი ხმის ტემბრი, რომელსაც უმკაცრესი კრიტიკოსებიც კი ქათინაურებით ამკობენ. ქართველი მომღერალი მშფოთვარე ცხოვრების რიტმს ოჯახურ საქმეებსაც უთავსებს და მეუღლეს (ვენის უნივერსიტეტის პროფესორს) უგემრიელესი კერძებით ანებივრებს, რომელთა დამზადების საიდუმლოს გასტროლებზე ყოფნის დროს ეცნობა...**

ნატა კობიძე

— **ქეთი, როდის წახვედი საზღვარგარეთ და რა შეიცვალა მას მერე შენს ცხოვრებაში?**

— უცხოეთში უკვე 6 წელია ვცხოვრობ, მაგრამ ქართულ გარემოში ჩართული ვარ — წელიწადში რამდენჯერმე ჩამოვდივარ სამშობლოში, მუდმივად ვეცნობი ქართულ პრესასა და ტელევიზიას და განუწყვეტლივ კავშირში ვარ ჩემს ოჯახთან და მეგობრებთან. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, რადგან აბსოლუტურად უცხო გარემოში მოვხვდი და გზის გაკვალვა დამოუკიდებლად მომიხდა. თავდაპირველად სასწავლებლად წავედი ლა სკალას აკადემიაში, რაც როგორც ბელვედერის კონკურსის გამარჯვებულს პრიზად მერგო; შემდეგ კი შემომთავაზეს კონტრაქტები მსოფლიოს სხვადასხვა თეატრთან. ფაქტობრივად იტალიაში სწავლამ მომამზადა დამოუკიდებელი მოღვაწეობისთვის.

— **მომღერლის კარიერას გასტროლები განაპირობებს თუ ერთ სივრცეშიც შეიძლება წარმატების მიღწევა?**

— რასაკვირველია, ერთ კონკრეტულ საოპერო დასში შეიძლება წლების მანძილზე მოღვაწეობდეს მომღერალი, კარგი ხმითა და ტალანტით, და მრავალფეროვანი რეპერტუარით. თუმცა გასტროლებისა და ხშირი მოგზაურობისას მომღერლის პოპულარობა გაცილებით იზრდება. არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში დიდ პატივს სცემენ ჩვენს ვოკალურ სკოლას და უკვირთ ხოლმე ის ერთგვარი „აფეთქება“, რაც ჩვენს გამოსვლებს ახლავს, მაგრამ მათ რომ კარგად სცოდნოდათ ის მომღერლები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდნენ, ყველაფერს ლოგიკურად მიიჩნევდნენ. სამწუხაროდ, ისინი საბჭოთა კავშირის ფარგლებს ვერ გასცდნენ, თორემ უფრო ადრე გვალიარებდა მსოფლიო.

— **ახლახან გამოვიდა ჰოლივუდის ფილმი „აგვისტოს 5 დღე“. რა გამოხმაურება ჰქონდა მას ავსტრიაში?**

— ამ ფილმის შესახებ მხოლოდ ქართული საინფორმაციო საშუალებებიდან შევიტყვე. ავსტრიაში პრემიერა ჯერ არ ყოფილა, თორემ აუცილებლად დავესწრებოდი.

— **შენს პროფესიულ ცხოვრებაში რა სიახლეებია?**

— ეს სეზონი ძალიან დატვირთული და სავსე იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი პრემიერებით. გასული წლის სექტემბერში უცაბედად აღმოვჩნდი სიცილიის დედაქალაქ პალერმოში, სადაც როსინის „სევილიელ დალაქში“ შევცვალე ცნობილი მეცო — დანიელა ბარჩელონა. სიცილია მართლაც ულამაზესია. სიცილიელმა მაყურებელმა დიდი სიყვარულით მიმიღო. ძალიან თბილი ხალხია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართველები ვგავართ იტალიელებს. პალერმოს შემდეგ შინ დავბრუნდი და მალევე გავემგზავრე ლონდონში, სადაც სამეფო თეატრში („კოვენთ გარდენი“) მქონდა დებიუტი. ოპერის დირექტორმა პირველად დომინგოს კონკურსზე მომისმინა და მაშინვე კონტრაქტი გამიფორმა. მამაკაცის როლს ვასრულებდი, რისთვისაც ფარიკაობის შესწავლა დამჭირდა. ამ საქმემ ისე გამიტაცა, რომ თავისუფალ დროს შექსპირის „გლობის თეატრში“, ფარიკაობის წრეზე ვატარებდი. ბრიტანულმა დებიუტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. სამეფო სცენის ისტორიულ ფარდასთან აპლოდისმენტების მიღება საოცარი შეგრძნება იყო. ერთ-ერთი სპექტაკლი სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის გაიმართა, რაც უჩვეულო აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან ასეთი მსმენელისთვის არასდროს მიმღერია.

— **ბათუმის კონცერტსა და სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— ეს იყო დაუგეგმავი კონცერტი, რომელიც პირადად პლასიდო დომინგოს მოწვევით შედგა. 16-საათიანი მგზავრობის შემდეგ ბათუმში ჩავაღწიე და პირდაპირ რეპეტიციაზე აღმოვჩნდი. მაესტრო ძალიან ბედნიერი იყო, რომ მასთან ერთად ვიყავი. ჩვენს გამოსვლას მხურვალე და დაუსრულებელი აპლოდისმენტები მოჰყვა...

— **უცხოური კრიტიკა თბილი და ლმობიერია შენ მიმართ...**



**ოპერის დირექტორმა პირველად დომინგოს კონკურსზე მომისმინა**



თითქოს როლები შეიცვალა და სანახაობამ დარბაზში გადაინაცვლა

— 2004 წელს ტულუზის კონკურსის გრან-პრის მფლობელი გავხდი, წელს კი პირველად წარვდექი ტულუზელი მსმენელის წინაშე სოლო კონცერტით. კონცერტის შემდეგ გამოვიდა სტატია სათაურით — „ქეთევან ქემოკლიძის როზინა — უზარმაზარი ტალანტის დადასტურება“. ძალიან საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის ამ ქალაქში დაბრუნება და როცა კრიტიკოსებმა ასე დადებითად შემაფასეს, ძალიან გამიხარდა. ტულუზიდან პარმაში გავემგზავრე. მისი სამეფო თეატრი უდიდესი ტრადიციებითაა ცნობილი. მოგეხსენებათ, პარმა ვერდის ქალაქია და ყველაზე მკაცრი მსმენელი — „ლოჯონისტები“ ჰყავს. უმეტეს შემთხვევაში ისინი სპექტაკლის ყველა მონაწილეს აკრიტიკებენ. ამიტომ პარმაში ყველა მომღერალი განსაკუთრებით ნერვიულობს. მეც საკმაოდ განვიცდიდი, მაგრამ „ლოჯონისტებმა“ პირველი სპექტაკლიდან ბოლომდე, მხოლოდ უდიდესი სითბოთი დამაჯილდოეს. გასტროლების ბოლოს სადილზეც კი მიმიწვიეს და საჩუქარი გადმომცეს. სპექტაკლები იტალიური ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და დღემდე გადის მსოფლიოს კინოთეატრებში.

— **პირადი ცხოვრებისთვის ცოტა დრო გრჩება, არა?**

— როცა დაკავებული ვარ, დროს კარგად ვანაწილებ, მაგრამ თავისუფალი თუ ვარ, ვერაფერს ვასწრებ. აბსოლუტურად გამიჯნული მაქვს პირადი და პროფესიული ცხოვრება და ვცდილობ, ორივეს თავისი ადგილი მივუჩინო, რადგან ჩემთვის ერთი — მეორის გარეშე წარმოუდგენელია.

— **როგორ უთავსებ ოჯახს კარიერას?**

— იოლი არაა ამის გაკეთება, მაგრამ ჩემი მეუღლე ძალიან მიწყობს ხელს ყველაფერში და მეც ვცდილობ, ოჯახს არ მოვაკლო ყურადღება. ტრადიციული დიასახლისი ვარ.

— **რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება კლასიკური საოპერო დადგმების მიმართ. შენ როგორ დადგმებში მონაწილეობ?**

— დღეს მომღერალს მოეთხოვება დრამატული მსახიობის მონაცემები და საოცარი ფიზიკური გამძლეობა, რადგან არის დადგმები, რომლებიც განსაკუთრებული ილეთების ფლობას საჭიროებს. „შარვლიან“ როლებს ხშირად ვასრულებ და აქედან გამომდინარე, დატვირთვაც საკმაოდ დიდი მაქვს. თანამედროვე ტექნიკა უდიდეს საშუალებას იძლევა, სპექტაკლები გრანდიოზული და მიმზიდველი რომ იყოს. ყველაზე უჩვეულო, რაც მახსენდება, ესაა ვენეციის „ფენიჩეს თეატრში“ გუნოს „რომეო და ჯულიეტა, რომლის პრემიერა დაემთხვა ვენეციის კარნავალს. სცენაზე თანამედროვე მოქმედება ვითარდებოდა დისკოთეკაზე, მე პანკის კოსტიუმი მეცვა, ხოლო დარბაზში მაყურებელი საკარნავალოდ იყო გამოპრანჭული. თითქოს როლები შეიცვალა და სანახაობამ დარბაზში გადაინაცვლა. მადრიდში ვიმღერე სპექტაკლში, რომელიც გასაოცარი ტექნიკური გადაწყვეტილებებით იყო გადატვირთული — ხან დავრბოდი, ხან ვიწექი, ხან ყირაზე გადავდიოდი, „დავფრინავდი“ კიდეც.

— **რთულია მამაკაცის როლის თამაში?**

— „შარვლიან“ როლებს მართლაც ხშირად ვთამაშობ. ზოგიერთ სეზონში უმეტესად მამაკაცის როლი მაქვს ხოლმე, რასაც ჩემი ხმის რეპერტუარი განაპირობებს: ქერუბინო, იულიუს კეისარი, ზიბელი, სტეფანო, ამორი, ამადიჯი, რომეო, ასკანიო და სხვა მრავალი. რთული ისაა, რომ დამაჯერებელი უნდა იყო, ასეთ როლზე მუშაობისას სხვანაირია სხეულის მდგომარეობა, ჟესტები, სახის მიმიკა, მეტყველება და რეაქციები.

— **თბილისის სცენაზე იშვიათად ჩნდები. ეს მოუცლელობის გამო ხდება?**

— შარშან ვმონაწილეობდი ლადო ათანელის ფონდის დამფუძნებელ კონცერტში, სადაც ბატონმა ლადომ პირადად მიმიწვია. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ კონცერტით ჩემს თანამემამულეებს დავეხმარე. უცხოეთში ამას ხშირად ვაკეთებ. ქართველი მსმენელი მსაყვედურობს იმის გამო, რომ იშვიათად გამოვდივარ სამშობლოში, მაგრამ ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, ხშირად ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. ავსტრიაში მეუღლის გამო ვცხოვრობ, რადგან ის ვენის უნივერსიტეტის პროფესორია. სანდროს ძალიან უჭირს თვეობით ჩემთან განშორება, მაგრამ შეგნებულად უდგება ამ საკითხს. სამუშაო დღე საკმაოდ დატვირთული მაქვს, ხანდახან 10 საათი ვმუშაობ და როცა სახლში ვბრუნდები, არც ოჯახის საქმეებს ვივიწყებ: ვკულინარობ — ძალიან მიყვარს სადილების კეთება. სადაც მივდივარ, აუცილებლად ვეცნობი იქაურ სამზარეულოს და შემდეგ თვითონ ვაკეთებ ყველაფერს. არასდროს ვღალატობ ქართულ კერძებს, თუმცა იტალიურიც ძალიან მიყვარს. მიმაჩნია, რომ ამ ორი ქვეყნის სამზარეულო საუკეთესოა მსოფლიოში.

— **ზაფხულის გატარებას სად აპირებ?**

— როგორც აღვნიშნე, დაგეგმილია მაჩერატას და ვერონას ფესტივალები, მაგრამ შუალედში თბილისში ჩამოსვლას ვგეგმავ, რადგან უკვე ერთი წელია, არ ვყოფილვარ ჩემს დედაქალაქში. რაც შეეხება დასვენებას, ზაფხულში ზღვას და იტალიას არაფერი სჯობს. ახლა სწორედ იტალიისთვის ვემზადები, სადაც უახლოეს მომავალში ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალში მივიღებ მონაწილეობას. ■

მაესტრო ძალიან ბედნიერი იყო, რომ მასთან ერთად ვიყავი



# „ამ ზაფხულს გრძელი კაბების შეძენას ვაპირებ“

**ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთი სახე, „ყოფილი ცოლების კლუბის“ გასათხოვარი წამყვანი ნუკი კოშკელიშვილი თავისი საზაფხულო სამოსისა და გეგმების შესახებ გვესაუბრება:**

*თამთა დადეშელი*

— გარდერობი ჯერჯერობით არ გამიახლებია — მაგ საკითხზე 1-2 კვირაში აქტიურად დავიწყებ ზრუნვას, მანამდე კი ნელ-ნელა „ვაპირებ“ რაღაცებს. საერთოდ, უპირატესობას ფერად სამოსს ვანიჭებ. პასტელის ფერები მომწონს — ვარდისფერი, იასამნისფერი; ეს ფერები გარუჯულ სხეულს ძალიან უხდება, ამიტომ აუზზე დავდივარ. წელს გრძელი კაბის შეძენა მომინდა.

**— ქართველ დიზაინერებთან თუ იკერავთ ტანსაცმელს?**

— ჯერჯერობით მათთვის არ მიმიმართავს, თუმცა დიდ პატივს ვცემ და თუ დამჭირდა, აუცილებლად მათთან შევიძენ რამეს. ტანსაცმელს ყოველთვის ერთ მაღაზიაში ვყიდულობ — ერთსა და იმავე ბრენდს მივეჩვიე.

**— როგორი სტილის სამოსი ჭარბობს თქვენს გარდერობში — კლასიკური, სპორტული, ე.წ. ქუჩური თუ სხვა?**

— ალბათ ყველა ერთად. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომელიმე განსაკუთრებით თუ მომწონს. ყველანაირ სტილს ვიხდენ. ვცდილობ ყოველთვის შესაბამისად ჩავიცვა. თუმცა, რომ ვთქვა — სახლის ტანსაცმელი ან „სპორტულები“ მაქვს, მოგატყუებთ; არ მიყვარს.

**— ფეხსაცმელს სად ყიდულობთ?**

— სხვათა შორის, ფეხსაცმელი ქართველი დიზაინერის — მადონას შეკერილი მაქვს. მას განსხვავებული სტილი აქვს, ყველასთვის ინდივიდუალურად კერავს და იცი, რომ შენნაირი სხვას არ ექნება. ძირითადად, ჭრელი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები მაქვს, რამდენიმე — დაბალძირიანიც, ქვებით გაწყობილი.

**— თქვენს საეკრანო ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს? რაიმე კრიტერიუმი თუ შეზღუდვა არ გაქვთ?**

— სატელევიზიო ჩაცმულობაზეც ერთ-ერთი მაღაზია ზრუნავს, სადაც დიდი არჩევანია და მრავალფეროვნების საშუალება გვაქვს. შეზღუდულები არ ვართ, უბრალოდ, ზედმეტად „მოხდილი“ ტანსაცმელი ეკრანს არ უხდება და ჩვენც შესაბამისად ვიცვამთ. გააჩნია, სად მივდივარ: თუ რესპონდენტთან სოფელში მიწევს ჩასვლა, კლასიკური კაბითა და ქუსლიანი ფეხსაცმლით ცხადია, ვერ წავალ.

**— წვეულებისთვის, კლუბისთვის რომელ სტილს ირჩევთ?**

— ძნელი სათქმელია. გააჩნია, წვეულებასა და ადგილს. კლუბებში რატომღაც არ დავდივარ; ზაფხულში კი, ზღვაზე ყოფნისას — ხშირად. იქ ჩემი ჩაცმულობა არსებითად განსხვავებული არ არის, შესაძლოა, უფრო „ჩემებური“ იყოს.

**— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებთ?**

— არა, ვცდილობ, კანი დავასვენო ხოლმე. თუ გადაცემის ჩაწერა არ მაქვს, ვერიდები. საერთოდ, სხვადასხვა ფირმის კოსმეტიკას ვიყენებ, რომელიმე ერთი ბრენდი არა მაქვს ამოჩემებული.

**— აქსესუარები, სამკაულები თუ გიყვართ?**

— კი, ყველაფერს ვიყენებ, ძირითადად კი — ბეჭდებსა და საყურეს, სათვალეს. სამოსის შესაფერისს ვარჩევ. სამკაულების ფორმაც და სიდიდეც ამაზეა დამოკიდებული. გააჩნია, რას რა მოუხდება. ზოგჯერ შლაპებსა და ქუდებსაც ვხმარობ; ბენდენები მომწონს და ამოჩემება ვიცი. ჩანთაც ბევრი მაქვს, მაგრამ პერიოდულად ერთს, რომელიმეს ამოვიჩემებ ხოლმე. ჩვეულებრივ, ჩემი ჩანთა „ნაგვის ურნაა“, იმდენ რამეს ნახავთ შიგნით. ისე ტევადს ვამჯობინებ.

**— როგორ უვლით თმას, რომ ყოველთვის ლამაზად გამოიყურება?**

— დიდი მადლობა! განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, ჩვეულებრივად ვუვლი, როგორც ყველა. ვარცხნილობას ყოველთვის მე თვითონ ვიკეთებ, როგორც მომიხერხდება და როგორ ხასიათზეც ვარ, იმის მიხედვით. ზაფხულში ვცდილობ, ფენი მოვარიდო.

**— რა გეგმები გაქვთ ამ ზაფხულისთვის?**

— ჯერჯერობით ვმუშაობ და აგვისტომდე ალბათ შაბათ-კვირას ვივლი ბათუმში. საერთოდ, დიდი პატრიოტი ვარ და საქართველოს კურორტებზე ვისვენებ — ბათუმი და გონიო მიყვარს.

**— „ყოფილი ცოლების კლუბი“ ზაფხულის სეზონზე რა სიახლეს ჰპირდება მაყურებელს?**


ტანსაცმელს ყოველთვის ერთ მაღაზიაში ვყიდულობ


ვარცხნილობას ყოველთვის მე თვითონ ვიკეთებ


შეყვარებული მყავს და ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს

— ბევრი სიახლე გვექნება და ამაზე ზრუნვა უკვე დავიწყეთ. ასე რომ, საინტერესო გადაცემებს იხილავთ.

**— დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ?**

— საკმაოდ, მაგრამ ჩემი სამსახური იმდენად მიყვარს, რომ მსიამოვნებს. როცა თავისუფალი ვარ, ცოტა დისკომფორტს ვგრძნობ.

**— პირად ცხოვრებაში რა ხდება? როგორც ვიცი, შეყვარებული ხართ.**

— დიახ, შეყვარებული მყავს და ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. რაიმე განსაკუთრებული გეგმები არა მაქვს და მომავალში თუ რაიმეს დავაპირებ, აუცილებლად ყველას გაგაგებინებთ (*იცინის*).

■

# ვარსკვლავური სტილი

გასული საუკუნის ყველაზე ცნობილი ქერა ქალი, **მერილინ მონრო** სექსუალურობისა და ქალურობის ეტალონია. მის წარმატებულ კარიერაში გადამწყვეტი როლი გარეგნობამ ითამაშა. როგორი მაკიაჟიც უნდა ჰქონოდა, მერილინ მონროს ანდამატურ მომხიბვლელობას მაინც არ ფარავდა. როდესაც მსახიობი ეკრანზე გამოჩნდებოდა, მაყურებელს სუნთქვა ეკვრებოდა და თვალს ვერ აშორებდა.

კლასიკური სილამაზით არასდროს გამოირჩეოდა. 20 წლის ასაკში, 162 სმ სიმაღლის ქალიშვილი 60 კილოგრამზე მეტს იწონიდა, ხოლო თეძოების გარშემოწერილობა მკერდისას უტოლდებოდა და 96 სმ-ს შეადგენდა! ფორთოხლის წვენი, რომელიც ძალიან უყვარდა, სრულფასოვან საკვებს რამდენიმე დღის განმავლობაში მშვენივრად უცვლიდა. ბუნებრივი წაბლისფერი თმა ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, ქერა ქალის იერი მიეღო და გამუდმებით ზრუნავდა მასზე, სახის კანის სითეთრის შესანარჩუნებლად კი მზეზე ყოფნას ერიდებოდა. მაყურებლის წინაშე ყოველთვის მოვლილი და ნორჩი იერით წარდგებოდა ხოლმე, მაგრამ თავს დაგვიანების უფლებას აძლევდა... მერილინ მონროს თავის წარდგენის განუმეორებელი ნიჭი ჰქონდა და საკუთარი ღირსების წარმოჩენა ყველაზე უკეთ შეეძლო.

მისი უსაყვარლესი დიზაინერი ბილ ტრავილა იყო. სწორედ მან





შეუქმნა კოსტიუმები 11 ფილმისთვის. ბილ ტრავილაა ავტორი დაუვიწყარი თეთრი („ოჯახური მოწყენილობა“) და შოკის მომგვრელი ვარდისფერი („ჯენტლმენები უპირატესობას ქერა ქალებს ანიჭებენ“) კაბებისა, მისივე შექმნილია ლეგენდარული კაბა („მეშვიდე წლის ქავილი“), რომლის თეთრ კალთებს ჰაერის „ტალღები“ აფრიალებს. სხვათა შორის, ამ სურათში მერილინს მისი საყვარელი დიზაინერის Ferragamo-ს ფეხსაცმელი აცვია. როდესაც პრეზიდენტ კენედის დაბადების დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე Happy Birthday, Mister President შეასრულა, მსახიობს დიზაინერ ჟან ლუის შექმნილი უთხელესი, ხორცისფერი აბრეშუმისგან შეკერილი, 6000 ბრილიანტის ნამსხვრევით მოოჭვილი ულამაზესი კაბა ამშვენებდა.

მერილინი მისი იერის შექმნაში თავად დაოსტატდა და ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს არავის ანდობდა. მისი სახისა და სხეულის მოვლის უფლება მხოლოდ რჩეულ პარიკმახერებსა და მასაჟისტებს ჰქონდათ. ტუჩების სილამაზის ხაზგასასმელად მერილინი საუკეთესო ტუჩის საცხის რამდენიმე ფერს იყენებდა, მანვე მოიგონა ეშმაკური ხერხი, რომლის წყალობით, მისი ცხვირი უფრო აპრეხილი ჩანდა. ამისათვის მსახიობი ყავისფერი ფანქრით ცხვირის წვერზე ასო V-ს იხატავდა! ქცევის ინდივიდუალური სტილის, მიმიკის, ჟესტებისა და მიხრამოხრის ავტორიც თავად იყო. ვინ არ იცის, რომ მერილინის უსაყვარლესი სუნამო Chanel №5 იყო...

როგორც უნდა შეიცვალოს ქალური სილამაზის კრიტერიუმები, მოდა და სტილი, მერილინ მონრო XX საუკუნის სექსსიმბოლოდ, ქალურობისა და სექსუალურობის ეტალონად სამუდამოდ დარჩება.

მოდის ყველა მიმდევარს კარგად მოეხსენება, რომ მუხლებამდე სიგრძის, შემოტმასნილი კაბების უდავო ჩემპიონად სახელგანთქმულ **კიმ კარდაშიანს** მიიჩნევენ, რომელსაც უამრავი ასეთი კაბა აქვს! როგორც წესი, კიმი ამ კაბებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლითა და კულულებით ამშვენებს ხოლმე. ასე რომ, ქალებისთვის კიმის მიბაძვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. კიმ კარდაშიანმა ჩვეულებას არც ბოლო წვეულებაზე ულალატა და Alexander McQueen-ის მაქმანებით გაწყობილი თეთრი კაბით მივიდა, რომელიც ვარსკვლავის აღნაგობას შესანიშნავად წარმოაჩენდა და მის ღირსებებს ხაზს უსვამდა. ქალბატონის იერს დასრულებულ სახეს ტრადიციულად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და რაღა თქმა უნდა, კულულები აძლევდა, მაგრამ ამგვარი სამოსი სხეულის იდეალურ ფორმას მოითხოვს. შემოტმასნილი კაბის ჩაცმა მხოლოდ ძალზე თავდაჯერებულ ქალბატონს ან მას შეუძლია, ვისაც ფიგურის მოწესრიგება რამდენიმე წამში ხელეწიფება. „სილუეტური კაბების“ დედოფალი კიმ კარდაშიანი ამ საიდუმლოს სრულყოფილად ფლობს.

მოდის მიმდევრებმა კარგად იციან, რომ კაბის სიგრძის შეცვლა სამოსს და საერთოდ სილუეტს საოცრად ცვლის. ხშირად კაბის გადაკეთება სწორედ სიგრძის შეცვლას გულისხმობს. ზოგიერთმა დიზაინერმა ამაზე წინასწარ იზრუნა. მაგალითად, Roberto Cavalli-მ პატარა შავი კაბა ორ — მინი და მიდი ვარიანტად წარმოადგინა და ეს ძალზე გონივრულია. თითოეულ ქალს მისთვის სასურველი სიგრძის შერჩევა შეუძლია. **ბეიონსე** და **ჯულიან ჰაუჯიც** სწორედ ასე მოიქცნენ. ბეიონსემ მინი ვარიანტი შეარჩია, და ეს ბუნებრივიცაა, გრძელ კაბაში გამოწყობილი



მომღერალი თითქმის არავის უნახავს. ჯულიანმა კი მიდი ვარიანტი ამჯობინა, რომელიც მას ძალიან უხდება, ხოლო ფეხების ვიზუალურად დასაგრძელებლად ხორცისფერი ფეხსაცმელი შეარჩია.

როდესაც მაყურებელი მომღერალ **რიანას** უყურებს, არც კი იცის, რაზე გაამახვილოს ყურადღება — ჭრელ ფერებზე, უჩვეულო სილუეტსა თუ თმის ვარცხნილობაზე, რომელიც მუდამ უცნაური ფერითა და ფორმით გამოირჩევა. ცნობილი მომღერლის ბოლოდროინდელ სამოსს ფერთა გამის წყალობით შეიძლება „მშვიდი“ ვუწოდოთ. აღმოჩნდა, რომ რიანას რუხი და თეთრი ფერის, პიკანტურად შეხსნილი, ზედმეტად მოღეღილი სამოსი ძალიან უხდება. ეს ფერები ვარსკვლავის ელვარე გარეგნობას შესანიშნავ ფონს უქმნის. მუქი კანის წყალობით ამგვარი ნიუანსები მომღერალს მიმზიდველობას მატებს. რიანას ვარცხნილობასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების ჩატარება ძალიან უყვარს და მხოლოდ თაყვანისმცემელთა გადასაწყვეტია, როგორი ვარცხნილობა უფრო უხდება, გრძელი თუ მოკლე, სადა თუ პრეტენზიული... რუხ-თეთრ სამოსს რიანამ Christian Louboutin-ის ფეხსაცმელი და Miu Miu-ს ხელჩანთა შეურჩია, მათი ფერი კაბას ძალიან მოუხდა.



ნებისმიერი გასათხოვარი ქალი საოცარი სილამაზის, მაქმანებითა და სხვა რომანტიკული დეტალებით გაწყობილ თეთრ საქორწინო კაბაზე ოცნებობს. გოგონებს ერთი დღით მაინც პრინცესად და დედოფლად გადაქცევის სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერდათ, როდესაც მსოფლიომ პრინც უილიამისა და **კეიტ მიდლტონის** საქორწინო ცერემონია იხილა. მოდური ბრენდები ქალებს ურჩევენ, საოცნებო ქორწილს არ დაელოდონ და მოახლოებული საზაფხულო სეზონისთვის თეთრი კაბები შეიძინონ, მით უმეტეს, რომ წელს მაქმანები და თეთრი ფერი უმთავრესი მოდური ტრენდები იქნება. ამ ტენდენციის უმთავრესი მქადაგებელი Dolce & Gabbana აღმოჩნდა. სწორედ ამ მარკის დიზაინერებმა დანერგეს სიცილიელი პატარძლის იერი, რომელიც მრავალ ვარსკვლავს მოეწონა. ბევრმა მათგანმა ეს სამოსი იმდენად მოირგო, რომ ქუჩებსა თუ წითელ ხალიჩებზე პატარძალივით გამოწყობილნი დაიარებიან. Dolce & Gabbana-ს მიერ შემოთავაზებული ტენდენცია სხვა მოდურმა მარკებმაც აიტაცეს, ჰოლივუდის ვარსკვლავებმა კი საქორწინო ტრენდს, რომელმაც სამეფო ქორწილის წყალობით მასებში შეაღწია, ყოველდღიურობის იერი შემატეს.



**ბრიტნი სპირსი** სტილის ხატება არასდროს ყოფილა. პირიქით, მის ჩაცმის სტილს მუდამ უხეიროდ და დაუსრულებლად მიიჩნევდნენ. მინიკაბები და გაშიშვლებული მუცელი მისი უსაყვარლესი ვარიანტია. ბოლო ხანებში ვარსკვლავი შედარებით მოკრძალებულ და მკაცრი სტილის სამოსს იცვამს, მაგრამ მისაბაძ მაგალითად მაინც ვერ იქცა. ამას წინათ, ბრიტნი მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ წვეულებაზე Herve Leger-ის ღია, მოკლე კაბით მივიდა. კაბა ცუდი არ იყო, მაგრამ ფერის კი რა მოგახსენოთ... ამჟამად ჭრელი ფერები მოდაშია, მაგრამ ბრიტნის ნამდვილად არ უხდებოდა. მოყვითალო თმა, არათანაბრად გარუჯული კანი და ღია სალათისფერი კაბა ერთ მთლიან მასად აღიქმებოდა, უსახურად და უსიამოვნოდ გამოიყურებოდა. ისე კი უნდა ითქვას, რომ პოპის ყოფილმა პრინცესამ და ორი შვილის დედამ ძველი ფორმა, ბოლოს და ბოლოს, დაიბრუნა და ძველებურად სპორტული და შეკრული აღნაგობა აქვს. პუბლიკა მუდამ ინტერესით ადევნებდა თვალს იმას, თუ როგორ იცვლებოდა ბრიტნის ჩაცმის სტილი. მისი გარდერობისთვის დამახასიათებელი უცნაურობა და უაზრობა დღემდე განსჯის საგანს წარმოადგენს. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

# ჩეჩენი ბოევიკების ტყვეობაში გატარებული წელიწადი...



**„ყველაფერი 1999 წლის 22 აგვისტოს დაიწყო. მე და ჩემი ძმა მანქანით გავემგზავრეთ პანკისის ხეობაში. შინაურებს დავუბარეთ, ორ დღეში დავბრუნდებით-თქო“, — ასე იწყება დოკუმენტური ნაწარმოები „დელ მარში,“ რომელშიც გიგა ზაალიშვილი თავის თავგადასავალს ანუ ერთწლიან ჩეჩნურ არდადეგებს აღწერს. იმ პერიოდში სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, ყველაზე ცნობილი და პოპულარული ადამიანი გახდა. მაშინდელი რეიტინგებით, ასლან აბაშიძისა და ედუარდ შევარდნაძის შემდეგ საპატიო ადგილი ეკავა — ფაქტობრივად, მესამე კაცი იყო...**

## „საინტერესო ცხოვრება მაქვს და მიყვარს, რასაც ვაკეთებ“

*ნინო ჯავახიშვილი*

*მხატვრობაში მიღწეული გარკვეული წარმატებების შემდეგ პროფესია მაინც შეიცვალა და სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა. ამჟამად წოდებით ვიცე-პოლკოვნიკი, უკონტაქტო კარატე შოტოკანში შავი ქამრის მფლობელი და პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე, საზღვრის დაცვის პოლიციაში ერთ-ერთ სამმართველოს ხელმძღვანელობს. გამოვლილი აქვს რამდენიმე ომი: 2 წლის განმავლობაში კოსოვოში იმყოფებოდა და მაშინდელი შთაბეჭდილებების წიგნად გამოცემასაც აპირებს. ბატონ გიგას მის ცხოვრებაში მომხდარი საინტერესო ამბების გახსენება ვთხოვე. ყველაფერთან ერთად, ის ძალზე კარგი მთხრობელიცაა.*

— პასიური ადამიანი არასდროს ვყოფილვარ. 90-იან წლებში ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, დროშებით ხელში რომ დავრბოდი და ჩემებურად პროტესტს გამოვთქვამდი. ჩამოვაყალიბე კავკასიის ხალხთა ურთიერთობის საკოორდინაციო საბჭო, რომლის მთავარი კოორდინატორი და ასევე საქართველოს პატრიოტთა ლიგის დამაარსებელიც გახლდით. მჭიდრო კავშირი გვქონდა იმ ხალხთან, ვინც რუსეთის იმპერიას უპირისპირდებოდა. ხშირად გვიწევდა ჩასვლა დაღესტანში, ჩეჩნეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ ოსეთში. მაშინაც, ერთ-ერთ შეხვედრაზე მივდიოდი ჩემს ძმასთან ერთად, როცა ჩეჩენ ბოევიკებს ხელში ჩავუვარდით. იმ დროს ჩეჩნეთში ადამიანებით ვაჭრობა სარფიან ბიზნესს წარმოადგენდა. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მინდოდა?!. მეხატა ჩემთვის, წყნარად (რამდენიმე სერიოზული გამოფენა-გაყიდვა მქონდა მოწყობილი, 1998 წელს კი საუკეთესო ნამუშევრისთვის მხატვართა კავშირის პრემია მომანიჭეს); არც ომებში მოვხვდებოდი და მძევლობაც ამცდებოდა. მაგრამ რა ვქნა, როდესაც ჩემს ქვეყანაში ომი და არეულობაა, გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შემიძლია. სერვანტესი მწერალი იყო, მაგრამ ციხეში ჯდომაც მოასწრო, ტყვეობაც და ომში ბრძოლაც.

— **როგორც ვიცი, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, თითქოს შევარდნაძის ნათესავი იყავით და დიდ თანხას ამიტომაც ითხოვდნენ.**

— საიდან ჰქონდათ ასეთი მცდარი ინფორმაცია, ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ ჩემი „საბაზრო ღირებულება“ — არც მეტი, არც ნაკლები — 150.000 დოლარით განსაზღვრეს. საკმაოდ არარეალურად შემაფასეს. ჩემი ძმა იმ პირობით გამოუშვეს, რომ ერთ კვირაში ფულს მოიტანდა, თუ არა და — მომკლავდნენ. ამის შემდეგ დაიწყო ერთწლიანი მოგზაურობა მთებში ჩეჩნებთან ერთად. „ექსპედიცია“ 7-8 კაცისგან შედგებოდა... ცემისგან დასივებულს სიარული მეძნელებოდა, გატეხილი ცხვირის გამო კი — სუნთქვა. ჩეჩნები კი ჩემს გასაწამებლად ყოველდღე ახალ-ახალ გასართობს იგონებდნენ. მახსოვს, ერთ დილით „გართობის“ ახალი ხერხი შემომთავაზეს — გინდა თუ არა, კარატეში სათითაოდ ყველას შეგვებრძოლეო. უცებ რომაელი გლადიატორის როლში წარმოვიდგინე თავი, არენაზე სასიკვდილო შერკინებისთვის გამოსული კეისარს რომ მიესალმებოდა... ჩემი სავარაუდო მეტოქეების შემხედვარე მივხვდი, რომ მოკრივის „მსხლის“ როლში უფრო ვიქნებოდი, რადგან ბრძოლის არც თავი მქონდა და არც — ხალისი. ასეც მოხდა. გულგაწვრილებული ველოდებოდი, როდის მოსწყინდებოდათ ჩემი ცემა, მაგრამ ჩეჩნები არც დაღლილობას იმჩნევდნენ და არც ხალისს კარგავდნენ. მეორე დილას ყინულივით ცივ წყალში ჩამაგდეს — ამას ჰიგიენის წესების დაცვით ხსნიდნენ. სისუფთავის დიდი მოყვარულები აღმოჩნდნენ...

**— თქვენ კი იუმორის დიდი მოყვარული — მაშინდელ გაუსაძლის სიტუაციებს წიგნში იუმორით აღწერთ, რაც იოლი არ არის... მძევლობისას კიდევ რა აღმოაჩინეთ ჩეჩნების შესახებ ახალი?**

— ჩეჩნეთის სპეციალური დანიშნულების რაზმელები თავს დაესხნენ ერთ-ერთი გამტაცებლის სახლს, სადაც მათი აზრით ვიმყოფებოდი. შემდგომი მოვლენების შესახებ კი თავად გამტაცებლებისგან შევიტყვე: თურმე კარზე უშიშროების თანამშრომლებმა დააკაკუნეს. სანამ მოხუცი მასპინძლები კარს გაუღებდნენ, ეზო სპეცრაზმელებით ავსებულა. სახლი თავიდან ბოლომდე შეუმოწმებიათ, მაგრამ იქიდან ერთი საათის წასულები ვიყავით და რაღას გვიპოვიდნენ?! გააფთრებული გამტაცებლები აღშფოთებას ვერ ფარავდნენ და სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდნენ მათ მიმართ, ვინც გაბედა, ჩეჩნური ტრადიციები დაარღვია და ძალით შეიჭრა ოჯახში. მიკვირდა, ჩემი გამტაცებლების აზროვნების თავისებურება — განსაკუთრებულად განიცდიდნენ, როდესაც მათი აზრით, უფლებები ირღვეოდა და არასდროს მოსდიოდათ აზრად, რომ თვითონ არაერთხელ დაარღვიეს ჩემი უფლებები და თავისუფლება შემიზღუდეს. უცნაური კი ის იყო, რომ სჯა-ბაასის შემდეგ დაასკვნეს — ამგვარი შეურაცხყოფა მხოლოდ სისხლით უნდა ჩამოირეცხოსო. ამას ამბობდნენ ადამიანები, რომელთაც სხვისი ღირსებისა და უფლების შელახვა არაფრად ულირდათ. ერთხელ, როდესაც კვლავ შევიცვალეთ ადგილსამყოფელი, გამტაცებლებმა მითხრეს, ისე მოვქცეულიყავი, თითქოს მათი მეგობარი ვიყავი. მასპინძელს უთხრეს, თითქოს მათი ვალი მქონდა. მას ორაზროვნად ჩაეცინა, მაგრამ თანამემამულეებს მხარი აუბა და ჩემს გასაგონად განაცხადა: — აბა, ჩეჩენი ტყუილუბრალოდ არავის მოიტაცებდაო. ამ ოჯახში პირველად ვუყურე ტელევიზორსაც. ამერიკული კომედია — „მატყუარა“ გადიოდა ჯიმ ქერის მონაწილეობით. მაკვირვებდა ჩეჩნებისგან ეკრანზე ნანახი ამბების ემოციურად აღქმა. განსაკუთრებულ აღტაცებას ეროტიკული სცენები იწვევდა. ამერიკანიზაციის მოწინააღმდეგე ჩეჩნები, რელიგიური შეზღუდვების მიუხედავად, ხშირად უყურებდნენ ისეთ ფილმებს, რომლებსაც ბევრად უფრო თავისუფალ საზოგადოებაშიც კი თავშეკავებულად იღებენ.

**— იმ ოჯახში ყოფნისას ცოტა უკეთ გექცეოდნენ?**

— იყო პერიოდი, როდესაც შედარებით უკეთესად მექცეოდნენ, ზოგჯერ კი — გამუდმებულ ცემასთან ერთად, 4-მეტრი სიღრმის ორმოში მაგდებდნენ, საჭმელსა და სასმელზე ხომ ოცნებაც ზედმეტი იყო. ჩეჩნეთში იმდენი ჩაი ვსვი (თუ მასვეს), რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც ველარ დავლევ. ცივი, ცხელი, დილით, საღამოს; ჩაი ცემა-ტყეპამდე და ცემა-ტყეპის შემდეგ, ტკბილი და უშაქრო — მოკლედ, ყველანაირი. ამიტომაც იყო — ერთხელ უზარმაზარი ჯამით ბრინჯის ფლავი რომ შემომიტანეს, თვალის დახამხამებაში მოვასუფთავე. მის წასაღებად შემოსულმა მცველმა გაოგნებული სახით შემომხედა. ულუფა იმხელა იყო, რომ ფლავის დიდ მოყვარულსაც კი გაუჭირდებოდა მისი შეჭმა, არათუ მე — მთელი სიცოცხლე ბრინჯს ვერ ვიტანდი... რამდენჯერმე ოჯახშიც დამარეკვინეს და მათქმევინეს, რომ ცუდ დღეში მაგდებდნენ და თუ ფულს არ გადაიხდიდნენ, ცოცხალს ველარ მნახავდნენ. გამტაცებლები უკვე ძალიან გაღიზიანებულები იყვნენ — საკმაოდ ძვირი დაუჯდათ ჩემი გატაცება. 15-20 კაცი მარტო დაცვაში იყო. გამოსასყიდის მიღების შემთხვევაში, თითოეულს 5.000 დოლარამდე ერგებოდა. მათი კვება და ტყვია-წამლით უზრუნველყოფაც ძვირი ჯდებოდა. ეს სისტემა მარტო ჩემ მიმართ კი არ იყო გამოყენებული, არამედ კარგად დამუშავებული და აპრობირებული გახლდათ სხვადასხვა ქვეყანასა თუ ჩეჩნეთში აყვანილი მძევლების მიმართ. ვიცოდი, რომ დიდი ვალები ჰქონდათ, მევალეები მათ ხშირად კონსპირაციულ ბინებზეც აკითხავდნენ. ისიც გავიგე, რომ ერთ-ერთი გამტაცებლის ძმა რუსეთის ციხეში ადამიანის გატაცების ბრალდებით იჯდა და ნათესავებს ფულის სასწრაფოდ გაგზავნას სთხოვდა. გარდა ამისა, გამტაცებლებს, უსაფრთხოების შემდგომი გარანტიებისთვის, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის მოქრთამვაც სჭირდებოდათ. მოკლედ, როგორც ყველანაირ ბიზნესში, გამოთვლილი ჰქონდათ ხარჯიც და მოგებაც, რომელიც საქმის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში უნდა დარჩენოდათ.

**— როგორც ვიცი, გარკვეული პერიოდის და განცდილი მარცხის შემდეგ სხვა, უფრო საშიშ დაჯგუფებას გადაგცეს...**

— გამაფრთხილეს, რომ რაც შემდეგ მოხდებოდა, ქართული მხარის უპასუხისმგებლობის შედეგი იქნებოდა და სხვა დაჯგუფებას გადამცემდნენ... გაგებული მქონდა, რომ ისინი მძევლებს საშინლად ექცეოდნენ, არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ; არაფრად ულირდათ ადამიანის დასახიჩრება და მოკვლა. რა თქმა უნდა, პროფესიონალი გამტაცებლების ხელში მოხვედრის პერსპექტივით ვერ მოვიხიბლე... ჩემმა ახალმა პატრონებმა გროზნოდან წამიყვანეს და მთის ერთ-ერთ სოფელში მიმიყვანეს. გამიკვირდა, როდესაც იქაურებს არც შეიარაღებულ ხალხზე ჰქონდათ რეაქცია და არც — მძევალზე. აშკარა იყო — იქაურებისთვის ეს ახალი ხილი არ გახლდათ. მხოლოდ ჩემი ეროვნებით დაინტერესდნენ, ბავშვები კი ყურადღებით მათვალიერებდნენ... მალე კვლავ გროზნოში დამაბრუნეს. იქ გავიგეთ, რომ მასხადოვის უშიშროების ძალები და პარალელურად, ოპოზიციის წარმომადგენლებიც მეძებდნენ. ჩეჩნები დამემუქრნენ — თუ სიტუაცია არ შეიცვლება, ნაკუწ-ნაკუწ აგჩეხთ, დასაწყისისთვის კი თითს, ხელს ან სხეულის სხვა ნაწილს მოგაჭრით და შენს მშობლებს გავუგზავნითო.

**— სხვა მძევლებთან თუ გქონდათ ურთიერთობა?**

— ჩრდილოეთ ოსეთიდან იყო ერთი მძევალი — იურიკას ეძახდნენ, მაგრამ რატომლაც დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა; ახლაც არ ვიცი, რატომ. თურმე თავისი ახლობლისთვის გამოსასყიდი თანხის გადასაცემად მივიდა და თვითონაც გაიტაცეს. დავმეგობრდით კიდეც, ცოტ-ცოტას ქართულადაც ახერხებდა ლაპარაკს. წასვლისას ყურში მიჩურჩულა: — თუ გაქცევას გადაწყვეტ, გროზნო ამ სოფლიდან 15 კილომეტრშიაო. დამამახსოვრდა დაღესტნელი მძევალი, წარმოშობით ყუმიხი იყო. ყუმიხები თურქულენოვანი ხალხია, სიმამაცით გამოირჩევიან, თავისუფლების სიყვარული სისხლში აქვთ გამჯდარი. არაერთხელ სცადა გაქცევა და განსაკურებული სიფრხილით სდარაჯობდნენ — ხელ-ფეხი დაბორკილი ჰქონდა. არ ვიცი, როგორ მოახერხა, მაგრამ თურმე ხის კედლიდან ამოწეულ ლურსმანს მისწვდა და ვენები გადაიჭრა. მცველმა რომ მიაკითხა, სისხლისგან იცლებოდა. გადარჩენა მოასწრეს, ხელები შეუხვიეს და ისე მჭიდროდ მიაბეს, რომ განძრევის საშუალება აღარ ჰქონდა. ამ ამბავმა შემძრა. მალე ეზოში ხანძარი გაჩნდა. თურმე ყუმიხ მძევალს მცველისთვის სიგარეტი უთხოვია. რადგან ის ნახევრად შებორკილი მძევლისგან ხიფათს არ ელოდა, გამონაკლისი დაუშვია და სიგარეტიც მიუწოდებია. ცოტა ხნით მარტო დარჩენილს კი თივა მოუგროვებია და ცეცხლი წაუკიდებია. როგორც

ჩანს, თვითმკვლელობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მეორედაც — უშედეგოდ. თვითონ გამტაცებლებიც გაოცებულები იყვნენ მისი თავგან-




წირვით. როგორც ჩანს, შეძლებული ოჯახიდან იყო, რადგან მასში ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდნენ. მისი დატოვება უკვე პრობლემას ქმნიდა, თან, სიკვდილის პირას მისული ყუმიხი მძევლის მოკვლა მცველების უმეტესობას ღირსების შელახვად მიაჩნდა და ამიტომ მოიშორეს: გავიგეთ, რომ ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე რუსების საგუშაგოსთან ახლოს დაუტოვებიათ. ერთი შემთხვევა კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. საღამოს ღრიანცელმა გამაღვიძა. ვიღაცას სცემდნენ. საღამოს მითხრეს, რომ ჩეჩენ მძევალს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რადგან შეძლო გამტაცებელთა კვალზე თავისი ნათესავების დაყენება, სახეზე ყველას სცნობდა, მათი გვარ-სახელები იცოდა და ეს გვარებს შორის შეტაკებასა და სისხლის ღვრას ნიშნავდა. თან, მის ნათესავებს უკვე ჰყავდათ შეკრებილი ძლიერი, შეიარაღებული რაზმი და გამალებით ეძებდნენ. განაჩენი მეორე დილითვე მოიყვანეს სისრულეში, უბედურს ცხვარივით გამოსჭრეს ყელი. საშინელებაა, როდესაც ამგვარი რამ შენ თვალწინ ხდება. შოკირებული ვიყავი და შემდგომი დღეების მანძილზე სულ ამ ამბავზე ვფიქრობდი...

— **ყველაზე მეტი დრო ერთ ოჯახში გაატარეთ, სადაც თქვენი პროფესიით „მუშაობამაც“ კი მოგიწიათ. მიამბეთ, რატომ დაინტერესდნენ ჩეჩნები თქვენი მხატვრობით?**

— ერთ-ერთი საუბრისას მცველებმა შეიტყვეს, რომ პროფესიით მხატვარი ვარ და მკითხეს, თუ შემეძლო პორტრეტების შექმნა? ფურცლები და სახატავი საშუალებები მომიტანეთ-მეთქი, — ვუპასუხე. ჩემდა გასაკვირად, ჩეჩნეთის მიყრუებულ სოფელში ეს ყველაფერი რამდენიმე საათში გააჩინეს. მცველები დიდი სიამოვნებით პოზირებდნენ და ნამუშევრებით კმაყოფილები დარჩნენ. დაინტერესდნენ, რა სახის ნამუშევრები იყიდებოდა ყველაზე ძვირად. ყველაზე ძვირი — რენესანსის ან ბაროკოს მხატვრობაა, რაფაელის, ტიციანის, ლეონარდოს, რუბენსის ნაწარმოებები; არც იმპრესიონისტები და პოსტიმპრესიონისტებია იაფი, მაგალითად, ვან გოგის „მზესუმზირები“ რამდენიმე მილიონ დოლარად გაიყიდა-მეთქი, — მთელი სერიოზულობით ავუხსენი მათ. დილით კარი გაიღო და ყუთებით დატვირთული მცველები შემოვიდნენ. გამომიცხადეს, რომ ამიერიდან მუშაობა უნდა დამეწყო მაღალმხატვრულ და ძვირად ღირებულ სურათებზე, მყიდველებზე კი თვითონ იზრუნებდნენ. რა გზა მქონდა? დავთანხმდი, შემექმნა ფერწერული „შედევრები“. მოკლედ, ხელბორკილები მომხსნეს და ლამაზი პეიზაჟების დახატვა მიბრძანეს. პირველი ჩემი პეიზაჟი დაიწუნეს — ხე ხეს არ ჰგავს, ცა — ცას, ბუჩქი — ბუჩქსო, და გამომიცხადეს, რომ ამდენი წელი სრულიად უსარგებლოდ და ტყუილად ვსწავლობდი სამხატვრო აკადემიაში... მითხრეს, რომ მომიტანდნენ ნამუშევარს, რომელზეც საოცარი სიზუსტით იყო გადმოცემული ზამთრის პეიზაჟი. მართლაც, მომიტანეს და მითხრეს, რომ ორ-სამ დღეში მისი ზუსტი ასლი უნდა შემექმნა. 2 დღის შემდეგ სანახავად თვითონ მასპინძელი მოვიდა. უცებ ჩემკენ გამოქანდა, ხელი მაგრად ჩამომართვა, მხარზეც მომითათუნა და აღფრთოვანებით მითხრა: — ნამდვილი მხატვარი ხარო!.. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი წვალება: ჩვენს ნათესავებსაც სურთ, ასეთი შედევრი ჰქონდეთ და ამ პეიზაჟის რამდენჯერმე დახატვა მოგიწევსო, — მითხრეს.

— **ახლა ისიც მომიყევით, ახალი წლის დადგომას გინებით რომ შეხვდით.**

— ახალი წლის დადგომამდე, ჩემთან მასპინძლის 15 წლის ბიჭი მოვიდა და დაღონებულმა თავისი გასაჭირი გამანდო: თურმე მის კლასში ერთმანეთს უზრდელობების თქმაში ეჯიბრებოდნენ — მაგალითად, იმაში, თუ ვის ეცოდინებოდა უცხო ენაზე ყველაზე მეტი გინება. მთხოვა, თუ შეძლებ, ქართული გინება მასწავლე, ქისტი კლასელი მყავს და მას ვეჯიბრებიო. ავდექი და მთელი ფურცელი ქართული გინებები რუსული ასოებით ჩამოვუწერე. მეორე დღეს ვკითხე, რა ქენი-მეთქი და, — ჩემს მოწინააღმდეგეს რომ წავუკითხე, სკამიდან გადავარდაო, — მახარა. ისეთი გინებები დავუწერე, ნებისმიერ ქართველს გული შეუწუხდებოდა.

— **ბოლოს როგორ მოხდა თქვენი ტყვეობიდან გათავისუფლება?**

— იმდროინდელ ვიცე-პრეზიდენტ — ვაჰა ასანოვს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მისი უშუალო ჩარევით, ბლოკირება გაუკეთეს გამტაცებლებს; იძულებული გახადეს, გავეთავისუფლებინე მოლაპარაკების შედეგად, მაგრამ როგორც ვიცი, შემდეგ მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

— **რისკიანი პროფესია გაქვთ. გარდა იმისა, რომ ცხინვალში იბრძოდით, კოსოვოშიც 2 წლის განმავლობაში იმყოფებოდით. ამის შესახებაც მიამბეთ.**

— თავდაცვის სამინისტროდან ვიყავი წარგზავნილი გერმანიის ჯარების შემადგენლობაში. თითო მისია ექვსთვიანი იყო და რადგან გერმანული კარგად ვიცი, ზედიზედ ოთხჯერ დამტოვეს. სხვადასხვა ეროვნების ხალხთან მქონდა ურთიერთობა და ბევრი რამ საინტერესო იყო ჩემთვის. გამიკვირდა, როდესაც შევიტყვე, რომ თურქულ შეიარაღებულ ძალებში დასჯის მიზნით, ჯარისკაცების ცემა-ტყეპაც მიღებულია. გარდა ამისა, წოდებით უმცროსი წოდებით უფროსს უნდა მოემსახუროს: ვალდებულია, სასადილოში სუფრა მოუმზადოს, აულაგოს და ასე შემდეგ... ძალზე განსხვავებულია გერმანელების მენტალიტეტი. როდესაც რაიმეს აღვნიშნავდით, ისინი ცრემლმორეულები ჰიტლერის სადღეგრძელოს სვამდნენ, ჩვენ — სტალინისას. გერმანელები არ რეაგირებენ ჩვენებურ მამაპაპურ გინებაზე. დედა რომ შეაგინო გერმანელს, მოტრიალდება და გკითხავს: — რა გინდა დედაჩემისგან, იმ მოხუცი ქალისგან? როცა ამდენი ლამაზი და კარგი ქალი დადის, რაღა დედაჩემს „მიახტიო“?.. მაგრამ რომ დაუძახო: ღორო, ბეზერო ღორო, უფრო უარესი — ბეზერო დედა ღოროო, — შეიძლება, ამაზე ისე გადაირიოს, რომ ცოცხალმა ვერც გამოასწრო... მოკლედ, ჩემს წიგნში იქ მომხდარი ამბები საინტერესოდ იქნება გადმოცემული. რაც შეეხება ჩემს პროფესიას, საინტერესო ცხოვრება მაქვს და ამიტომ ბედის კმაყოფილი ვარ. ეს ჩემი არჩეული გზაა და მიყვარს, რასაც ვაკეთებ. სიბერეში კი საინტერესო ამბების წერით შევიქცევ თავს... ■

# „ღვთის შეწევნას ყველა მრავალშვილიანი ოჯახი გრძნობს“...

**სანამ დავით ჯინჭარაძესა და ნათია სალუქვაძეს შინ ვესტუმრებოდი, მათი მრავალშვილიანი ოჯახი ფოტოსურათით გავიცანი. პირველად რაც გავიფიქრე, ეს იყო: ერთმანეთზე უკეთესი გოგო-ბიჭები არიან და თუ ყველა მათია, ღმერთმა გაუზარდოთ-მეთქი! ყველა მათი აღმოჩნდა და რა თქმა უნდა, ბევრი აღარ მიფიქრია მათთან შეხვედრაზე. ჯინჭარაძეების სახლში ისეთი სიმშვიდე იყო, ვერც იფიქრებდი, იქ შვიდი ბავშვი თუ ცხოვრობს. სტუმრის დანახვაზე ყველამ ჩემ გარშემო მოიყარა თავი; ყველა ყურადღებით შემომცქეროდა, პატარა ცისფერთვალება კესარიას გარდა, რომელმაც ერთ წუთში სიცილ-კისკისით უამრავი სათამაშო მომირბენინა და როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კარგად „გავერთობოდი“, თვითონაც დანარჩენებს შეუერთდა სათამაშოდ. მე კი ნათიას და დავითს ვთხოვე, გაეხსენებინათ, თუ როგორ შეიქმნა ერთი კარგი ქართული ოჯახი.**

*ნინო ჯავახიშვილი*

— ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ერთი პატარა ტაძარია — ღვთისმშობლის შობის სახელობის და მეც და ჩემი მეუღლეც იქ დავდიოდით. დათოც ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურიდან არის. ერთმანეთი საერთო მეგობარმა გაგვაცნო. ის მგალობელი იყო და დათოს და მის ძმას კარგად იცნობდა (დათოს ტყუპისცალი ჰყავს, რომელიც ამჟამად წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დეკანოზი გახლავთ — მამა კონსტანტინე. თვითონ დათოც სტიქაროსანი იყო). ერთხელ ჩემმა მეგობარმა მანიშნა, ნახე, ეკლესიაში ტყუპი ძმა მოვიდაო. ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, ვერც კი გაარჩევდი, რომელი რომელი იყო. მაშინ 18 წლის ვიყავი, დათო კი — 22-ის. მოძღვარი თბილისში ჰყავდა, იქ აბარებდა ხოლმე აღსარებას და ერთმანეთს უფრო ხშირად ვხვდებოდით. ბათუმშიც ჩამოდიოდა. მე სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. ერთი წლის შემდეგ აკადემიური ავიღე და მას შემდეგ აკადემიური მაქვს...

— **როგორც ჩანს, მალევე დაქორწინდით, არა?**

— კი, მშობლები მოიყვანა ხელის სათხოვნელად და მეც უარი არ მითქვამს. ასე შეიქმნა ჩვენი ოჯახი. პირველი შვილი — თეოდორა 20 წლისას შემეძინა, მომდევნო, თამარი — 12-ის ხდება, ელისაბედი — 10-ის, ქეთევანი — 9-ის, ანასტასია 7-ის და ნიკოლოზი 3-ის, პატრიარქის ნათლული პატარა კესარია კი წლინახევრისაა.

**დავითი:**

— ნამდვილად არ დამიგეგმავს, 7 შვილი მყოლოდა. მაგრამ ჩემი მოძღვრის სახით კარგი მაგალითი მქონდა — როდესაც დავქორწინდით, მაშინ 6 შვილი ჰყავდა, ახლა კი — 12. მოკლედ, გეგმა არ შემიდგენია, მაგრამ ერთზე რომ არ გავჩერდებოდი, ეს დაზუსტებით ვიცოდი.

**ნათია:**

— 3 დედმამიშვილი ვართ და სულ ვამბობდი: მე 3 შვილი მინდა, რომ მყავდეს-მეთქი, მაგრამ ამდენს თუ გავაჩენდი, არ მიფიქრია (*იცინის*). მკითხეთ, ალბათ ვაჟი ძალიან გინდოდათო. ვაჟი მართლაც გვინდოდა, მაგრამ ამის გამო არ გადამიწყვეტია მეექვსე შვილის გაჩენა. თან, როგორც ხედავთ, მეექვსეს მეშვიდე გოგო მოჰყვა. რწმენამ მოგვცა ძალა, ამდენი შვილი გაგვეჩინა. როდესაც ღმერთი გაძლევს, უარი როგორ უნდა თქვა ამხელა სიხარულზე?

— ძალიან გვინდოდა, უფროსი ძმა გვყოლოდა, — *ჩვენს საუბარში უფროსი გოგონებიც ჩაერთნენ,* — მაგრამ ასე არ მოხდა... ძალიან გვიყვარს ნიკოლოზი. ვანებივრებთ... ზოგი ნიკოლოზს ვუვლით და ზოგიც — კესარიას...

— **უმცროსები უფროსებს ხომ არ გაბრაზებენ? არ ჩხუბობთ ხოლმე?**

— იშვიათად ვჩხუბობთ. ჩვენ უკვე დიდები ვართ და სათამაშოებით უმცროსებს ვათამაშებთ. თამარი და ქეთევანი ამბობდნენ, თუ ბიჭი იქნება, ჩვენ მოვუვლითო, თუ გოგო იქნებოდა, მე და თეოდორას უნდა მოგვევლო. ჰოდა, ახლა ორივე გვყავს — პატარა დაც და ძმაც.

— **ნათია, ძალიან რთულია ამდენი ბავშვის აღზრდა. მკაცრი მშობლები ხართ?**

— დათო უფრო მკაცრია და მსაყვედურობს, ბავშვებთან რბილი ხასიათი გაქვსო. სიმართლე გითხრათ, ისეთს არაფერს აშავებენ, მკაცრად რომ დავსაჯოთ... ნიკოლოზს უფრო ვათამამებ, რაკი ბიჭია და უფროსები ამას ხვდებიან. მამხელენ ხოლმე: — დედა, შენ მას ყველა სურვილს უსრულებო.

**დავითი:**

— ვცდილობთ, პასუხისმგებლობის გრძნობა პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ, დანაშაულის აღიარებას



როდესაც ღმერთი გაძლევს, უარი როგორ უნდა თქვა ამხელა სიხარულზე?

და მის გამოსწორებას მივაჩვიოთ. უსაქციელობისთვის ზომიერად ვსჯით ხოლმე. ბავშვმა უნდა იცოდეს, რისთვის დაისაჯა, მაგრამ მალევე უნდა დაუყვავო და მიეფერო. საერთოდ, ერთმანეთისგან ხასიათით განსხვავდებიან — ერთი თუ დამყოლია, მეორე — ჯიუტია; ამიტომ, ყველას ერთნაირად ვერ მოეპყრობი.

**— მათ მოვლაში თუ გეხმარებათ ვინმე?**

**ნათია:**

— თვითონ ბავშვები მეხმარებიან, როდესაც სცალიათ და არ მეცადინეობენ — გვიან, რეცხავენ, ალაგებენ, პატარებს ართობენ. მე რომ საოჯახო საქმეს მივხედო, ძილის წინ ზღაპრებსაც კი უყვებიან. თავიდან მართლაც ძალიან გამიჭირდა — ერთმანეთის მიყოლებით 3 ბავშვის გაზრდა ძნელი იყო, მაგრამ შემდეგ გამიადვილდა. აი, მეშვიდე რომ შემეძინა, ვიფიქრე — შვიდი შვილი სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის-მეთქი. ხუთი სკოლის მოსწავლეა და კრებებზე სიარული მიჭირს... ყველა კარგად სწავლობს, გარკვეული მიმართულება უკვე აქვთ აღებული — ერთს ხატვის ნიჭი აქვს, მეორეს მუსიკა იზიდავს, მესამეს მასწავლებლობა სურს, თეოდორას ლამაზი ხელწერა აქვს და კალიგრაფიაში მოსინჯა თავი...

**— ყველაზე დიდი სირთულე რა არის შენთვის?**

— ზოგჯერ გავბრაზდები ხოლმე და ვიტყვი: მთელი ჩემი ცხოვრება ბავშვებს ეკუთვნის, პირადი ცხოვრება არ გამაჩნია-მეთქი, მაგრამ მათ შემხედვარეს ყველაფერი მალე მავიწყდება. ისეთი საყვარლები და სათუთები არიან, საკმარისია, რომელიმე მომეფეროს და ყველა დარდი მავიწყდება... ბევრი შვილი შეიძლება, ერთგვარი დისკომფორტი იყოს, მაგრამ დიდი სიხარულიცაა. როდესაც ოჯახში ბევრი და-ძმაა, პატარაობიდანვე სხვებზე ზრუნვას ეჩვევიან.

**— შვიდი ბავშვის აღზრდას დიდი ძალისხმევა სჭირდება — ყურადღება, ნებისყოფა, სითბო და სიყვარული და ამ ყველაფერთან ერთად, მატერიალური კეთილდღეობაც. ვიცი, თქვენს ცხოვრებაში იყო უმუშევრობის და უსახლკარობის პრობლემები. არასდროს შეგშინებიათ?**

— ერთხანს სოფელ ნატანებში, დათოს ბებიასთან ვცხოვრობდით, რადგან დათოს სამსახური არ ჰქონდა. ჯვრებს და ხატებს აკეთებდა და თავი ასე გაგვქონდა. ისეთი ღვთის წყალობა იყო ჩვენს ოჯახზე, რომ არ მახსოვს, ოდესმე გაგვჭირვებოდა — როდესაც ფული გაგვითავდებოდა, დათო წავიდოდა და ჩაბარებული ხატები გაყიდული ხვდებოდა. რაც უფრო მეტი შვილი გყავს, წყალობაც მეტი გაქვს. არასდროს შეგვშინებია ულუკმაპუროდ დარჩენის... ერთხანს ყაზახეთშიც წავედით. დათოს მშობლები წლების განმავლობაში იქ ცხოვრობენ, სადაც 2 წელი ვიყავით. სამი შვილით წავედით და ოთხით ჩამოვედით. ვიდრე ამ სახლს ვიყიდდით, გირაოთი ვცხოვრობდით. ამ წლების მანძილზე დათომ ბევრი სამსახური გამოიცვალა. ერთ-ერთ კომპანიაში მძღოლად მუშაობდა, მერე — სამშენებლო ფირმაში. ადრე ხშირად უწევდა სახლიდან მოშორებით ყოფნა. ერთხანს ახალციხეშიც ჰქონდა სამუშაო და როდესაც ქეთევანს ჰკითხეს, მამაშენი სად არისო? — უპასუხა, — მამიკო ციხეშიაო... ამჟამად, როგორც იქნა, ადამიანური სამსახური იშოვა — საღამოს ოჯახში დაბრუნება შეუძლია. უსაფრთხოების ოფიცერია, გამოცდები და ტრენინგები გაიარა და გაუმართლა: უამრავი განცხადებიდან მხოლოდ 2 კაცი აიყვანეს.



ვცდილობთ, თავმდაბლურად და მორიდებით ვიცხოვროთ (დავითი და ნანა)

**დავითი:**

— საერთოდ, ვცდილობთ, თავმდაბლურად და მორიდებით ვიცხოვროთ, ღვთის შეწევნით და იმედით. როდესაც დამირეკეთ, გითხარით კიდეც, არაფრით გამორჩეული ოჯახი მაქვს-მეთქი... სიძნელეებზე მკითხეთ და გეტყვით, რომ ღვთის შეწევნას ყველა მრავალშვილიანი ოჯახი გრძნობს... ხშირად მეკითხებიან: ამდენი შვილი გყავს, როგორ ცხოვრობ, როგორ ახერხებ მათ შენახვასო. რამდენ ნაბიჯსაც ღმერთისკენ გადადგამ, იმდენი სიკეთე გიბრუნდება უკან. ლოცვა და შრომა — მთავარი ეს არის! სამსახური ზოგჯერ არის, ზოგჯერ — არა, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთილებაში ხომ არ უნდა ჩავარდე?! სიძნელე შეიძლება ბევრი შეიქმნას, მაგრამ ყურები არასდროს ჩამომიყრია. უმუშევრობა და გაჭირვება მშობლების, ძმების, მეგობრების, დროებითი სამსახურების წყალობით გადავიტანეთ. როდესაც არაფრის იმედი არ მქონდა, სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა რაღაც სამუშაო. ხატწერა და ხეზე კვეთა მე და ჩემმა ძმამ ვისწავლეთ, რაც ძალიან დაგვეხმარა უმუშევრობის დროს. როდესაც ამდენი ბავშვი შემოგყურებს, უკან დახევისა და უსაქმურობის უფლება არც გაქვს... მთავარია, შვილებს მისცე მაგალითი და გზა, სწორად როგორ უნდა იცხოვრონ. ვცდილობ, ჩვენი ცხოვრებისეული პრობლემები ბავშვებთან ერთად არ განვიხილო და ყველაფერი ცუდი გარეთ დავტოვო.

**— როგორია ერთი ჩვეულებრივი საღამო, როდესაც სახლში ბრუნდებით და ამდენი ბავშვი გეხვევათ გარს?**

— გოგონები თბილები არიან და ჩემი დანახვით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავენ. ყველა ჩემკენ გამორბის. სკოლაში მიღწეულ წარმატებებს მახარებენ; მიყვებიან, რა მოხდა ახალი მთელი დღის განმავლობაში... მე კი მათი სიხარული უნდა გავიზიარო, ყველას მივეფერო, ყურადღება მივაქციო. ზოგჯერ, მეცადინეობის დროსაც ვეხმარები... ნებისმიერ საქმეს რწმენით უნდა მიუდგე და ვერაფერი დაგაბრკოლებს. ყველა ახალგაზრდა ოჯახს მხნეობასა და გამრავლებას ვუსურვებ. ღვთის რწმენითა და შრომისმოყვარეობით ყველაფერი კარგად იქნება...

*საუბრის დასასრულს დიასახლისმა სახელდახელოდ სუფრა გააწყო და მიგვიპატიჟა. ოჯახის უფროსმა სუფრას გადახედა და ნათიას ჰკითხა: — კიდევ ხომ არ მოგვეფიქრებინა რამეო? მერვე შვილს ხომ არ გულისხმობთ-მეთქი? — გამეცინა მეც და ჩემს მასპინძლებსაც ამ იდეაზე: — რატომაც არა, კესარია სადაცაა, 2 წლის გახდება, ცოტა არ იყოს, დიდი შუალედი გამოდისო, — სიცილით მიპასუხეს... ღმერთმა ამრავლოს!..* ■

# „როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, ქართველები მაშინ დამაფასებენ“

## მძივებით ფერწერას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს...

**ახლახან ნელი ბერაიას ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო, რომელიც თბილისის მერიის დაფინანსებითა და საპატრიარქოს ფონდის ხელშეწყობით გაიმართა, მაგრამ შეძლებულმა ქართველებმა მისი უნიკალური ნამუშევრები ვერ დააფასეს. გულისტკივილის მიუხედავად, ქალბატონი ნელი იძულებულია, ბისერებით შესრულებული ულამაზესი სურათები საზღვარგარეთ გაყიდოს, სადაც ქართველი ხელოვნის ნამუშევრების ფასი ნამდვილად იციან...**


ლეილა აბაშიძესთან ერთად

*ეთო ყორღანაშვილი*

— როგორც ყოველთვის, ჩემი ნამუშევრების გამოფენამ ახლაც კარგად ჩაიარა, მაგრამ ჩვენთან ნახატების გაყიდვა რთულია. იცით, გული რაზე მწყდება? ეს ჩემი XI პერსონალური გამოფენა იყო, კულტურის სამინისტროდან ამჯერადაც არავინ მოსულა. ახალგაზრდა, მშვენიერი გოგონები არიან — ნუთუ ხელოვნება არ აინტერესებთ?! აბა, ხიდი გაიხსნას, თუ არ წავლენ!.. შარშან რუსთაველის თეატრის სამეჯლისო დარბაზში გამოფენა მოვაწყვე. იქ ჩვენი პრეზიდენტის ბებია — ქალბატონი მზიაც მოვიდა (მიხეილ სააკაშვილის ბებია-ბაბუას ახალგაზრდობიდან ვიცნობ). ძალიან გამიხარდა. ჩემი გაკეთებული ვარდი ვაჩუქე. სიტყვითაც გამოვიდა, ქება-დიდებით ამავსო. ვიფიქრე, — იქნებ შვილიშვილს ჩემ შესახებ უთხრას და ყურადღება მომაქციონმეთქი. მოლოდინად ვიქეცი, მაგრამ — ამაოდ... მძივებით ფერწერას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. რუსეთში დღესაც მზად არიან, რომ გამოფენა მომიწყონ, მაგრამ უარი ვთქვი. გულით მინდა, რომ ჩემი ნამუშევრები საქართველოში დარჩეს, თუმცა იძულებული ვარ, საზღვარგარეთ გავიტანო. იქ ხელით ნამუშევარს მაღალი ფასი აქვს, თვითნასწავლ მხატვრებზე დიდი მოთხოვნაა. ჩემი ნამუშევარი რუსეთში ერთმა ადამიანმა 5.000 დოლარად შეიძინა. 1 თვეც არ იყო გასული, რომ უფრო ძვირად — 20.000 დოლარად გაყიდა... ახლანდელი გამოფენის მოსაწვევები ჩინოვნიკებსაც გავუგზავნე. თქვენც არ მომიკვდეთ — არავინ მოსულა! ისეთი ხალხი მოდის, ვისაც ხელოვნება უყვარს, მაგრამ ფული არა აქვს. ვისაც ფული აქვს, ის ისევ ფულის „კეთებით“ ინტერესდება... მიკვირს და გული მწყდება — ქართველები ასე როგორ გადაგვარდნენ?!.

— **გამოფენაზე რამდენი სურათი გაიყიდა?**

— 2.

— **თუ საიდუმლო არ არის, რა ფასად?**

— „იები“ 400 დოლარად, „ბავშვები“ — 700-ად. ლიტვის ელჩმა ფისოს სურათი შემიკვეთა. ბუმბულებით გაკეთებული ფისო უკეთესი გამოვა, მაგრამ ელჩმა რატომღაც მძივებით შესრულებული ნამუშევარი მოინდომა.

— **როცა თქვენი და შემკვეთის აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა, მუშაობა გიჭირთ?**

— არა, არა! რადგან მას მძივებით შესრულებული ფისოს სურათი უნდა, გავუკეთებ...

— **გამოფენაზე ყველა ნახატს ეწერა ფასი, გარდა თქვენი პორტრეტისა, რომელიც ოდრი ჰეპბერნის სურათი მეგონა. ამ ნამუშევარს არ ყიდით?**

— ახალგაზრდობაში ოდრი ჰეპბერნს მართლა ძალიან ვგავდი... თუკი ამ სურათის ყიდვას მოინდომებენ, გავყიდი. უბრალოდ, მისთვის ფასის დადება გამიჭირდა — შეუფასებელია (*იღიმის*)...

— **ცნობილ ადამიანებს როგორი რეაქცია აქვთ, როცა მძივებით შესრულებულ თავიანთ პორტრეტებს ნახავენ?**

— ნანი ბრეგვაძეს ძალიან მოეწონა. გამოფენებს მოვაწყობ, მერე კი ალბათ, ჩემს ნამუშევარს ვაჩუქებ. ნანი ძალიან მიყვარს. შემიძლია, მის სიმღერებს საათობით ვუსმინო... ნინო ანანიაშვილი არაჩვეულებრივი მოცეკვავეა. მისი 2 სურათი მაქვს შექმნილი. ნინომ ორივე წაიღო, მაგრამ უკან დამიბრუნა: ქმრის პასუხს ელოდა — ეგონა, მეუღლე სუ-


ნინო ანანიაშვილი არაჩვეულებრივი მოცეკვავეა. მისი 2 სურათი მაქვს შექმნილი


ჩემი ნამუშევარი ნანი ბრეგვაძეს ძალიან მოეწონა

რათებს უყიდდა. როგორც ჩანს, ქმარზეა დამოკიდებული...

— **ასეთი ძვირი ღირდა?**

— არა, ძალიან იაფად ვაძლევდი: ორივეს — 5.000 დოლარად.

— **როგორც ვიცი, ხატვა 66 წლის ასაკში დაიწყეთ, მანამდე ხელოვნების ამ სფეროსთან შეხება არ გქონიათ, მართალია?**

— საშინლად უნიჭო ვიყავი — წინათ ჭიქაც კი არ დამიხატავს! უეცრად ხატვა დავიწყე: დეიდაჩემი ნიჭიერი მხატვარი იყო, მაგრამ საშინლად ზარმაცი — რაღაც დეტალის ხატვას დაიწყებდა და მერე მიაგდებდა. ახალგაზრდობაში ლამაზი გოგო ვიყავი. მხატვრები მეხვეწებოდნენ — დაგხატავთო, მაგრამ მინდოდა, დეიდაჩემს დავეხატე. ვერაფრით მოახერხა. სულ თამარ მეფის დახატვაზე ოცნებობდა. მისი გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ მესიზმრა: დეიდას ვსაყვედურობდი, — მთელი ცხოვრება გეხვეწებოდი, რომ დაგეხატე; მე თუ არა, თამარი მაინც დაგეხატა-მეთქი! მიპასუხა: ნელი, თავად სცადე, აუცილებლად გამოგივაო. ამ სიზმრისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. შემდეგ თამარ მეფე მესიზმრა... გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთხელ ჟურნალს ვკითხულობდი. უეცრად, რაღაც ძალამ წამომაგდო. თითქოს ბურუსში ვიყავი. ფანქრით ხატვა დავიწყე. რომ დავასრულე, შოკში ჩავვარდი — ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემი დახატული იყო!



გამოფენაზე ჩვენი პრეზიდენტის ბებიაც მოვიდა

— **რა დახატეთ?**

— თამარ მეფე. ბავშვობიდან, ქილაში სხვადასხვა ფერის ბისერები მქონდა შეგროვებული. უცებ აზრად მომივიდა, რომ ნახატში მძივები ჩამესვა (ფერების შესაბამისად). ახლა ნამუშევრების შესაქმნელად, სვაროვსკის თვლებსა და მარგალიტებს ვიყენებ.

— **ნამუშევრებში ფერები საოცრადაა შეხამებული. სალებავებსაც ხომ არ იყენებთ?**

— არა. ჩემს ნამუშევრებში არც ერთი ფერი არ „ყვირის“. ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ფერები კარგადაა შეხამებული, თვალები კი — „ცოცხალია“.

— **ხელოვნებათმცოდნეებმა თქვენი ნამუშევრები როგორ შეაფასეს?**

— თამარ მეფის სურათი ექსპერტებმა შედევრად აღიარეს.

— **ხატებიც გაქვთ შექმნილი. არადა, ვიცი, ეკლესიურად არ ცხოვრობთ...**

— ღმერთის მწამს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სიკეთის მეტი არაფერი გამიკეთებია. ხატების შექმნასთან დაკავშირებითაც, სიზმარი უნდა გიამბოთ: მესიზმრა, თითქოს ხალხი იყო შეკრებილი. ზემოთ ავიხედე. 3 ბავშვი დავინახე. შევწუხდი — საყრდენი არა აქვთ, არ ჩამოცვივდნენ-მეთქი! უეცრად შუათანა ბავშვი გაქრა და მის ნაცვლად, ივერიის ღვთისმშობელი გამოჩნდა. ეს სამჯერ გამეორდა... უკვე ღვთისმშობლის 3 ხატი მაქვს შექმნილი.

— **ერთი ნამუშევრის შექმნას რა დროს ანდომებთ?**

— ახლა უკვე დავხელოვნდი, უფრო სწრაფად და უკეთესად ვმუშაობ, მაგრამ მაინც ბევრი დრო მჭირდება. დიდი პორტრეტის შექმნას დაახლოებით, 2 თვეს ვანდომებ. დიდხანს ვაკვირდები, ჩრდილი სად „დავსვა“ და ა.შ.

— **ნახატის რაიმე დეტალი „წაგიშლიათ“?**

— ნამუშევრისთვის თვალები ბევრჯერ „დამითხრია“, რომ თოჯინის თვალებს არ დამსგავსებოდა და „ცოცხალი“ ყოფილიყო.

— **წინათ რას საქმიანობდით?**

— პროფესიით ჟურნალისტი ვარ. კარგა ხანს ვმუშაობდი მოსკოვში. საქართველოში, ტელევიზიაში გადაცემებიც მქონდა, კინოსტუდიაში სცენარებს ვთარგმნიდი, პრესაშიც ვმუშაობდი. მერე ხელოვნებაზე გადავერთე.

— **მსახიობობა როდის მოასწარით? როგორც ვიცი, ფილმში — „აკაკის აკვანი“ მონაწილეობდით.**

— ახალგაზრდობაში. „აკაკის აკვანში“ პატარა როლი შევასრულე. თბილისში ხალხი მცნობდა, ჩემი ფოტოები იყიდებოდა, ბავშვები ლექსებს მიძღვნიდნენ... მოკლედ, თავი ჰოლივუდის ვარსკვლავი მეგონა (*იცინის*). ფილმში „ქეთო და კოტე“ ქეთოს როლზე მე დამამტკიცეს, ვახტანგ ტაბლიაშვილს კი ამ როლისთვის მედეა ჯაფარიძე უნდოდა. დიდი ბრძოლის შემდეგ გავიმარჯვე, მაგრამ ასეთი ამბავი მოხდა: 10 მაისს თბილისში გადაღებაზე უნდა ვყოფილიყავი. მანამდე დედამ დასასვენებლად ბორჯომში წამიყვანა. ფილმის გადაღებები დანიშნულ დროზე ადრე დაიწყო. ძებნა დამიწყეს. ამ დროს კინოსტუდიაში დეპეშა მივიდა, რომ მე ავარიაში მოვყევი და უმძიმეს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი; ხმაც დაირხა, რომ დავიღუპე... ეს ვინ გააკეთა, დღესაც არ ვიცი. ჩემი სამსახიობო კარიერა მაშინ „დაიხურა“. შემდეგ, კონსერვატორიაში ვსწავლობდი. გლანდების ოპერაციის გამო, სასიმღერო ხმა დავკარგე. ლომონოსოვის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კინოსტუდიაში დავიწყე მუშაობა. გახმოვანებაზე ვმუშაობდი, როცა ირაკლი უჩანეიშვილს გავყევი ცოლად... 2 შვილი დამეღუპა, ირაკლიც გარდაიცვალა. მარტო დავრჩი. დეპრესიაში ვიყავი. ხილვები სწორედ მაშინ მქონდა. სურათების შექმნაზე გადავერთე და მძიმე მდგომარეობიდან ცოტათი გამოვედი.

— **მართლა ოთხჯერ იყავით გათხოვილი?**

— დიახ. პირველ ქმარს (ბათუმელი იყო) დავშორდი, რადგან მაშინ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, საქართველოში ვერ ვიცხოვრებდი... მერე მეორედ გავთხოვდი. მასთანაც არ გამიმართლა. ჩემი მესამე ქმარი ცნობილი რუსი მწერალი გახლდათ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იყო. ბევრი ქართული ლექსი აქვს ნათარგმნი. ქართველი მწერლები მას კარგად იცნობდნენ. გრიგოლ აბაშიძემ და იოსებ ნონეშვილმა გამაცნეს. ჩემით ისე მოიხიბლა, რომ ცოლად შემირთო. მოსკოვში ვცხოვრობდით. გარკვეული მიზეზების გამო, მასაც დავშორდი.

— **ამჟამად ოჯახი არა გაქვთ?**

— ჩემი შვილიშვილი ქუთაისში ცხოვრობს. დედა (ჩემი შვილი) რომ გარდაეცვალა, 4 წლის იყო. მამამისმა სხვა ქალი შეირთო ცოლად... ისეთი მჭიდრო ურთიერთობა არა გვაქვს, როგორც ბებიასა და შვილიშვილს შეჰფერის, მაგრამ ყველაფერი საუკეთესო მისთვის მინდა. 3 შვილთაშვილი მყავს...

— **თბილისში მარტო ცხოვრობთ?**

— დიახ. ქირით ვცხოვრობ. თაღლითობის მსხვერპლი გავხდი: ერთ ქალბატონს შვილივით ვენდე, მან კი ბინა დამაკარგვინა. განა რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლო?! მთავრობას ვთხოვ, სანამ ცოცხალი ვარ, საცხოვრებელი ადგილი „მათხოვოს“, რომ მუშაობის საშუალება მქონდეს. იმედი მქონდა, რომ გამოფენა-გაყიდვაზე ნახატებს გავყიდდი და აღებული თანხით ბინას დავიგირავებდი, მაგრამ არ გამომივიდა... ალბათ, როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, ქართველები მერე დამაფასებენ. ■

# საქმე, რომელიც პროფესიაზე მეტია

**„სცენაზე დასაძინებლად კი ნუ გახვალ, ცეცხლი უნდა დამინთო... დასაძინებლად ადამიანი კონცერტზე კი არა, სახლში მიდის,“ — შეუძახა მხცოვანმა პედაგოგმა პატარა მოცეკვავეს, რომელსაც დაღლილობისა და სიმორცხვისგან ლოყები დასწითლებოდა... ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი — თამაზ გოგოტიშვილი მიმხელს, რომ მოსწავლეებს ხშირად ტუქსავს, თუმცა ღიმილით იმასაც დასძენს, რომ სინამდვილეში ისინი ძალიან კარგი მოცეკვავეები არიან, დარბაზს ანგრევენ, მაგრამ მათთან სიმკაცრეს იმიტომ იჩენს, რომ თავში არ აუვარდეთ.**



## 72 წლის დამსახურებული მასწავლებლის მიერ განვლილი გზა

ლალი პაპასქირი

*ბატონ თამაზს საკმაოდ საინტერესო გზა აქვს გავლილი. მისი გაზრდილები ქართულ კულტურასა და ხელოვნებას მსოფლიო დონის პოლიტიკოსებსა და ვარსკვლავებს აცნობენ... სწორედ მისი მოსწავლის მიერ შესრულებულმა „კინტაურმა“ აიყვანა სცენაზე საქართველოში სტუმრად ჩამოსული ჯორჯ ბუში.*

*რეპეტიციაზე საოცრად მკაცრი და მომთხოვნი ქორეოგრაფი, მოცეკვავეებს „ცეცხლის კალოში“ ატარებს, სინამდვილეში კი — ბავშვივით გულჩვილი და ემოციურია... საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი — თამაზ გოგოტიშვილი 72 წლის გახლავთ. იუმორითა და სიცოცხლით სავსე ქორეოგრაფი საკუთარ თავზე ლაპარაკს გაურბის და ცდილობს, მუდმივად მოსწავლეების წარმატებებზე ისაუბროს... ბატონ თამაზს შემოქმედებითი პაუზა ჯერ არ ჰქონია — 53 წლის განმავლობაში ქართული ხელოვნებით ტკბებოდა და ნორჩ მოცეკვავეებსაც ამ საქმის სიყვარულით ზრდიდა. ახლა XII თაობას ზრდის და მიიჩნევს, რომ შრომა დაუფასდა...*

— 53 წელი ჯაჯღანში გავატარე. სულ ვჩხუბობ და უკმაყოფილო ვარ... ჩემი ამდენწლიანი მუშაობის განმავლობაში არც ერთი დღე არ ჩამიგდია. ავად ვიყავი თუ კარგად, ბავშვებთან ვიყავი და ყველაფერი მავიწყდებოდა. ყოველთვის, თუკი ჩემი საყვარელი საქმე მოითხოვდა, უკან არაფერზე დამიხევია. შარშან მითხრეს, — იაპონიიდან შეკვეთა გვაქვს, სარეკლამო ბუკლეტები უნდა გამოვცეთ და კარგი ფოტოები გვჭირდებაო. ამისათვის, ჩემს ანსამბლთან ერთად, ყაზბეგის მწვერვალზე ავედით და იქ ეროვნულ სამოსში გამოწყობილებმა ბრწყინვალე ფოტოები გადავიღეთ...

— **ვიცი, რომ თქვენი ანსამბლი ფილმის — „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე ჰოლივუდიდან ჩამოსულმა სტუმრებმაც გაიცნეს...**

— დიახ, სანამ კინოთეატრ — „რუსთაველში“ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა გაიმართებოდა, გვითხრეს, რომ პრეზიდენტის სურვილი იყო, ვახშამზე ჩვენი ანსამბლის წევრებს ეცეკვათ. სტუმრების წინაშე 35-წუთიანი პროგრამით წარვდექით, ცეკვის გარდა, სიმღერებიც გვქონდა, სალამურისა და დოლების პოპურიც... ისედაც დღე და ღამე გასწორებული გვქონდა, მაგრამ იმ დღეებში შეუსვენებლად ვივარჯიშეთ. ყველა კმაყოფილი დარჩა. სტუმრებს სახეზე ემჩნეოდათ, რომ პატარა მოცეკვავეები მოეწონათ, რაც ჩემი გამარჯვებაა! საბედნიეროდ, არც კულტურის მოღვაწეებს და არც საქართველოს პრეზიდენტს ავიწყდებათ ჩემი ანსამბლი. მიმაჩნია, რომ ეს შრომის დაფასებაა და მადლობის მეტი რა მეთქმის. მადლობა ქალბატონ ნინო ანანიაშვილსაც მინდა გადავუხადო. მისი დამსახურებაა, რომ ყოველ საღამოს, 6-დან 9 საათამდე, ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში ვმეცადინეობთ.

— **ბატონო თამაზ, იქნებ მოგვიყვეთ, საერთოდ როგორ დაიწყო თქვენი კარიერა?**

— ბათუმელი გურული ვარ და ჩემი წარმომავლობით ძალიან ვამაყობ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 2 წელი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლში ვცეკვავდი. ბედნიერი ვარ, რომ ქალბატონ ნინოსთან ურთიერთობის პატივი მხვდა წილად... როცა ვუცქერდი, როგორ ხს-



სტუმრების წინაშე 35-წუთიანი პროგრამით წარვდექით



ვერ გეტყვით, რა განცდა მქონდა, როდესაც ჩვენს პატარა მოცეკვავეს — გოგა გაგნიძეს პრეზიდენტმა ბუშმა გამოუცეკვა...

ნიდა გაკვეთილს, ამა თუ იმ ილეთსა და მოძრაობას როგორ ასწავლიდა, გაოგნებული ვიყავი, — საიდან აქვს ამდენი ენერგია-მეთქი? ჩემზე ამბობენ, მკაცრიაო, მომთხოვნები და მკაცრები ქალბატონი ნინო და ბატონი ილიკო იყვნენ... მათ ანსამბლში ორწლიანი ცეკვის შემდეგ, 1960 წელს, თბილისის 39-ე სკოლაში (ახლანდელი ექსპერიმენტული სკოლა) დავიწყე ქორეოგრაფად მუშაობა. იქ 2 წლის შემდეგ, ჩემი მუშაობის შესაფასებლად ქალბატონი ნინო რამიშვილი მოვიწვიე. მოცეკვავეების ნახვის შემდეგ, მან კმაყოფილმა გაიღიმა და მითხრა: „ასე გააგრძელე და შენი ნიჭი ბევრ სიხარულს მოგიტანს“... დროთა განმავლობაში, პროფესიულად ჩემს მოცეკვავეებთან ერთად გავიზარდე, ხალხის სიყვარულიც თანდათან დავიმსახურე. ეს კი ხელოვანი ადამიანისთვის მთავარია!.. ერთხელ, კალინინის რაიონის (მთაწმინდა) პარტიის რაიკომის მდივანმა — სერგო რიგვავამ მითხრა: ხვალ, რესპუბლიკური ოლიმპიადა იწყება და ჩვენს რაიონთან ერთად თბილისიც უნდა ასახელოო. დახმარებაც შემომთავაზა. რეპეტიცია რუსთაველის თეატრში დილის 8 საათზე უნდა დაგვეწყო, მეორე საღამოს რესპუბლიკური ოლიმპიადა იმართებოდა. რეპეტიციის დაწყებამდე ერთ-ერთმა მოცეკვავემ ჩამჩურჩულა, — უკანა რიგებში 2 ადამიანი ზის და იცინისო. ჩემს გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა იქ სერგო რიგვავა და ილიკო სუხიშვილი შევნიშნე, რომლებსაც რეპეტიციაზე ჩუმად დასწრება გადაეწყვიტათ... იმ ოლიმპიადაზე ჩვენმა ანსამბლმა I ადგილი დაიკავა... ამ ხნის განმავლობაში გვერდში ერთგულად მედგა ანსამბლის აკომპანიატორ-მეგარმონე — ნუგზარ ჯამელაშვილი და ქორეოგრაფი შალვა გოგუაძე... ჩემს მოსწავლეებს 5-იანს საერთოდ არ ვუწერ, კარგი 3-იანი მათთვის დიდი სიხარულია, 4-იანი კი — დიპლომის მიღებას უდრის... 2006 წელს საქართველოში ამერიკის პრეზიდენტი რომ ჩამოდიოდა, რეჟისორმა — დავით დოიაშვილმა დამირეკა და მითხრა: — საზეიმო კონცერტის მოსაწყობად ნომრებად თქვენი ანსამბლის „კინტაური“ და ცეკვა „შეჯიბრი“ მჭირდება, სცენაზე ცენტრალურ ადგილზე უნდა დაგაყენოთო. ასეთი შემოთავაზება იმას ნიშნავს, რომ გენდობიან და ნდობა უნდა გაამართლო... ვერ გეტყვით, რა განცდა მქონდა, როდესაც ჩვენს პატარა მოცეკვავეს — გოგა გაგნიძეს პრეზიდენტმა ბუშმა გამოუცეკვა... გულწრფელად გეტყვით, კარგად მყავდა ბავშვები მომზადებული, თავადაც მომწონდა, მაგრამ ასეთ რეაქციას ნამდვილად არ ველოდი... როცა საქართველოში მარგარეტ ტეთჩერი ჩამობრძანდა, ქორწინების სახლში 20-წუთიანი კონცერტი გავმართეთ. არასდროს დამავიწყდება იმ ქალბატონის თვალები. ის ისე აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს, რომ მახსენდება, ტანში ახლაც სიამოვნების ჟრუანტელი მივლის... ეს, რა თქმა უნდა, დიდი დაფასებაა, მაგრამ ასეთი შემოთავაზების დროს, პასუხისმგებლობა უფრო მეტია, რადგანაც ნებისმიერი მნიშვნელოვანი სტუმრის წინაშე წარდგენისას, საქართველოს სახე ვართ და შეცდომა არ გვეპატიება!..

**— ბატონო თამაზ, ხშირად გაისმის პრეტენზიები იმაზე, რომ ქართულ ცეკვებში ქორეოგრაფებმა ბევრი მიუღებელი ელემენტი შეიტანეს, რაღაცები სერიოზულად შეიცვალა... რას ფიქრობთ ამაზე?**

— საზოგადოებაში ასეთი პრეტენზიები არსებობს, განსაკუთრებით „სუხიშვილების“ მიმართ, რასაც არ ვეთანხმები. ჩემი აზრით, ისინი ცუდს არაფერს აკეთებენ, პირიქით, კომერციული ხასიათის კონცერტებს მართავენ და მაყურებელს სიახლეებიც მუდმივად სჭირდება! ქართულ სიმღერასა და ცეკვას მსოფლიო აქვს მოვლილი და თუ მაყურებელს რამე ახალი არ შესთავაზე, ვერ დააინტერესებ... მთავარია, ყველაფერი ქართული სიმღერის სინთეზში ჯდებოდეს, „სუხიშვილებს“ კი ეს საქმე ბრწყინვალედ გამოსდით, — ყველა მათი სიახლე, ნებისმიერი ახალი ილეთი თუ მოძრაობა, ლამაზი და საინტერესოა...

**— თქვენ თუ შეგაქვთ სიახლეები ცეკვაში?**

— არა, მე ტრადიციულ ხაზს მივყვები... სხვათა შორის, დოლების აკომპანემენტი 70-იან წლებში, პირველად მე დავნერგე. შემდეგ ყველამ აიტაცა. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იმან, ვინც ამ საქმეს მიჰყვება, წესი მაინც უნდა დაიცვას — დოლზე დაკვრა მხოლოდ ხელების ტყაპუნი არ არის, როცა დოლის პოპურის აკეთებენ, მასზე შესრულებული სიმღერების რიტმი და თანამიმდევრულობა უნდა დაიცვა!

**— ხომ არ ნანობთ, რომ დიდ სცენაზე სულ რაღაც 2 წელი გაატარეთ?**

— არა, მივხვდი, რომ ჩემი გამოცდილების სხვისთვის გადაცემით, უფრო დიდ, ეროვნულ საქმეს გავაკეთებდი. ბოლო დროს ჯანმრთელობა შემერყა, წნევა და გული მაწუხებს, სახლში რომ მივდივარ, მოსულიერებას ვუნდები, მაგრამ იმის გახსენება, რომ მეორე დღეს ჩემს ბავშვებთან უნდა მივიდე, ყველა მედიკამენტზე ძლიერია!.. ხშირად მიფიქრია — ეს პროფესია რომ არ ამერჩია, ამდენ ხანს ვერ ვიცოცხლებდი-მეთქი...



**ნებისმიერი მნიშვნელოვანი სტუმრის წინაშე წარდგენისას, საქართველოს სახე ვართ**

# ნაპოვნი დედმამიშვილი და სასიკვდილოდ გამეტებული დედა

## „ლამის საკუთარი და შევირთე ცოლად...“

**ამას წინათ შემოგთავაზეთ თემა: ნაპოვნი დედმამიშვილი და გთხოვდით, საკუთარი თავგადასავალი მოგეყოლათ, მაგრამ მაშინ ნამდვილად არ მეგონა, თუ ამ თემაზე მუშაობა ასე გამიჭირდებოდა — ბევრმა მკითხველმა მომწერა შემზარავი ამბავი, რომლის მთავარი გმირები საკუთარ მშობლებს სასიკვდილოდაც კი წირავდნენ იმ დანაშაულის გამო, რომელიც წლების წინ ჩაიდინეს და რომელიც მათი შვილებისთვის სავალალო შედეგის მომტანი აღმოჩნდა... თუმცა, ცხადია, მხოლოდ ცუდი მაგალითებით არ შემოვიფარგლებით და იმ მკითხველების ამბებსაც მოგიყვებით, რომლებიც დედმამიშვილის პოვნამ გააბედნიერა...**

*ლიკა ქაჯაია*



**გოგა,** *18 წლის:*

— პირველად და ალბათ, უკანასკნელად, 16 წლის ასაკში შემიყვარდა გოგო, რომელიც ჩემი და აღმოჩნდა. ამ ამბავმა ისეთი სულიერი ტრავმა მომაყენა, რომ ფსიქიატრის დახმარებაც კი დამჭირდა.

— **იქნებ შენი ტკივილი გაგვიზიარო და ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო...**

— ამას სიამოვნებით გავაკეთებ, რადგანაც მაშინ, როცა ჩემს გასაჭირს სხვებს ვუზიარებ, ტკივილი ცოტათი მაინც მიმსუბუქდება... ელენე რუსთაველის თეატრში გავიცანი. ორივენი სპექტაკლის — „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ სანახავად ვიყავით მისულები. ის ჩემ გვერდით იჯდა და წარმოდგენას ისე ემოციურად ადევნებდა თვალს, რომ გაკვირვებული ვუყურებდი — არ მეგონა, ჩემი თანატოლი და თანაც გოგონა, ასე თუ გაიზიარებდა სხვების პრობლემას. მოკლედ, სპექტაკლის შემდეგ ის და მისი დაქალები გავიცანი, მერე კი ტელეფონის ნომერი სამივეს გამოვართვი. დაიწყო რეკვები, „ესემესების“ მიმოწერა. მე და ელენემ საერთო ენა მალე გამოვნახეთ და დავმეგობრდით. რამდენიმეკვირიანი ურთიერთობის შემდეგ მივხვდი, რომ ელენეს გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო და მას სიყვარულში გამოვუტყდი. მეგონა, ჩხუბს დამიწყებდა, ჩემს გრძნობას გრძნობითვე არ უპასუხებდა, მაგრამ შევცდი — თურმე, მასაც შევყვარებივარ. მოკლედ, ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვნახულობდით და ცხადია, ერთურთს ვეხვეოდით, ვეალერსებოდით კიდეც. დაახლოებით ერთი თვის წინ გადავწყვიტე, ელენე ჩემი მშობლებისთვის გამეცნო — ვაპირებდი, დამენიშნა და ცოლად ტრადიციების მიხედვით მომეყვანა, მაგრამ როგორც კი დედას ჩემი შეყვარებული ვუჩვენე, გული წაუვიდა, მამას კი ენა მუცელში ჩაუვარდა... ელენე რომ გავაცილე, მხოლოდ ამის შემდეგ გამომიტყდნენ, რომ ის ჩემი ნახევარდა იყო: თავის დროზე მამას საყვარელი ჰყოლია და იმ ქალს მისგან შვილიც კი გაუჩენია. მიხვდით ალბათ, რომ ლაპარაკია ელენეზე, ჩემს სიყვარულზე... ამ ამბის დამალვას ვერც დედას ვაპატიებ და ვერც — მამას; მეტიც, როცა სიმართლე გავიგე, მამას ვეცი და ყელი ლამის კბილებით გამოვღადრე. თავის დროზე მათ ჩემთვის სიმართლე რომ ეთქვათ, ელენე შეიძლება, დად არ მეღიარებინა, მაგრამ სხვანაირად მაინც არ დავუწყებდი ყურებას.

— **სიმართლე ელენემაც გაიგო?**

— აბა, რა უნდა მეთქვა, რატომ გშორდები-მეთქი? სიმართლე რომ ვუთხარი, ლამის გადაირია...

— **ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ურთიერთობა საერთოდ გავწყვიტეთ, რადგანაც ერთმანეთისთვის თვალებში ჩახედვის გვრცხვენია — ჩვენ, და-ძმა ხომ ერთურთს სხვანაირად ვეფერებოდით...

**სანდრო,** *19 წლის:*

— ამ თემას გვერდი ვერ ავუარე და მინდა, ჩემ შესახებ გიამბოთ. 15 წლის ვიყავი, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემს უბანში ცხოვრობდა გოგონა — ნია, რომელიც გარეგნულად ძალიან მგავდა. თავიდან, ეს უბრალო დამთხვევა მეგონა, მაგრამ როცა გავიცანი, მის მიმართ საოცარი სითბო ვიგრძენი და ეჭვმა გამკრა, რომ ის ჩემი სისხლი და ხორცი უნდა ყოფილიყო. ცოტა ხანში ნიასაც გამოვუტყდი: ასე მგონია, და-ძმა ვართ-მეთქი. მან ბევრი იცინა და მისაყვედურა: რა გინდა, თქვა, რომ დედაჩემი ბოზია და მამაშენთან ჰქონდა ურთიერთობა? მერწმუნე, ძალიან ცდები; იმაშიც დარწმუნებული გახლავარ, რომ აყვანილი არა ვარ, რადგანაც და-ძმა მყავს და ისინიც ძალიან მგვანანო. მერე კი ვითომ გამეხუმრა: იქნებ შენ ხარ აყვანილიო, მაგრამ იქვე დასძინა: არა მგონია, დედაჩემი ისეთი უგულო იყოს, რომ გაეშვილებინე; ჩემს მშობლებს ბავშვები ძალიან უყვართო. ასე იყო თუ ისე, გადავწყვიტე გამერკვია, რაიმე ნათესაური კავშირი ხომ არ გვაერთიანებდა და საქმის გამოძიება დავიწყე. ჰოდა, დიდი წვალების შემდეგ დედა გამოვტეხე, რომ აყვანილი ვიყავი. მან მითხრა: მე და მამაშენი შვილის ყოლაზე დიდხანს ვოცნებობდით, მაგრამ ეს ოცნება ოცნებადვე დარჩა. მერე ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც სამშობიაროში მუშაობდა, შენი თავი მომიყვანა და მითხრა: — ეს პატარა ბიოლოგიურმა მშობლებმა გაჩენისთანავე მიატოვეს და იქნებ შენ გაზარდოო. მე და მამაშენი ღვთის წყალობაზე უარს როგორ ვიტყოდით? ჰოდა, დაგიტოვეთ და გაგზარდეთ, წლების შემდეგ კი ქვეყნიერებას შენი დაიკოც მოევლინაო. სიმართლემ ლამის ჭკუიდან შემშალა და მშობლებს დავემუქრე: ან მეტყვით, ვინ არიან ჩემი ბიოლოგიური მშობლები, ან ყელს გამოვ-

იჭრი-მეთქი. ორივემ დაიფიცა: არ ვიცით, ვინ არიან, რადგან მათ არასდროს შევხვედრივართო. სამწუხაროდ, დედაჩემის ბიძაშვილიც უკვე გარდაცვლილი გახლდათ და ცხადია, ბიოლოგიური მშობლების შესახებ ინფორმაციას ვერც ის მოგვაწვდიდა. დედ-მამას ვუთხარი: ვიცნობ გოგონას, რომელიც ძალიან მგავს. მის მშობლებთან მივალ, დაველაპარაკები და იქნებ მათ მაინც მითხრან რაიმე ხელმოსაჭიდი. თქვენც თუ გამომყვებით, მადლიერი დაგრჩებით-მეთქი. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, გამომყვნენ. ნიას მშობლებთან რომ მივედით, დედამისმა ტირილი დაიწყო, მერე კი სიმართლეშიც იოლად გამოგვიტყდა. აღმოჩნდა, რომ ნია ჩემი დაიკო იყო. თურმე, მე და ის ლალის (ასე ჰქვია ჩემს ბიოლოგიურ დედას) პირველი ქმრისგან ვეყოლეთ. ჩემზე ფეხმძიმედ ყოფილა, როცა მეორედ გათხოვდა, მის საქმროს კი მომავალი მეუღლისთვის ულტიმატუმი წაუყენებია: ცოლად მოგიყვან და შენს გოგონას ვიშვილებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუცელს მოიშლი. იმ კაცის მეორე შვილსაც ვერ გავზრდი, მე ჩემი ღვიძლი შვილები მინდაო. ლალის მომავალი მეუღლე ისე ჰყვარებია, რომ ჩემი თავიდან მოცილება იმწამსვე გადაუწყვეტია, მაგრამ ვინაიდან 5 თვის ფეხმძიმე გახლდათ, ექიმებს მისთვის აბორტი არ გაუკეთებიათ — ანუ იძულებული გახდა, გავეჩინე, მაგრამ ქვეყნიერებას მოვევლინე თუ არა, გამაშვილა. ეს ამბავი რომ გავიგე, ლალის პირში მივახალე: საზიზღარი ადამიანი, კაცს დახარბებული ქალი ხარ და იცოდე, ჩემი ცოდვით ვერ გაიხარებ-მეთქი, მერე კი იმ სახლიდან გიჟივით გამოვვარდი... ახლა ისევ გამზრდელებთან ერთად ვცხოვრობ, ბიოლოგიურ დედმამას კი არ ვაღიარებ. სამაგიეროდ, ბედნიერი ვარ იმით, რომ მყავს ისეთი დაიკო, როგორიც ნიაა. სხვათა შორის, მის და-ძმასთანაც (არ მინდა ვთქვა, რომ ისინი ჩემი ნახევარდაძმა არიან) კარგი ურთიერთობა მაქვს.

— **იმ დღის შემდეგ ბიოლოგიურ დედას შენი ნახვა, შვილთან საერთო ენის გამონახვა არ უცდია?**

— მხოლოდ ერთხელ დამირეკა და მთხოვა, მენახა, მაგრამ ისეთები ვუთხარი, ჩემთან ლაპარაკს ვეღარასდროს გაბედავს. არაფერში მჭირდება ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, რომელმაც უდანაშაულო პატარა გადასაგდებად გაიმეტა. მადლობა უფალს, რომ გვერდით მყავნან ისეთი პატიოსანი და თბილი ადამიანები, როგორებიც ჩემი ნამდვილი დედ-მამა არიან...

**ლიფსო:**

— არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ მე მაინც მოგიყვებით: ერთი ძალიან სიმპათიური ძმაკაცი მყავს. სანდრიკა მამამ მაშინ მიატოვა, როცა ის 3 წლის იყო. რა ექნა დედამისს, შვილისთვის ხომ უნდა მიეხედა? ჰოდა, ვინაიდან სამსახური ვერ იშოვა და დამხმარეც არავინ ჰყავდა, ადგა და ცირკთან დაიწყო სიარული — „იტოგში“, ბოზობდა, რა... წლების შემდეგ, უკვე დავაჟკაცებულმა სანდრიკამ მეგობრებს გვახარა: ბიჭებო, ერთი გოგო მიყვარს და ის უეჭველად, თქვენც უნდა გაგაცნოთო. მართლაც, მან „ლოვე“ ჩვენც გაგვაცნო და დედასაც წარუდგინა მისი თავი. დადგა დრო, როცა შეყვარებული წყვილის მშობლებსაც უნდა გაეცნოთ ერთმანეთი. როცა სანდრიკამ დედა ანას სახლში მიიყვანა, ქალს ენა მუცელში ჩაუვარდა: ანას მამა მისი ძველი კლიენტი აღმოჩნდა, რომლისგანაც შვილიც ეყოლა და რომელზეც უარი თავადვე უთქვამს. ცნობისათვის, მაშინ ანას მამა უცოლო ყოფილა და... სანდრიკას დედა ისე მოქცეულა, ვითომც არაფერი და არც იმ ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ უთქვამს შვილისთვის რაიმე; აი, ანას მამამ კი გოგონას ისეთები უთხრა, რომ მას არა მარტო სადედამთილო, შეყვარებულიც შეაძულა. ჰოდა, გოგომ „ლოვეს“ მეორე დღესვე, სიმართლე პირში მიახალა და დაშორდა. იმ დღეს სანდრიკა დედას მაგრად ეჩხუბა, გამოლანძღა და შინიდან წამოვიდა. ამ ამბის შემდეგ წლები გავიდა. სანდრიკას ანა ახლაც უყვარს, მაგრამ რას გააწყობს?.. P.S. რამდენიმე თვეში ანა გათხოვდა, სანდრიკამ კი თავის მოკვლა ორჯერ სცადა: ერთხელ ჩვენ და ერთხელაც, პატრულმა გადაარჩინა“.

**ანანო,** *17 წლის:*

— რამდენიმე თვის წინ მეც ვიპოვე დედმამიშვილები. თურმე დედაჩემს ჩემ გარდა კიდევ 5 შვილი ჰყავდა და ჩემი გაჩენა არ უნდოდა, მაგრამ ვინაიდან ამ ქვეყანას მაინც მოვევლინე, ჩემს მოკვლას ამჯობინა, გავეშვილებინე და ამის სანაცვლოდ, ხელიც მოეთბო. ჩემი გამზრდელი დედ-მამა არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. ისინი არც სითბოს მაკლებენ და არც — ყურადღებას, მაგრამ როცა გავიგე, რომ ჩემი ბიოლოგიური მშობლები არ იყვნენ, უმადურობა გამოვიჩინე და ჯერ ორივე გამოვლანძღე, შემდეგ კი ნამდვილი დედ-მამის ძებნა დავიწყე.

— **ვინ გითხრა, რომ ნაშვილები იყავი?**

— დაქალმა, რომელსაც დად მივიჩნევდი. ერთხელ, მე და მას ჩხუბი მოგვივიდა და სწორედ ამ დროს წამომაძახა: თავი დიდი ვინმე რომ გგონია, სინამდვილეში, აყვანილი ხარ; შე საწყალო, ისიც კი არ იცი, დედაშენი ვინააო. მისმა სიტყვებმა გული მატკინა და სასწრაფოდ შინისკენ გავიქეცი. დიდხანს ვფიქრობდი, ეს ყველაფერი უნდა დამეჯერებინა თუ არა, მაგრამ მერე, როცა ეჭვებმა შემაწუხა, მშობლებს ვუთხარი: გთხოვთ, სიმართლე არ დამიმალოთ; მე მაქვს უფლება, ვიცოდე, ვინ არიან ჩემი ბიოლოგიური მშობლები-მეთქი. სიმართლის გაგება მტკივნეული აღმოჩნდა. გადავწყვიტე, ჩემი ნამდვილი ოჯახი გამეცნო და გამზრდელებს მოვთხოვე, ბიოლოგიურ დედ-მამასთან მივეყვანე.

— **ადვილად დაგთანხმდნენ?**

— მათთვის ჩემი სიტყვა ყოველთვის კანონი იყო და არც ამჯერად გამაწბილეს. გამზრდელებმა მეზობელ რაიონში, ორსართულიან სახლში მიმიყვანეს, სადაც უცნობი ადამიანების თვალები გაკვირვებით მომაშტერდნენ, რადგანაც მათი ოჯახის დიასახლისს ანუ ჩემს ბიოლოგიურ დედას გაჭრილი ვაშლივით ვგავდი. როდესაც ჩემმა და-ძმებმა სიმართლე შეიტყვეს, დედას მოსთხოვეს აეხსნა, რატომ გამიმეტა გასაშვილებლად; გიორგიმ, ჩემმა უფროსმა ძმამ მას უსაყვედურა კიდეც: სადაც ჩვენ გაგვზარდეთ, იქ ამ ერთი გოგოს გაზრდა რა ისეთი ტვირთი იქნებოდა, რომ ვერ გეზიდათო? ბიოლოგიური მამა — გივი შინ არ იყო და სწორედ იმ დროს შემოგვისწრო, როცა მისი მეუღლე აღსარებას გვაბარებდა: გივის არ უნდოდა, შვილი კიდევ გვყოლოდა, მაგრამ როცა მუცელი გამეზარდა და მივხვდი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, ნაყოფის მოშორებაც ვერ შევძელი, რადგან უკვე 6 თვის ფეხმძიმე გახლდით. ჰოდა, ქმრისგან მთელი ცხოვრების განმავლობაში საყვედური რომ არ მომესმინა, გადავწყვიტე, ადრე თუ გვიან, ეს ბავშვი თავიდან მაინც მომეცილებინა. მოკლედ, გივიმ არც იცის, გოგონა რომ გავაშვილე. მას დღემდე ჰგონია, რომ ჩვილი დაბადებისთანავე გარდაიცვალა და სიმართლე ახლა რომ გაიგოს, შეიძლება, მომკლას კიდეცო. სწორედ ამ დროს კარი გაიღო, ოთახში ჭარხალივით გაწითლებული კაცი შემოვარდა და ცოლს კისერში ეცა, მისი დახრჩობა უნდოდა. ძლივს გააშველეს. როცა გონს მოვიდა, კაცმა შემომხედა, ჩემს ფეხებთან დაიჩოქა და აზლუქუნდა, პა-

ტიებას მთხოვდა. ამ ყველაფრის მოსმენისა და ნახვის შემდეგ, იმ ოჯახიდან გაქცევა მომინდა, სადაც წესით, უნდა გავზრდილიყავი. ჰოდა, გამზრდელებს ჩავჭიდე ხელი და ავყვირდი: აქედან წამიყვანეთ, თქვენ გარდა მშობლები არ მყავს-მეთქი... რამდენიმე დღე დამჭირდა გონს მოსასვლელად და ყველაფრის გასაანალიზებლად. მთელი ამ დროის მანძილზე გამზრდელი დედ-მამა გვერდით მედგა, მამხნევებდა და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ცდილობდნენ, ჩემი ბიოლოგიური მშობლების საქციელისთვის ახსნა მოეძებნათ... ერთი კვირის თავზე და-ძმებმა მომაკითხეს და მითხრეს: გასაგებია, რომ მშობლებს ვერ აპატიებ, მაგრამ ჩვენ ხომ შენთვის არაფერი დაგვიშავებია? გთხოვთ, ჩვენ მაინც ნუ გვკრავ ხელს, შენ გვერდით გვიგულეო. ვიდრე რაიმეს ვიტყოდი, მათ მამაჩემმა უთხრა: ანანოს ახლა გონს მოსვლა სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რაღაც პერიოდის შემდეგ აუცილებლად დაგიკავშირდებათ. ვინაიდან ის ჩვენი ერთადერთი შვილი ანუ დედმამიშვილებს დანატრებულია, მჯერა, თქვენ ხელს ვერ გკრავთ. ჰოდა, იცოდეთ, ჩვენც მშობლებად გვიგულეთ და როცა გენებოთ, გვესტუმრეთო. ამ სიტყვების გამო მისი უზომოდ მადლიერი ვარ; მამას მათთვის ეს რომ არ ეთქვა, მე ვერასდროს გავბედავდი, იმ ბავშვებისთვის და-ძმები მეწოდებინა... ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან მყავს საყვარელი დედა, მამა და ნანატრი და-ძმები. რაც შეეხება ბიოლოგიურ მშობლებს, მათი სახელის გაგონებაც კი არ მსურს...

**— დარწმუნებული ხარ, რომ მათ შეცდომას ვერასდროს აპატიებ?**

— შეიძლება, ოდესმე ბიოლოგიურ მამას ვაპატიო ის, რომ ჩემი ჩასახვის სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ დედას, რომელმაც გამაშვილა მხოლოდ იმიტომ, რომ ქმარს მისთვის საყვედური არ ეთქვა, რომელმაც დასაკლავი ხარივით გამყიდა, ამ საქციელს ვერასდროს ვაპატიებ. ის კი არა, და-ძმებიც ძლივს დავითანხმე, მშობელი დედა რომ არ მიეტოვებინათ. ბოლოს და ბოლოს, იმ ქალს მათთვის ხომ არაფერი დაუშავებია?!.

**დათო,** *21 წლის:*

— 20 წლის ვიყავი, როცა ჩვენს სახლში ვიღაც კაცი მოვიდა და მე და ჩემს დას გამოგვიცხადა: თქვენი დედმამიშვილი ვარ და იმედია, მიმიღებთო. თავიდან გვეგონა, გვეხუმრებოდა, მაგრამ როცა დედ-მამას დავუძახეთ და მოვთხოვეთ აეხსნათ, თუ ვინ იყო სტუმრად მოსული მამაკაცი და რა საერთო ჰქონდა ჩვენს ოჯახთან, დედას ტირილი აუტყდა. როგორც აღმოჩნდა, მას სტუმრად მოსული მამაკაცი ჯერ კიდევ მაშინ გაუშვილებია, ვიდრე მამაჩვენს გაჰყვებოდა ცოლად. ცხადია, ნახევარძმა მივიღეთ და დედასაც ყველაფერი ვაპატიეთ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა გავიგეთ, რომ თავის დროზე მას კიდევ ერთი შვილი — მარინე გაუსხვისებია, მე და ჩემმა დამ სულ ცოფები ვყარეთ.

**— მისი არსებობის შესახებ საიდან შეიტყვეთ?**

— მას შემდეგ, რაც ჩვენს ცხოვრებაში მამუკა ანუ ჩემი ნახევარძმა გამოჩნდა, დედას თურმე, მარინეს დაბრუნების სურვილიც გაუჩნდა; მას ეგონა, კიდევ ერთ დედმამიშვილს ჩვეულებრივად, ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე მივიღებდით და მარინეც ბედნიერი იქნებოდა ბიოლოგიური დედის პოვნით, მაგრამ მწარედ შეცდა... ერთ დღეს ის მარინეს გამზრდელებს ესტუმრა და განუცხადა, — ეს გოგო ჩემი შვილია და აუცილებლად უნდა ვუთხრა, რომ მათი ბიოლოგიური მშობელი ვარო. მეორე ოთახში მყოფ მარინეს ეს ყველაფერი გაუგონია და უცხო ადამიანს პირში მიახალა: შეიძლება მართლაც თქვენი ბიოლოგიური შვილი ვარ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. იცოდეთ, ჩემი ნამდვილი დედმამა ის ადამიანები არიან, რომლებმაც გამზარდეს, თქვენ კი ძალიან გთხოვთ, საიდანაც მობრძანდით, ისევ იქ დაბრუნდეთ და ჩემი სახელის ხსენებაც კი აღარასდროს გაბედოთო. მართალია, იმ დღეს მარინემ დედა გამოაძევა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ დაინტერესებულა, და ან ძმა ხომ არ მყავსო და როცა ჩვენ შესახებ შეიტყო, ცდუნებამ სძლია და გაგვეცნო.

**— ახლა მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ძალიან კარგი! ის ჩვენი ლვიძლი და — ანუ მამაჩემის შვილიცაა. მშობლების თქმით, მარინე თურმე, მხოლოდ იმიტომ გააშვილეს, რომ მატერიალურად უჭირდათ. მე და ჩემმა დამ მათ ეს დღემდე ვერ ვაპატიეთ და საცხოვრებლად ჯერ ბებია-ბაბუასთან გადავედით, მერე კი — ნახევარძმასთან. მადლობა უფალს იმისთვის, რომ შესანიშნავი დედმამიშვილები ვიპოვე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ძმისგან განსხვავებით, მშობლებს ვერასდროს ვაპატიებ, თავის დროზე უდანაშაულო პატარები ბუდიდან რომ მოიშორეს.

*P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: აცხადებული სიზმარი. თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე:* lika.qajaia@gmail.com. ■

# „არ მინდა, ოჯახი თავზე დამენგრეს“

**უცნობი,** *15 წლის:*

„რამდენიმე თვეში 16 წლის გავხდები. მყავს არაჩვეულებრივი შეყვარებული, რომელიც ჩემზე 2 წლით უფროსია. ის ცოლობას მთხოვს, მაგრამ მე თავს ვიკავებ — არ მინდა ვიჩქარო და მერე ოჯახი თავზე დამენგრეს... ჩვენმა მშობლებმა იციან, ერთმანეთი რომ გვიყვარს და ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ დედამ ის რომ გაიგოს, უკვე გათხოვებაზე ვფიქრობ, შეიძლება გამპუტოს კიდეც... შეყვარებული ხშირად მეუბნება, — თუ არ მიმატოვებ და ცოლობაზე უარს არ მეტყვი, გამაბედნიერებ. იცოდე, შენ გამო „მეტაჭკედაც“ ვიმუშავებო. მან სიყვარული არაერთხელ დამიმტკიცა და მჯერა, რომ ჩემ გამო მართლა ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ... თქვენი აზრით, ამ ასაკში რომ გავთხოვდე, ოჯახი აუცილებლად დამენგრევა? P.S. ბედნიერი ვარ, ჩემნაირი ცანცარა გოგო ისეთმა სერიოზულმა და ძალიან ჭკვიანმა ბიჭმა რომ შეიყვარა, როგორიც ჩემი რჩეულია“. ■

# „რა დავარქვა გრძნობას, რომელიც მისკენ მექაჩება?“

**ნინი,** *18 წლის:*

„გამარჯობა. თქვენი დახმარება მჭირდება. მემესიჯება 33 წლის ბიჭი. მართალია, ის არასდროს მინახავს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენ ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებთ. არ ვიცი, რა დავარქვა გრძნობას, რომელიც მისკენ მექაჩება. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, ვნახო თუ არა? თქვენ გჯერათ ვირტუალური სიყვარულის? წინასწარ გიხდით მადლობას“.

***P.S. გაშ ასე, თუ უცნობისა და ნინოს წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*** ■



# სამყარო

# რჩევები ზღვის, მზისა და გარუჯვის მოყვარულთათვის

**ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად აქტიური სამზადისი იწყება, თუ სად და როგორ გავირუჯოთ. ეს, ერთი შეხედვით სასიამოვნო პროცესი კანისთვის საზიანოდ რომ არ გადაგვექცეს, მზის აბაზანის მიღებისას შესაბამისი წესები უნდა დავიცვათ. ამ საკითხთან დაკავშირებით რჩევებს თბილისის დერმატოვენეროლოგიის ასოციაციის თავმჯდომარე სოსო კოზაჩიძე გვაძლევს.**

*თამთა დადეშელი*



**— ყოველწლიურად გვაფრთხილებენ მომატებული რადიაციის შესახებ და გვირჩევენ, ულტრაიისფერ სხივებს მოვერიდოთ. თქვენ, როგორც კანის სპეციალისტი, რა რჩევებს მოგვცემთ ამასთან დაკავშირებით?**

— საქმე ისაა, რომ ზოგადად გარუჯვა — კანის ტრავმატიზაციაა, რადგან, როდესაც კანის მექანიკური ტრავმირება ხდება, კანი წითლდება, გარუჯვისას კი — შავდება, რაც მისი დაცვითი რეაქციაა და ეს არანაირი სიჯანსაღის მომტანი არ არის. მაგრამ რადგან ადამიანებს ძალიან მოსწონთ, დასაშვებია, ოღონდ არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც გარუჯვის დროს უნდა დაიცვათ. გარუჯვისას ორგანიზმის გადახურება ხდება, ულტრაიისფერი გამოსხივების ჭარბი დოზით მიღება და ა.შ. ოზონის შრის გათხელებასთან და გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, რადიაციის დონე იმატებს, ეს ყოველთვის ასე იყო და ასე გაგრძელდება.

**— რა წესები უნდა დავიცვათ გარუჯვისას?**

— პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ როდესაც მზე ზენიტშია (როცა საკუთარი ჩრდილი ტანზე მოკლეა) — 12-დან 3 საათამდე, მეტი სხივი მოდის და ოზონის შრეში მისი გარდატეხა არ ხდება, ამიტომ, უფრო მეტი დასხივება და დამწვრობა შეიძლება მიიღოთ, კანის ტრავმატიზაციის საფრთხე მეტია. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მზისგან დამცავი საშუალებები, რომლებიც ყველა კანისთვის ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. 4 ტიპის კანი არსებობს, მნიშვნელობა აქვს თმისა და თვალის ფერსაც. მაგალითად, წითური ადამიანების კანი უფრო მგრძნობიარეა და მაქსიმალურად უნდა დაიცვან. საერთაშორისო სტანდარტია SPF, რომელიც მზისგან დამცავ ყველა კრემზე უნდა იყოს მითითებული და რაც უფრო მაღალია მისი ნომერი, მით უფრო დიდხანს შეიძლება გარუჯვა (რა თქმა უნდა, არა იმ დროს, როცა მზე ზენიტშია). კრემის გარეშე მზეზე ყოფნა 5 წუთი შეგიძლიათ, თუ SPF10 ნომერს იხმართ — 50 წუთი.

**— მსგავსი კრემები თითქოს შედარებით აფერხებს გარუჯვის პროცესს...**

— არა, გარუჯვა ყველა შემთხვევაში ხდება, ულტრაიისფერი გამოსხივება მაინც არის. მაგალითად, ზოგს ჰგონია, ქოლგის ქვეშ რომ დაჯდება ან ღრუბლიანი დღეა, „ზაგარს“ ვერ იღებს. ეს მცდარი აზრია.

**— მზისგან დამცავი კრემების საკმაოდ დიდი არჩევანია, რას გვირჩევთ, სად შევიძინოთ ისინი და კანისთვის რამდენად მავნეა იაფფასიანი ანალოგები?**

— გააჩნია, ფასი ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს. ძვირფასი ბრენდები 100-200 ლარიც კი ღირს, მაგრამ არ არის აუცილებელი, ძალიან ძვირად ღირებული კრემები ვიხმაროთ. აფთიაქებსა და პარფიუმერიულ მაღაზიებში საკმაოდ კარგი ხარისხისა და ხელმისაწვდომი ფასის მქონე სამედიცინო კოსმეტიკაა და ნებისმიერი შესაძლებლობის ადამიანს შეუძლია მათი შეძენა.

**— მშრალი და ცხიმიანი კანისთვის განსხვავებულია დამცავი კრემების სახეობა?**

— არა, მთავარია SPF ნომერი. თუ მშრალი კანი აქვს ადამიანს, უფრო სპეციფიკური საშუალებები არსებობს. შეიძლება, ჯერ დამატენიანებელი იხმაროს, ზემოდან კი მზისგან დამცავი წაისვას. სპეციალური, ბავშვის ზეთებიც კარგია.

**— გამიგონია, რომ დამატენიანებელი კრემის წასმის შემდეგ მზეზე ყოფნას ერიდებიან, რადგან თითქოს ლაქებს აჩენს.**

— არა, თუ კანი ამას მოითხოვს, დამატენიანებელი აუცილებელიცაა. თუ ადამიანს საშუალება აქვს, კარგია ორივე — გარუჯვამდე და გარუჯვის შემდგომი კრემი იყიდოს, დამცავთან ერთად. რადგან გამოშრობა მაინც ხდება. ზღვის აბაზანის შემდეგ წყალი უნდა გადაივლოთ და მკვებავი წაისვათ. სასურველია, წყლიდან ამოსვლისას წვეთები შეიმშრალოთ, რადგან, როგორც გამადიდებელი შუშის ქვეშ, კონცენტრირებული მზის სხივი მხოლოდ ერთ ადგილას ხვდება და შეიძლება, დამწვრობა წარმოიქმნას.

**— ზოგიერთი გოგონა გარუჯვას ლუდის ან გაზიანი სასმლის წასმით ცდილობს — ეს კანისთვის საზიანო ხომ არ არის?**

— ზიანი არ მოაქვს, მაგრამ არც — სარგებლობა, რადგან დამატენიანებელი ეფექტი არ გააჩნია. ზოგი სტა-

ფილოს წვენს სვამს, მასში კაროტინის შემცველობა მეტია და გარუჯვას აიოლებს. ეს უფრო მისაღებია.

— **როდესაც კანი დამწვრობას იღებს ან ბუშტები ჩნდება, როგორ უნდა ვუმკურნალოთ, თუ სპეციალისტთან ვიზიტის საშუალება არ არის?**

— როცა ბუშტები ჩნდება, ეს უკვე დამწვრობის ხარისხია და ექიმს უნდა ვუჩვენოთ. ჩვეულებრივ გაწითლებაზე გამაგრილებელი საშუალებები უნდა გამოვიყენოთ, ცივი წყლით დავამუშაოთ, ბევრი სითხე მივიღოთ და ნებისმიერი დამატენიანებელი წავისვათ. ისე, ჯობია, თავიდან ავიცილოთ, ვიდრე ვუმკურნალოთ. ზოგი მაწონს ისვამს. თუ ქავილის შეგრძნებაა — ანტიჰისტამინურებია საჭირო, ხოლო სითბური დაზიანებისას, მზის დარტყმისას, აუცილებლად ანალგეტიკები უნდა მივიღოთ, მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში, რა თქმა უნდა — სიცხის დამწევები.

— **ზოგჯერ დაბინძურებული წყალი კანზე ალერგიასა და გამონაყარს იწვევს. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— ასეთ დროს ჯობს, წყალს მოვერიდოთ, სახლში მისვლისთანავე დავიბანოთ; თუ კანი ძალიანაა გაღიზიანებული, სპეციალისტს მივმართოთ. როგორც ვიცი, შავ ზღვაზე ეს პრობლემა არ უნდა იყოს, თუმცა ზოგიერთ მდინარეზე — შესაძლებელია. ამას შესაბამისი სამსახურები აკონტროლებენ.

— **რა იწვევს გარუჯვის შემდეგ კანზე მოყავისფრო ან თეთრი ლაქების გაჩენას?**

— არსებობს ზედაპირული სოკო, რომელიც კანზე ბუნებრივად ბინადრობს. მისი მკურნალობა გარუჯვამდე უნდა მოხდეს: როცა დასხივდება, სხვადასხვა ფერს იღებს. ეს კანის სოკოვანი დაავადებაა, რომელსაც მკურნალობა სჭირდება.

— **მკურნალობას იოლად ექვემდებარება?**

— დიახ და მერე უკვე გარუჯვა შეიძლება. თუ კანმა დეპიგმენტაცია განიცადა, გამოკვლევაა საჭირო. მაგალითად, ზოგი კონტრაცეპტივებს ან ანტიბიოტიკებს იღებს, ასეთ დროს კი გარუჯვა არ არის რეკომენდებული; ასევე — პლაჟზე გასვლამდე სუნამოს დაპკურება, რადგან ის ლაქად დააჩნდება კანს. თუ ადამიანი ალერგიულია, ერთხელ მაინც მიუღია მზის დარტყმა ან დამწვრობა, სასურველია, კონსულტაცია სპეციალისტთან გაიაროს (არ არის აუცილებელი, ექიმთან, შესაძლოა კოსმეტოლოგი ან აფთიაქში მომუშავე კონსულტანტი იყოს, სამედიცინო განათლებით). ■

# თვალები სულის სარკეა

**მართლაც — ისე არაფერი გამოხატავს ადამიანის ფიზიკურ თუ სულიერ სილამაზეს, როგორც თვალები. თვალები ოდითგანვე ქალის მომხიბვლელობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. მამაკაცთა უმრავლესობას, ქალი სწორედ ლამაზი თვალების გამო უყვარდება. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფერს, სიდიდეს და ჭრილის ფორმას, არამედ თვალების სიკაშკაშეს. სამწუხაროდ, ლამაზ თვალებს ხშირად ლაზათს უკარგავს ჩამქრალი, დაღლილი გამოხედვა, ანთებითი პროცესები, შესივებული ქუთუთოები და ჩაშავებული უპეები. არადა, ლამაზ, მბრწყინავ, მეტყველ თვალებს არაფრით გამორჩეული სახის გალამაზებაც კი შეუძლია.**

**გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც თქვენს თვალებს ბრწყინვალებასა და სილამაზეს შემატებს:**



• ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე, თვალები ჩაის მაგარი ნაყენით გამოირეცხეთ. ეს სიწითლისა და დაღლილობის შეგრძნებას მოგიხსნით;

• შესივებულ, ჩაშავებულ უპეებს შვლის სალბის ნაყენის კომპრესი: 1 ჩ/კ სალბს დაასხით 100 მლ მდუღარე წყალი. ჭურჭელს თავსახური დაახურეთ და 15 წუთი გააჩერეთ. ნაყენი ორად გაყავით. ერთი ნაწილი მაცივარში შედგით, მეორე კი შეათბეთ. დაასველეთ ბამბა (ცალ-ცალკე) თბილ და ცივ ნაყენებში და ძილის წინ, 10-10 წუთით მორიგეობით დაიფინეთ დახუჭულ თვალებზე.

• შესივებული უპეებისთვის ასევე ძალზე ეფექტურია ოხრახუშის ნიღაბი. წვრილად დაჭერით ცოცხალი მწვანილი და დაიდეთ უპეებზე. ზემოდან სველი დოლბანდი დაიფინეთ. ნიღაბი 15-10 წუთით გაიჩერეთ.

• ანთებით პროცესს აქრობს რძის კომპრესი. რძეში დასველებული ბამბა 5-7 წუთით, დახუჭულ თვალებზე დაიფინეთ, შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ და მატონიზებელი კრემი წაისვით.

• თვალებს სიკაშკაშესა და ბრწყინვალებას აძლევს ცაცხვისა და გვირილის ყვავილების ნაყენის საფენები. გვირილისა და ცაცხვის ნახევარ-ნახევარ კოვზ ყვავილებს დაასხით 200 გ ადუღებული წყალი და 20-30 წუთით გააჩერეთ. ამ ნაყენით ამოიბანეთ თვალები ან 5-წუთიანი კომპრესი გაიკეთეთ.

• თვალების შესივებას, უმჯობესია, კარტოფილის ნიღბით გაუმკლავდეთ. კარტოფილი კარგად გარეცხეთ და კანიანად გახეხეთ. მიღებული ფაფის ორი კოვზი აურიეთ 2 ჩ/კ ფქვილსა და 1 ს/კ რძეში. დაიდეთ თვალებზე და 15-20 წუთი გაიჩერეთ. ■

## შოკოლადიანი კექსი

**მასალად საჭიროა:**

120 გ თაფლი; 60 გ შაქრის ფხვნილი; 50 გ მარგარინი; 1 ჩ/კ საფუარი; 250 გ ფქვილი; 2 ჩ/კ დარიჩინი; 1 მწიკვი მარილი; 50 გ გარგარის ჩირი; 400 გ შოკოლადი.



**მომზადების წესი:**

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. მოათავსეთ ცომი ცხიმწასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით. ■

# რამდენიმე წარმატებული მეთოდი გათხოვების მსურველთათვის...

**გასათხოვარ ქალბატონთა უმრავლესობას ძალზე აინტერესებს, როგორ უნდა მოიქცეს, სასურველმა მამაკაცმა ხელი და გული რომ სთხოვოს. არსებობს რამდენიმე შედარებით გავრცელებული სტრატეგია, რომლის გათვალისწინებაც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.**



### ყველაზე გავრცელებული სტრატეგია

თქვენს რჩეულს სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა ელაპარაკოთ მომავალ ქორწინებაზე: თუკი მამაკაცს გადაწყვეტილების მიღება უჭირს, ინიციატივა თავად უნდა გამოიჩინოთ და უთხრათ, რომ ქორწილის დღესა და მენდელსონის მარშის მოსმენაზე ოცნებობთ. როცა ადამიანს ერთსა და იმავეს დაჟინებით უმეორებენ, ის ან თანხმდება წინადადებას ან საერთოდ წყვეტს ურთიერთობას აბეზართან. ასე რომ, სანამ ამ მეთოდს მიმართავდეთ, სათანადოდ უნდა დარწმუნდეთ საკუთარი პოზიციის სიმყარეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ.

### მეორე – წარმატებული მეთოდი

მამაკაცს თავი ისე უნდა შეაჩვიოთ, რომ ვერასოდეს დაგივიწყოთ: თქვენ მისთვის ერთადერთი და განუმეორებელი, ამქვეყნად ყველაზე სასურველი და მშვენიერი უნდა იყოთ. მაგრამ ამავდროულად, ხანდახან, შეუვალი და მიუწვდომელი ქალის ნიღაბი უნდა აიფაროთ და თქვენთვის სასურველი კანდიდატი ცოტათი გააწვალოთ კიდეც. ერთი სიტყვით, ისე უნდა მოიქცეთ, რომ გამუდმებით დაძაბული იყოს და თქვენი დაკარგვის შიში მოსვენებას არ აძლევდეს.

### მესამე – ანუ „შოლტის“ მეთოდი

ქალთა უმეტესობას ნებისმიერ წვრილმანზე გაბუტვა სჩვევია. ზოგიერთი კი ისე ოსტატურად ირგებს განაწყენებული ქალის როლს, რომ მიზნის მიღწევას თითქმის უპრობლემოდ ახერხებს. ოღონდ ამგვარი სტრატეგია მხოლოდ მაშინ ამართლებს, თუკი თქვენი რჩეული — უკვე „მოთვინიერებული“ და თქვენი კაპრიზების შესრულებასაც მიჩვეულია.

მაგრამ არსებობენ ქალები, რომლებიც მამაკაცების დასაპყრობად სულ სხვა მეთოდებს მიმართავენ:

სუსტი, უმწეო ქალი ყოველთვის იწვევდა ისეთი მამაკაცის თანაგრძნობას, რომელსაც სხვაზე ზრუნვა ცხოვრების წესად აქვს ქცეული. როცა ქალი სამოქმედოდ ამგვარ სტრატეგიას ირჩევს, „მზრუნველი“ მამაკაცი უმეტეს შემთხვევაში, გულსა და ხელს მას სთავაზობს.

ზოგიერთ მამაკაცს, მისით აღტაცებული აღფრთოვანებული ქალის დანახვა ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. დიახ, მას უყვარს, როცა ხოტბას ასხამენ, ყოველთვის ყველაფერში ეთანხმებიან და მის ნებისმიერ წამოწყებას მხარს უჭერენ. თუკი თქვენი გული ამ კატეგორიის მამაკაცმა დაიპყრო, ეს აბზაცი კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ და თავად მიხვდებით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ.

არიან მამაკაცები, რომელთაც ძალზე იზიდავს ინტელექტუალი ქალბატონების საზოგადოება. ამ კატეგორიის მამაკაცს კმაყოფილებას ანიჭებს აშკარა უპირატესობა იმ მამაკცებთან შედარებით, რომელთაც „სულელი“ ცოლები ჰყავთ. ასე რომ, თუკი მიგაჩნიათ, რომ ნაკითხი, ერუდირებული ქალბატონი ბრძანდებით, თამამად შეგიძლიათ, „ინტელექტუალი ქალების მოყვარული“ მამაკაცის ცოლობაზე იქონიოთ პრეტენზია.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გადაწყვეტილების მიღებამდე ასჯერ უნდა გაზომოთ და ერთხელ გაჭრათ! მართალია, ცოლქმრული ცხოვრება დაფუძნებულია სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და ერთგულებაზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთგაგება და საერთო ინტერესების არსებობა. ამიტომ, ეცადეთ გაუწიოთ თქვენს რჩეულს ღირსეული მეგობრობა, გაიზიაროთ მისი სიხარული, გაითავისოთ პრობლემები... რათა მისთვის მართლაც „მეორე ნახევრად“ იქცეთ. ■

### ჰერკულესის კატლეტი



2 ჩაის ჭიქა ჰერკულესი ჩაყარეთ ღრმა ჭურჭელში და დაასხით მდუღარე წყალი ისე, რომ ფარავდეს და დაახურეთ თავსახური.

სახეხზე გახეხეთ 1 საშუალო თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი (სურვილისამებრ, შეგიძლიათ სტაფილოც); წვრილად დაჭრით ქინძი და ოხრახუში და დაუმატეთ უკვე გაფუებულ ჰერკულესს, მოაყარეთ შავი პილპილი და მარილი. აურიეთ კარგად, მოამზადეთ პატარა კატლეტები და შეწვით ზეთმოსხმულ ტაფაში. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა

# ამერიკის ქიმიური მრეწველობის ქართველი მეფე

**ამერიკა რომ ცათამბჯენების ქვეყანაა, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ცათამბჯენების ასაშენებლად საჭირო უმთავრესი მასალის — ე.წ. ზემდგრადი მინა-ბლოკისა და წყალგამძლე ცემენტის გამომგონებელი ქართველი იყო, რომელსაც ოკეანის გაღმა ჯორჯ კობის სახელით იცნობდნენ.**

*მიხეილ ლაბაძე*



გრიგოლ (გიგა) კობახიძე, იგივე ჯორჯ კობი

გასული საუკუნის 20-იან წლებში ჯორჯ კობი, იგივე გრიგოლ (გიგა) კობახიძე ამერიკის უმდიდრეს ადამიანთა ათეულში ზედიზედ რამდენჯერმეც კი მოხვდა, რაც იმხანად დიდი სენსაცია იყო. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა გამოგონებებისა, გრიგოლ კობახიძეს სხვა რამეებიც ეხერხებოდა: პირველად საყოველთაო აღიარება მან — არც მეტი, არც ნაკლები — მიუნხენში ცირკის არენაზე მოიპოვა. მაშინ კლასიკურ ჭიდაობას მისდევდა და არათუ სხვებს, არამედ თავადაც ვერ წარმოედგინა, რომ გავიდოდა წლები და სულ სხვა სფეროში მოიხვეჭდა სახელს. სხვათა შორის, შემდგომში თავადვე აღნიშნავდა, რომ ქიმიურ მრეწველობაში დამკვიდრება სწორედ ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების წყალობით შეძლო — ჯორჯ კობი ძალიან ბევრს მუშაობდა და ხშირად, ლაბორატორიაში ღამესაც კი ათენებდა.

ყველაფერი კი ისე დაიწყო, როგორც სათავგადასავლო წიგნებშია ხოლმე — რაჭის სოფელ თხმორში, გლეხის — დავით კობახიძის ოჯახში დაბადებულ ბიჭს გულმა სახლიდან შორს, თავგადასავლების საძიებლად გაუწია. ჰოდა, დაკრა ფეხი და გამოიქცა. მაშინ გიგა 10 წლის იყო. თავის უფროს ძმას შენატროდა, ბორჯომში, ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე რომ მუშაობდა და თავადაც ორთქლმავლის მემანქანეობაზე ოცნებობდა. მშობლიური სოფლიდან ბორჯომისკენ ფეხით გამოემართა. მგზავრობის დროსაც უამრავი რამ გადახდა თავს — ოკრიბისკენ მიმავალს, აბრაგები შემოეყარნენ. მათმა მეთაურმა ბიჭუნას ოცნებების შესახებ რომ შეიტყო, ერთი გადაიხარხარა, მერე ჯიბიდან 10 ოქროს მანეთიანი ამოიღო და მუჭში ჩაუჩხრიალა: — წადი, ბიძია, კაცი გამოდი და მერე კი შენ იცი, მეც გამიხსენეო. აბრაგის ნაჩუქარი ფულით ქუთაისამდე ჩააღწია, მაგრამ იქ ერთ გულღრძო მედუქნეს შეშურდა მისი: პატარა გიგა მისსავე თანატოლებს ქუჩაში აცემინა და ოქროს მანეთიანებს თავად დაეპატრონა. თანატოლებისგან გაძარცული და გამეტებული რაჭველი ბიჭი ქუჩაში მეპურეებმა იპოვეს და შეიფარეს. „რაჭველის საქმე პურის ცხობაა. ღვთის მადლით, ხელობას ქვე გასწავლით, დარჩი აქანა და იმუშავე!“ — უთხრა ერთ-ერთმა. მაგრამ გიგას ეს საქმე არ იზიდავდა. გულკეთილ მეპურეებთან მხოლოდ ორი ღამე გაათია, მერე კი ბორჯომისკენ განაგრძო გზა. შეუპოვრობის წყალობით, ყველა დაბრკოლება გადალახა და უფროს ძმას — ლეონტისაც მიაგნო. ის კინაღამ გადაირია და მოულოდნელად გამოცხადებულ გიგას შინ დაბრუნება დაუპირა, მაგრამ ბიჭმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: სანამ მემანქანეობას არ ვისწავლი, ბორჯომიდან ფეხსაც არ მოვიცვლიო. რაღა უნდა ექნა ლეონტის — ოჯახში წერილი აფრინა, გიგა ჩემთან არისო და უმცროსი ძმა ერთ რუს მემანქანეს მიაბარა.

გიგა საკმაოზე მეტად ბეჯითი მოსწავლე აღმოჩნდა — ორთქლმავლის მართვაც მალე შეისწავლა და მის მოწყობილობაშიც ბრწყინვალედ გაერკვა. ერთხელ, როდესაც ლეონტისთან ერთად ორთქლმავალი მიჰყავდა, რაღაც დეტალი მწყობრიდან გამოვიდა და მატარებელი გაჩერდა. მგზავრები, მუხლის გასაშლელად, ვაგონებიდან ჩამოვიდნენ, ხოლო გიგა და მისი ძმა ორთქლმავალს დაუტრიალდნენ. სწორედ ამ დროს მათ ერთ-ერთი მგზავრთაგანი მიუახლოვდა და ჰკითხა, — დახმარება ხომ არ გჭირდებათო? იგი ოდესელი ქიმიკოსი, ვინმე სიმონოვი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოში ბორჯომის ცნობილი მინერალური წყაროების შესასწავლად ჩამოსულიყო.




ჯორჯ კობის კომპანიის მიერ გამოშვებული საშობაო ნაძვის ხის სათამაშოები

იმ დღეს, რა თქმა უნდა, ორთქლმავალიც შეაკეთეს და გზაც განაგრძეს, მაგრამ გიგას ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო — სიმონოვი ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა და იმდენი ილაპარაკა ბორჯომის წყაროებსა და ჩამომსხმელ ქარხანაზე, რომ ყმაწვილი დიდად დააინტერესა: „ბორჯომის მინერალური წყალი მეტად ფაქიზია... ამიტომაც მის შესანახად განსაკუთრებული შედგენილობის მინის დამზადებაა საჭირო“, — ამბობდა სიმონოვი და გამჭრიახ ახალგაზრდა მემანქანეს მოთმინებით უხსნიდა, თუ როგორ მზადდება მინა და რა თვისებები აქვს მას. საბოლოოდ, ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ გიგამ რკინიგზაზე მუშაობას თავი დაანება და ქარხანაში სიმონოვს მიაკითხა. მან მიიღო ყოფილი მემანქანე და ბოთლების კეთებაშიც დაასტატა. სწორედ მაშინ მიხვდა 20 წლის გიგა კობახიძე, რომ მისი ნამდვილი მოწოდება ქიმია იყო და არა სხვა რამ: „დაიმახსოვრე, ყმაწვილო: ჩვენისთანა ხალხს ადრე ჯადოქრებადაც კი ნათლავდნენ და სჯიდნენ, მაგრამ სიბნელის დამარცხება მაინც მოვახერხეთ და მაინც დავამტკიცეთ, რომ ქიმია — მეცნიერებაა! ამას მუხლჩაუხრე-

ლი შრომით მივაღწიეთ!“ — ასე ეუბნებოდა სიმონოვი ბიჭს, რომელიც ამ სიტყვებს შემდგომში ყოველთვის იხსენებდა.

ბორჯომიდან სიმონოვი ჯერ თბილისის მინის ქარხანაში გადმოიყვანეს, იქიდან კი მშობლიურ ოდესაში დააბრუნეს. გიგა, რომელსაც მინის წარმოება პრაქტიკულად უკვე კარგად შეესწავლა, თან გაჰყვა მას. ოდესის ქარხანაში ცოტა ხანს იმუშავა, მერე კი დააწინაურეს და დონბასში — დაბა კონსტანტინოვკაში გადავიდა: იქ ახალგაზრდა სპეციალისტები სჭირდებოდათ და სიმონოვმაც ურჩია, წასულიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ კონსტანტინოვკა მაშინ საშიში დასახლებაც იყო — ადგილობრივი კაზაკები ვერ იტანდნენ „უცხო რჯულის“ მუშებს და აწიოკებდნენ; ცხადია, ისინიც ანალოგიურად პასუხობდნენ და ამიტომაც, კონსტანტინოვკაში დღე ისე არ გავიდოდა, მკვლელობა თუ არა, შეხლა-შემოხლა მაინც რომ არ მომხდარიყო. აი, ასეთ დაბაში გაუშვეს გიგა კობახიძე (იმხანად ის ოფიციალურად, რუსულ ყაიდაზე — „გრიგორი კობახიძზევად“ იყო ცნობილი) მინის ქარხნის ხელმძღვანელად. შეუპოვარი ხასიათის წყალობით, ყმაწვილს არაფრად ჩაუგდია სიმონოვის მეუღლის ვიშვიში: ამ ოქროსავით ბიჭს ან კაზაკები მოკლავენ, ან — მუშებიო, და 1904 წელს, დანიშნულების ადგილას ჩავიდა.


ბორჯომის მინის ქარხანა, სადაც გიგა კობახიძემ პირველად დაიწყო მუშაობა. გასული საუკუნის 20-იანი წლების ფოტო

რუსეთ-იაპონიის ომი ჯერ დასრულებული არც კი იყო, როდესაც იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ვითარება ძალიან დაიძაბა — უკმაყოფილო ხალხი მეფის გადადგომასა და რესპუბლიკის დამყარებას ითხოვდა. არარუსულ მხარეებში კი უკვე აშკარადაც კი გაისმოდა მოწოდება რუსეთისგან გამოყოფის შესახებ. დამოუკიდებლობის მომხრეები ყველაზე მეტად, საქართველოში აქტიურობდნენ, ამიტომაც ცარისტული „ოხრანკა“ და ჟანდარმერია ქართველებს განსაკუთრებით უთვალთვალებდა.

გრიგორი კობახიძზევი კონსტანტინოვკაში ერთადერთი ქართველი იყო და, ცხადია, ბრწყინვალე რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ ხიფათს მაინც ვერ ასცდა: ერთ წვიმიან ღამეს მას კარზე ორმა მამაკაცმა დაუკაკუნა და ღამის გათევის უფლება სთხოვა. ქარხნის დირექტორმა, რაღა თქმა უნდა, ორივე შეიფარა. დილით ადრე კი კაზაკები მიადგნენ და სტუმრებთან ერთად წაიყვანეს. ჟანდარმერიაში „გამოარკვიეს“, რომ კონსტანტინოვკის მინის ქარხნის დირექტორი კობახიძზევი უკრაინელ „სამოსტოინიკებთან“ ანუ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებთან იყო დაკავშირებული. გიგა კობახიძე სასწრაფოდ დააპატიმრეს და გადასახლებასაც კი უპირებდნენ, მაგრამ ღმერთმა არ გაწირა — სასჯელად მხოლოდ შინაპატიმრობა და უსასყიდლოდ, უბრალო მუშად მუშაობა აკმარეს.

კონსტანტინოვკის მინის ქარხანაში ახალი დირექტორი გამოგზავნეს — ეროვნებით ფრანგი, გვარად გამანი. წინამორბედის გაცნობისთანავე, ფრანგი ქიმიკოსი დარწმუნდა, რომ რუსებს ტალანტის დაფასება მართლაც არ შეეძლოთ და გიგას ჟანდარმერიაში უშუამდგომლა — სოლიდური თანხა გადაიხადა, რათა ყოფილი დირექტორისთვის სასჯელი მოეხსნათ. კობახიძე გათავისუფლებით კი გაათავისუფლეს, მაგრამ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრება აუკრძალეს. ფრანგი კოლეგა კვლავაც დაეხმარა და გერმანიის ქალაქ მიუნხენში მცხოვრებ ძმასთან სარეკომენდაციო წერილი გაატანა: ეს კაცი ცნობილი ქიმიკოსია, რწმენით რესპუბლიკელი; რუსეთში აღარ დაედგომება და მიხედეო. ასე გაემგზავრა 25 წლის გიგა კობახიძე გერმანიაში. უკეთ რომ ვთქვათ, ის სხვა ყოფილ პოლიტპატიმრებთან ერთად გააძევეს ამ ქვეყანაში. ყმაწვილს ორი ხელი სამოსისა და შელანძღული ფეტრის შლაპის გარდა, აღარაფერი ებადა. ჯიბეში გამანის მიცემული ბარათი კი ედო, მაგრამ როცა მითითებულ მისამართზე მივიდა, იმედი სასტიკად გაუცრუვდა — ბატონი გამანი გარდაცვლილიყო, მისი მეუღლე კი ამერიკაში გადასვლას აპირებდა და დახმარება არაფრით შეეძლო. მან მხოლოდ მინის ქარხნის გზა ასწავლა ახალგაზრდა უცხოელს და ასე მოიშორა თავიდან.

მიუნხენის მინის ქარხანაში რუსეთიდან ჩასული პოლიტპატიმარი უბრალო მუშად მიიღეს და ისიც — ნახევარ განაკვეთზე: ქარხნის პატრონმა განუცხადა, — მე ფულს უქმად არ ვყრიო. გასამრჯელოც ძალზე მიზერული იყო და გიგა კობახიძემაც, გაგიკვირდებათ და, ცირკს მიაკითხა: ჭიდაობა ბავშვობიდან უყვარდა და საამისო მონაცემებიც ჰქონდა. სწორედ ცირკის პატრონმა, ცალთვალა ადრიან დრექსლერმა დააფასა ის — მოჭიდავეთა დასში წამყვან ათლეტად დანიშნა და დღიურად ათი მარკა გამოუყო. დრექსლერის ცირკი მიუნხენში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და, ასე გასინჯეთ, თვით მინის ქარხნის მეპატრონეც მისი ხშირი სტუმარი იყო.

გიგა კობახიძემ, ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების წყალობით, მიუნხენში მალე გაითქვა სახელი, როგორც დაუმარცხებელმა მოჭიდავემ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ის მინის ქარხნის მეპატრონემაც არენაზე შენიშნა და ისე მოიხიბლა მისი ილეთებით, რომ ქარხანაში საცდელი ლაბორატორიის მოწყობის ნება დართო. სწორედ აქედან დაიწყო ქართველი ქიმიკოსის აღმავლობა, თუმცა ჭიდაობისთვის თავი არ დაუნებებია — ისევ წარმატებით გამოდიოდა ცირკში და მაყურებელს აღაფრთოვანებდა. მალევე, გიგა დაქორწინდა კიდეც. მისი მეუღლე გახდა რუსი ემიგრანტის შვილი, ულამაზესი დაშა ნოდვიკოვა. თუმცაღა, ჯერ თაფლობის თვესაც არ ჩაევლო, როცა გიგა მორიგ ხიფათს გადაეყარა: მიუნხენს იტალიური ცირკის მოხეტიალე დასი ეწვია, რომელშიც ბლომად იყვნენ მოჭიდავეებიც; მათგან განსაკუთრებით ერთი, ვინმე ნერო გამოირჩეოდა — ის მძიმეწონოსანი იყო და მთელი ევროპა ისე მოევლო, ხალიჩისთვის მუხლიც კი არ ჰქონდა შეხებული.

...ადრიან დრექსლერის ცირკში ფალავნების შერკინება ქართველის გამარჯვებით დასრულდა. მოხეტიალე დასის ხელმძღვანელმა იხტიბარი არ გაიტეხა და დრექსლერს შესთავაზა, ფალავნები არალეგალურად, კიდევ ერთხელ შეეხვედრებინათ. იმხანად ეს

გერმანიაში იკრძალებოდა, მაგრამ დრექსლერი მაინც დათანხმდა. შეხვედრა ჩაიშალა, რადგან პოლიციამ ყველაფერი შეიტყო და ფალავნებიც და პრომოუტერებიც, როგორც იტყვიან, ფაქტზე დააკავა — შეჯიბრების დაწყების წინ. ასე აღმოჩნდა გიგა საკანში, მაგრამ მინის ქარხნის მეპატრონემ ამჯერადაც უშველა: გამოსასყიდი გადაიხადა, ციხიდან გამოიყვანა და, მეუღლესთან ერთად, ლონდონის გავლით, ამერიკაში გაამგზავრა.

1909 წლის 1-ელ აგვისტოს გიგა კობახიძე ნიუ-იორკში ჩავიდა. იქ მაშინ მრავლად იყვნენ რაჭველი მეპურეები და მათთან შეაფარა თავი. პარალელურად კი მუშაობა „ჯენერალ ელექტრიქსში" დაიწყო. გამოცდილება უკვე საკმაოდ ჰქონდა და ამიტომ, იმდენად აღარაფერი გასჭირვებია: საწერი კალმები გააუმჯობესა და მათზე პატენტიც აიღო; მერე კი, საკანცელარიო მაღაზია გახსნა და წელშიც გაიმართა — ამერიკაში ჩამოსვლიდან სულ რაღაც 10 წელიწადში, მასაჩუსეტსის შტატში მინის საწარმოო ქარხანა გამართა და შექმნა კომპანია „კობი გლეს პროდაქტს". აქვე უნდა ითქვას — სახელიც მაშინ შეიცვალა და ჯორჯ კობი დაირქვა, თუმცაღა ქართველობისთვის არასოდეს უღალატია — მფარველობდა და ხელს უმართავდა თანამემამულეებს, ვისაც ამერიკაში ახალი ცხოვრების დაწყება ეწადა. სხვათა შორის, ცნობილია, რომ სწორედ ჯორჯ კობიმ გაუმართა ხელი შემდგომში კარგად ცნობილ ქართველ ოქრომჭედელ მაიკ მიტოს და ალასკაზე ოქროს გადამმუშავებელი ქარხანა ააშენებინა. გარდა ამისა, წარმატებულმა ქიმიკოსმა შეიამხანაგა ცნობილი ქართველი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი და დიპლომატი გიორგი მაჩაბელი, რომელმაც ამერიკაში პარფიუმერიის წარმოებას მიჰყო ხელი და სახელიც გაითქვა. მისი სუნამოებისთვის ჭურჭელს ჯორჯ კობის ფირმა ამზადებდა და, როგორც გიორგი მაჩაბელი შემდგომში აღნიშნავდა, მისი პროდუქციის წარმატების მთავარი მიზეზი ეს იყო.

კობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოგონება — წყალგამძლე ცემენტი და ზემდგრადი მინა-ბლოკი ფლორიდას უკავშირდება. ქართველ ქიმიკოსს კარგა ხნის განმავლობაში უწევდა იქ ყოფნა და ხედავდა, როგორ იტანჯებოდა მოსახლეობა: ტროპიკულ, ტენიან ჰავას ვერც აგური უძლებდა და ვერც ხე — ყველაფერი ძალიან მალე ფუჭდებოდა და ხელახლა გასაკეთებელი ხდებოდა. ჯორჯ კობიმაც, 20-იანი წლების დასაწყისში, დიდი ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა და სულ რამდენიმე წელიწადში გამოიგონა ცემენტი, რომელსაც ტენი ვერას აკლებდა; აგურის შედგენილობაშიც მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა და შექმნა მინა-ბლოკი, რომელიც შენობის გარედან მოსაპირკეთებლად იყო განსაზღვრული და მზის შუქს ირეკლავდა. ამ გამოგონებებმა ამერიკის მრეწველობაში გადატრიალება მოახდინა და მოგვიანებით — 30-იან წლებში, პირველი ცათამბჯენების აშენებისას, ფართოდ დაინერგა.

ჯორჯ კობი ამის წყალობით ძალიან გამდიდრდა და მულტიმილიონერად იქცა. სხვათა შორის, პირველი, რაც მან ამის შემდგომ გააკეთა, სათამაშოების მაღაზიისა და უპოვართათვის სასადილოების ქსელის გახსნა იყო. 1925 წელს ქართველი ქიმიკოსი ამერიკის უმდიდრეს ადამიანად მეოთხედ დაასახელეს — იმ დროისათვის ეს საოცრება იყო. ჯორჯ კობი ერთხმად, ამერიკის ქიმიური მრეწველობის მეფედ აღიარეს.

იმავე წელს, ქართველმა მილიონერმა სამშობლოშიც იმოგზაურა — დღეს ძნელი სათქმელია, როგორ ან რის გამო დართო კომუნისტურმა რეჟიმმა ამერიკაში ცნობილ ქიმიკოსს საქართველოს მონახულების ნება, მაგრამ ფაქტია, რომ ჯორჯ კობი, იგივე გრიგოლ კობახიძე 1925 წელს, ოც წელზე მეტი ხნის განშორების შემდეგ, პირველად ჩამოვიდა საქართველოში. მოინახულა ყველა, ვისთანაც თავისი ბობოქარი ცხოვრება აკავშირებდა და კარგადაც დაასაჩუქრა ისინი. დედას, რომელიც ისევ ცოცხალი დახვდა, 10 ათასი მანეთის ღირებულების საჩუქრები ჩაუტანა. დაასაჩუქრა ასევე ის მეპურეებიც, რომლებმაც ქუთაისში ოდესღაც შეიფარეს. იმ აზრაგსაც კი ეძებდა, ვინც 10 ოქროს მანეთიანი აჩუქა, მაგრამ ვერსად მიაგნო — 1924 წლის ცნობილ აჯანყებას შესწიროდა. „აქ ახლა ბოლშევიკები არიან... დაგვაშინეს ყველანი და თავად კი ისე ლაღად დადიან, გაგიკვირდება", — ეუბნებოდა გიგას უფროსი ძმა ლეონტი, რომელმაც ამერიკაში წამოსვლაზე უარი განაცხადა — ბოლშევიკები ამას არ მაპატიებენო.

ჯორჯ კობი მეორე სამშობლოში მარტო გაბრუნდა. 3 წლის შემდეგ კვლავაც ჩამოვიდა და საკუთარ სოფელში ეკლესია და მღვდლის სახლი გაახალა. გაუკვირდა, როცა ზოგიერთმა სოფლელმა იცნო და არც კი მისალმებია; მისი ძმებიც როგორღაც მორიდებულად ელაპარაკებოდნენ. ჩამოსვლის დღესვე ორმა ტყავისკურტკაიანმა ახალგაზრდამ მოინახულა და უაზროდ ელაპარაკა კაპიტალიზმის მავნებლობაზე. მათ გიგამ მოთმინებით მოუსმინა და პასუხის ღირსად არ ჩათვალა. მეორე დღეს, ლეონტის შვილმა, მიშამ თბილისიდან ამბავი ჩამოუტანა — ბოლშევიკებს შენი დაპატიმრება სურთო და გიგაც იძულებული გახდა, სამშობლო სამუდამოდ დაეტოვებინა.


ჯორჯ კობის ერთ-ერთი კომპანიონი, ცნობილი პარფიუმერი, გიორგი მაჩაბელი

„დიდი დეპრესიის" ხანა — გასული საუკუნის 30-იანი წლები ჯორჯ კობისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა: 1932 წელს თავი მოიკლა მისმა კომპანიონმა ევგენი იგნატიევმა, ხოლო მეორე კომპანიონი — ამერიკაში „პრინცის" სახელით ცნობილი გიორგი მაჩაბელი 1935 წელს საბჭოთა აგენტებმა მოკლეს. „კობი გლეს პროდაქტსმა" მცირე ხნით დალმასვლა იწყო, მაგრამ II მსოფლიო ომის დროს, ხელისუფლებისაგან სამხედრო პროდუქციაზე მიიღო შეკვეთა და, ჯორჯ კობი ისევ უმდიდრეს ადამიანად იქცა. 1939 წელს, საკუთარი ხარჯით, ჩინეთიდან ამერიკაში ჩაიყვანა ცნობილი ფარმაცევტი ნიკო ჯიშკარიანი და ლაბორატორია მოუწყო. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გააკეთა, რათა ირგვლივ მყოფთათვის სიხარული მიენიჭებინა.

დღესდღეობით, „კობი გლეს პროდაქტსი" კვლავ არსებობს და ძირითადად, ნაძვის ხის სათამაშოებს აწარმოებს. მისი შემქმნელის — მეცენატ ჯორჯ კობის სახელიც ბევრს გაუგონია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ის წარმოშობით ქართველი იყო და სანამ ჯორჯ კობი გახდებოდა, ძალიან გრძელი და ხიფათებით აღსავსე გზა გაიარა. ■

# გულისა და გონების ჭიდილი და „მოგზაურობა" წიგნის სამყაროში

**„სიმართლე გითხრა, ბავშვობაში წიგნების კითხვას ფეხბურთის თამაში და თანატოლებთან ცელქობა მერჩივნა. ლიტერატურისადმი ინტერესი სკოლის დამთავრების შემდეგ გამიჩნდა", — ამბობს მსახიობი გიორგი მეგრელიშვილი და დასძენს, რომ ახლა წიგნების კითხვა ძალიან უყვარს. ამას მამას უმადლის და ხუმრობს: „ჩემს ბავშვობაში არ იყო „გუგლი", იყო გივი (მამა). როცა რამე დამაინტერესებდა, მასთან მივიდოდი, ვკითხავდი და ინფორმაციას წამში „ამომიგდებდა". ზოგჯერ ეჭვი მეპარებოდა, ამდენი საიდან იცის-მეთქი?! მისი ნათქვამის შესამოწმებლად, ბიბლიოთეკაში მივდიოდი და ინფორმაციას წიგნებში ვეძებდი".**

თამუნა კვინიკაძე

## პრეამბულის მაგიერ

— **მამათქვენი რა პროფესიის წარმომადგენელი იყო?**

— მე ხუმრობით ვეუბნებოდი, მასონი ხარ-მეთქი.

— **რატომ?**

— ქვაზე მუშაობდა და იმიტომ. მამა წიგნის კითხვას ბევრ დროს უთმობდა. ამ სამყაროში მეც ნელ-ნელა ჩამითრია.

— **დღემდე წაკითხული ნაწარმოებებიდან, რომელმა მოახდინა თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?**

— არასდროს დამავიწყდება ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელი". განსაკუთრებით მხიბლავს მისი სიუჟეტები, პერსონაჟების ცხოვრება, გულისა და გონების ჭიდილი — როცა ცივი გონებით გადაწყვეტილს გული ეწინააღმდეგება. ის თავისი გმირების ცხოვრების თანამონაწილეს გხდის, რეალობიდან ისე გაჰყავხარ, ვერ ხვდები და სადღაც „გამოგზაურებს".

— **როცა თავად დგახართ არჩევანის წინაშე, გადაწყვეტილებას გულის კარნახით უფრო ხშირად იღებთ თუ გონებით?**

— გონებით — ეს ცხოვრებამ მასწავლა.

— **სცენაზე რომელი ლიტერატურული პერსონაჟის განსახიერების სურვილი გაქვთ?**

— ახლა სენკევიჩის „ჯვაროსნებს" ვკითხულობ. იქ არის ერთი პერსონაჟი — სბიშკუ, რომელსაც რაინდობა უნდა. მას ერთი გოგონა შეუყვარდება და ეუბნება, მე ჯვაროსანს კი არ მოვკლავ, იმ ფარშავანგის ბუმბულს მოგიტან, რომელიც მას მუზარადზე აქვს ამოტვიფრულიო. ყოველი ფურცლის შემდეგ მოლოდინში ხარ, როდის დაიწყება ეს ბრძოლა. ასეთ პერსონაჟს სიამოვნებით განვასახიერებდი.



— **წარსულში ქმრის მოღალატე ცოლებსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს შუბლს უდაღავდნენ, რათა მათი ულირსი საქციელის შესახებ ყველას სცოდნოდა. სწორედ ამის შემდეგ წარმოიშვა და დღემდე არსებობს ვარცხნილობის ეს ფორმა.**

— „ჩოლკას" გულისხმობ?

— **რა თქმა უნდა. რა ჰქვია მას ქართულად?**

— არ ვიცი.

— **წინამო. დედამიწა, მარსი, ვენერა, მერკური — ამ პლანეტებიდან რომელია ყველაზე პატარა?**

— მარსი მგონია.

— **ცდებით, სწორი პასუხია — მერკური. რომაელები მეგობრებს ყველაზე დიდ ქურდებს უწოდებდნენ, რატომ?**

— შეიძლება, იდეები მოგპარონ.

— **სხვა არაფერი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ისინი დროს „გვპარავენ". რა ერქვათ ძველ საბერძნეთში მხატვრებს, რომლებიც კურტიზანებს (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა) მაკიაჟს უკეთებდნენ?**

— არ ვიცი.

— **პორნოგრაფები.**

— რაა?! პირველად მესმის. რამდენი რამ არ მცოდნია!

— **გოგოლი, დოსტოევსკი, შევჩენკო, ნეკრასოვი — ამ მწერლებიდან რომელი იყო პროფესიით მხატვარი?**

— შევჩენკო, არა?

— **დიახ. ეს სახელი ჰქვია პეპელას და ამავდროულად, სამხედრო საზღვაო წოდებაა.**

— ადმირალი.

— **რომელი ღვთაების პატივსაცემად იმართებოდა ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშები?**

— ზევსის.

— **ვინ იყო საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III ნაპოლეონ ბონაპარტისთვის?**

— არ ვიცი.

— **ძმისშვილი. რომელ ქვეყანაში აგებენ ყოველწლიურად ყინულის სასტუმროებს?**

— ვიცოდი და ველარ ვიხსენებ. სავარაუდო პასუხების თქმა არ შეგიძლია?

— **საფრანგეთში, შვედეთში, ისლანდიაში თუ ინგლისში?**

— შვედეთში.

— **რა ჰქვია ჯანი როდარის ცნობილი ზღაპრის გმირს?**

— ჩიპოლინოზე მეკითხები?

— **რა თქმა უნდა. ხელოვნების რომელი სფეროს წარმომადგენლები არიან გაერთიანებული პენ-კლუბში?**

— მხატვრები.

— **ცდებით. საქართველოში პენ-მარათონიც ტარდება ხოლმე, გაიხსენეთ.**

— ა!!! საერთოდ „სხვაგან წავედი“. მწერლებზეა ლაპარაკი.

**— მან სიჭაბუკე საგურამოში გაატარა, იმ პერიოდში ფეოდალური შინააშლილობით დაუძლურებული საქართველო ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული ცილობის საგანი იყო. ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა. მისი ოჯახი ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში გაიხიზნა.**

— (*მაწყვეტინებს*) ვხვდები, დავით გურამიშვილზეა ლაპარაკი.

**— რომელ მხატვარს ეკუთვნის ყველაზე მეტი ავტოპორტრეტი?**

— თუ არ ვცდები, რუბენსს.

**— დიახ. ტოკიოს ზოოპარკი წელიწადში ერთხელ 2 თვით იკეტება, რატომ?**

— ზუსტად არ ვიცი, ცხოველებს ვოლიერებიდან უშვებენ და ასვენებენ?

**— ვოლიერებიდან რომ გამოუშვან, იქ რა მოხდება, წარმოგიდგენიათ?**

— სისულელე ვთქვი (*ფიქრობს*). დამთვალიერებლებისგან ხომ არ ასვენებენ?

**— გამოიცანით. რამდენი ორშაბათი შეიძლება იყოს ერთ თვეში?**

— 3 ან 4.

**— დარწმუნებული ხართ?**

— ასე არაა? (*პაუზის შემდეგ*) შეცდომით ვთქვი; თვეში 4 ან 5 ორშაბათი შეიძლება იყოს.

**— რომელ ფილმში შედგა ლეილა აბაშიძის დებიუტი?**

— „ქაჯანაში“.

**— „რუსეთისთვის, კავკასიის პრობლემა ფაქტობრივად, საქართველოს პრობლემაა, არ იქნება საქართველო, არ გვექნება კავკასიის პრობლემაც“, — რომელ რუს გენერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?**

— არ ვიცი. იქნებ მინიშნება მითხრა.

**— მისი ბრძანებით მოხდა 1819-1820 წლებში დასავლეთ საქართველოს აჯანყების სისხლში ჩახშობა. „აჯანყებულები კიდევ დიდხანს ვერ აღიდგენენ ადრინდელ მდგომარეობას. მათი სასჯელი უკიდურესი სიღარიბე იქნება“, — სწერდა ის მოსკოვში ერთ-ერთ მაღალჩინოსანს.**

— მაინც ვერ გიპასუხებ.

**— ერმოლოვი. საფრანგეთის ამ პრეზიდენტს 30-ჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ყველა ჯერზე ტერორისტებს ხელი მოეცარათ. დაასახელეთ ეს პრეზიდენტი.**

— შარლ დე გოლი.

**— რა ჰქვია ვაშლის არაყს?**

— არ ვიცი.

**— კალვადოსი. ალკოჰოლთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ხშირად არ ვსვამ, მაგრამ „გაბუტულიც“ არა ვარ. ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს, თუ სუფრასთან ვინმე არ მომეწონა, მასთან კონფლიქტში არ შევდივარ, ვდგები და მივდივარ.

**— კარგი თვისება გქონიათ. რა ერქვა თავდაპირველად, შექსპირის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტრაგედიას „რომეო და ჯულიეტა“?**

— არ ვიცი.

**— „ჯულიეტა და რომეო“. იმ დღეს, როცა მწერალთა სახლიდან შალვა დადიანის ცხედარი გამოასვენეს, ერთი პოეტის ცხედარი დაასვენეს. დაასახელეთ ეს პოეტი.**

— არ მახსოვს, შალვა დადიანი რომელ წელს გარდაიცვალა?

**— 1959 წლის მარტში.**

— 1959 წლის მარტში გალაკტიონი არ გარდაიცვალა?

**— სწორი პასუხიც ეს არის. ჟირაფს უფრო მეტი კისრის მალა აქვს თუ ბეღურას?**

— ეტყობა, ბეღურას მეტი აქვს, თორემ ასეთ შედარებას არ გააკეთებდი.

**— პასუხი ამ კითხვაზეც გამოიცანით. 1 საათის მანძილზე, წამის მაჩვენებელი ისრის ბოლო საათის მაჩვენებელი ისრის ბოლოზე რამდენჯერ უფრო სწრაფად მოძრაობს?**

— ბევრჯერ, მაგას რა დაიანგარიშებს?!

**— დაახლოებითი ციფრის დასახელება არ შეგიძლიათ?**

— 500-ზე მეტი იქნება.

**— 720-ჯერ. „თუ მიზნის მიღწევა გსურთ, ნუ ეცდებით, იყოთ დელიკატური და გონიერი“ — ბრიტანეთის რომელ პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის ეს სიტყვები?**

— ალბათ უინსტონ ჩერჩილს.

**— ნამდვილად ასეა. „ქალის არ მესმის, ვბორგავ და ვხვნეში, რამდენი გესლი მქონია ნეკნში“, — ვისი ლექსიდან არის ეს სიტყვები?**

— ნიკო გომელაურის.

**— ცნობილია, რომ თავისუფლების ქანდაკება ამერიკელებს ფრანგებმა აჩუქეს. იგი მოქანდაკე ფრედერიკ-ოგიუსტ ბარტოლდმა შექმნა. ვინ გამოიყენა მოდელად მოქანდაკემ?**

— მეუღლე.

**— ცდებით, მან მოდელად დედა გამოიყენა. რომელი ქართველი რომანტიკოსი პოეტია დაკრძალული ქაშუეთის ტაძარში?**

— გრიგოლ ორბელიანი.

**— „ცოდვაა ქართველი ქალი, რადგან მამაკაცები ტირანები ხართ, სულერთია, მამა იქნებით, საქმრო თუ ქმარი. თქვენ არ იცით, რა მოითხოვოთ ქალისგან. თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახპააო, იტყვით, თუ თავი შეიკავა — პურიტანიაო... თქვენ უკიდურესი ევროპელის და აზიელის კაპრიზები ერთმანეთში გაქვთ არეული; როცა ქალი საყვარლად გინდათ, მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიხდით, მერე — აზიურ კარჩაკეტილობას“. კონსტანტინე გამსახურდიას რომელ რომანში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?**

— „მთვარის მოტაცებაში“.

**— ახლა კი ერთ ძველ იტალიურ გამოცანას გეტყვით. რაც უფრო მოკლდება წინ, მით უფრო გრძელდება უკან; რა არის?**

— სიცოცხლე, ცხოვრების გზა.

**— მას უწოდებენ ყველაზე დიდ სახელმწიფოს ჯუჯათა შორის და ყველაზე ჯუჯას — დიდ სახელმწიფოებს შორის. რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი?**

— მინიშნება მითხარი, ეს ქვეყანა ევროპაშია თუ აზიაში?

**— ევროპაში.**

— ლუქსემბურგი.

**— ეს ნაწარმი აბრეშუმის უწვრილესი ძაფებით ნაწილ-ნაწილ იქსოვებოდა. მისი მოქსოვის ტექნოლოგია ერთმა პარიზელმა მკერავმა XVI საუკუნის დასაწყისში შექმნა. დაასახელეთ მისი გვარი.**

— ვერ დავასახელებ.

**— გობელენი. ადამიანის ამ ორგანოს 24 კუნთი აქვს.**

— (*მაწყვეტინებს*) ენა.

**— დაბოლოს, დაასრულეთ ლევ ტოლსტოის ცნობილი გამონათქვამი: „მშიშარა მეგობარი მტერზე უარესია, მტერს ერიდები, მეგობარს...“**

— „...მეგობარს კი ენდობი“.

■

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. კურსები სოფელია ტყიბულის რაიონში.

2. მიტილენე კუნძულ ლესბოსის მთავარი ქალაქია.

3. „ნა აბიჟენნიხ ვოდუ ნოსიატ“, — ამბობენ რუსები.

4. ყველაზე მაღალი მთა ავსტრალიაში თადეუშ კოსტიუშკოს სახელს ატარებს.

5. რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის პირდაპირი ჩამომავალია.

6. პირველი წერილი ნიკო ნიკოლაძემ „ქუთაისელი მეჭორის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა.

7. დიდუბის პანთეონში დაკრძალული ვაჟა-ფშაველა მთაწმინდის პანთეონში გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ გადაასვენეს.

8. „ცხენნი“ — ასე ჰქვია მიცვალებულთა ხსოვნის პატივსაცემად გამართულ ცხენოსანთა შეჯიბრებას ხევსურეთში.

9. ბუტანს აზიის მარგალიტს ეძახიან. ადგილობრივი კანონით, იქ ჩასული ტურისტი ვალდებულია, ქვეყანაში გატარებული ყოველი დღისათვის 250 დოლარი გადაიხადოს.

10. თბილისში ჩამოსვლამდე შერონ სტოუნმა სასტუმროში ისეთი ნომერი დააჯავშნინა, რომელშიც არავის არასდროს არც ერთი ღერი სიგარეტი არ ჰქონდა მოწეული.

11. რუსები თავიანთ აბანოებში არყის ხის ტოტებისგან დამზადებულ ცოცხებს იყენებენ. ამ ხის ფოთლები, მათი მტკიცებით, ბუნებრივი საპნის მსგავს ნივთიერებას შეიცავს. ამგვარ ცოცხებს ფინელებიც ხმარობენ თავიანთ საუნებში.

12. ტოკიოს დაბომბვის ოპერაციას, რომელიც ამერიკელებმა იაპონელების მიერ პერლ-ჰარბორზე მიტანილი იერიშის საპასუხოდ განახორციელეს, პოლკოვნიკი ჯიმი დულიტლი ხელმძღვანელობდა. იაპონიის დედაქალაქში ჩაგდებულ ბომბებს ამერიკელებმა ის მედლები მიამაგრეს, რომლებითაც ომის დაწყებამდე იაპონიის მთავრობამ ამერიკის სამხედრო ძალების გენერალიტეტი დააჯილდოვა.

13. „რულეტზე თამაშის დროს და ცხოვრებაშიც შავ ფერზე დადეთ ფსონი და ყოველთვის მოგებული დარჩებით!“ — უყვართ თქმა აფროამერიკელებს.

14. ფილოსოფოსი აფინოდორი რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსს ეხვეწებოდა, — როცა განრისხდები, ნურაფერს იტყვი და ნურაფერს მოიმოქმედებ, სანამ გულში ლათინური



# „მეფის ძის ქორწილი“ ანუ რჩეულნი, ღირსნი ზეციური სასუფევლისა

შორენა მერკვილაძე

მათეს სახარების 22-ე თავში მოთხრობილია უფლის იგავი — „საქორწილო ნადიმი“, რომელიც „მეფის ძის ქორწილის“ სახელითაცაა ცნობილი: „ცათა სასუფეველი წააგავს მეფე კაცს, რომელმაც თავის ძეს ქორწილი გადაუხადა. გაგზავნა თავისი მონები ქორწილში მოწვეულთა დასაძახებლად, მაგრამ არ ისურვეს მოსვლა. შემდეგ სხვა მონები გაგზავნა და დაავალა: უთხარით მოწვეულებს: აჰა, მოვამზადე ჩემი ვახშამი, ჩემი ხბორები და ნასუქი საქონელი დაკლულია, ყველაფერი მზად არის, გვეწვიეთ ქორწილში!.. არც მათ უგდეს ყური წვეულებმა, ზოგი ყანაში წავიდა, ზოგი თავის სავაჭრო საქმეებზე, სხვებმა კი მონები შეიპყრეს, შეურაცხყვეს და დახოცეს. როდესაც ამის შესახებ მეფემ შეიტყო, თავისი ლაშქარი გაგზავნა, ამოჟლიტა ის კაცისმკვლელნი, მათი ქალაქი ცეცხლს მისცა. თავის მონებს კი უთხრა: ეს ქორწილი მზად არის, მაგრამ მოწვეულები არ იყვნენ ღირსნი, ამიტომ გადით გზაჯვარედინებზე და ყველა, ვინც შემოგხვდეთ, მოიწვიეთ ქორწილშიო. გავიდნენ მონები გზებზე და შეკრიბეს ყველა, ვინც კი შემოხვდათ, ბოროტი და კეთილი, და საქორწილო დარბაზი აივსო სტუმრებით. მეფე შევიდა სტუმრების სანახავად და იქ დაინახა კაცი, რომელსაც საქორწილო სამოსელი არ ეცვა: მეგობარო, აქ როგორ შემოხვედი, საქორწილო სამოსელი რომ არ გაცვია? — ჰკითხა მას მეფემ. კაცი დუმდა. მაშინ მეფემ თავის მსახურებს მიმართა: გაუკარით ხელ-ფეხი და გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენა. ვინაიდან მოწვეული ბევრია, რჩეული კი — ცოტა“...

იგავს განგვიმარტავს **მამა იასონ შარიქაძე**:

— ცათა სასუფეველში იგულისხმება საღმრთო მადლის მეუფება, ღმერთის უსაზღვრო მეუფების ის სფერო, რომელიც თავის წიაღში მოიცავს უფლის მორწმუნეთა მთელ კრებულს — მართლმორწმუნეთ, რომელთაც უფალი მადლის საშუალებით განამზადებს დიდების სამეუფოს, ზეციური სასუფევლის დასამკვიდრებლად; მეფის ძეში, რომლის ქორწილიცაა, უნდა ვიგულისხმოთ ძე ღვთისა, იესო ქრისტე; მსახურნი (მონები), რომლებმაც სტუმრები უნდა მიიყვანონ ძის ქორწილში, არიან მოციქულები, საქორწინო ნადიმში უნდა ვიგულისხმოთ ქრისტეს აღდგომა. იგავში საუბარია იუდეველთა სამგზის მოწოდებაზე ქრისტეს სამეუფოში. პირველად იუდეველნი, ღვთის რჩეული ერის შვილები მოწოდებულნი იყვნენ ჯერ კიდევ მაცხოვრის ამქვეყნად მეუფების გამოცხადებამდე ანუ ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებამდე, როდესაც უფალი ძველი აღთქმის მართლაცდა წინასწარმეტყველთა საშუალებით ამზადებდა რჩეულ ერს მაცხოვრის, მხსნელის მისაღებად. როდესაც ქრისტეს ხორციელად შობით აღსრულდა აღთქმა ღვთისა, ზეციურმა მეუფემ ახალი მოწოდებით მიმართა იუდეველებს, რათა მათ მაცხოვარი — აღთქმული მესია მიეღოთ. ქრისტეს მეუფება განკუთვნილი იყო მთელი ქვეყნიერებისთვის, მთელ კაცობრიობაში გასავრცელებლად, მაგრამ პატივი პირველად მიღებისა და ზეციურ დიდებაში პირველად შესვლისა მიენიჭა ღვთის რჩეულ ერს — იუდეველებს. როდესაც იესო ქრისტემ პირველად წარგზავნა თავისი მოწაფეები ღვთის სიტყვის საქადაგებლად, მცნებად დაუდო მათ, არ წასულიყვნენ წარმართებთან და სამარიტელებთან, არამედ იუდეველთათვის ექადაგათ, მაგრამ მათ ვერ დააფასეს მონიჭებული პატივი და „არა ინებეს მოსვლად საქორწინო ნადიმზე“. მიზეზი ამისა იყო რჩეული ერის რწმენისა და აზროვნების გამიწიერება. იმ პერიოდში, როდესაც მხსნელი მაცხოვარი დედამიწაზე მოვიდა, ისინი არა ზეციურ მეუფეს, არამედ ამქვეყნიური მეფობისთვის მოვლინებულ მესიას ელოდნენ, რომელიც მათ რომაელთა ბატონობისგან იხსნიდა და მთელ მსოფლიოზე გააბატონებდა. როდესაც მაცხოვრისგან ის ვერ მიიღეს, რაც სურდათ, რასაც ელოდნენ, არა მარტო უარი თქვეს მის მოწოდებაზე, არამედ ჯვარს აცვეს იგი. შემდგომ მეფემ სხვა მონები გაგზავნა და მოწვეულებს შეუთვალა — „გვეწვიეთ ქორწილში!“ — მაგრამ წვეულებმა არც მათ უგდეს ყური... „ყანასა“ და „სავაჭრო საქმეებში“ იგულისხმება ამქვეყნიური, მიწიერი, დროებითი სიკეთეები, „ხბორებში“ — ძველი, „ნასუქ საქონელში“ კი — ახალი

ალთქმა. ამგვარად, ხბორები ძველი ალთქმის პერიოდს წარმოაჩენს, როდესაც მსხვერპლად შესაწირავად, ცხოველები მიჰყავდათ; ნასუქი საქონელი — ახალ ალთქმას ნიშნავს, ახალ საკურთხეველზე. ახალ სამსხვერპლოზე ძღვნად საფუვრიანი პურები მიგვაქვს, ღვთის სიტყვის მსმენელთა სულიერ საზრდოდ და დასაპურებლად... მოწოდებულთა უდიდესი ნაწილი ჯიუტად ჩარჩა თავის ურწმუნოებასა და უნდობლობაში და სრული გულგრილობა გამოიჩინა მოციქულთა ქადაგებისადმი. იუდეველთა ნაწილი უპატივცემულოდ მოექცა უფლის მოწაფეებს, შეურაცხყო (მაგალითად, პეტრე, იოანე, პავლე...); ზოგიერთი მათგანი მოკლეს კიდეც (მთავარდიაკონი სტეფანე-პირველმოწამე, რომელიც ქვით ჩაქოლეს; იაკობი, ხორციელი ძმა უფლისა, რომელიც იერუსალიმის ტაძრის ქიმიდან გადმოაგდეს)...

„როდესაც ამის შესახებ მეფემ შეიტყო, ლაშქარი გაგზავნა და ამოჟლიტა ის კაცისმკვლელნი, მათი ქალაქი კი ცეცხლს მისცა“: ჯერ მაცხოვრის ჯვარცმის, შემდეგ კი უფლის მოციქულთა დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ, იუდეველებმა დამსახურებული სასჯელი მოიწიეს საკუთარ თავზე. უფლის ჯვარცმიდან და ზეცად ამაღლებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ რომაელებმა აჯანყებული იუდეველების წინააღმდეგ გაილაშქრეს, აიღეს იერუსალიმი და „ქვა ქვაზე აღარ დატოვეს“ — ერთიანად მიწასთან გაასწორეს იგი. ებრაელებმა დაკარგეს იერუსალიმის წმიდათაწმიდა ტაძარიც. როგორც ისტორიკოსები წერენ, იმ დროს იერუსალიმში ორ მილიონზე მეტი ებრაელი დაიღუპა (მათ შორის, არც ერთი ქრისტიანი — ქრისტეს სჯულზე მოქცეული ებრაელი არ ყოფილა). ფაქტობრივად, მთელ იუდეაში მცხოვრები ებრაელები იერუსალიმში იყვნენ თავმოყრილნი, რადგან იერუსალიმის კედლების სიმტკიცის იმედი ჰქონდათ, მაგრამ იმის გამო, რომ მაცხოვარი არ მიიღეს, უფრო მეტიც — ჯვარს აცვეს და მოაკვდინეს, საკუთარ თავზე თავადვე მოიწიეს მსჯავრი ღვთისა და რომაელების ხელით დაიხოცნენ; ზოგი შიმშილით დაიხოცა, ზოგი კი რომაელებმა მონად გაყიდეს. ვინც სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს, მთელი დედამიწის ზურგზე განიბნენ...

„მაშინ მეფემ თავის მონებს უთხრა: გადით გზაჯვარედინზე და ყველა, ვინც შემოგხვდეთ, მოიწვიეთ ქორწილში“. აქ „ყველაში“ იგულისხმებიან წარმართები, რომელთაც უფალმა მას შემდეგ მოუწოდა თავის ეკლესიაში, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა ყველა საშუალება იუდეველთა უმრავლესობის მოქცევისა.

მეფის ბრძანებისამებრ, მონები გავიდნენ გზებზე და შეკრიბეს ყველა, ვინც კი შემოხვდათ, ბოროტი თუ კეთილი. ამ იგავური თქმით უფალი ჩაგვაგონებს — ყველა საჭიროებს ღვთის მაცხოვნებელ მადლს, მაგრამ პირველნი — კეთილები ამპარტავნებაში არ უნდა ჩაცვივდნენ თავიანთი ღირსებით, ხოლო უსჯულოებით მცხოვრებთ არ უნდა წარეკვეთოთ სასო, არ დაკარგონ იმედი ცხონებისა, რადგან საღმრთო მადლს შეუძლია, ცოდვისგან განწმინდოს და აცხოვნოს ყველა ჭეშმარიტად მონანული, რომელიც ღმერთისკენ მოიქცევა.

საქორწინო დარბაზში სტუმრების სანახავად შესულმა მეფემ იხილა კაცი, რომელსაც საქორწინო სამოსელი არ ეცვა... ჩვენ ყველანი, კეთილნიც და ბოროტნიც მხოლოდ მადლით ვართ წოდებულნი, მაგრამ ჩვენი ცხოვრება გამოუძიებელი არ დარჩება, უფალი თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას გულმოდგინედ გამოიძიებს; ვისაც „საქორწილო სამოსელი“ — მოყვასის სიყვარულით, მოწყალებითა და სხვა სათნოებებით შემოსილი სული არ ექნება, კეთილი საქმეებითაც არ შემოსავს თავის ცხოვრებას, არა მხოლოდ ქორწილიდან განიდევნება — ე.ი. ღვთის წყალობისა და მადლის გარეშე დარჩება, — არამედ მარადიულ ცეცხლშიც ჩავარდება.

„მსახურთა თვისთა“-ში უნდა ვიგულისხმოთ უფლის ანგელოზები, ხოლო „ხელთა და ფერხთა“ შეკვრა მიანიშნებს იმას, რომ უკლებლივ ყველას, ცოდვაში გარდაცვლილს, მომავალ საუკუნო ცხოვრებაში აღარ ექნება დრო და საშუალება სინანულისთვის და კეთილ საქმეთა აღსრულებისთვის. „კბილთა ღრჭენაში“ კი იგულისხმება ცოდვილთა დაგვიანებული სინანული, რომელიც უკვე ამაო და სრულიად უსარგებლო იქნება; „გარესკნელის ბნელში“ კი — საუკუნო სასჯელის წყვდიადი.

იგავის ბოლოს თქმული სიტყვებით: მრავალნი არიან წოდებულნი, რჩეულნი კი ცოტაო, — უფალი მიგვანიშნებს, რომ ყველას აქვს საშუალება, მოცემული ღვთისგან, სულის ცხოვნებისა, მაგრამ მცირედნი გადარჩებიან. გავხდებით თუ არა რჩეულნი, ღირსნი ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებისა — ეს ჩვენზე, ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ■



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

ანბანის ყველა ასოს არ წარმოთქვამო.

15. 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ უპირობო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. მანამდე ამერიკელებმა გაავრცელეს იმპერატორ ხიროხიტოს მიმართვა იაპონელი ხალხისადმი, რომელიც გაცილებით ადრე იყო ჩაწერილი. ეს ჩანაწერი თეთრეულით სავსე კალათით ფარულად იქნა გატანილი იმპერატორის სასახლიდან, რადგან იმ დროისათვის იაპონელ მილიტარისტებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ იაპონია ოდესმე კაპიტულაციას გამოაცხადებდა.

16. საქართველოში ფეხბურთი პირველად XX საუკუნის დამდეგს უცხოური გემების მეზღვაურებმა შემოიტანეს. პირველი ორგანიზებული გუნდები ფოთში, სოხუმსა და ბათუმში 1905-1906 წლებში ჩამოყალიბდა. პირველი ოფიციალური შეჯიბრება 1912 წელს ჩატარდა, რომელშიც 3 გიმნაზიისა და 1 კომერციული სასწავლებლის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. 1925 წელს პირველი გასვლითი საერთაშორისო მატჩი გაიმართა: ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გუნდი ტრაპიზონში ადგილობრივ ფეხბურთელებს შეხვდა. ორი მატჩიდან ერთი ბათუმელებმა მოიგეს ანგარიშით 7:1, ხოლო მეორე — თურქებმა, ანგარიშით 2:1.

17. VIII-IX საუკუნეების ინგლისში ყველა მსხვილ მამულს საკუთარი ზარაფხანა ჰქონდა, სადაც ფეოდალები თავად აჭრევინებდნენ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს ყმა ოქრომჭედლებს. ფულის მოჭრის დროს თუ ოსტატი მოპარვის მიზნით მონეტას ზედმეტ ოქროს ჩამოაჭრიდა, მას ასაჭურისებდნენ, რადგან ამგვარი ქმედება ინგლისის მეფის გამოსახულების დამახინჯებად ითვლებოდა, მონეტის მოპარვისათვის კი — მარჯვენა ხელს სჭრიდნენ და ზარაფხანაში კედელზე კიდებდნენ.

18. თემურ-ლენგი დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ჟლეტის დროს თავის უკუღმართ ფანტაზიას იშველიებდა. კოჭლმა მიზანთროპმა სივასში 4 ათასი სომეხი მოქალაქე ცოცხლად დამარხა, სისთანში ხელფეხშეკრული 2 ათასი კაცი ციხის კედელში ჩააყოლა, ინდოეთში 100 ათასი ტყვე ცოლ-შვილის თვალწინ დახოცა, ისპაჰანში დიდი და პატარა უმოწყალოდ გაჟლიტა და 70 ათასი მოჭრილი თავისგან პირამიდები აღმართა. P.S. ზოგიერთი ისტორიკოსის გადმოცემით, თემურ-ლენგი საკუთარი სამეფო ტახტის ქვეშ მცირე ზომის პირამიდას ინახავდა, რომელიც დამარცხებულ მეფეთა მოკვეთილი თავებისაგან იყო აგებული.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# შეკითხვა ექიმს: ჩიყვთან დაკავშირებული პრობლემები

**ამჯერად რედაქციაში შემოსულ შეკითხვებს გამოვეხმაურებით. კითხვებზე პასუხების გაცემისას ვიხელმძღვანელებთ თამარ მამაცაშვილის წიგნით — „შეკითხვა ექიმს“, სადაც თავმოყრილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია საზოგადოებისთვის აქტუალურ სამედიცინო საკითხებზე. ამ წიგნის ყიდვა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში.**



## ჩიყვის ნიშნები

**კითხვა: ცნობილია, რომ ჩიყვის არსებობა ექოსკოპიით დგინდება. არსებობს თუ არა ამ დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რაც საშუალებას მოგვცემს, ეჭვი მივიტანოთ ჩიყვზე?**

**პასუხი:** დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის კლინიკური სურათი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. ჩვენ მოკლედ შევჩერდებით იმ ძირითად მომენტებზე, რომელთა ამოცნობა არაპროფესიონალისთვისაც არ იქნება ძნელი.

პირველ რიგში, თავს იჩენს ნერვული სისტემის მოშლილობის ნიშნები. დამახასიათებელია ფსიქიკური აგზნებულობა და ლაბილობა: ავადმყოფი უმიზეზოდ ნერვიულობს, ღელავს, მოუსვენრად გრძნობს თავს, მოუთმენელია, მცირე გამაღიზიანებლებზე ავლენს არაადეკვატურ რეაქციას, უმიზეზოდ ტირის, უჭირს ერთ საგანზე ყურადღების შეჩერება, ენაწყლიანია, უჩივის გულის ფრიალს, სხეულისა და კიდურების კანკალს, კუნთების სისუსტეს, უძილობას, მენსტრუალური ციკლის მოშლას. ყურადსაღები ნიშანია წონაში დაკლება.

ჩიყვით დაავადებულს დარღვეული აქვს ნახშირწყლების ცვლა, ძლიერდება ჟანგვის პროცესი, გამოყოფილი ენერგია კი დიდი რაოდენობით იკარგება სითბოს სახით, ამიტომ ავადმყოფს გამუდმებით სიცხის შეგრძნება, ხელისა და ფეხისგულები ცხელი, ოფლიანი აქვს.

ჩიყვის ყველაზე ხშირი, თითქმის უეჭველი ნიშანია ტაქიკარდია (გულის აჩქარება). გულისცემის სიხშირე წუთში 90-120-ია, მძიმე შემთხვევებში — 150 და მეტი. ტაქიკარდია დამშვიდების დროსაც არ ქრება.

რაც შეეხება წნევას: ჩიყვის დროს მატულობს ზედა ანუ სისტოლური წნევა და ქვეითდება ქვედა (დიასტოლური) წნევა.

არითმიების ერთ-ერთი სახე — მოციმციმე არითმია ასევე ართულებს ხოლმე ჩიყვს.

თვალსაჩინო სიმპტომია ტრემორი (კანკალი). იგი კარგად ჩანს წინ გაწვდილ, თითებგაშლილ ხელებზე (ხელისგულებით დაბლა). დამახასიათებელია ტრემორი ენაზე, ქუთუთოებზე, მძიმე შემთხვევაში კი მთელ სხეულს მოიცავს.

დიდი მნიშვნელობა აქვს თვალის სიმპტომებს — ოფთალმოპათიას: კრიალა (წყლიანი) თვალები, თვალების წინ წამოწევა (ეგზოფთალმი), წვა, ტკივილი, მათზე დაწოლის შეგრძნება. არსებობს ნიშნები, რომლებიც ცხადყოფს ქუთუთოებისა და თვალის მამოძრავებელი კუნთების კოორდინაციის დარღვევას.

თირეოტოქსიკოზის დროს სხეულის ტემპერატურა მომატებულია ხოლმე.

ფარისებრი ჯირკვალი ზოგჯერ არ ჩანს და არ ისინჯება. მაგრამ მისი ჰორმონების (თიროქსინი და ტრიიოდთირონინი) კონცენტრაცია სისხლში მომატებულია. ამდენად, ჰორმონული გამოკვლევა ჩიყვის დიაგნოსტირებისათვის საკმაოდ ინფორმაციულია.

თუ ზემოთ აღწერილი სიმპტომები საკუთარ თავში აღმოაჩინეთ, გირჩევთ, დროულად მიმართოთ ექიმ-ენდოკრინოლოგს, რადგან დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი წლების განმავლობაში მკურნალობის გარეშე მძიმდება და საქმე სერიოზულ გართულებამდე მიდის.

## შაქრის დამწევი მცენარეული საშუალებები

**კითხვა: მაქვს შაქრიანი დიაბეტი და ვსვამ დიაბეტის საწინააღმდეგო წამლებს, მაგრამ შაქარი მაინც მაღალი მაქვს (250 მგ%). გთხოვთ, თქვენი ჟურნალის საშუალებით მოგვაწოდოთ იმ მცენარეული პრეპარატების დასახელება, რომლებსაც შაქრის დამწევი ეფექტი აქვს.**

**პასუხი:** მართლაც არსებობს ისეთი მცენარეები, რომლებიც აწესრიგებს შაქრის ცვლას ორგანიზმში. გთავაზობთ მათ დასახელებას და გამოყენების წესებს:

1. ტყის მარწყვის ნაყოფი გაწურეთ და მიიღეთ 4-6 ს/კ წვენი დღის განმავლობაში.

2. 10 დაფნის ფოთოლს დაასხით 3 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაახურეთ ჭურჭელს თავსახური და დააყოვნეთ 2-3 საათი. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

3. დაამზადეთ მოცვის ფოთლების ნაყენი (2 ს/კ დანამცეცებული ფოთლები 2 ჩ/ჭ წყალზე). მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 4-5-ჯერ დღეში.

4. 100 გ შვრიის მარცვალს დაასხით 3 ჩ/ჭ წყალი, წამოადუღეთ 5-7 წუთი. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ ნახარში დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე. ამავე დროს უნდა გითხრათ, რომ საჭიროა შაქრის დონის რეგულარული კონტროლი და თუ გლუკოზის შემცველობა სისხლში არ დაქვეითდება, ალბათ დაგჭირდებათ ანტიდიაბეტური აბების დოზის გაზრდა, დიეტის კიდევ უფრო გამკაცრება. ეს ყველაფერი მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით და მისი მითითებით უნდა მოხდეს.

## ტერფების სოკო

**კითხვა: მაქვს ტერფების სოკოვანი დაავადება — მიკოზი. ექიმმა გამომიწერა ძალიან ძვირად ღირებული წამლები. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სოკოს სამკურნალო ბუნებრივი საშუალებები. იმედი მაქვს, ჩემს შეკითხვას არ დატოვებთ უყურადღებოდ, რადგან ეს პრობლემა ბევრ ადამიანს აწუხებს. წინასწარ გიხდით მადლობას.**

**პასუხი:** მიკოზის ეფექტიანი ხალხური სამკურნალო საშუალებაა ნივრის მარილიანი ხსნარი. ჯერ უნდა მოამზადოთ მარილწყალი, რისთვისაც 1 ლ წყალში უნდა გახსნათ 1 ჩ/კ სუფრის მარილი. შემდეგ დაჩეჩქვეთ ერთი კბილი ნიორი, დაასხით მას 1 ს/კ მარილის ხსნარი, გაჭყლიტეთ და გაწურეთ; მიღებულ ნარევს კიდევ დაუმატეთ 4 ს/კ მარილწყალი. ამ ნაყენით დაისველეთ სოკოთი დაზიანებული ადგილები გამოჯანმრთელებამდე. მომზადებული წამალი ვარგისია მხოლოდ 12 საათის განმავლობაში.

მიკოზის დროს საკმაოდ ეფექტიანია აგრეთვე ვაშლის ძმარი. ის დაზიანებულ ადგილებში დღეში 5-6-ჯერ უნდა შეიზილოთ, ვიდრე გამოჯანმრთელდებით.

გახსოვდეთ, რომ მიკოზის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმლის დამუშავებას. ძმარი გააზავეთ წყლით (1:2) და ამ ხსნარით ფეხსაცმელები შიგნიდან გაწმინდეთ. შემდეგ თითოეული ჩადეთ პოლიეთილენის პარკში, მჭიდროდ შეკარით და დატოვეთ ასე 2-3 საათით. ამის შემდეგ ფეხსაცმელი გასანიავებლად დადეთ ჰაერზე.

## ჭიები

**კითხვა: ჩემს 5 წლის პატარას აღმოაჩნდა მახვილა ჭიები. ვუმკურნალეთ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ანალიზმა ჭია ისევ აჩვენა. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თავი დავაღწიოთ გამეორებით დაავადების განვითარებას და თუ არსებობს ქიმიური აბების გარდა, მკურნალობის სხვა საშუალება?**

**პასუხი:** ვერავითარი წამალი ჭიებით ინვაზიისგან ვერ განგკურნავთ (მით უმეტეს, ბავშვს), თუ არ იქნება დაცული მკურნალობისა და პროფილაქტიკის მკაცრი პრინციპები, აუცილებელი ჰიგიენური რეჟიმი. მედიკამენტური მკურნალობა ექიმის მიერ ინდივიდუალურად შეირჩევა ხოლმე ჭიების სახისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. აფთიაქებში ანტიჰელმინთური (ჭიების საწინააღმდეგო) პრეპარატი დღეს მრავლადაა, თუმცა ზოგიერთი ჰელმინთოზის (მაგალითად, მახვილა ჭიით ინვაზიის) დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ ნივრის ნაყენის ოყნები (50-100 გ-იანი). ნაყენი ასე მზადდება: 2-3 გ (დაახლოებით 1-3 კბილი) დაკეპილ ნიორს დაასხით 50-100 გ ცხელი რძე, დააყოვნეთ 15-20 წუთი, შემდეგ გაწურეთ და შეგრილებული ნაყენი ოყნით შეუყვანეთ ბავშვს ძილის წინ. ჰიგიენური რეჟიმის დაცვა გულისხმობს: უკანა ტანისა და შორისის ჩაბანას თბილი წყლით დღეში 2-ჯერ; ჩაბანის შემდეგ ქვედა თეთრეულის გამოცვლას ასევე დღეში 2-ჯერ, საწოლის თეთრეულისას კი — კვირაში ერთხელ; ბავშვს უნდა ჩააცვათ შემოჭერილი საცვლები, რათა ძილში არ შეეხოს ხელით უკანა ტანს და არ მოიქავოს; საცვლებისა და საწოლის თეთრეულიც გამოხარშეთ და ორმხრივად გააუთოეთ. ასეთი მკაცრი ზომები უნდა დაიცვათ 42 დღის განმავლობაში, რათა ამოიწუროს პარაზიტთა ხელახალი განვითარების ვადა. დიდი მნიშვნელობა აქვს ფრჩხილების მოვლას (ისინი ბავშვს ყოველთვის მოჭრილი უნდა ჰქონდეს), ხელების საპნით დაბანას ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ და ყოველი ჭამის წინ; ხილისა და ბოსტნეულის გარეცხვას გამდინარე წყლით; ბუზებისგან სივრცის დაცვას, საცხოვრებლის სველი წესით დალაგებას. თუ ოჯახში ცხოველები გყავთ, მათ აუცილებლად უნდა უტარებდეთ ჭიის საწინააღმდეგო მკურნალობას. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ მახვილა ჭიის კვერცხები ძალიან იოლად ვრცელდება და თუ პატარა ინვაზირებულია, ოჯახის ყველა წევრს უნდა ჩაუტარდეს გამოკვლევა და პროფილაქტიკური მკურნალობა. თუ ყველა ამ რჩევას გაითვალისწინებთ, თავიდან აიშორებთ დაავადების განვითარებას.

## მოვემზადოთ ძუძუთი კვებისთვის

**კითხვა: როგორ უნდა მოუაროს ორსულმა ძუძუს კერტებს, რათა არ გაუჩნდეს ნახეთქები? თუ გაჩნდა, როგორ უნდა იმკურნალოს? როგორ ავიცილოთ თავიდან მასტიტი?**

**პასუხი:** მომავალმა დედამ ძუძუს კერტებზე ჯერ კიდევ მშობიარობამდე უნდა იზრუნოს, რომ შემდგომში ნახეთქები არ ჰქონდეს. ქალმა პერიოდულად უნდა იკეთოს მასაჟი მშრალი პირსახოცის ნაჭრით, ასევე უნდა დაიმუშაოს ხელით, რათა ძუძუს თავები კარგად ჩამოყალიბდეს. ეს პროცედურები ფრთხილად უნდა ჩაატაროს, რომ სარძევე ჯირკვალი არ დაიჟეჟოს. მშობიარობის შემდეგ მნიშვნელოვანია ძუძუს წოვების ტექნიკის ცოდნა, განსაკუთრებით პირველ დღეებში, როცა ნახეთქების გაჩენის ალბათობა ყველაზე დიდია. დედამ უნდა იცოდეს, რომ ახალშობილი წოვისას მხოლოდ დვრილზე კი არა, მის ირგვლივ არეალზეც უნდა მოეკიდოს — ეს აუმჯობესებს რძის გამოტანას სარძევე სადინარებიდან და თანაც ამცირებს დვრილების ტრავმირების რისკს. თუ ნახეთქი მაინც გაჩნდა, მისი მკურნალობა გულისხმობს დამზოგავ რეჟიმს (ერთი კვება შეიძლება, დაზიანებული ძუძუთი არ აჭამოთ) და ანთების საწინააღმდეგო და ქსოვილთა რეგენერაციის თვისების მქონე მალამოს გამოყენებას. მაგრამ გახსოვდეთ — ხანგრძლივად დვრილის დაზოგვა სარძევე ჯირკვალში რძის შეგუბებას გამოიწვევს და ეს შესაძლოა, მასტიტის განვითარების მიზეზიც გახდეს.

კერტები ყოველი კვების შემდეგ უნდა დაიმუშაოთ სოდიანი წყალხსნარით ან სპირტისა და წყლის ნარევით — კვების შემდეგ დვრილზე დარჩენილი რძე კარგი ნიადაგია ბაქტერიების გამრავლებისთვის. ეს ბავშვისთვისაც საზიანოა და მიკროტრავმირების დროს ნახეთქის გაჩენასაც უწყობს ხელს.

რაც შეეხება მასტიტს: მისი განვითარების თავიდან ასაცილებლად, ძალზე მნიშვნელოვანია მეძუძურობის პერიოდის პირველი დღეები — კარგად უნდა გაიხსნას ყველა სადინარი, შეგუბებების განვითარების შემთხვევაში საჭიროა მსუბუქი მასაჟი რძის გამოსადენად (რომელსაც სპეციალისტი ჩაგიტარებთ). დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წოვის რეგულარობას. მეძუძური დედა ლოგინობის პერიოდში განსაკუთრებულად უნდა გაუფრთხილდეს თავს, რათა არ გაცივდეს. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, ხრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## ყველას ასე ეგონა...

როცა იბადებოდა, ტიროდა თუ მღეროდა,
ყველას ასე ეგონა, უფლისწულად ჩნდებოდა.
როცა იბადებოდა და სიცოცხლით ტკბებოდა,
ბევრს ნამდვილად სჯეროდა, ბედს რომ არ ასცდებოდა.
იღბლიანი ვარსკვლავი ინთებოდა, ქრებოდა,
ყველას ასე ეგონა, ცეცხლი არ ჩაჭქნებოდა.
იბრძოდა თუ იწვოდა, როცა ცარგვალს წყდებოდა,
ყველას ასე ეგონა, ტყვია არ მოხვდებოდა.
რწმენა უკვდავებისა ვიდრე გულში რჩებოდა,
ბევრს ეგონა, სიკვდილი მას არ შეეხებოდა...

*მორის ფოცხიშვილი*

# სახსოვარი

## ჭაბუა ამირეჯიბი

◆არ არსებობს თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობით მიიღწევა.

◆ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს. დანარჩენი არსებობაა.

◆შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის!

◆ცოდნა რაა, თუ ის რწმენამდე არ მივიდა.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თემურ ივანიძე

# ლ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-24, 2011

**ლაფაჩი** თურქ. — ნელი, ზანტი, დოყლაპია.

**ლაფერა** — ხის დიდი ბრტყელი კოვზი, ქვაბიდან ღომის ამოსაღები (იციან იმერეთსა და გურიაში).

**ლაფსუსი** — უნებლიე შეცდომა.

**ლაფშა** — დაკოდილი ცხენი — იაბო.

**ლაფშური** — ლაფშა ცხენისთვის დამახასიათებელი — მოკლე და ჩქარი ნაბიჯით სვლა.

**ლაფჩინი** თურქ. (კუთხ.) — წაღა ერთგვარი.

**ლაქაში** — ჭაობის მრავალწლოვანი მცენარე. იკეთებს ხავერდოვან წაბლისფერ თავთავს.

**ლაღა** — ჯოხი, რომლითაც საწყაოს პირს გადაუსწორებენ ხოლმე მარცვლეულის აწყვისას (იციან იმერეთში, ლეჩხუმსა და გურიაში).

**ლაღლაღი** — წყალში გაქნევ-გამოქნევით გავლება რისამე (მაგ. სარეცხისა).

**ლაღმი** — ზოგიერთი ფეთქებადი ნივთიერების (ნაღმი, დინამიტი) საერთო სახელი — ლაღუმი.

**ლაყაფი** სპ. (ძვ.) — ლაყბობა, ყბედობა.

**ლაყუნი** — 1. აქეთ-იქით ქანაობით სიარული; 2. გადატ. (საუბ.) უსაქმოდ სიარული, ხეტიალი, ყიალი.

**ლაში** — ზოგიერთი ცხოველის (ცხენის, მგლის, ძაღლის) ტუჩი.

**ლაშარი** — ძველად ფშაველების მთავარი სალოცავი.

**ლაშარელა** — (კნინ.-მოფერებითი) იგივეა, რაც ლაშასელა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მორიგანი
## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-24, 2011

მარი ჯაფარიძე

მილიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ხელბორკილი დამადეს, კიბეზე მუჯლუგუნებით ჩამიყვანეს და მანქანაში ჩამსვეს. იზოლატორში 2 დღე ისე ვიყავი, რომ ბრალიც კი არ წაუყენებიათ. ვხვდებოდი, რაში დამდებდნენ ბრალს. 2 დღის შემდეგ სასამართლომ 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა ისე მომისაჯა, ადვოკატიც კი არ მყავდა და ციხეში გადამიყვანეს. პროტესტის გამოხატვას აზრი არ ჰქონდა — რუსეთის სასამართლო მთლიანად პროკურატურას ემორჩილებოდა, პროკურატურა კი არანაირ კანონს არ ცნობდა. როგორც თავად სურდა, ყველა საქმეს ისე „შეკერავდა“. გარკვეული თანხით ნებისმიერი „სროკისგან“ შეიძლებოდა თავის დაღწევა. რაც უფრო მძიმე იყო დანაშაული, მით უფრო დიდი თანხა იყო საჭირო, მაგრამ მე არანაირი ფული არ მიშველიდა, რადგან, როგორც დამნაშავის ციხიდან გამოშვება, ისევე მისი დაკავება და ნებისმიერი საქმის „აკიდებაც“ იყო შესაძლებელი. ასე რომ, თუ ვინმეს თავიდან მოშორება გსურდა, გადაიხდიდი და რა „სროკზეც“ გინდოდა, გაუშვებდი. დარწმუნებული ვიყავი, ჩემს შემთხვევაში საქმე სწორედ ასე იყო.

ადვოკატი მხოლოდ 1 კვირის შემდეგ მოვიდა და მითხრა, რომ ჩემს დამცველად აიყვანეს. მოსკოვში მცხოვრები ქართველი გახლდათ და პირველივე ფრაზებიდან მივხვდი — იმისთვის დამინიშნეს, რომ ვიღაცის ჩანაფიქრის მიხედვით წაეყვანა საქმე. რა თქმა უნდა, არ ვენდე.

— მარგო, უნდა მითხრა, რა კოზირი გაქვს, რომ საქმე შენ სასარგებლოდ დავამთავროთ.

— არანაირი კოზირი არა მაქვს, საქმე ისეა შეკერილი, რომ ყველაფერი ჩემ წინააღმდეგაა, — არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდი მისთვის „კარტის გახსნას“.

— განზრახ მკვლელობისთვის 10-დან 15 წლამდე მუხლს მოგიყენებენ. კარგად დაფიქრდი, რა გაქვს ხელმოსაჭიდი. იურისტი ხარ და არ გესწავლება, როგორ შეიძლება თავის დაღწევა.

საათ-ნახევრის განმავლობაში ცდილობდა, ჩემგან რაიმე ინფორმაცია მიეღო, მაგრამ — ამაოდ.

მისი წასვლის შემდეგ სხვა ადვოკატი მოვითხოვე — ჩემი ძველი ნაცნობი — ანატოლი პეტროვიჩი. იძულებული გახდნენ, მოეყვანათ.

მას ყველაფერი გულახდილად მოვუყევი და გავაფრთხილე, რომ წინა ადვოკატს საქმეს არ ჩამოაშორებდნენ, ამიტომ ერთად მოუწევდათ ჩემი დაცვა...

ანატოლი მშვიდად მისმენდა, ხანდახან ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა და თავს აქნევდა. ბოლოს დამემშვიდობა და 2 დღის შემდეგ მოვალო, — მითხრა.

იმ დროს მოვიდა, როდესაც ჩემს ქართველ ადვოკატთან მქონდა შეხვედრა და კვლავ მარწმუნებდა, რომ თუ მასთან გულახდილი ვიქნებოდი, ყველაფერი კარგად წარიმართებოდა.

პეტროვიჩის გამოჩენა აშკარად არ ესიამოვნა.

— შეგიძლიათ წახვიდეთ, მეორე ადვოკატს უნდა დაველაპარაკო, — ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად.

არც დაუხედავს ჩემი გაწვდილი ხელისთვის, ადგა და წავიდა.

— მარგო, ექსპერტის დასკვნის თანახმად, საშას მკვლელობა დილის 11 საათზეა დაფიქსირებული. ამ დროს შენ აეროპორტში იყავი, შემთხვევის ადგილზე კი მკვლელობიდან 4 საათის შემდეგ მიხვედი. ეს უტყუარი ალიბია. უკვე მოვიძიე საჭირო ხალხი — მოწმეები, რომლებიც შენთან ერთად მოფრინავდნენ იმავე რეისით და რამდენიმე დავითანხმე, სასამართლოზე ჩვენება მისცეს. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, სასამართლო დარბაზიდან გაგათავისუფლონ.

საგამოძიებო პერიოდმა და სასამართლო პროცესებმა ისე ჩაიარა, რომ არც ლევანს და არც სანდროს ჩემთან შეხვედრა არ მოუსურვებიათ, მიუხედევად იმისა, რომ ადვოკატს ყოველდღე ვაწუხებდი თხოვნით, მათ დაჰკავშირებოდა.

ვიცოდი, რომ პროცესს წავაგებდი და არავითარი შანსი არ მქონდა იმისა, რომ ჩემს სიმართლეს დავამტკიცებდი, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია და მაინც გამუდმებით ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას — მოვითხოვდი, სასამართლო დარბაზიდან გავეთავისუფლებინე, რადგან უდანაშაულო ვიყავი და შურისძიების მსხვერპლი გავხდი. ვერც ალიბიმ მიშველა, ვერც მოწმეების დაკითხვამ და ჩვენებებმა. სასამართლომ 14-წლიანი პატიმრობა მომისაჯა. გავასაჩივრე. უმაღლესმა სასამართლომ 3 წელი მომაკლო და 11 შემიფარდა. სულ ეს იყო, რისი მიღწევაც შევძელით.

დანარჩენი უკვე იცით: 11-დან 7 წელი მოვიხადე და სანდროსა და ლევანის მოწადინებით, ვადაზე ადრე გამათავისუფლეს. ლევანს აღარ შევხვედრივარ მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოსულს, მოსკოვის აეროპორტში ჩანთაში დიდი ოდენობით ჰეროინი „აღმომიჩინეს“ და „მშველელად“ გამომეცხადა. მაშინ ლაპარაკისა და ურთიერთობის გარკვევის დრო და საშუალება არ იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან, ჩვენი შეხვედრა უნდა შემდგარიყო.

ეს დღეც მალე დადგა.

ერთ დღეს, საღამო ხანს, როდესაც დავითის სახლიდან ჩემს ოფისამდე ქუჩას ფეხით მივუყვებოდი, მანქანა წამომეწია და ნაცნობმა ხმამ დამიძახა. გველნაკბენივით შევხტი.

— სად მიდიხარ? დაჯექი, მოგემსახურები, — ლევანი მუქი სათვალის ზემოდან მიყურებდა.

ჯერ ვიფიქრე, უარს ვეტყვი-მეთქი, მერე უეცრად შევცვალე გადაწყვეტილება და გვერდით მივუჯექი.

— პატიმრობაში გატარებულ წლებს შენთვის არაფერი დაუკლია, — მაშინვე კომპლიმენტი მითხრა,

## ვიცოდი, რომ პროცესს წავაგებდი და არავითარი შანსი არ მქონდა იმისა, რომ ჩემს სიმართლეს დავამტკიცებდი

რაზეც დუმილით ვუპასუხე. მადლობის გადახდაც კი არ მივიჩნიე საჭიროდ.

— რას გაჩუმებულხარ, სათქმელი არაფერი გაქვს? — მის უსინდისობას საზღვარი არ ჰქონდა.

— მაქვს, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის...

— არსად მეჩქარება. შეგვიძლია, რამდენიც გვინდა, იმდენი ვილაპარაკოთ, — ლევანმა მანქანა ჩრდილში გააჩერა და ჩემკენ შემობრუნდა, — გისმენ, რით შეგიძლია, თავი იმართლო?

— თავი მე უნდა ვიმართლო?! — ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

— რაც დაიმსახურე, ის მიიღე. შენ ასე არ ფიქრობ?

— არა!

— ღალატისთვის დაისაჯე!.. შენზე ბოღმა გულში აღარ დამრჩენია, 7 წელი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი გადამეხარშა და მეპატიებინა. მზად ვარ, ჩვენი ურთიერთობა აღვადგინო და აღარასოდეს წამოგაყვედრო ის, რაც მოხდა.

— რას მელაპარაკები? რა სულგრძელი ხარ?! მაშასადამე, მაპატიე, არა? ძალიან გამახარე... გგონია, ასე იოლია ან იმ წლების დავიწყება, ან იმის, რაც გამიკეთე?

— გგონია, იოლია ღალატის პატიება? თან, ვისთან — საკუთარ სიძესთან! — შეეცადა, ჩემი ინტონაცია გაემეორებინა.

— სამართლიანობა მოითხოვდა, რომ სანდროც ჩემთან ერთად დასჯილიყო. თუ ის იმიტომ დაინდე, რომ ნათესავია?!

— ჩემი ქალიშვილი დავინდე, რადგან ეგ ნაძირალა და არაკაცი უყვარს... — მერე უცებ ტონი შეცვალა: — მარგო, ნუღარ გავიხსენებთ წარსულს.

— ნუ გავიხსენებ?! ეგ არც არასოდეს დამავიწყდება. სხვათა შორის, სანდრო პირიქით ამბობს, რომ სიმამრმა „დააწერა“ ქალი. ჰოდა, იმასაც მოითხოვდა, რომ შენთან ურთიერთობა გამეწყვიტა, — „ჩორტი“ ჩავაგდე.

— როგორ?! კარგად მახსოვს — შენთვის პირველი მამაკაცი ვიყავი!

— კი. მაგრამ მე და სანდროს მანამდე გვიყვარდა ერთმანეთი. შემდეგ, როცა გადაწყვიტე, დონა მისთვის მიგეთხოვებინა, ჩვენი ურთიერთობა ჩაიშალა. მის ჯიბრზე დაგიწექი, თან — მომეწონე და ვიფიქრე, რომ არ იყავი ხელიდან გასაშვები კაცი და... ბოლოს ასე გამოვიდა.

— ეგ მაინც არაა ღალატის გამართლება: თუ ამას ფიქრობდი, მაშინ ბოლომდე უნდა დარჩენილიყავი ჩემთან. მაგრამ... მინდა, ძველ ურთიერთობას დავუბრუნდეთ.

— არავითარ შემთხვევაში! მეყო! — ლამის ისტერიკაში ჩავვარდი. მანქანიდან გადმოვხტი და გავიქეცი.

წამომეწია, მთხოვდა, მომესმინა მისთვის, მაგრამ არ გავჩერდი — გიჟივით გავრბოდი.

ოფისში ახალი საქმე დამახვედრეს. მკვლელი უნდა დაგვეცვა. საინტერესო საქმე იყო, თანაც, ვინაიდან ჯერ ფირმა მთლიანად არ მქონდა დაკომპლექტებული, ამ საქმეს თვითონ მოვკიდე ხელი.

— თუ ვერ გავუმკლავდები, ხომ დამეხმარები? — ვკითხე ძველ „თანამებრძოლს“, ჯონის, რომელთან ერთადაც დაჭერამდე ვმუშაობდი.

ჩემი დაპატიმრების შემდეგ საქმეს დამოუკიდებლად ველარ გაუძლვა და იძულებული გახდა, საადვოკატო ფირმა დაეხურა. ახლა კი თანამშრომლად ისევ მოვიწვიე. კიდევ, ლაშა ავიყვანე, რომელიც მართლაც, თავისი საქმის პროფესიონალი იყო, თან ჩემი ერთგული ადამიანი.

— მარგო, არ გრცხვენია? მაგას კითხვა უნდა?

— იმდენი ხანი ვიყავი უმოქმედოდ, რომ ახლა ამ საქმეზე მუშაობა ჩემთვის წამალივით იქნება, თან საკუთარი თავის გამოცდის საშუალებაც მომეცემა.

ყველა სასამართლო პროცესზე ალექსანდრე გეგიძე და სერგო არეშიძე ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილები ცხადდებოდნენ. მათი გარეგნობის მიხედვით ვერ მიხვდებოდი, რომ მანამდე რამდენიმე თვე ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში ჰქონდათ გატარებული. შეფიც და მისი პირადი მცველიც თავს მშვიდად გრძნობდნენ. სერგო სულ თან დაატარებდა ქაღალდების დასტას, სადაც მოწმეებისთვის დასასმელი შეკითხვები ჰქონდა ჩამოწერილი. ის წლების განმავლობაში ალექსანდრეს გვერდით ტრიალებდა, ახლა კი შეფის დანაშაულს საკუთარ თავზე იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ესმოდა — 3 ადამიანის მკვლელობა უბრალო ხულიგნობა არ იყო... რა იმალებოდა მისი ამ საქციელის მიღმა?

დაცვის ხაზი მთლიანად იმაზე მქონდა აგებული, რომ ალექსანდრეს მიერ დანაშაულის ჩადენის მყარი მტკიცებულება არ არსებობდა. დანაშაულის ადგილიდან ამოღებულ 2 პისტოლეტზე თითების ანაბეჭდები ვერ აღმოაჩინეს. ამიტომ ბევრი სპეციალისტი მიიჩნევდა, რომ ერთი მოწმის ჩვენების გარდა, გამოძიებას სხვა სამხილი არ ჰქონდა. მოწმე, რომელიც შეიარაღებული დაცვის თანხლებით მოიყვანეს სასამართლო დარბაზში, ბრალდებისთვის მთავარ ხელმოსაჭიდს წარმოადგენდა. მას ალექსანდრე გეგიძის ჩაძირვა შეეძლო. თუმცა ის დაინტერესებული მხარე გახლდათ და სასამართლო ამ გარემოებასაც გაითვალისწინებდა.

დარბაზში განსასჯელთა ცოლები და დაზარალებული მხარის წარმომადგენლები გამოჩნდნენ.

სხდომა ერთ-ერთი მოკლულის დედის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც გეგიძეს მიმართა:

— ალეკო, შენ მოკალი ჩემი შვილი! შენ და არეშიძემ აკუწეთ იგი და თვალები დასთხარეთ! მიწა როგორ არ გისკდებათ? ცოცხლები როგორ ხართ? და რატომ ამძიმებთ ამ ისედაც ცოდვილ დედამიწას?!.

მოსამართლე იძულებული გახდა, ქალისთვის სიტყვა შეეწყვეტინებინა, რადგან დარბაზი ახმაურდა და დამსწრეთა შორის დაძაბულობას მოერიდა.

მეორე მოკლულის — ზვიად სოხაძის ცოლმა განაცხადა, რომ ერთ დროს გეგიძე მის ქმართან ერთად, კოლონიაში სასჯელს იხდიდა. ამიტომ მისი მტკიცება, რომ ჩემს ქმარს წინათ არ იცნობდა, სიმართლეს არ შეესაბამებაო.

— ასეთ სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეში სამართალდამცველების მიერ საგამოძიებო ქმედებები და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი ყოველგვარი კანონის დარღვევითაა შედგენილი. შემთხვევის დროც კი არაა დაფიქსირებული; საქმეს არ ერთვის იმ საბილიარდოს სქემა, სადაც დანა-

შაული მოხდა. გეგიძეს ადანაშაულებენ იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებაში. სად შეიძინა და სად ინახავდა, ამაზე გამოძიებას პასუხი არა აქვს. საბილიარდოს დაცვის თანამშრომელი ამბობს, რომ მონიტორზე ნათება შენიშნა, რომელიც, მისივე თქმით, იარაღის გასროლის შედეგი იყო. მაყუჩს კი, გარდა იმისა, რომ ხმას ახშობს, აქვს მეორე ფუნქციაც — გასროლის დროს გამოვარდნილ ალს აქრობს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს — ალექსანდრე გეგიძეს სასჯელი მოხდილი აქვს კოლონიაში, სადაც 6 ათასი ადამიანია თავმოყრილი. ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ გეგიძე და სოხაძე იქ ერთმანეთს არც შეხვედრიან... გეგიძე დაავადებულია პანკრეატიტით და გთხოვთ, გაათავისუფლოთ, გირაოს გადახდის გარანტიით, — ასე დავასრულე ჩემი გამოსვლა.

მოსამართლემ საქმე დამატებით ძიებაში დააბრუნა, გეგიძე და მისი პირადი მცველი კი საპატიმროში დატოვა.

ამ საქმის გამოძიება 6 თვეზე მეტხანს გაგრძელდა და მასში თბილისის პროკურატურისა და პოლიციის კვალიფიციური კადრები იყვნენ ჩაბმული. როდესაც სისხლის სამართლის საქმე, როგორც იქნა, სასამართლოში გადაგზავნეს, ყველა დარწმუნებული იყო, რომ გეგიძესა და არეშიძეს დიდი ხნით ჩააყუდებდნენ ციხეში...

სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქის ერთ-ერთ უბანში, ლიფტში გეგიძის უახლოესი მეგობრის, ნიკა კანდელაკის გვამი აღმოაჩინეს. 5 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის შემდეგაც სუნთქავდა, რადგან მკვლელს მისთვის პისტოლეტის ტარით გაუჩეჩქვავს თავი...

გეგიძეს ეს ინფორმაცია მე შევუტანე. გულმა უმტყუნა და ძირს დაეცა. გარდა იმისა, რომ უახლოესი მეგობარი დაკარგა, როგორც მითხრა, ნიკა მისი ბიზნესის ფინანსურ ნაწილს განაგებდა. ამდენად, მისი დაკარგვა ბიზნესსაც დიდ დარტყმას აყენებდა. და კიდევ — ახლა ისიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, თუ ვინ იზრუნებდა შეფის ციხიდან გამოხსნაზე?

ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ადამიანთა ერთი ჯგუფი მზად იყო, დიდი ფული გადაეხადა ციხეში გეგიძის კარგა ხნით დასამწყვდევად, მეორე კი მის გამოხსნაზე ჩალიჩობდა.

პროკურატურა საპროცესო გარიგების გაფორმებას არ ჩქარობდა და ცდილობდა, გეგიძის პატიმრობის ვადა გაეწელა.

მის გათავისუფლებას მხოლოდ 2 მოწმის არსებობა უშლიდა ხელს. თუმცა არსებობდა კიდევ ერთი მოწმე, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და ირწმუნებოდა, რომ გეგიძეს მკვლელობასთან კავშირი არ ჰქონდა, — მაგრამ ისიც მალე მოიშორეს თავიდან: თავისი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოსთან, მეგობართან ერთად მანქანაში ჩაჯდა თუ არა, ორმა ახალგაზრდა კაცმა ტყვიები დაახალა. თავად მოწმე ადგილზევე დაიღუპა, მისი მეგობარი კი მძიმედ დაიჭრა.

ამ შემთხვევიდან 1 კვირის შემდეგ გეგიძე ციხიდან გამოვიდა — მის წინააღმდეგ მტკიცებულებების არარსებობის გამო. სინამდვილეში, მის გათავისუფლებაზე მე ვიზრუნე, საჭირო კაცი მოვძებნე, ფული კი, ცხადია, თავად იშოვა.

არეშიძე საპატიმროში დარჩა. პროკურორმა მისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ვამტკიცებდი, რომ ის უდანაშაულო იყო, რადგან მკვლელობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩაიდინა — იმ ადამიანის პირადი მცველი იყო, ვისაც თავს დაესხნენ, ამიტომ მის გათავისუფლებას მოვითხოვდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# ხაფანგში



დასაწყისი იხ. „გზა“ №19-24

რუსუდან ბერიძე

## ტატო

„იმ ადგილზე მეც დავიხედე და გავფითრდი. ფაქიზად, მაგრამ შავი ძაფით გაკერილი ახალი ნაჭრილობევი ჯერ კიდევ შესივებულ-შეწითლებული იყო. მის დანახვაზე გვერდში ჩხვლეტა და ტკივილიც უმალ ვიგრძენი. შიშით გული გადამიქანდა, მაგრამ გარეგნულად მაინც არაფერი შევიმჩნიე.

— რა არის-მეთქი? — გამიმეორა თვალებგაფართოებულმა მარიკამ. — ეს ხომ ადრე არ გქონდა?

— ადრე არ მქონდა, ახლა მაქვს, — იხტიბარი არ გავიტეხე და, თან, ნაჭრილობევი ფრთხილად მოვისინჯე.

— ტატო! — წამოიყვირა ცოლმა.

— რა ტატო, რა? — ხმას ავუწიე მეც. — უკვე 50 წელია, რაც ტატო ვარ!

— მითხარი, რა მოხდა?

— არაფერიც არ მომხდარა. უბრალოდ, დიდი ხნის უნახავი ძმაკაცი შემხვდა...

— ვინ?

— არ იცნობ. 20 წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობს და საქართველოში პირველად ახლა ჩამოვიდა. რესტორანში დამპატიჟა და უარი ვერ ვუთხარი.

— და მთელი 3 დღე და ღამე რესტორანში გაატარეთ?

— რა თქმა უნდა, — არა. მერე ბათუმში წავედით...

— ტატო, რა გჭირს?! — ხმა აუკანკალდა მარიკას. — სიმართლე მითხარი, სად იყავი და ეს ყველაფერი ვინ დაგმართა?

ცოლის მავედრებელმა მზერამ ფარ-ხმალი დამაყრევინა. ის ხომ მარტო ჩემი სარეცლის მოზიარე კი არა, ძველი მეგობარიც იყო. ამიტომაც ასეთი სისულელეებით ვერ მოვატყუებდი და, სიმართლე გითხრათ, იმ წუთში ამის გაკეთების სურვილი აღარც მქონდა. ამიტომ ცოტა კიდევ ვიყოყმანე და შემდეგ ყველაფერს დაწვრილებით მოვუყევი: დილაადრიან შინიდან პურის საყიდლად გასული ვიღაც უცხო გოგონას როგორ გადავეყარე, როგორ დავყევი მის ნებას და 5.000 დოლარის აღების იმედად სულელურ შეკითხვებზე როგორ ვუპასუხე. უმნიშვნელო დეტალისა თუ ნიუანსის გამოტოვებაც არ მიცდია, რადგან ვხვდებოდი, რომ მომხდარის გასაღები რომელიმე ასეთ წვრილმანში იყო საძებნელი.

— ფირმა „რეაბილიტაცია?“ — ჩაფიქრდა მარიკა. — მაინც რა უნდა იყოს ეს, ჰა?

— არ ვიცი, — მხრები უმწეოდ ავიჩეჩე.

— არაფერი მესმის.

— არც მე. იქნებ ცოტა კიდევ წავუძინო და მერე მოვიფიქროთ რამე? — გამოუვალი სიტუაციიდან თავის დაძვრენა ვცადე...

— არა, წასვლის დროა, — ფეხზე წამოდგა მარიკა.

— სად მივდივართ?

— სამედიცინო ცენტრში.

— იქ რა გვინდა?

— როგორ თუ რა გვინდა? — შეიცხადა მარიკამ. — აბა, ასე გულხელდაკრეფილები ხომ ვერ ვისხდებით? იქნებ რამე საშინელება გჭირს. ახლავე იმ ექიმს დავურეკავ, გუშინ რომ გაგსინჯა და მიღებას ვთხოვ. სხვათა შორის, გამოცდილი სპეციალისტია.

— რა იცი, რომ გამოცდილია?

— ვიცი, — ხმა გაიმკაცრა მარიკამ, — ისე, ცენტრში კარგად კი გაგვფცქვნიან, მაგრამ რას იზამ.

მარიკა მართალი იყო, ვერაფერსაც ვერ ვიზამდით. ექიმთან წასვლა და იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს, აუცილებელი იყო.

— იქნებ ხვალამდე მოგვეცადა, — ფეხის ათრევას მაინც შევეცადე.

— გაგიჟდი? — თვალები დამიბრიალა ცოლმა. — რა იცი, რა ხდება? იქნებ ისეთი რამე გჭირს, რომ ყოველი წუთიც კი ძვირფასია?

— კარგი რა, — იხტიბარი მაინც არ გავიტეხე, — ასე საჩქარო რა უნდა იყოს?

— იქნებ ჭრილობაში რაღაც საშინელება ჩაგაკერეს.

— რა საშინელება?.. რას მიედმოედები?

— კარგი, კარგი, ჰო! — დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია მარიკამ. — შენი შეშინება არ მინდა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ვიღაცამ რაღაცისთვის გაგიკეთა?

საბოლოოდ, წასვლა მაინც მეორე დილისთვის გადავდეთ. მანამდე კი მარიკამ ექიმს, ვინმე ბატონ მიხეილს დაურეკა და მიღების დრო შეუთანხმა.

— ესეც ასე, — ამის შემდეგ ყურმილი მშვიდად დადო მან, — ამ ცენტრში გამოცდილი ექიმები არიან და დარწმუნებული ვარ, ყველაფერში დაგვეხმარებიან.

— დახმარებით ალბათ დაგვეხმარებიან, მაგრამ ხომ იცი, ეს ყველაფერი რაც დაგვიჯდება. და თუ...

— ფულზე ნუ იდარდებ, — გამაწყვეტინა ცოლმა, — გუშინ ახალძეებმა ვალი დაგვიბრუნეს.

ცენტრის ექიმმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემდეგ, რაც მე და მარიკამ ლამის ორ ხმაში ავუხსენით ჩვენი ვიზიტის მიზეზი, მან თავი მრავალმნიშვნელოვნად დაგვიკრა და ისე დასძინა:

— რას იზამთ, უარესიც ხდება ხოლმე.

მოკლედ, ბატონი მიხეილი ჩემს მონათხრობს ოდნავაც კი არ გაუკვირვებია. სამაგიეროდ, მისგან ოდნავ მოშორებით, კომპიუტერთან მჯდარი ახალგაზრდა მედდა სიცილს ვერ იკავებდა და ისეთ ხითხითზე გადადიოდა, თითქოს ვიღაც გამეტებით უღიტინებსო. ბატონმა მიხეილმა გოგონას საქციელი ერთხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს მაინც შენიშვნა მისცა:

— ნანუკა, როგორ იქცევი? შეწყვიტე სიცილი!

ამ სახელის გაგონებაზე მე და მარიკამ ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს.

ამასობაში ბატონი მიხეილი ისევ მომიბრუნდა:

— ადრე ღვიძლს ხომ არ უჩიოდით?

— პრინციპში — არა. უბრალოდ, ხანდახან ცოტა მეტს თუ დავლევდი, ოდნავ გამკრავდა ხოლმე.

— ალკოჰოლი იმ დღესაც ხომ არ მიიღეთ?

— რას ბრძანებთ?! — შევიცხადე.

— დილაადრიან მარტოს რა დამალევინებდა?!

ამის შემდეგ ექიმმა ჯერ რენტგენის გადასაღებად წამიყვანა, შემდეგ ქირურგს სთხოვა ჩემი გასინჯვა. ნანუკა ყველგან თან დაგვყვებოდა, მაგრამ ახლა უკვე თავშეკავებულად იქცეოდა და სახეზე რაღაც სევდის მსგავსიც კი აღბეჭდოდა. ქირურგთან ვიზიტისას საქმე ცოტა გართულდა. მან ნაჭრილობევი ჯერ საფუძვლიანად დაათვალიერა, შემდეგ შავი ძაფები ფრთხილად ამომაცალა და ჭრილობის გარშემო მუცლის ხელით მოსინჯვა სცადა. ხელის შეხებისთანავე ისეთი საშინელი ტკივილი ვიგრძენი, რომ ხმამაღლა შევყვირე. ქირურგმა გასინჯვა მაშინვე შეწყვიტა და იქვე მდგარ ბატონ მიხეილს მიუბრუნდა:

— ლაზერით უმუშავიათ, თან, — ძალიან ოსტატურად.

ამის შემდეგ ექიმებმა კარგა ხანს რაღაცაზე ხმადაბლა ითათბირეს, რენტგენის სურათებსაც სხვადასხვა განათების ქვეშ დააკვირდნენ, რამდენჯერმე ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს და ასე გამომიტანეს „განაჩენი“, რომელიც ქირურგმა „მომახარა“:

— დარწმუნებული ვარ, სულ ტყუილად ხართ გაჭრილ-გაკერილი, მაგრამ შემიძლია, კიდევ ერთხელ გაგჭრათ და თვალნათლივ ვნახოთ ყველაფერი.

— ძალიანაც ნუ ავჩქარდებით, — ქირურგისთვის პასუხის გაცემა დამასწრო ბატონმა მიხეილმა, — მოდი, ერთი 2 დღე კიდევ მოვიცადოთ და საბოლოო გადაწყვეტილება მერე მივიღოთ.

ამის შემდეგ ისევ ბატონი მიხეილის კაბინეტში დავბრუნდით. ცოტა ხანში ექთანმა მარიკას რაღაც ხმადაბლა გადაულაპარაკა და შემდეგ ორივე დერეფანში გავიდა.

— მოკლედ, ასე ბატონო ჩემო, — ქალების გასვლისთანავე დაიწყო ექიმმა, — მთლად ორდინარულ შემთხვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

— ამას კარგად ვხვდები.

— მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ სიმართლეს ბოლომდე არ ამბობთ. მოდი, მე მაინც გამომიტყდით; მიამბეთ, სინამდვილეში რა მოხდა? პირობას გაძლევთ, რომ თქვენი ნაამბობი ამ კლინიკის კედლებს არ გასცდება.

— სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცი, — ხელები უმწეოდ გავშალე.

— კარგი, საკითხი სხვაგვარად დავსვათ.

— მაინც როგორ?

— ჩემგან რას ელით?

— რას და... — წამით დავიბენი. — ალბათ, იმას, რასაც ნებისმიერი ავადმყოფი ელის ექიმისგან.

— მაგრამ თქვენ ხომ ავად არ ხართ?

— ვითომ?

— ახლა... — ამჯერად უკვე ბატონმა მიხეილმა გაშალა ხელები. — როცა თქვენი ასაკის ადამიანთან გვაქვს საქმე, ბოლომდე ვერაფერზე დადებ თავს, მაგრამ ყველა ორგანო ადგილზე გაქვთ...

— დარწმუნებული ხართ?

— მთლად 100%-ით არაფერში ვარ დარწმუნებული, მაგრამ... ისე, თქვენი სტაციონარში დაწვენა და უფრო დეტალური გამოკვლევაც შემიძლია. ჩვენს ცენტრში მშვენიერი პირობებია და მართლა შესანიშნავი სპეციალისტები გვყავს, მაგრამ ალბათ, ხვდებით, რომ ეს ყველაფერი სერიოზულ თანხებთან იქნება დაკავშირებული.

— კარგი, ბატონო მიხეილ, მოვიფიქრებ. მანამდე კი იქნებ ერთ კითხვაზე მეც მიპასუხოთ.

— დიახ, რა თქმა უნდა, ბრძანეთ!

— ჩემამდე თუ გახსენდებათ მსგავსი შემთხვევა?

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რომ ვერ ვიხსენებ, 3 დღე და ღამე სად ვიყავი. თან, ეს ნაჭრილობევიც ხომ კიდევ 1 გამოცანაა. ბოლომდე ისიც არ ვიცით, ოპერაცია გამიკეთეს თუ უბრალოდ გამჭრეს.

— კარგად მესმის თქვენი, — მაგიდის პრიალა ზედაპირს ხელი გადაუსვა ექიმმა, — მაგრამ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი მეც არ მაქვს; მეტიც



— აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. შეიძლება, რაღაც ფანტომურ რეალობასთანაც კი გვქონდეს საქმე. მაგრამ ეს უკვე ჩემი პროფილი აღარ არის. ამიტომ იქნებ შესაბამისი ორგანოებისთვის მიგემართათ...

ლალის ფეხებთან ფეხმორთხმულმა თემომ კითხვა დაასრულა და, განაჩენის მოლოდინში, გოგონას მორჩილად ახედა.

— რა არის, იცი? — ლალიმ შორიდან მოვლა ამჯობინა.

— არ მოგეწონა?

— არა, რატომ? წინასი არ იყოს, ეს რომანიც კარგად იწყება, მაგრამ იცი, რას ვფიქრობ?

— არ ვიცი, და, ამიტომ, ყურადღებით გისმენ, — სმენად იქცა სხიერელი.

— არ გეწყინოს, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი, უფრო სწორად კი რაღაც ამის მსგავსი ადრე უკვე მაქვს წაკითხული, ანდა — სულაც ნანახი.

— და ეს გიკვირს?

— არა, არ მომწონს.

— გინდა, მიზეზი აგიხსნა?

— ამიხსენი.

— ამას წინათ, ჩემი ძმაკაცის დაბადების დღეზე ერთი დამწყები რეჟისორი გავიცანი და თავისი მომავალი ფილმისთვის სცენარის დაწერა შემომთავაზა. რომ ვუთხარი, სცენარი არასდროს დამიწერია და, თან, ამჟამად თავში ერთი ნორმალური სიუჟეტიც კი არ მიტრიალებს-მეთქი, გაეღიმა: — აიღე და რომელიმე ცნობილი სიუჟეტი გადაამღერეო.

— და მართლაც ასე მოიქეცი?

— რა თქმა უნდა, — არა. სცენარების წერა ჩემი საქმე არ არის, ყოველ შემთხვევაში — ამ ეტაპზე. მაგრამ ისე, ის ტიპიც მართალი იყო. მსოფლიოში ხომ სულ ოციოდე ორიგინალური სიუჟეტი თუ მოგზაურობს და მწერლები მათ, ქოთნისა არ იყოს, საითაც უნდათ, იქით აბამენ ყურს.

— შენმა ბრძნულმა მსჯელობამ ერთი რუსული ანეკდოტი გამახსენა.

— მაინცდამაინც რუსულს რომ არ ეცე, ანეკდოტები დაილია?

— რა იყო? შენც ყველგან რუსეთის აგენტები ხომ არ გელანდება?

— აბა, რა. ჯერ არ მითქვამს, რომ „პატრიოტის აქტის“ მიღების თავგადაკლული მომხრე ვარ?

— ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

— მაინც რაო, რას ამბობს შენი ანეკდოტი? — გოგონას წვივებზე ხელები მზრუნველად შემოხვია თემომ.



— რაო და მომავალი კომპოზიტორი მეგობარს შესჩივის: — ხელმძღვანელი საკურსო ნაწარმოების დროზე დამთავრებას მთხოვს, მე კი ერთი ცოცხალი ნოტის აღებასაც კი ვერ ვახერხებო. — შენც, ადექი და, ხელმძღვანელის საკურსო აიღე და უკუღმა დაწერეო, — ურჩევს მეგობარი. — უკუღმა რომ დავწერო, ჩაიკოვსკი გამოვაო...

თემომ ერთი გულიანად გადაიხარხარა, შემდეგ ფეხზე სწრაფად წამოდგა და მაგიდიდან მობილური ტელეფონი აიღო:

— აჩიკოსთან დარეკვა კინაღამ დამავიწყდა.

— მართლა, რას შვრება შენი ძვირფასი გამომცემელი? ბოლოს და ბოლოს, გიბეჭდავს რომანს თუ არა?

— ახლავე გავარკვევ, — ნომერი აკრიბა სხიერელმა.

ზარი მალე გავიდა.

— ალო, აჩი, თემო ვარ, — ჩასძახა ყურმილში სხიერელმა, — როგორაა საქმე?.. მართლა?.. როდის გადაწყდა?.. პირადად იყო თუ ისევ კურიერი გამოგიგზავნა?.. მერე?.. ძალიან კარგი... წამოვალ, აბა, რას ვიზამ!.. ისე მეკითხები, თითქოს სხვა არჩევანი მქონდეს... რა თქმა უნდა, თანახმა ვარ... როდის?.. დანარჩენ რომანებსაც ნახავენ თუ პირდაპირ კონკურსზე ჩავიტანო?.. კარგი, მაშინ ხვალ შემოგირბენ... მართლა, პრესა თუ ეყოლებათ?.. კონკურსს თუ გააშუქებს-მეთქი ვინმე?.. მე?.. არა, ორ საქმეს ვერ „გავქაჩავ“, მაგრამ ჩემი ჟურნალიდან ერთ მშვენიერ კოლეგას კი სიამოვნებით გავუწევდი რეკომენდაციას... კარგი, დაველაპარაკები და საბოლოო პასუხს მერე გეტყვი.

ამის შემდეგ თემომ ტელეფონი გათიშა და ისევ ლალის ფეხებთან მოკალათდა:

— ესეც ასე.

— მშვიდობაა?

— კი.

— გიბეჭდავენ?

— პირველი რომანის დაბეჭდვის საკითხი გადაწყვეტილია. დანარჩენებზე კი კონკურსის მერე მოვილაპარაკებთ.

— კონკურსზე მაინც უნდა წახვიდე?

— აუცილებლად. ელიოზიშვილი ლამის ყოველდღე უგზავნის აჩიკოს კურიერს და კონკურსთან დაკავშირებულ ხან რა დეტალს უთანხმებს და ხან — რას.

— კურიერი რომ არ არბენინოს წინ და უკან, კომუნიკაციის უფრო თანამედროვე საშუალებების არსებობაზე არაფერი სმენია მაგ თქვენს ელიოზიშვილს?

— რა ვიცი, აბა? — კეფა მოიფხანა შეფიქრიანებულმა სხიერელმა. — ეს ამბავი მეც მიკვირს, მაგრამ აჩიკო ამბობს, უბრალოდ, ცოტა ძველმოდური კაციაა, ეს არის და ესო.

— აჩიკომ მაინც თუ ნახა პირადად ეგ იდუმალი და ძველმოდური ელიოზიშვილი?

— არა. ხომ გითხარი, კურიერის დონეზე ურთიერთობენ-მეთქი.

— არ მომწონს ეს ყველაფერი, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლალიმ, — მეშინია, რამე შარში არ გაეხვე.

— ჰოდა, ეს რომ არ მოხდეს, კონკურსზე შენც აუცილებლად უნდა წამოხვიდე.

— მე? — გაუკვირდა გოგონას.

— აბა, რა! ვერ გაიგონე, წეღან აჩიკოს შენ შესახებ რომ ველაპარაკე?

— ანუ ის „მშვენიერი კოლეგა“ მე ვარ?

— უმშვენიერესი, — თვალები ეშმაკურად მოწკურა თემომ, — ჰა, რას იტყვი, წამოხვალ?

— კონკურსი სად ტარდება?

— მთიან აჭარაში.

— აჭარაში? — გაუკვირდა ლალის. — ამ შუა ზამთარში მთიანი აჭარის გარდა, ადგილი ვერ მონახეს?

— აბა, შენა ხარ, აი!.. — ხელი არხეინად აუქნია თემომ გოგონას. — დაგავიწყდა, ბოლო ხანებში პრეზიდენტმა იქ რამდენი სათხილამურო ტრასა და ვერტმფრენის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი გახსნა?

— ბილიკს და ტრასას რა თავში ვიხლი? ერთი ნორმალური სასტუმრო მაინც თუ არის იმ ადგილზე?

— ერთიც არის და ორიც. საოჯახო სასტუმროებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. კონკურსის ორგანიზატორებმა ერთ-ერთში უკვე ადგილებიც კი დაჯავშნეს.

— დაჯავშნეს, თორემ რიგი იქნებოდა. როდის უნდა წავიდეთ?

— კვირის ბოლოს.

— უფრო კონკრეტულად?

— ალბათ, შაბათს.

— რედაქტორი გამომიშვებს?

— ოღონდ შენ წამოდი და რედაქტორთან საქმეს მე მოგიგვარებ.

— კარგი, წამოვალ, — როგორც იქნა, გადაწყვიტა ლალიმ, — შენ გვერდით მშვიდად ვიქნები.

— აი, სიმშვიდეს კი ვერ შეგპირდები, — გოგონას კოხტა წვივები ისევ მკლავებში მოიმწყვდია სხიერელმა...

ორდენიძესთან დასაკითხავად მიყვანილ ირაკლი სეხნიაშვილს გატანჯული გამომეტყველება და ტირილისგან ამოწითლებული თვალები ჰქონდა.

— მოსწევ? — ოთახიდან ბადრაგის გასვლისთანავე სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი ამოიღო გამომძიებელმა.

— დიდი მადლობა, მაგრამ არ მინდა, — თავი შორს დაიჭირა სეხნიაშვილმა.

— ნუ ბავშვობ, — კოლოფი გახსნა ორდენიძემ და ერთ ღერს თვითონ მოუკიდა, მეორე კი ახალგაზრდას მიაწოდა.

ირაკლიმ სიგარეტი გამოართვა და, მოკიდების შემდეგ, გამეტებითაც მოქაჩა.

— მე გამომძიებელი ოთარ ორდენიძე ვარ.

— ვიცი.

— მაშინ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

— როგორც ინებებთ.

— შენი აზრით, ლაზიშვილი ვის უნდა მოეკლა?

— გუგას? — გაუკვირდა ირაკლის.

— ჰო, რა იყო?

— არა, არაფერი... — მხრები აიჩეჩა ახალგაზრდამ.

— მაინც?

— მეგონა, ჯერ იმას გამომკითხავდით, თუ ბებიაჩემი როგორ მოვკალი, — ბებიის ხსენებაზე ახალგაზრდას თვალები აუწყლიანდა.

— ბებიაშენის სიკვდილის ამბავი ჩემთვის უკვე გარკვეულია.

— მაგრამ მე ხომ...

— მივიჩნიოთ, რომ შოკში იყავი და საკუთარ სიტყვებს ვერ აკონტროლებდი. ბებიაშენი რომ არ მოგიკლავს, ამას შენი მეზობელიც ადასტურებს.

— არც გუგა მომიკლავს.

— აი, ამის დამტკიცება კი გაგიჭირდება.

— გამიჭირდება? — გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა ირაკ-

ლის. — მე გუგას სიკვდილთან არაფერი მაკავშირებს.

— დავუშვათ.

— დამიჯერეთ, ნამდვილად ასეა. ის კი არა და, გუგას უბედურება რომ არა, დღეს ბებია ცოცხალი მეყოლებოდა, — ისევ ცრემლი მოერია ირაკლის.

— აი, აქედან კი უფრო დეტალურად უნდა მიამბო ყველაფერი.

— მოსაყოლი ბევრი არაფერია. გუგას ამბავი რომ შევიტყვე, მაშინვე მის ბინაში მივვარდი, მაგრამ უკვე პროზექტურაში დამხვდა გადაყვანილი. მერე შინ დავბრუნდი, ცოტა ხნის შემდეგ გუგას მშობლებთან ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ბებია გადამიდგა წინ, მე კი მისი გზიდან ჩამოცილება ვცადე და მერე რაც მოხდა, უკვე თქვენც იცით...

— ანუ ბებიაშენს არ უნდოდა, რომ ლაზიშვილის მკვლელობის საქმეში რამენაირად გარეულიყავი, არა?

— დიახ, არ უნდოდა.

— რატომ? განა თვითონ კი არ შეეცოდა ერთადერთი შვილიშვილის უახლოესი მეგობარი?

— შეცოდებით როგორ არ შეეცოდა, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა ირაკლიმ.

— მაგრამ კარგად ახსოვდა, გუგას გამო ერთხელ ციხეს ძლივს რომ გადაურჩი, ხომ? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა გამომძიებელმა ახალგაზრდას.

ირაკლიმ ორდენიძეს მზერას ვერ გაუძლო და თავი დამნაშავესავით დახარა.

— ეს სიმართლე არ არის... — მან შემდეგ ძლივს ამოილუღლუღა.

— რას გეტყვი, იცი? — ორდენიძე ფეხზე წამოდგა და ოთახში დინჯად გაიარ-გამოიარა. — კარგად იცი, რომ სიმართლეა. თანაც, ახლა ფუჭი ვაჟკაცობის დრო არ არის. თუ წინდახედულად არ მოიქცევი, მარტო ბებიაშენის კი არა, ლაზიშვილის მოკვლასაც ადვილად დაგაბრალებენ.

— დამაბრალებენ და დამაბრალონ, — უცბად ბავშვივით გაგულისდა სეხნიაშვილი, — ჩემს ცხოვრებას მაინც აღარ აქვს აზრი. აქედან რომც გამიშვან, სად უნდა წავიდე?

— დავიწყოთ იმით, რომ აქედან ადვილად აღარავინ გაგიშვებს, — ორდენიძე ისევ სკამს დაუბრუნდა.

— მით უკეთესი. ციხეში ყოფნა ჩემთვის შვება იქნება, — თავისას არ იშლიდა ირაკლი.

— შვებაო? — ცივად გაეღიმა გამომძიებელს. — ნეტავ, რომელ შვებაზე ლაპარაკობ? ნუთუ მართლა ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ფიქრობ, გამზრდელი ბებიისა და უახლოესი ძმაკაცის მკვლელს ციხეში ვინმე ამოგასუნთქებს?

— არაფერსაც არ ვფიქრობ.

— გეტყობა, რომ არ ფიქრობ, თორემ მომხდარისგან ცოტა უფრო ჭკვიანურ დასკვნებს გამოიტანდი. ამიტომ ახლა იცი, რას გააკეთებ?

— რას?

— თავზე ნაცრის წაყრას მორჩები, დანარჩენ კითხვებზე ცოტა უფრო გონივრულად მიპასუხებ და მერე იქნებ დაგეხმარო და გამოსავალი ერთად მოვძებნოთ.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ირაკლიმ, როგორც იქნა, თავი ასწია და გამომძიებელს ცრემლიანი თვალები შეანათა:

— მართლა დამეხმარებით?

— კი. ოღონდ, ჯერ შენ უნდა დამეხმარო...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*






დასაწყისი იხ. გზა №23-24

მიხაროდა, ყველაფერი მიხაროდა. ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. მეორე დილით „ახალი სამსახურის“ დასაწყებად კი არ მივდიოდი, მივფრინავდი. სახეზე კმაყოფილების ღიმილი არ მშორდებოდა. ნუთუ შესაძლებელია, ასე ადვილად ახდეს ოცნება? არ მჯერა, არ მჯერა! ფრთაშესხმული დავდივარ, სულ ღიღინის ხასიათზე ვარ. ღმერთოოოო! რა კარგია ეს ყველაფერი!

ზარი დავრეკე თუ არა, კარი ხანდაზმულმა ქალბატონმა გამიღო, რომელსაც საოცარი სახის კანი ჰქონდა — 20 წლის გოგონასავით პრიალა და გადატკეცილი, ნაოჭებიც კი ვერაფერს აკლებდა ახალგაზრდობიდან შემორჩენილ მის სილამაზეს.

— თქვენ, ალბათ, ანა ხართ, არა? — არისტოკრატიული მედიდურობით შემათვალიერა.

— დიახ, ქალბატონო, — თავი ოდნავ დავუქნიე.

— ნანამ მიამბო თქვენზე, მობრძანდით, — მტრედივით ღუღუნა ხმა ჰქონდა ტასოს, თბილი და მელოდიური.

— აგერ არის ყველაფერი, ჩვრები, მტვერსასრუტი, ვედრო, სარკის და ავეჯის გასაპრიალებლები. წყალს სამზარეულოდან გამოიტანთ. თუ რამე დაგჭირდეთ, ზემოთ ვიქნები, — მითხრა და ხელოვნური ღიმილით დამაჯილდოვა, შემდეგ კი დააყოლა: — ტასო მქვია და მოხარული ვარ, ამ ოჯახში რომ შემოხვედით. როცა დაამთავრებთ, დამიძახეთ.

გავიდა თუ არა, ტანსაცმელი ხელის კანკალით გამოვიცვალე და საქმეს შევუდექი. მიუხედავად იმისა, რომ ფანტასტიკურ ხასიათზე ვიყავი, საშინლად ვნერვიულობდი. არადა, რა მქონდა სანერვიულო? არაფერი. ვიყავი მარტო, ჩემთვის, ხელს არავინ მიშლიდა, მაგრამ მაინც... ისე, ძალაუნებურად...

გამალებით ვმუშაობდი, თან ვცდილობდი, ზედმიწევნით სანიმუშოდ შემესრულებინა „დაკისრებული მოვალეობა“, რათა მასპინძლებს ხინჯი არ დარჩენოდათ. მუშაობა არასდროს მეზარებოდა. თავის დროზე ჩემმა გამზრდელმა ყველა საოჯახო საქმე მასწავლა, სისუფთავეს ბავშვობიდან მიმაჩვია და უკვე გამომუშავებული მქონდა: რასაც ხელს მოვკიდებდი, აუცილებლად აკურატულად გამეკეთებინა. საქმეს ზერელედ არასდროს ვუდგებოდი.

შუადღემდე ისე ვიმუშავე, ტასო ერთხელაც არ შემხმიანებია. არ ვიცი, რას აკეთებდა იქ, მეორე სართულზე, რით იყო დაკავებული, მაგრამ ჩემთან რომ არ ჩამოსულა, ფაქტია. მიხაროდა კიდეც, მარტო რომ მიწევდა ყოფნა. აბა, კარგი იქნებოდა, ზედამხედველივით თავზე დამდგომოდა? ამას შეიძლებოდა ჩემთვის ხელიც შეეშალა, დავიბნეოდი და დავიძაბებოდი. ისედაც საკმარისად ვიყავი დაძაბულ-ანერვიულებული.

4 საათისთვის ყველაფერს მოვრჩი. ისე დავაწკრიალე იქაურობა, იატაკს ლაპლაპი გაუდიოდა, ფანჯრებს კი — პრიალი. დავუძახე ქალბატონ ტასოს, რომელმაც კმაყოფილი ღიმილით შემიფასა „ნამუშევარი“, ფული გადამიხადა და გამომაცილა. ოთახიდან რომ გამოვდიოდი, მოულოდნელად ჩემი მზერა ერთმა უცნაურმა ფაქტმა მიიპყრო. კედლის მარცხენა კუთხეში, ჭერთან ახლოს, სრულიად შემთხვევით შევამჩნიე სათვალთვალო კამერა და გულში უსიამოვნოდ გამკრა... აი, თურმე, რატომ არ ჩამოდიოდა დაბლა! კამერით მამოწმებდა, რას მოვიმოქმედებდი. ცოტა უცნაურად კი მეჩვენა, მთლად უცხოს ასე როგორ მენდვნენმეთქი. იქნებ ქურდი ვიყავი და სახლის გაძარცვა მქონდა განზრახული? ან დალაგების დროს როგორ ვერ შევამჩნიე? უცნაურია...

ისეთი გაოფლიანებული ვიყავი, ერთი სული მქონდა, სახლამდე როდის მივაღწევდი, რომ წყალი გადამევლო...

ის იყო, სააბაზანოდან გამოვედი, რომ თათიამ დამირეკა, ჩამოვედიო. როგორ გამიხარდა! რაც შეიძლებოდა, სწრაფად გადავიცვი ტანსაცმელი და მასთან გავვარდი.

დიდი ამბით მოვიკითხეთ ერთმანეთი. პატარა ფეფიკო ისეთი ბუნჩულა გამხდარა, ბავშვი ძლივს ვიცანი. ფეფუშას ვეძახით, ხანაც ფეფიკოს ან ფეფოს... ისე კი ირინე ჰქვია, თათიას დედამთილის სახელი. საყვარელი ბავშვია...

— ანი, ერთი საათით უნდა გავიდე, ჩემი მამამთილისთვის წამლები მაქვს საყიდელი და ფეფოს დაიტოვებ ცოტა ხნით? — მორიდებით მთხოვა თათიამ.

აღვშფოთდი, — ჩემი რატომ გერიდება, რა ძლივს მეუბნები-მეთქი! ბავშვის დატოვება რა პრობლემა იყო?!

— ჩვენ გავალთ, პარკში გავისეირნებთ შენს მოსვლამდე, — მხიარულად მივმართე ფეფუშას და ბუნჩულა ლოყაზე ხმაურიანად ვაკოცე.

ერთად გამოვედით ქუჩაში, თან თათიას ჩემს ამბებს ვუყვებოდი. საშკასთან ურთიერთობაზე კრინტი არ დამიძრავს, ჯერ თავის შეკავება ვამჯობინე. მერე ბავშვი ხელში ავიყვანე, დედიკოს ხელის დაქნევით დავემშვიდობეთ და პარკში განვმარტოვდით.

ირინე მუხლებზე მეჯდა და ვეთამაშებოდი. ცალი ხელით მისი ზურგი მეჭირა, მეორით კი გასაღებების აცმას ვაჩხაკუნებდი და მის გამოწვდილ თათუნებს ხან მივუახლოებდი, ხან ავართმევდი ხოლმე. ის გახარებული ტკარცალებდა...

თბილი ნიავი ოდნავ ეხებოდა ფოთლებს, რომელთა ჩრდილი ზედ შუბლზე დალიცლიცებდა ფეფოს. მზე კი ჯერაც უხვად აფრქვევდა თავის მრავალრიცხოვან სხივს ხასხასა მწვანე ბალახზე, კენჭებით მოკირწყლულ

ბილიკებს რომ შემოსჯაროდა ირგვლივ. საიდანღაც „სმოკის“ ცნობილი სიმღერის ხმა მოისმოდა. ოდნავ მოშორებით, მოპირდაპირე მხარეს, ჩვენგან მესამე მერხზე, პატარა, 6-7 წლის ბიჭუნა იჯდა, თავი ჩაეღუნა და მიწას დასჩერებოდა. დიდად არ გამიმახვილებია მასზე ყურადღება, თუმცა ის კი დამამახსოვრდა, რომ, როცა ჩვენ მივედით, ის უკვე იქ იყო და მას შემდეგ პოზა არ შეუცვლია.

— ტა-ტა-ტა-ტაააა! — გააბა ფეფიკომ თავის ენაზე და უცებ ისე გადაქანდა უკან, გული გამისკდა, ხელიდან არ გამვარდნოდა.

გასალებების აცმა იქვე, ბალახებში ჩამივარდა, მაგრამ მაგას დავეძებდი?! ის მაინტერესებდა, რა დაინახა ბავშვმა იმისთანა, რომ ასეთი რეაქცია ჰქონდა? მარცხნივ გავიხედე და გამეცინა. თათია მოდიოდა ჩვენკენ.

— აი, დედიკოც მოვიდააა! — თათიამ ხელები გაშალა და ირინე აიტაცა ჩემი მუხლებიდან.

— კინაღამ გადამიხტა, ისე შექანდა, — შეწუხებული ავლაპარაკდი, — რა შიში ვჭამე, რომ იცოდე.

— ხომ არ გაგაწვალა ამ მაიმუნმა?

— არა, რა გამაწვალა! ისე გემრიელად ვითამაშეთ, შენი მოწონებული! ჩემი გასაღებების ჩხრიალზე სიცილით კვდებოდა.

— ესე იგი, სეიფების მცველი გამოვა, რომ გაიზრდება, ან პირიქით — გამტეხი, — თათიას გაეცინა, — წავედით?

— მე ცოტა ხანს დავრჩები, დაღლილი ვარ და დავისვენებ. თქვენ წადით, — ვუპასუხე.

თათიამ თვალი ჩამიკრა, შენი მესმისო, ბავშვი თეძოზე შემოისვა და წავიდა. მე კვლავ მერხზე ჩამოვჯექი და თვალებით იმ ბიჭუნას დავუწყე ძებნა, წეღან ჩემი ყურადღება რომ მიიქცია.

ისევ ისე იჯდა. ამჯერად ყურადღებით დავაკვირდი. გამხდარი იყო, თან ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა. დაუვარცხნელი გრძელი თმა უშნოდ აჰბურძგნოდა. ერთი შეხედვით, მათხოვრის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მარტოხელას და მიტოვებულს ჰგავდა. მის გვერდით ვიღაც მამაკაცი ჩამომჯდარიყო, რომელსაც ხელში გაზეთი ეჭირა და კითხულობდა. მივხვდი, რომ ამ ორ — დიდ და პატარა ადამიანს — ერთმანეთთან არავითარი საერთო არ ჰქონდა. ბავშვი მარტო იყო. უეცრად ბიჭმა თავი ასწია, ამოიოხრა და უკან გადაწვა, მერხზე. მის გვერდით მოკალათებულმა მამაკაცმა გაზეთს თვალი მოაცილა და ბავშვს ეჭვნარევი მზერით გახედა, მაგრამ მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ვიფიქრე, ჩაეძინა-მეთქი. ალბათ ასეც მოხდა, რადგან მისი პატარა ხელი, მერხის ზურგზე რომ ჰქონდა გადადებული, ნელ-ნელა ჩამოცურდა დაბლა და იმ კაცის ზურგჩანთაზე დაეცა, გვერდით რომ ედო. შიშისგან შევხტი, რადგან ის კაცი გველნაკბენივით ზეზე წამოიჭრა და ბავშვს ყვირილით მივარდა.

— აი, შე ტუტუცო! ხომ გამოგიჭირე, შე ქურდო, შენა! — და ხელებში ეცა ბიჭს.

შეშინებულმა ბავშვმა თვალები გაახილა და ერთხანს გონს ვერ მოვიდა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს. როცა საბოლოოდ გონს მოეგო, გაქცევა სცადა, მაგრამ ვინ გაუშვა!

— გაქცევა გინდა, არა? ვერ მოგართვეს, შე ქურდბაცაცა! შენ გასწავლი, როგორ უნდა სხვის „სუმკაში“ ხელის ჩაყოფა! — ბოლო ხმაზე ღრიალებდა უცნობი.

ჩემდა გასაკვირად, ბიჭს ხმა არ ამოუღია და აღარც გაქცევას ცდილობდა. დამუნჯებულივით იდგა ერთ ადგილას და შეშინებული მზერით მისჩერებოდა მამაკაცს.

მივხვდი, რომ ბიჭი შიშისგან იყო დამბლადაცემული.

— ახლავე პოლიციაში მიგაბრძანებ! — უცნობმა ქეჩოში წაავლო ხელი ბიჭუნას.

მეტის მოთმენა უკვე აღარ შევძელი და სწრაფი ნაბიჯებით გავემართე მათკენ. ბოლოს და ბოლოს, რაღაც უფლებები მეც მქონდა, სხვა თუ არაფერი, გარკვეული კუთხით, მეც ვმუშაობდი პოლიციურ საქმეებზე. ის იყო, მამაკაცმა ბავშვი ჯიკავ-ჯიკავით წინ გაიგდო, რომ წინ გადავეღობე და გზა გადავუჭერი. მან მრისხანე მზერა შემავლო, შენ ვიღას დაჰკარგვიხარო.

— თქვენ რაღა გნებავთ? — აგდებით მომმართა.

— გაუშვით ხელი ბავშვს! — მშვიდად, მაგრამ კატეგორიულად მოვითხოვე.

— ეს თქვენ არ გეხებათ!

— სად მიგყავთ, თუ საიდუმლო არ არის? — იმავე ტონით გავაგრძელე.

— ეს თქვენ არ გეხებათ-მეთქი! — მომახალა უცნობმა.

— სწორედაც რომ მეხება! — ავუწიე ხმას. — გაუშვით ხელი, მას თქვენთვის არაფერი დაუშავებია. აქვე ვიჯექი და ყველაფერი დავინახე.

ბიჭს მზერა გაუქვავდა და ისე მომაჩერდა, თითქოს უფრო შეეშინდაო, რამაც მთლად ამრია.

— მას ჩემი გაქურდვა უნდოდა, ამიტომ ახლავე მივაბრძანებ პოლიციაში! — არ ცხრებოდა მამაკაცი.

— არავითარი გაქურდვა მას არ უცდია, იტყუებით! — უკვე მეც ხმამაღლა ვლაპარაკობდი. — თუ არ გჯერათ, უთხარით, ამოიტრიალოს ჯიბეები და ნახავთ, რომ თქვენი საფულე მას არა აქვს!

კაცი გაოგნდა. არ ელოდა ჩემგან ასეთ წინააღმდეგობას და მისდა უნებურად, ხელი შეუშვა ბავშვს.

— გვაჩვენე ჯიბეები! — მივმართე ბიჭუნას.

იმანაც, მსწრაფლ ამოიტრიალა ყველა ჯიბე. ბალახზე რამდენიმე ათთეთრიანი, „ქინდერსიურპრიზის“ პლასტმასის თვითმფრინავი და დაგრეხილი ფერადი მავთულის რგოლი დავარდა.

— ხედავთ? არავითარი საფულე! მას თქვენი გაქურდვა აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ თუ ასე ხართ დარწმუნებული, მაშინ ყველანი ერთად წავიდეთ პოლიციაში, თანახმა ხართ? სხვათა შორის, მე თვითონ ვარ პოლიციელი! — უკვე დიდ გულზე ვიყავი.

უცნობი, მგონი, დაფრთხა. თავი რაღაც უცნაურად დააკანტურა, პირი ფართოდ დააღო, თითქოს რაღაც საშინელება უნდა გადმოაფურთხოსო. ერთხანს ასე მიყურა, მერე ხელი ჩაიქნია, თავისი ჩანთა მხარზე გადაიკიდა და სწრაფად გაგვშორდა. მზერით გავაცილე უცნობი, მერე კი ბიჭუნას მივუბრუნდი.



— კინაღამ შარში გაეხვიე, მეგობარო. არ იცი, რომ ასე პატარამ მარტო არ უნდა იარო? სად არიან შენი მშობლები? დედ-მამა გყავს?

— ისინი აქ არ არიან, — აკანკალებული ხმით მომიგო და ფრჩხილებს დაუწყო წვალება.

— სად ცხოვრობ? რადგან ასე მოხდა, მარტო ვერ გაგიშვებ. წამოდი, სახლამდე მაინც მიგაცილებ! — და ხელი გავუწოდე.

მეგონა, უარს მეტყოდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მორჩილად ჩამიდო თავისი პატარა ხელი გაშლილ ხელისგულში და თავჩაღუნული გამომყვა. გული ამიჩუყდა. კარგა მანძილი მდუმარედ გავიარეთ. როცა პარკიდან გამოვედით, შევჩერდი, რადგან ვიგრძენი, როგორ კანკალებდა. ვიფიქრე, დაველაპარაკები და ცოტას გავამხნევებმეთქი.

— რა გქვია?

— ვასიკო.

— ანუ ვასილი... მაგარი სახელია! სად ცხოვრობ?

მოულოდნელად ხელი გამომტაცა და მიყვირა:

— ვასიკო მქვია და არა ვასილი! არ მინდა, ასე დამიძახონ!

ღიმილი ვერ შევიკავე და მშვიდად ვუპასუხე.

— კარგი, როგორც გინდა, ისე დაგიძახებ. რატომ მეჩხუბები? ჩემი მეზობლის ბიჭსაც ვასიკო ჰქვია, მაგრამ დაბადების მოწმობაში ვასილი უწერია. შენს მოწმობაშიც ხომ ასე წერია? მე, უბრალოდ, როგორც დიდ ადამიანს, ისე მოგმართე. წავიდეთ? — ვითომ აქ არაფერიაო, ისე გავატარე მისი აღშფოთება და კვლავ გავუწოდე ხელი.

ბიჭმა ჯერ ჩემს გამოწვდილ ხელს შეხედა საეჭვოდ, მერე კი ირგვლივ მიმოიხედა. მივხვდი, გაქცევას აპირებდა, ამიტომ უფრო შევარბილე ტონი.

— თუ გინდა, ჯერ ნუ წავალთ, ისევ პარკში შევბრუნდეთ, ჩამოვსხდეთ და ვილაპარაკოთ, კარგი?

— რაზე? — ეჭვიანი გამოხედვა უფრო გაუმძაფრდა, პატარა სახე მოეღუშა და წარბებიც შეეჭმუხნა.

— მაგალითად, იმაზე, რომ შენ ახლა დახმარება გჭირდება.

— დახმარება არ მინდა!

— მართალს მეუბნები? დარწმუნებული ხარ? — დავეკითხე.

ის ჯიუტად დუმდა, რითაც დავასკვენი, რომ ყოყმანობდა. არ იცოდა, მომნდობოდა თუ არა. გადავწყვიტე, მისი ნდობა მომეპოვებინა.

— იცი, როგორ მშია? შენც მშიერი იქნები. მოდი, აგერ კაფეში შევიდეთ და ხაჭაპური ვჭამოთ, კარგი? მერე კი ნაყინი დავაყოლოთ. მაგათი ხაჭაპური მაკარონიანი იქნება, უყველო, მაგრამ რა უჭირს? ვითომ ძალიან მოგვეწონა, ისე მოვაჩვენოთ თავი, — ვთქვი და გავიცინე.

მასაც გაეცინა. მერე დიდრონი თვალები შემომანათა და ჩუმად მკითხა.

— მართლა პოლიციელი ხარ?

— არა, რა პოლიციელი! ის ღიპიანი კაცი მოვატყუე! — უფრო ხმამაღლა გავიცინე.

მაინც არ დამიჯერა. კვლავ ურწმუნოდ ამომხედა და გააგრძელა:

— ალბათ ბავშვების გამტაცებელი ხარ, ხომ? უპატრონოებს რომ იტაცებს ქუჩაში...

— რა-ა? — გამაოგნა მისმა ნათქვამმა.

— მერე ოპერაციას რომ უკეთებენ და თირკმლებს აცლიან... — დაახეთქა ბოლოს.

გაშტერებული მივჩერებოდი ამ პატარა არსებას. ჯერ მიწას არ ასცილებია და ასეთ რამეებზე როგორ მსჯელობს, ვინ ასწავლა?

— ვასიკო, შეურაცხყოფას მაყენებ, — მეც დიდი კაცივით დაველაპარაკე და „ნამუსზე შევაგდე“.

— აბა, მართლა პოლიციაში უნდა წამიყვანო?

— არა, გეფიცები, არც მიფიქრია. უბრალოდ, მინდა სახლამდე მიგაცილო, ოღონდ ჯერ ვჭამოთ რამე.

— არ მშია და არც გაცილება მინდა.

— რატომ, გეშინია ჩემი?

— არა!

— აბა?

— რაღაცას გეტყვი, მაგრამ შემპირდი, რომ პოლიციაში არ ჩამიშვებ. მოსულა? — მოულოდნელად ქუჩის მაწანწალასავით ჩაიყო ჯიბეებში ხელები და ჩემკენ გადმოხრილი იდუმალი ხმით გამენდო.

ხელი სასამართლოში დამფიცებელ მოწმესავით ავწიე და მტკიცე ხმით წარმოვთქვი.

— გპირდები!

უეცრად ახითხითდა.

— რა გაცინებს?

— ასე ამერიკულ ფილმებში იფიცებიან, — გააგრძელა ხითხითი.

მისი მხიარული განწყობილება მეც გადმომედო.

— გაგახარა ღმერთმა, როგორ გამამხიარულე! — მეც გავიცინე და მერე ხელი გავუწოდე, — მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი. მე ანა მქვია.

— შეგიძლია, ცოტა ფული მომცე? ბიძიასთან მივდივარ და ავტობუსის ფული არ მაქვს, — უეცრად სახე დაუსერიოზულდა და სევდიანი ხმით ალაპარაკდა.

— მატყუებ! — არ ვენდე. — შენთან გულახდილი ვარ, შენ კი ჩემს მოტყუებას ცდილობ. სახლიდან გამოიქეცი, არა?

— არა, სახლიდან კი არა, უპატრონო ბავშვთა სახლიდან. ფეხით ჩამოვედი იქიდან. ძალიან დავიღალე და ვეღარ გავაგრძელებ გზას. მშობლები არ მყავს.

— შენი სახლი სად არის?

— სახლიც არ მაქვს.

— რამდენი წლის ხარ, ვასიკო?

— რვის. რატომ მეკითხები?

— შენს მშობლებს რა დაემართათ? — მთელ სხეულზე დამბურძგლა.

— არ ვიცი, არც მახსოვს ისინი.

ვიფიქრე, მატყუებს-მეთქი. თუ ბიძა ჰყავს, ბავშვთა თავშესაფარში რატომ იმყოფებოდა? ან როგორ არ იცის, მის მშობლებს რა შეემთხვა? ამ პატარა ლაწირაკმა როგორ უნდა გამაცუროს?

— დამეხმარები? — შემეკითხა. — მე ხომ არ მითხოვია შენთვის დახმარება, შენ თვითონ მითხარი, დაგეხმარებიო და... თან, შემპირდი, არავის ვეტყვიო... ხომ არ ჩამიშვებ?

— პირობას არ ვარღვევ, — მშვიდად გამოვუცხადე, — მაგრამ ჯერ ვჭამოთ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ და უარი არ მითხრა, იცოდე!

ერთხანს იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდა და კაფეში შევედით...

არასდროს დამავიწყდება, რა სისწრაფით ჭამდა ხაჭაპურს... კი არ ჭამდა, ლუკმებს ხარბად იყრიდა პირში, თან, წარამარა აყოლებდა „პეპსის“.

წამით რაღაც აზრმა გამიელვა გონებაში.

— ვასიკო, რაღაც მინდა გითხრა, — ფრთხილად წამოვიწყე.

კითხვით სავსე მზერა მომაპყრო.

— მოდი, ახლა გვიანია, ამიტომ ამაღამ ჩემთან დარჩი, ხვალ კი ერთად მივადგეთ ბიძაშენს, კარგი? ჩემთან მოგეწონება. საღამოა უკვე, ქათამი შევწვათ და გემრიელად ვივახშმოთ. მერე ტელევიზორს ვუყუროთ. რას იტყვი?

თითქოს ლუკმა ყელში გაეჩხირა. ზრდასრული ადამიანის მზერით ამომხედა, კარგა ხანს გამომცდელად მიყურა, მერე კი უსიტყვოდ დამიქნია თავი.

როცა ჭამას მორჩა, ფული გადავიხადე და ხელიხელჩაკიდებული გავუდექით გზას. ჩემს ბინამდე კარგა შორი მანძილი იყო, ამიტომ ცოტა რომ გავიარეთ, სამარშრუტო ტაქსი გავაჩერე და რამდენიმე წუთში უკვე შინ ვიყავით.

ბიჭუნა გაოგნებული ათვალიერებდა ჩემს ბინას.

— მარტო ცხოვრობ? — საქმიანი კილოთი დამეკითხა.

— კი, მარტო ვარ. რა იყო, რამე არ მოგწონს?

— არა, რატომ, ყველაფერი მომწონს.

— მაშინ შევწვათ ქათამი, კარგი?

— ახლა აღარ მშია. ცოტა მერე...

— მაშინ ვიბანაოთ. მგონი, არ უნდა იყოს ცუდი აზრი.

თავი დამიქნია, უარი არ უთქვამს. აბაზანა ცხელი წყლით ავავსე და შევუშვი. მომერიდა, მეც შევყოლოდი და დავხმარებოდი. არც ისე პატარა ბიჭი იყო, შერცხვებოდა ჩემი, ამიტომ არც შემითავაზებია, მხოლოდ ეს ვუთხარი.

— შენით შეძლებ ბანაობას?

— სულ ჩემით არ ვბანაობდი იქ? არავინ მეხმარებოდა, — გამიღიმა და კარი მოიხურა.

შებინდებისას, როცა საყინულიდან გამოღებული „სადიას“ ქათამი გალღვა, შევწვით და კარგადაც მოვულხინეთ. მერე ტელევიზორი ჩავურთე და მულტფილმების არხზე გადავრთე, სანამ ძილის დრო მოუვიდოდა. მე კი მობილურს დავტაცე ხელი და სამზარეულოში შევვარდი, რადგან საშკამ ამიფეთქა ტელეფონი გაბმული რეკვით.

— სად ხარ? — ოდნავ შეშფოთებული ხმით მკითხა.

— შინ, სად ვიქნები?

— მერე? რატომ არ მპასუხობ?

— მარტო არ ვარ, საშ... — ისე შემპარავად ვუთხარი, ვითომ იდუმალი სტუმარი მყავდა სახლში, მინდოდა, ცოტა ეეჭვიანა.

— ვისთან ერთად ხარ? — ხმა აშკარად შეეცვალა.

გულზე მომეფონა, მაგრამ მართლა ხომ არ მოვატყუებდი და მოვუყევი, რაც მოხდა. ლამის გადაირია.

— ზუსტად ვიცოდი, რაღაც მაგდაგვარს რომ მეტყოდი. ყველა გზააბნეული და უპატრონო შენ როგორ უნდა შეიფარო? ძაღლი და კატა რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ადამიანი? თანაც არასრულწლოვანი. რა იცი, ვინ არის, ან არ გაგქურდოს, ან პოლიცია არ ეძებდეს... შეიძლება ასე?! იქნებ ბავშვთა კოლონიიდანაა გამოქცეული? თან ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვაო, მშიერი იყოო... რატომ ხარ ასეთი მიამიტი? გულით ცხოვრობ და არა გონებით, ანა! არ იცი, რომ მთელ მსოფლიოს შენ ვერ გადაარჩენ? რამდენი ეგეთი შეგხვდება, ყველას ხომ ვერ დაეხმარები? დაფიქრდი ცოტა! ფრთხილად იყავი, არ გაგქურდოს ამაღამ!

— კარგი რა, საშ, მართლა ცხოველი ხომ არ არის, ბავშვია, ბოლოს და ბოლოს. მერე რა, რომ ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა? იცი, როგორი ზრდილობიანია? მაწანწალა სულაც არ არის და არც ქურდი. ეგეთები არ მეშლება!

— გამოდის, ვერ შევხვდებით ამაღამ? ვერ გამოხვალ ჩემთან?

— აბა, როგორ, ხომ არ მივატოვებ? — მეც კი მწყდებოდა გული, საშკასთან რომ ვერ გავიდოდი, მაგრამ როგორმე უნდა ვერ მომეთმინა; თან, ერთი მხრივ კარგიც კი იყო, ასე რომ მოხდა, უფრო მოვენატრებოდი.

— ჰო, კარგი, კარგი. მაინც ფრთხილად იყავი და თუ რამეა, დამირეკე, გასაგებია?

— ვიცი, საშ. თუ რამეა, დაგირეკავ. ხვალ დილით ცოტა დამაგვიანდება, სანამ ამ ბავშვს დავაბინავებ და იმედია, არ გამიწყრები, ჰო? გკოცნი!

მობილური გავთიშე და ოთახში გავედი. ვასიკოს ცალი ყური ჩემკენ ჰქონდა, დაძაბული მომაჩერდა, რას ვეტყოდი.



— ხვალ ადრე გავიდეთ ბიძაშენთან, კარგი? — თბილად გავუღიმე.

მან თავი დამიქნია, მაგრამ შევამჩნიე, რომ უეცრად მოიწყინა. მივხვდი, რატომაც. მას ისე მოეწონა ჩემთან, ახლა სულაც არ უნდოდა ბიძამისთან სტუმრობა. არ შევიმჩნიე, მის გვერდით ჩავჯექი ხალიჩაზე და საუბარი გავუბი.

— თუ რამეა ისეთი, რასაც კიდევ მიმალავ, ჯობია, ახლავე მითხრა. ამით მოსალოდნელ უსიამოვნებებს ავიცილებთ თავიდან, — შევაპარე.

— ბიძიას არ გაუხარდება ჩემი ნახვა, მე მგონი, — თქვა ჩურჩულით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბავშვთა სახლში მან ჩამაბარა. არ ვუყვარვარ; საერთოდ ვერ მიტანს...

— რა სისულელეა, საიდან მოიტანე? შენნაირი კარგი ბიჭი როგორ შეიძლება ვინმეს არ უყვარდეს? გეჩვენება ალბათ, — გული შემეკუმშა მის ნათქვამზე.

იქნებ მართალს ამბობს ეს ბავშვი? იქნებ ისეთი რამ ხდება, რაც მე არ ვიცი და რაზეც წარმოდგენა არ მაქვს? ვაითუ, მართლა ღვთის ანაბარად არის მიტოვებული? ცოტა არ იყოს, შემეშინდა.

— რატომ დამეხმარე? — მკითხა უეცრად.

გამიკვირდა მისი შეკითხვა. როგორც ჩანს, დახმარებას არ არის მიჩვეული...

— ასე იყო საჭირო... დავწვეთ ახლა, ხვალ ადრე მოგვიწევს ადგომა, — ქოჩორი ავუჩეჩე და გავუღიმე.

— კარგი, — მაშინვე დამეთანხმა და ადგა.

ლოგინი ლოჯიაში გავუშალე, მე კი საძინებელში გავედი... დიდხანს ვერ დავიძინე. თვალებდახუჭული ვიწექი და ვასიკოზე ვფიქრობდი. რაღაც გამოუცნობი მიზეზის გამო მეშინოდა ბიძამისთან შეხვედრის. არ მინდოდა, არამკითხე მოამბის როლში გამოვსულიყავი. გამუდმებით თვალწინ მედგა კოჭლი, ხელჯოხიანი ბებერი კაცი, მკაცრი, საშინლად მტრული გამომეტყველებით და გარკვევით ჩამესმოდა ყურში, როგორ გამომლანძღავდა... რაღაც ამდაგვარი სიზმარიც კი ვნახე, მე და ვასიკოს ვიღაც მოგვდევდა, კუზიანი და წვერიანი, მეჩხერკბილებიანი კაცი... მაგრამ სიზმარი ველარ შემაშინებდა უკვე, აღარ გამოვიდოდა უკან დახევა. რადგან შევპირდი ბიჭს, უნდა გავყოლოდი კიდეც...

დილით რომ გამეღვიძა, ვიგრძენი, რომ აღარ ვდარდობდი. როგორც ჩანს, გადამიარა და დამავიწყდა კიდეც წუხანდელი „საშიში“ ფიქრებიც და კოშმარიც. თუმცა წინათგრძნობა მკარნახობდა, რომ მძიმე დღე მელოდა. ყველა სიკეთესთან ერთად, ორშაბათი ხომ ისედაც მძიმე დღეა... რა ვიცი, ასე კი ამბობენ და...

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო კარგად. ავდექი და ლოჯიაში გავედი. ვასიკოს საბანი გადახდოდა. მზრუნველად მოვაფარე მხრებზე. მძინარე უფრო პატარა და უფრო დაუცველი ჩანდა... თავზე ხელი გადავუსვი. თითქოს შეკრთა ძილში...

როცა გაიღვიძა, დარეცხილ-დაუთოებული ტანსაცმელი შევუტანე. სამზარეულოში შესული არ ვიყავი, რომ უკვე გამოვიდა ჩაცმულ-დახურული. გამიკვირდა, ასე სწრაფად როგორ მოახერხა-მეთქი. ალბათ ბავშვთა სახლში ასწავლიდნენ ასე...

ნახევარი საათის შემდეგ ტაქსის მძღოლმა ვასიკოს მითითებულ მისამართზე მიგვიყვანა. გაოცებული შევაჩერდი ჩემ წინ აღმართულ ორსართულიან ულამაზეს სახლს, რომელსაც ირგვლივ რკინის გალავანი ერტყა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ყველაზე დაუვიწყარი დღე

მარი ჯაფარიძე

**გამარჯობა. მგზავნელებო, ნეტავ რომელი თქვენგანია, მთელი კვირის განმავლობაში ზარებს რომ უშვებს ჩემს მობილურზე? დღისით კაი, ბატონო, იქნებ საქმე არა აქვს ვიღაცას, მაგრამ ღამით?! ნუთუ შეიძლება, მთელი ღამე იმის გამო არ დაიძინო, რომ მე გამაღვიძო და ძილი და მოსვენება დამიკარგო? მესიჯიც გავუგზავნე — ნუ იმალები, გამოჩნდი, ხმა გამეცი, დამელაპარაკე-მეთქი, მაგრამ ჩემი ნათქვამი დარჩა „ხმად მღაღადებლისად, უდაბნოსა შინა“. მოკლედ, აბეზარ ადამიანს ვთხოვ, თავი დამანებოს, ნამდვილად ცოდვა ვარ ასე საწამებლად. ახლა კი ვნახოთ, რა მესიჯები გამოგზავნეთ თემასთან დაკავშირებით.**

## მომავალი მამა

„არ ვიცი, როდის ან რანაირად, მაგრამ ერთი გოგო შემიყვარდა. პირველად რომ ვნახე, კიბეზე იდგა და მის გარშემო უამრავი ხალხი ირეოდა. მე კი მხოლოდ ის შევნიშნე. მოკლედ შეჭრილი, წაბლისფერი თმა, აწოწილი, გამოყვანილი სხეული და ულამაზესი, თაფლისფერი თვალები იმ დღის მერე ოცნებად მქონდა გადაქცეული. ერთ დღეს აუდიტორიაში მარტო მოვიხელთე და აქედან დაიწყო მშვენიერი სიყვარულობანა. ნაზი და წრფელი გრძნობით მიყვარდა და მიყვარს კიდეც. ყველაზე დაუვიწყარი დღე კი 14 ოქტომბერს მქონდა, როცა დამირეკა და შემატყობინა, რომ მამა გავხდებოდი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ცხოვრებაში ასე არასდროს მიტირია. ის დღე ჩემთვის მართლაც დაუვიწყარი იყო. გმადლობ, მარორიტა, მაპატიე, წერტილ-მძიმის დასმა დამეზარა. ხომ ანონიმად ვრჩები?“

## „გაბულკებული“ მაუზერა

„გამარჯობა. დაუვიწყარი დღეების მეტი რა არის, მაგრამ ჩემთვის ყველაზე, ყველაზე დაუვიწყარი ისაა, როცა ჩემს მომავალ სიმამრს შევხვდი და ბლუყუნბლუყუნით ვთხოვე ქალიშვილის ხელი. ამ კაცს ისეთი სახელი ჰქონდა, ყველა ამბობდა, ნამდვილი კაციჭამიააო — მაუზერას ეძახდნენ. სულ წარბშეკრული დადიოდა, კუშტად იყურებოდა და უზარმაზარ კუნთებს ათამაშებდა. როცა ჩემს ძმას პირველად გავუმხილე ჩემი შეყვარებულის ვინაობა, თვალები დააჭყიტა და ფერი წაუვიდა — ბიჭო, მაგ გოგოს ისეთი მამა ჰყავს, გაგაბრტყელებს, მის გოგოს ხელის შეხება რომ დაუპირო. ჩემმა შეყვარებულმაც, — მამის ნებართვის გარეშე ვერ გავთხოვდები, ჯერ მისი თანხმობა უნდა მიიღოო, — ფაქტის წინაშე დამაყენა. ბარემ ძალიანაც არ მინდოდა, მაგრამ რადგან ჩემი სატრფო უზომოდ მიყვარდა, გამბედაობა მოვიკრიბე და სასიმამროს დავურეკე, თქვენთან შეხვედრა მინდა-მეთქი. — რასთან დაკავშირებითო? — ისეთი ხმით მკითხა, მუხლები მომეკვეთა. — პირადი საკითხია, ტელეფონზე ვერ გეტყვითმეთქი, — მოვძებნე გამოსავალი. შევთანხმდით. მივდიოდი მასთან შესახვედრად და ფეხები უკან მრჩებოდა. ერთ ცემას როგორ ვერ გავუძლებ და თუ უარს მეტყვის, მერე ავდგები და მოვიტაცებ ჩემს მარგალიტას; ბოლოს და ბოლოს, 26 წლისაა უკვე, მისი გათხოვების დრო აღარ მოვიდა?! კრუხად ხომ არ დასვამენ შინ-მეთქი? — ვფიქრობდი და თავს ვიიმედებდი. სასიმამრო ხის ძირას, ჩრდილში იდგა და მელოდა. ხელი ჩამოვართვი, გავუღიმე. სახე არ შესცვლია; გისმენო, — ერთი ეს მითხრა. იცით, თქვენი ქალიშვილი მიყვარს და ხელის სათხოვნელად შეგაწუხეთ, მისგან თანხმობა მაქვს და თქვენგან ველოდები მშობლიურ დალოცვას-მეთქი... უეცრად ჩემი ძმის სიტყვები გამახსენდა და დავუმატე: ოღონდ თქვენი გოგო შინ გამატანეთ და პირობას გაძლევთ, თითს არ დავაკარებ-მეთქი, — დაბნეულმა ძლივს ამოვთქვი და მის რეაქციას დაველოდე. უეცრად, მაუზერას წარბები გაეხსნა, სახეზე ღიმილი გადაეფინა; შემდეგ ხარხარი დაიწყო. იმდენ ხანს იცინოდა, უკვე წასვლა გადავწყვიტე — მეგონა, ამას კარგი ამბავი არ მოჰყვებოდა. ის იყო, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადავდგი, რომ სიცილი მოსხიპა, მკლავში ხელი ჩამავლო და ახლოს მიმწია. ბევრს უყვარდა ჩემი გოგო, მაგრამ თქმა ვერავინ გამიბედა; შენ მაგარი ბიჭი აღმოჩნდი, როგორც ჩანს, და ჩემთან მოსვლა გაბედე. ვაფასებ შენს თავდადებასა და ჩემი შვილის მიმართ სიყვარულს; თანახმა ვარ, მოგათხოვოო, — აქ გაჩუმდა, მიმოიხედა და ხმადაბლა განაგრძო: მაგრამ ერთი რამე იცოდე: რომ წაიყვან და თითს არ დააკარებ, მერე გაჩვენებ, ვინ ყოფილა მაუზერა! თითიც უნდა დააკარო და ბალღებიც დააჩენინოო, — ბოლოს მითხრა. იქიდან ფრთებშესხმული გამოვფრინდი და ჩემი გულის სწორს ვახარე ახალი ამბავი, — ქორწილისთვის მოემზადე-მეთქი. ახლა უკვე 3 შვილი გვყავს. ჩემი სიმამრი შვილიშვილებმა ისე შეცვალეს, რომ მაუზერა კი არა, ნამდვილი „ბულკი“ გახდა და სულ გაღიმებული დადის; მე კი წარამარა მეკითხება, — მეოთხეს როდის გააჩენთო? მაუზერას სიძე. ვინც მიცანით, ჩუუუ!“

## გამქრალი რომანტიკოსი

„დაუვიწყარი დღე ისაა, რომელიც ინტერნეტით გაცნობილმა მამაკაცმა მომიწყო. 2 თვის განმავლობაში ვსკაიპობდით და უზომოდ დავინტერესდი მისით. მომწონდა მისი უცნაური ბუნება, მტკიცე ხასიათი. ახლა არ მითხრათ, ინტერნეტით ხასიათი როგორ გაიგეო? სულ იოლია, თუ ადამიანების ბუნებაში მეტ-ნაკლებად ერკვევი. ველოდი, შეხვედრას როდის შემომთავაზებდა და ეს დღეც დადგა. ამ 1 თვის წინ გადავწყვიტეთ, ერთმანეთი გვენახა, ოღონდ უცნაური პირობა წამიყენა — ამა და ამ ადგილზე ჩემს მანქანას გავაჩერებ, მე შიგ არ ვიქნები; მიხვალ, ჩაჯდები, იქვე შარფი დაგხვდება, რომლითაც თვალებს აიხვევ და დამელოდებიო. ჯერ ვიუარე, რადგან ცოტა შემეშინდა, მაგრამ იმდენად დამაინტრიგებელი წინადადება იყო, რომ ბოლოს დავთანხმდი. მართლაც, როგორც მოვილაპარაკეთ, გამოვაღე მანქანის კარი და დავჯექი. სკამზე დადებული შარფით თვალები ავიხვიე და მის გამოჩენას დაველოდე. როდესაც გვერდით მომიჯდა, საოცარი სურნელი ვიგრძენი. კარგი სუნამო ესხა. ხელზე ხელი შემახო,

როგორ ხარო, მკითხა და წავედით. კარგა ხანს ვიარეთ, გზაში ლაპარაკით მართობდა, რაღაცებს მეკითხებოდა. მეუბნებოდა, აბა ცხვირზე შემეხე, არ გაინტერესებს, როგორი ცხვირი მაქვსო? ბრმად ვპოულობდი მის ცხვირს და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორი იყო გარეგნულად. შემდეგ ტუჩები, თვალები და ასე... ვკვდებოდი ინტერესით, ისე მინდოდა მისი დანახვა, მაგრამ რამდენჯერაც შარფის მოხსნა გადავწყვიტე, იმდენჯერ მთხოვა, ნუ იზამ მაგას, სიურპრიზს ნუ გააფუჭებო. სადღაც გავჩერდით. მანქანიდან გადმომიყვანა და ხელიხელჩაკიდებულებმა განვაგრძეთ გზა. მივხვდი, ქალაქგარეთ ვიყავით და აღმართზე ავდიოდით. შემდეგ ერთ ადგილზე დამაყენა, თვითონ უკნიდან დამიდგა და ყურში ჩამჩურჩულა, — ახლა ყველაზე მეტად რისი დანახვა გსურსო? — შენი-მეთქი, ვუთხარი. ჩაეცინა. შარფი მომხსნა და თვალები გავახილე. იასამნის ტყეში ვიყავი. ირგვლივ იასამნის მაღალი ბუჩქები იყო, საოცრად ლამაზად ყვაოდა. თვალი მოვავლე იქაურობას და შემდეგ მისკენ შევბრუნდი. იღიმოდა. ძალიან მომეწონა გარეგნულად. სიმპათიური, თამამად შეიძლება ითქვას, ლამაზი მამაკაცი ვიხილე, რამაც ძალიან გამახარა. შემდეგ იქვე, იასამნების ძირში ჩამოვსხედით და მაკოცა კიდეც... ეს დღე ულამაზესი იყო ჩემს ცხოვრებაში. მართალია, ამის შემდეგ ეს მამაკაცი გაქრა და მის კვალს ვერსად მივაგენი, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ მისი, რომ ასეთი კარგი მოსაგონარი დამიტოვა. რატომ გაქრა? როგორც ვხვდები, იმიტომ, რომ მე გასათხოვარი გოგო ვარ, 23 წლის, ის კი 40 წლის ცოლშვილიანი მამაკაცია და მიხვდა, რომ ჩემთან „სხვანაირი" ურთიერთობა არ გამოუვიდოდა. ბეს, ძალიან მაგარი ხარ. ანანო".

## უეცარი გათხოვება

„ერთხელ ისე მოხდა, რომ შეყვარებულთან ერთად (ფაქტობრივად, უკვე საქმრო იყო), მისი მანქანით სასეირნოდ წავედი. ქალაქგარეთ ვიყავით, კარგა ხანს ვიხეტიალეთ, გორამდეც კი ჩავედით. შემდეგ დაღამდა და ის იყო, უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რომ წავკამათდით. კამათი გვარიან ჩხუბში გადაიზარდა და ერთმანეთს დავცხეთ. მანქანა გავაჩერებინე და გადმოვედი — შენთან ერთად აღარ დავბრუნდები თბილისში და საერთოდაც, სულ კარგად იყავი, შენი დანახვაც კი აღარ მინდა-მეთქი, მივაძახე. არც არაფერი უთქვამს, ადგა და წავიდა. დავრჩი მარტო, ტრასაზე. გზიდან გადავედი და ცოტა ხანს ჩამოვჯექი, რომ კარგად გამეაზრებინა მომხდარი და მომეფიქრებინა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. გადავწყვიტე, გამვლელ „მარშრუტკას" დავლოდებოდი და წაყვანა მეთხოვა, რადგან ფული არ მქონდა. რამდენიმე წუთი იყო გასული, რომ „მარშრუტკამ" გამოიარა და გამიჩერა. უარი არ უთქვამს უფასოდ წაყვანაზე. შვებით ამოვისუნთქე. „მარშრუტკაში" ბევრი ხალხი არ იყო — სულ რამდენიმე ადამიანი იჯდა. მათ შორის ერთი ახალგაზრდა ბიჭიც იყო, რომელიც გვერდით მომიჯდა და გამომელაპარაკა. ვიღაცისთვის გულის გადაშლა მინდოდა და ყველაფერს დაუფარავად მოვუყევი. თბილისში რომ ჩამოვედით, დიდუბის სადგურზეც არ მიმატოვა. გაგაცილებო, შემომთავაზა. სანამ სახლამდე მივიდოდით, მითხრა, შენც ჩემნაირი ამბავი შეგმთხვევია, მეც დღეს დავშორდი შეყვარებულს და ალბათ ღმერთმა იმიტომ შეგვახვედრა ერთმანეთს, რომ ასე იყო საჭირო; ცოლად გამომყევი და ბედნიერად ვიცხოვროთო. რა გქვია-მეთქი? — მაშინღა ვკითხე. — ლაშაო, მითხრა და ხელკავი გამომდო. არც მე მიპასუხია რამე და აღარც მას უკითხავს. ტაქსი გააჩერა და ჩაჯექიო, — მითხრა. მანქანაში უსიტყვოდ ვდურთე თავი. ასე გავთხოვდი და არც შევმცდარვარ. ძალიან მიყვარს ჩემი ქმარი. შვილი ჯერ არ გვყავს, მაგრამ იმედია, მალე შეგვეძინება. დარია".

## მეორედ დაბადებული

„2 წლის წინ ავად გავხდი. რაღაც საოცარი სენი შემეყარა — ფეხზე ვერ ვდგებოდი, წონასწორობას ვერ ვინარჩუნებდი და ისე დავსუსტდი, ცარიელი ჩონჩხილა დავრჩი. გადაირივნენ ჩემები და ექიმ-ექიმ დამატარებდნენ, მაგრამ ვერაფერი გამიგეს. არ დაუტოვებიათ არც პროფესორი და არც ვეტერინარი, რომ არ მივეყვანე. ვეტერინართან მართლა მიმიყვანეს, რადგან ვიღაცამ უთხრა, ასეთი დაავადება ცხენებს აქვთ ხოლმე და იქნებ იმან გაუგოს რამეო. ხომ მაგარია, არა? კიდევ ერთი კურიოზი ის იყო, როცა ვეტერინარს ჩემი დაავადების სიმპტომები უამბეს და — ცხენი რამდენი წლისააო? — იკითხა, მაგრამ მაშინ ვის გაეცინებოდა? საბოლოო ჯამში, კიბოს ვარაუდობდნენ და ექიმმა თქვა, რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენია, თავის ტვინის კიბო აქვსო. რა თქმა უნდა, ამ ამბავს მიმალავდნენ, მაგრამ რაღაცებს მოვკარი ყური და მაინც გავიგე. ჩემთვის ცხოვრება დამთავრდა. მართალია, რამდენიმე თვეს მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მე მაშინ მოვკვდი, როცა ჩემი დაავადების შესახებ გავიგე. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლიდან ბებიაჩემი ჩამოვიდა, თან მოხუცი ქალი ახლდა. ეს უშველის ჩვენს გოგოსო, — გამოაცხადა. არავინ დაიჯერა, მაგრამ ხომ იცით, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისე იყო ჩვენი საქმე, თან ბებიას წყენინებაც არ უნდოდათ. ამ მოხუცმა თვალებში ჩამხედა, სიმპტომები გამომკითხა, პირი დამაღებინა და ბოლოს დაასკვნა — ამას წურბელა ჰყავს გადაყლაპული და სისხლს სწოვს, იმან დაასუსტაო... არავინ უჯერებდა, მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა. მეორე დღეს საავადმყოფოში გამაქანეს და ზონდი (ზუსტად არ ვიცი, რა ჰქვია — მოწყობილობაა ასეთი, ნათურა რომ აქვს მიმაგრებული) გადამაყლაპეს. თურმე ის მოხუცი ქალი მართალი ყოფილა. რაღაც მინიოპერაცია გამიკეთეს და წურბელა (საყლაპავი მილის ბოლოში ყოფილა მიკრული) მომაშორეს. ამის შემდეგ გამოვჯანმრთელდი. ეს დღე იყო ჩემთვის დასამახსოვრებელი — როცა მივხვდი, რომ გადავრჩი და მალე არ მოვკვდებოდი".

## ახდენილი ოცნება

„პირადად ჩემთვის ის დღე აღმოჩნდა დასამახსოვრებელი, როცა იმ ბიჭმა ამიხსნა სიყვარული, რომელზეც ვოცნებობდი. 6 წელი მომწონდა და ვერ ვუმხელდი. ხშირად ვურთიერთობდით, საერთო მეგობრების წყალობით და დიდ დროს ვატარებდით ერთად, მაგრამ მისი მხრიდან არასოდეს მიგრძნია „სხვანაირი" ყურადღება — ისე მექცეოდა, როგორც დანარჩენ გოგონებს. ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემმა შინ უცნობი ქალი მოიყვანა და გვითხრა, — ჩემი თანაკლასელია, რომელიც 20 წელია, არ მინახავსო. კარგა ხანს იჭორავეს, წარსული გაიხსენეს და ის ქალი წავიდა, მაგრამ მას შემდეგ ხშირად მოდიოდა ხოლმე. ძველი მეგობრობა განაახლეს დედაჩემმა და რუსო დეიდამ. ძალიან საყვარელი ქალი იყო, ჩემი გული მალე მოიგო. თავისი ქმარიც გაგვაცნო და მამაჩემმა და მან მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს. შემდეგ მშობლებმა გადაწყვიტეს, შვილებიც გაეცნოთ ერთმანეთისთვის და ჩემს დაბადების დღეზე რუსო დეიდა მთელი ოჯახით დავპატიჟეთ. ძალიან გავოცდი, როდესაც რუსო დეიდას უფროსი ვაჟი ნოდარიკო აღმოჩნდა — სწორედ ის ბიჭი, ვინც წლების განმავლობაში მიყვარდა. ამის შემდეგ უფრო დავახლოვდით და ერთ მშვენიერ დღეს სიყვარული ამიხსნა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, არც ჩემი და არც მისი ოჯახი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი არ ყოფილა. შემოდგომაზე დავქორწინდებით და აუცილებლად მოგიყვებით, როგორ ჩაივლის ჩვენი ქორწილი. ნინო". ■

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „საზაფხულო რომანი".*
*ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე:*
*8.77.45.68.61*
*ან მომწეროთ ელფოსტაზე:*
*marorita77@yahoo.com*

**ყურადღება!** **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

# „ქმარზე გაბრაზებულმა ორსულმა ნაყოფი მოიშორა“

**„გზის“ №23-ში დაიბეჭდა ცოლის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ მეუღლის ტელეფონში უკვე სამჯერ იპოვა საეჭვო მესიჯი, რასაც ძალიან განიცდის: „პირველად რომ წავიკითხე, იმ ქალბატონს დავურეკე და ვთხოვე აეხსნა, — რა ხდებოდა მასსა და ჩემს მეუღლეს შორის. მან მითხრა, რომ ერთმანეთი რომელიღაც საიტის მეშვეობით გაიცნეს და ტელეფონები გაცვალეს, მერე კი ბოდიში მომიხადა“. როგორც ცოლი ამბობს, მაშინ მან ქალური სისუსტე გამოიჩინა და არა მარტო იმ ქალბატონს, არამედ საკუთარ მეუღლესაც ყველაფერი აპატია, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, ქმრის მობილურში ისევ იმ ქალბატონის მესიჯს წააწყდა და... „დავურეკე. მან კვლავ ბოდიში მომიხადა. მითხრა, რომ ეს უკანასკნელად გააკეთა. ჰოდა, მეც დავუჯერე, მაგრამ ამ ერთი კვირის წინ, როდესაც ჩემს მეუღლეს ისევ დაუმესიჯა, გავმწარდი და დავემუქრე: იცოდე, ყველაფერს შენს ქმარს ვეტყვი-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? — შენ ჩემი ოჯახის დანგრევა გინდა და საამისოდ ყველაფერს აკეთებო ანუ აქეთ მომდო შარი... მინდოდა, მუქარა სისრულეში მომეყვანა, მაგრამ თავი შევიკავე. თქვენი აზრით, იმ ქალის მეუღლეს რომ დავურეკო და გავაფრთხილო, ეს ცოდვაში ჩამეთვლება?..“**

## „ოჯახის შენარჩუნების მიზნით ყველა საშუალება გამართლებულია“

**ნატალი:**

„როგორც მივხვდი, ქმრისთვის ჯერ არაფერი გითქვამს. კარგი იქნება, თუ დაელაპარაკები, მაგრამ ისე მოიქეცი, თითქოს ამ ყველაფერს ასე ძალიან არ განიცდი. თუ უყვარხარ, სხვას არ უნდა ემესიჯებოდეს... არ მესმის, იმ ქალის ქმართან რა გესაქმება. ჩემი აზრით, პასუხი პირველ რიგში, საკუთარ მეუღლეს უნდა მოსთხოვო! ქართველი ქალების უმეტესობა თვალებს იბრმავებს და იმის შიშით ცხოვრობს, ქმრებმა არ მიგვატოვონო. სჯობს, საკუთარი თავი შეიყვარო და იმ ქალთან თავი არ დაიმციროო. აბა, შენ იცი“.

**ნიკოლო:**

„ჭკვიანი ცოლი მეუღლესთან გაარკვევდა ყველაფერს და არა — იმ ქალთან. P.S. ისე, ეს ქალები ჩვენი ტელეფონის „ჩითვას“ ვერ გადაეჩვივნენ, რა. თაგვმა თხარა, თხარაო...“

**დეა**, 29 წლის:

„მეც შენს დღეში ვარ: ახლახან აღმოვაჩინე, რომ მეუღლეს თითქმის ერთი წელია, ვირტუალური რომანი აქვს 45 წლის ქალთან და ლამის, ჭკუიდან გადავედი, მაგრამ... ჩხუბს აზრი არა აქვს. მართალია, გული მომიკვდა, მეუღლის მიმართ ნდობა დავკარგე, მაგრამ მაინც ერთად ვართ. P.S. იმ ქალს დღეში ათას „ესემესს“ მაინც უგზავნიდა, ჩემთვის კი ერთსაც ვერ იმეტებდა“.

**მარიტა:**

„ცუდია, მეუღლის მესიჯებს რომ კითხულობ. პირადად მე, ამას ვერც გავბედავ. მეუღლეს თვალი სხვისკენ რომ გაურბის, ეს შენი ბრალია და ამაში სხვას ნუ ადანაშაულებ... ისე, საიდან იცი, იმ ქალს ქმარი ჰყავს თუ არა? საინტერესოა, თუ ჯერ კიდევ გასათხოვარია, როგორღა დააშანტაჟებ? P.S. იქნებ ის ბათუმელი ოჯახის დანგრევას არც აპირებს და თუ მის ქმარს სიმართლეს ეტყვი, ეს ცოდვად ჩაგეთვლება; თანაც, ის ქალი მეუღლისგან რომ გათავისუფლდეს, ეს შენთვის უარესი იქნება — ხელ-ფეხი გაეხსნება და შესაძლოა, ქმარი საბოლოოდ „აგახიოს“ (ღირსიც იქნები!). მეუღლეს მიეფერე, უხეშობას შეეშვი“.

**ნევროზიანი:**

„ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ ყველა კაცი ერთნაირი თუ არაა, წაუერთმანეთებს მაინც. ვერ ვხვდები, რას ან ვის დაეძებენ სოციალურ ქსელებში, ვირტუალური გართობის გამო საყვარელი ადამიანის დაკარგვის რატომ არ ეშინიათ?.. მოკლედ, საყვარელო, პრობლემა იმ ქალში კი არა, შენს მეუღლეშია — ერთს დაუფრთხობ, მეორეს გაიჩენს და აზრი? ყველაფერს სჯობს, მეორე ნახევარს დაელაპარაკო“.

**ატარექსია:**

„ნურავის დაურეკავ და ნურც ნურავის გააფრთხილებ. ჩემო კარგო, საკუთარ თავს და ქმარს მიხედე. დასხედით და გაარკვიეთ, ერთმანეთთან რა გაკავშირებთ. თუ „გულაობა“ უნდა, გაუშვი. მერწმუნე, მისნაირი მამაკაცი ადრე თუ გვიან, აუცილებლად გიღალატებს; შენ შეიძლება ვერც გაიგო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ მაგ ლამაზ თავზე ქმარუკა არაერთხელ დაგადგამს რქებს. P.S. ლამის დამავიწყდა მეთქვა, რომ ქმარს არ უყვარხარ“.

**ლუნა:**

„ძალიან ვღიზიანდები, როცა ვუყურებ, რომ დაოჯახებული ქალები (კაცები) დღედაღამ ტელეფონზე არიან „დაკიდებულები“ და ვიღაცას გამწარებული ემესიჯებიან. ეს ყველაფერი ამაზრზენია! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც შეშვენის. მე თუ მკითხავთ, გათხოვილი ქალებს უმეტესობას ტელეფონი საერთოდ არ უნდა ჰქონდეს (ნუ, გააჩნია ქალსაც და იმასაც, თუ რისთვის იყენებს „მობილს“)... რაც შეგეხება შენ, იქნებ მოახერხო და მეუღლე ნომრის გამოცვლაზე დაიყოლიო. მერწმუნე, იმ ქალის გამო სკანდალისა და ხმაურის ატეხა ნამდვილად არ ღირს. P.S. ისე, ძალიან მაინტერესებს, მეუღლის ვირტუალური „ლოვეს“ მეორე ნახევრის ტელეფონის ნომერი როგორ უნდა გაიგო? გაგვაგებინე, რა მოხდება“.

**შორენა:**

„ცოდვა სხვის ქმართან ჩალიჩია, ხოლო თუ საკუთარი ოჯახის გადარჩენის მიზნით იმ ქალის მეუღლეს საქმის კურსში ჩააყენებ, ეს ჭკვიანური საქციელი იქნება და არა — ცოდვის დადება. ეტყობა, სადავეები ძალიან აქვს მიშვებული და მოთოკვა სჭირდება. P.S. ოჯახის შენარჩუნების მიზნით ყველა საშუალება გამართლებულია. წარმატებები!“

**პეპელა:**

„სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. შენმა სიტყვებმა: „ქალური სისუსტე გამოვიჩინე და ქმარს ყველაფერი ვაპატიე“, ძალიან გავბრაზდი. შენს ადგილას, მეორე ნახევარს დიდი ხნის წინ გავშორდებოდი... რაც შეეხება იმ ქალს, გირჩევ, მის მეუღლეს დაელაპარაკო. წარმატებები!“

**ციცქნა:**

„არ ვიცი, ეს რა ანომალიაა, ყველა კაცს გადაუბრუნდა ტვინი თუ რა ხდება? კარგი, ვთქვათ, კაცია და გართობა ეპატიება, მაგრამ ეს გათხოვილი ქალები რაღამ დააშტერა? მსგავსი პრობლემა ჩემს ოჯახსაც ჰქონდა: მამამ ვიღაც მახინჯთან გააბა ე.წ. ინტერნეტფლირტი და დედა ისე გაამწარა, რომ 3 თვის ორსულმა ნაყოფი მოიშორა... მართალია, ამის შემდეგ თითქოს, მამა გონს მოვიდა და მეუღლეს პატიება მუხლებზე დაჩოქილმა სთხოვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ინტერნეტში ისევ დაძვრება, თუმცა ახლა ყველაფერს უკეთ მალავს. მერწმუნეთ, მამის საქციელმა არა მარტო დედას, არამედ ოჯახის თითოეულ წევრს, დიდი ტკივილი მოგვაყენა. ასე რომ, ქალებო, ვიდრე სხვის ქმრებს ჩამოეკიდებით, იმაზეც დაფიქრდით, რომ ამით დიდ ცოდვას იდებთ“.

# „ზმანების შეყვარება მარაზმია“

**„გზის“ №23-ში დაიბეჭდა ნაიას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ უკვე 6 თვეა, რაც სიზმარში სრულიად უცხო ადამიანს ნახულობს და გრძნობს, რომ მას შეეჩვია: „მეტიც — ის თანდათან მიყვარდება კიდეც; დილით გაღვიძება არ მინდა, მთელი დღე ვცქმუტავ, ერთი სული მაქვს, როდის დაღამდება, რათა დავიძინო და ის ვნახო. მოკლედ, სულ მასზე ვფიქრობ, არადა, ისიც კი არ ვიცი, ეს ადამიანი საერთოდ, არსებობს თუ არა... მეშინია, რომ შესაძლოა, ერთ დღეს არც დამესიზმროს და ჩემი ცხოვრებიდან გაქრეს ანუ — სიზმარშიც ველარ ვნახო...“**

## „ის ინტერნეტში უნდა ეძებო...“

**ბესტია:**

„ადრე ვიღაც გვწერდა, — გარდაცვლილი შემიყვარდაო. ახლა შენ გვეუბნები: სიზმრად ნანახი კაცი მიყვარსო. რა გჭირთ, ხალხო, ამქვეყნად რეალური პიროვნებები დაილია თუ რაღაც განსხვავებული გინდათ თქვათ? ფსიქოლოგთან ვიზიტი არ გაწყენდა“.

**მისტერ:**

„რაებს ჩმახავ, თავი ტაროს ხომ არ გაჰკარი? დარწმუნებული ვარ, ეგ მამრი ან რეკლამაში, ან რომელიმე მხატვრულ ფილმში ან თუნდაც, ქუჩაში გყავს ნანახი და შენდა საუბედუროდ, გონებამ მისი სახე შემოგინახა. ჩემი აზრით, ის მხოლოდ რამდენჯერმე დაგესიზმრა და ახლა აზვიდებ — 6 თვეა, ყოველღამე მესიზმრებაო. ისე, თუ მისი დაკარგვის გეშინია, ადექი და იმ შენს სიზმარში გაჰყევი ცოლად, ბავშვიც გაუჩინე. ჰოდა, ვალდებულების გამო მაინც არ მიგატოვებს, მერე კი შენს სიზმრებში დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებთ ერთად. P.S. საინტერესოა, ამ ნაბოდვარს რამდენ დაქალთან ერთად წერდი? მაგრამ მაინც, კარგი გოგო ხარ, ასე რომ გამამხიარულე“.

**მაცმაცუნა:**

„იქნებ ინტერნეტსივრცეში მოძებნო ან... დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართე. ილუზიებს ნუ შეიქმნი, დატკბი ცხოვრებითა და რეალურ პიროვნებებთან ურთიერთობით!“

**მია 92:**

„გაგიჟდები კი არა, უკვე გიჟი ხარ! აბა, როგორ შეიძლება, სიზმარში ნანახი კაცი შეგიყვარდეს? ვაიმე, ხალხო, მგონი, ყველა შეიშალა. ღმერთო, გვიშველე!“

**მეკო 22:**

„ვაიმე, ვაიმე, მიშველეეეთ... ამისთანა აბსურდული ამბავი ჯერ არ გამიგონია. შენ აშკარად, ვერ ხარ კარგად. აბა, რა სიზმრად ნანახი კაცის სიყვარული აგიტყდა? იმკურნალე, გენაცვალე“.

**ჩუა:**

„ჩემო კარგო, სიზმრად ნანახი ადამიანი შენი ცხოვრებიდან სიზმარივითვე გაქრება. სჯობს, ვინმე რეალურზე იფიქრო. თავს ტყუილად ნუ დაიტანჯავ“.

**ლუნა:**

„ჩემო კარგო, ასე მგონია, ოცნებას აჰყევი და ეს ყველაფერი შენი ფანტაზიის ნაყოფია. შეუძლებელია ყოველღამე, თანაც — 6 თვის მანძილზე ერთი და იგივე პიროვნება გესიზმრებოდეს. რა ვიცი, შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ მე მაინც ასე მგონია და... შენი მესიჯიდან მივხვდი, რომ შეყვარებული არ გყავს. ჰოდა, როცა რეალური პიროვნება შეგიყვარდება, სიზმარში ნანახზე აღარც იფიქრებ. აბა, შენ იცი და მაპატიე, რომ ვერ გაგიგე“.



**ბამბუჩა:**

„მეც ვიყავი ანალოგიურ სიტუაციაში: მესიზმრებოდა ბიჭი, რომლის სახელიც სიზმარში გავიგე და როგორც უნდა გაგიკვირდეს, ცოტა ხანში ის ჩემსავე უბანში აღმოვაჩინე. ალბათ მიხვდები, მის დანახვაზე როგორ დავიშოკებოდი. თუმცა, ურთიერთობა თავიდანვე ჩხუბით რომ დავიწყეთ, თითქმის 5 წლის განმავლობაში არ გავჩერებულვართ: მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად დავინახავდი ან შევხვდებოდი, ის მუდამ ჩემს „ნერვებზე იჯდა“ და მხრავდა. მერწმუნე, ამ 5 წლის განმავლობაში ერთმანეთს ნორმალურად 5-ჯერაც არ დავლაპარაკებივართ. ყველა მის ძმაკაცს დავუმეგობრდი, მხოლოდ მასთან ვერ ვპოულობდი საერთო ენას... ახლა რა ხდება? — უკვე წელიწადზე მეტია, აღარ მინახავს და თითქმის აღარც მახსენდება. დღემდე ვერ ვხდები, რა საჭირო იყო მისი დასიზმრება და შემდეგ ნახვა, თუ ასე აეწყობოდა ყველაფერი. ასე რომ, მაგ შენს სიზმრისეულ პრინცს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებ; თუ საჭიროა, თავადვე გამოჩნდება. შენც ხომ ხვდები, რომ ზმანების შეყვარება მარაზმია. საღ აზროვნებას გისურვებ!“

**მალიშა:**

„შენ ცოტა ვერა ხარ, ხომ? წადი, ფსიქიატრს ეჩვენე (შე შეჩვენებულო), სანამ მართლა არ დაგიბერია. აუ, მაგრად ვიხალისე, რა“.

**ატარექსია:**

„რაიმეთი დაგეხმაროთ? აი, ერთ დღესაც თუ დაგესიზმრე, გპირდები, რომ დაგეხმარები. P.S. არა, რა, აშკარად ძალიან აჭერს ეს მზე“.

**ნიკოლო:**

„ეტყობა, მეოცნებე ტიპი ხარ. ვფიქრობ, დახმარებისთვის ფსიქოლოგს უნდა მიმართო ან გადმოიღე „კარაბადინი“ და... მოკლედ, ეგ შენი სიზმრები ცოტა „ლაითად“ აღიქვი და გაიღიმე“.

**ლიფსო:**

„შენი შიში უსაფუძვლოა, რადგანაც ყოველთვის ისინი გვესიზმრებიან, ვინც უკვე ნანახი გვყავს, თუნდაც — მხოლოდ ერთხელ. ამიტომ გირჩევ, მისი ძებნა ინტერნეტში დაიწყო და უეჭველად იპოვი. წარმატებები!“



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვეთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*

## ქალები



1. ვეხმაურები 24-ე ნომრის მე-14 სმსის ავტორს. მიეცით ჩემი ნომერი ან მომეცით მისი ტელეფონის ნომერი. გმადლობთ.

2. გავიცნობ 20-დან 25 წლამდე მამაკაცს. გულო.

3. მინდა, გულით გავიცნო ისეთი მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით, ვინც იცის ოჯახისა და სიყვარულის ფასი. მქვია მარიკა. არასერიოზულებმა გთხოვთ, თავი შეიკავოთ. მარიკა.

4. ვარ 27 წლის. გავიცნობ ნორმალურ მამაკაცს.

5. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 23, მე-11 მესიჯის ავტორის ნომერი. გმადლობთ.

6. მარ, განცხადებაში გამოაქვეყნე ეს მესიჯი. თამუნა, ირმა, ბამბუჩა დამიკავშირდით. ლუნა.

7. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 24-ში მე-14 მესიჯის ავტორის ნომერი.

8. გავიცნობ სერიოზულ, დამოუკიდებელ მამაკაცს, ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ 42 წლის, ბავშვით, ბინით.

9. სამეგობროდ გავიცნობდი სიმპათიურ, განათლებულ და თბილისელ მამაკაცს. არასერიოზულები და არასიმპათიურები თავს ნუ შეიწუხებთ.

10. გამარჯობა. ვეხმაურები მე-14 მესიჯის ავტორ მამაკაცს, „გზა“ №20-დან. თქვენ რამდენად სერიოზულად უყურებთ გაცნობას? ან დასაქმებული თუ ხართ? მე 43 წლის ვარ, თბილისელი.

11. გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ, 40 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 34 წლის, თეთრი, ცისფერთვალება, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | — a | მ | — m | ღ | — gh |
| ბ | — b | ნ | — n | ყ | — y |
| გ | — g | ო | — o | შ | — sh |
| დ | — d | პ | — p | ჩ | — ch |
| ე | — e | ჟ | — zh | ც | — c |
| ვ | — v | რ | — r | ძ | — dz |
| ზ | — z | ს | — s | წ | — w |
| თ | — t | ტ | — t | ჭ | — wh |
| ი | — i | უ | — u | ხ | — x |
| კ | — k | ფ | — f | ჯ | — j |
| ლ | — l | ქ | — q | ჰ | — h |



## მამაკაცები

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მეოჯახე, თავმდაბალ, ლამაზი სულის მატარებელ ქალბატონს, 31 წლის ზევით, რომელმაც იცის ქალაქიც და სოფელიც; უნდა ჰყავდეს შვილი.

13. ვიმეგობრებ თბილისში მცხოვრებ, ინგლისურენოვან, უცხოელ მანდილოსანთან. ვარ 173/81, 40 წლის, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი.

14. გავიცნობ 18-25 წლამდე ლამაზ გოგოს, ვისაც აკლია სითბო და ალერსი. ვარ სპორტული აღნაგობის, 185 სმ სიმაღლის, 75 კგ, შავგრემანი, შავთვალება.

15. გავიცნობ „დაუე“ განათხოვარ ქალბატონს. ვარ 21 წლის. რატი.

16. ვარ 25 წლის ბიჭი. გავიცნობ 20-35 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ფარული ურთიერთობისთვის.

17. ვარ 46 წლის. გავიცნობ ქალბატონს, 40-46 წლამდე.

18. ვარ 18 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ ჩემთვის შესაფერის გოგონას, სერიოზული ურთიერთობისთვის. მსურველებმა მომწერეთ.

19. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 26 წლამდე გოგონას. ვარ 31 წლის, დასაქმებული, უცოლო მამაკაცი.

20. ვარ 35 წლის, განათლებული, სიმპათიური და მოსიყვარულე მამაკაცი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 25-35 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს.

21. 36 წლამდე ასაკის, თბილისელ ქალბატონს გავიცნობდი, მოვეფერებოდი, დავარწმუნებდი, რომ სიყვარულისთვის ეს საუკეთესო ასაკია.

22. გავიცნობ სასიამოვნო მანდილოსანს, ქუთაისელს, 27 წლამდე. გოგა.

23. გავიცნობ მანდილოსანს, შეხვედრებისთვის. ჩემი ნიკია „თბილი კაცი“ და მგონი ამით ყველაფერი ავხსენი.

24. ვარ 61 წლის, ინტელიგენტი მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ ქალბატონს. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის!



## სხვადასხვა

• პატარავ, როგორ ხარ, სიხარულო? წინა კვირას ვერ მოგწერე, რალაც მიზეზის გამო. ასე მგონია, რომ მიგატოვე. მალე განახავთ უკვე და ცოტას მოგეფერები შორიდან. ჩვენ არა გვიშავს. საბას თმა შევაჭერით ისე, შენ რომ გქონდა ბავშ-

ვობაში. ძალიან უხდება და ისე დაგემსგავსა, მგონია, რომ შენ დაპატარავდი. საწოლზე რომ წევს და შევხედავ, მგონია, შენ გძინავს. ტანითაც გგავს და სახითაც. გენაცვალე, დედი... ჩემი ლამაზი შვილი... ხომ მშვიდად ხარ, სიხარულო? არაფერზე ინერვიულო. ტელეფონებზე კოდი რომ შეიცვალა, იცი? ახლა რვიანის მაგივრად ხუთიანი უნდა აკრიბო წინ, მერე — ჩვეულებრივად. სათვალე გიყიდე და შემოვგზავნი ამ კვირაში, მაგრამ არ ვიცი, შემოიტანენ თუ არა. სპეციალური მოდელია, რომელიც შეაქვთო, მითხრეს — რკინები არა აქვს გაყრილი და ის ვიყიდე. ბესომ წერილი გამოგიგზავნა, ალბათ მიიღებდი უკვე. ნეტავ რა მოგწერა მაგ ჩურჩუტმა? თქვენ უნდა მომიღოთ ბოლო ალბათ... დედის ვალიც ხომ ეგ არის, რომ შვილების გამო უნდა დაიტანჯოს... ჰოდა, ვიტანჯები... მაგრამ ღმერთს ვეკითხები ხოლმე, საკმარისი არაა, ამდენი განსაცდელი რომ მომივლინე-მეთქი? ალბათ მან უკეთ იცის, საკმარისია თუ არა... აღარ ვიცი, რა გავაკეთო, რა გზა გამოვძებნო, რომ რამით დაგეხმარო. ყველას რომ გვენატრები, ამის თქმა რაღად გინდა. სატანჯველი მოგვივლინა უფალმა და უნდა გავუძლოთ. ალბათ ასე იყო საჭირო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება, და თანაც — ძალიან მალე. უფალი გფარავდეს, გკოცნი გულში და გეხუტები. დედა.

•3კ198 გი, წიგნები გამოვგზავნე. საშინლად გამიძნელდა უშენობა, რა ვქნა. ძლიერად იყავი. თავს მოუარე. ვცდილობ, არ გავტყდე სულიერად. მუდამ შენზე ვფიქრობ. შენი თეე.

•3კ198 გი, ყველას უზომოდ გვენატრები. საბა სულ გკითხულობს, ნიაც და ნათიაც. მე კი თავს უბედურად ვგრძობ. თვიდან თვემდე დრო საძაგლად იწელება. ცრემლებამდე მენატრები. თეე.

• ქაჯეთ, გამიცანი თუ მნახე? ლუნა, არაფრის. კუტრინა და კიბორჩხალა გავიცანი, მაგრები არიან! გადარეულო, ეგ სვანებზე კი არა, კახელებზე უნდა გეთქვა. :) WANDERER.

•კაკადუ, ახლა ყველა ერთად ვართ და ყველას მაგრად გვენატრები. შენც ჩვენთან ხარ და ძალიან ბევრს გკოცნით.

•კასკუ, ყველაზე ტკბილო, თბილო და ხრაშუნავ, ჩემო არსებობავ და სუნთქვავ, ძალიან, ძალიან გვენატრები და სიგიჟემდე მიყვარხარ. ბევრი რამე გადავაფასე ცხოვრებაში. მიყვარხარ.

•კასკუ, თავიდან რომ ეთქვათ ეს შედეგი, ალბათ გავაფრენდი, მაგრამ ახლა ამდენი დროა გასული უკვე და ძალიან გახარებულები ვართ. რომ ჩატარდება, დავფაცურდებით და გადაგიყვანთ. შენ ოღონდ გული არ გაიტეხო და მხნედ იყავი. კიდევ არის რაღაც იმედები აგვისტოში და უფლის შეწევნით, იქნებ გამოვიდეს რამე. კუს, ძალიან მიყვარხარ. შენი ლიკუნა.

• დიდი სიყვარულით და სითბოთი მოვიკითხავ მგზავნელებს. პირველ რიგში ქვრივს, თამუნა მიქელაძეს, ლი23-ს, ატარექსიას, ტკბილ ნუჩის, სევდიან ქალს, დიკი ანგელს, ტირიფი73-ს, კლეოპატრას, ნაომის, უცნობი2-ს, პარიჟანკას. მივმართავ ქვრივს: ჩემო კარგო, გარეთ არ ვარ, 2 წელი დამრჩა კიდევ. კარგი გოგო ჩანხარ და მსურს შენი გაცნობა. იმ გოგოს რაც შეეხება, თვითონ არ მოისურვა, ვურეკავდი და არ მპასუხობდა. ცხოვრება თავიდან რომ დავიწყო, პირველ რიგში გვერდით შენნაირი, გამგები გოგო მჭირდება. ვინც ახლა გვერდით დამიდგება, ჩემი ხატი და სალოცავი იქნება, სიცოცხლის ბოლომდე. ვისი სიხარულითაც გავიხარებ და ვისი ტკივილიც მეტკინება და პირიქით. წარსული არ მაინტერესებს, იმ დღიდან დავინტერესდები, როცა ჩემი მეორე ნახევარი გახდება. ვარ 190 სმ სიმაღლის, სპორტული აღნაგობის, თბილისელი. თუ გინდა, ვცადოთ. მომწერე წერილი, მიუთითე ტელეფონის ნომერი და მისამართი, სადაც წერილს გამოგიგზავნი. ყველაფერი მომწერე შენ შესახებ, სურათსაც თუ გამომიგზავნი, უკეთესი იქნება. მკითხე რაც გაინტერესებს და გულახდილად გიპასუხებ. იცოდე, ტყუილს ვერ ვიტან. გკოცნი გულში. ნუგო30. ყველას გასაგონად! ჩემთან დაკავშირებას მხოლოდ წერილობით შეძლებთ. მისამართი მარის გამოართვით.

• მშვენივრად მესმის დიკი ანგელის. მსურს შენთან მეგობრობა და მერე მომავალი გვიჩვენებს. სიამოვნებით გავიცნობდი ლიზი123-ს. მომწერეთ წერილი და სურათთან ერთად გამომიგზავნეთ. მიუთითეთ მისამართი. დიკი ანგელ, დაფიქრდი. ველი წერილებს. ნუგო30. ლიზი123, და არ მყავს და მინდა, რომ ჩემი დაიკო იყო.

• თამუნია მიქელაძე, როგორ ხარ? იმედია, კარგად იქნები და კარგადაც გამყოფოს უფალმა. მარი ვერ მოგცემს ჩემს ტელეფონის ნომერს. თუ ჩემი გაცნობა გსურს, მომწერე წერილი და სურათთან ერთად გამომიგზავნე. მომწერე ყველაფერი შენ შესახებ — ტელეფონის ნომერი და მისამართი, სადაც წერილის გამოგზავნას შევძლებ. ვეძებ ერთგულ მეგობრებს და პირველ რიგში — მეორე ნახევარს. მისამართი მარის გამოართვი. ველი წერილს. ნუგო30.

• ვწერ, ვგზავნი და კაციშვილი არ ბეჭდავს სმს-ებს. თუკი არ გინდა, რომ მოგწეროთ, თქვით, თქვე კაი ხალხო და არც ჩვენ შეგაწყენთ თავს. პატივისცემით, ჰოლმსი.

• ძალიან მენატრება ჩემი უსაყვარლესი დეიდაშვილი, ირმა მელელაშვილი. იმედია, მალე ვნახავ მასაც, ჩემს საყვარელ სიძესაც და მათ უსაყვარლეს, პატარა ნინო ბერიძესაც.

• მაი, სიკეთეში მოიხმარე შენაძენი და ჩემი თავი. მიყვარხარ.

• პეპ, როგორ მინდა შეგეხო, მოგეფერო, ყველაფერი მოგიყვე და გული გადაგიშალო. მენატრები ძალიან მაგრად, ყველა წუთი მახსენდება, ერთად გატარებული. ნეტავ მალე დამიბრუნდე.

• პეპ, რომ არ გნახო, გავაფრენ. ძაან დაგრუზული ვარ, როგორ მაკლიხარ, არ იცი. მინდა, შენთან მინდა! ღმერთმა მალე დამიბრუნოს შენი თავი, ვთხოვ და აღარასოდეს გაგაბრაზებ!

• მომენატრეთ... ვკითხულობ თქვენს მესიჯებს და ვკაიფობ, რასაც ჰქვია. ჰოკ-ერა (ჰო, კიდევ ახალი ნიკით მოგწერთ — ანიშაკო1).

• შენს ბინაში ერთადერთი, უცვლელი სუვენირი მე ვარ, ჩემო დიასახლისო.

• მაინტერესებს, ფასანაური გირჩევნია თუ მცხეთა? თუ გინდა, რაჭაში წავიდეთ.

• ახალი ვარ, მიმიღებთ?

• გამარჯობა, მე ახალი ვარ და გთხოვთ, მიმიღეთ. მე ეს ჟურნალი ძალიან მიყვარს და თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. ბაბლუცუნა.

• მარ, მიყვარხარ, შენი რუბრიკა ძალიან მომწონს. ბაბლუცუნა.

• ეჰ, მეც კი მინდა ექსკურსიაზე, მაგრამ... არა უშავს, მერე თქვენ დაწერთ ექსკურსიის ამბებს, მე სიამოვნებით წავიკითხავ და წარმოვიდგენ, რომ იქ ვიყავი. მალიშა.

• ხანდახან მარტოობაც კარგია! არ გეშინია იმის, რომ ვინმე გიღალატებს, გულს გატკენს ან მიგატოვებს! მე უკვე მივეჩვიე და მარტო კარგადაც ვგრძნობ თავს. მალიშა.

• აუ, რამდენი ვიცინე, ვიღაც რუისპირზე რომ წერდა, ლოვე ამახიაო, ოდნოში გავიცანი გიო და ვერაფერი შევატყვე მაგდაგვარი, ნეტავ, თუ ვახსოვარ? მალიშა.

• რა ლამაზი დღეააა, რა ნათელი მზეააა, იმიტომ რომ დღეს ჩემი დაბადების დღეააა, გილოცავთ ჩემ დაბი-დუბის, მრავალს დაესწარით, ჩემთან ერთად. :) მალიშა.

• ლაკვასტ, ცოტა ლაითად მიიღე ეგ ამბავი. ჩვენი ენა არასდროს გადაშენდება. დღევანდელი ჭეშმარიტი ქართულიც ხომ ძალიან განსხვავდება XVIII საუკუნის ქართულისგან? ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრება. ქართული სიტყვების 10% ძალიან ჰგავს თურქულს, მაგრამ ეს სიტყვები უკვე მშობლიურად მიგვაჩნია. ნიკოლო.

• შერლოკ ჰოლმს, რა პათეტიკური ხარ. მაინც ვიზიარებ შენს მაღალ იდეალებს. მაპი3, აქ აპრობირებულია ერთი და იმავე ადამიანის მიერ სხვადასხვად თავის გასაღება... ნიკოლო.

• ლი23, არსადაც არ წახვიდე, მე მომწონხარ. :) ატარექსია, სულ მგონია, რომ გიცნობ. რა ვიცი, რა ვიცი... ვუერთდები ექსკურსია-ლაშქრობა-პიკნიკის იდეას. ნიკოლო.

• მთავრდება! მთავრდება ეს საზიზღარი გამოცდები! მალე აღარ ვიქნები FRESMAN-ი :) აბა, ვინ მოდიხართ ბათუმში? დროა, აღვირი ავიხსნა და განცხრომას მივეცე. :) ნიკოლო.

• აქ წინის წინა ნომერში :) ვიღაცას აღმოხდა, შენი ნომერი მინდაო. ეგ არა, მაგრამ შეგიძლია FB-ზე ჩემი ნიკი დაsearch-ო (ინგლისური შრიფტით) და აღმომაჩენ. :) ნიკოლო.

• ნათკა (ნათია-ნათელა), თავის დამკვიდრების მეტად გაცვეთილი ხერხი აგირჩევია. ასეთი უნიჭო როგორ ხარ? რომ

მახსენებ, გიცნობ? თუმცა, თავში ქვა გიხლია. ნიკოლო.

• აღარ მახარებს განთიადის ასხივოსნება, არც ქართულ ცაზე მოწოლილი ნამგალა მთვარე. გრიგალს მივეცი ფოთოლივით ნაზი ოცნება, ნაზი ოცნება უნდო გულში დავასამარე. უღრან ბილიკებს შევრჩი, როგორც მგზავრი გვიანი. ბევრი ცრემლები დავადინე მშობლიურ მხარეს, ჩემში ცხოვრობდა შმაგი სული ადამიანის და ახლა ისიც უნდო გულში დავასამარე. ზეზე ჩამოვდნი, ჩავიფერფლე როგორც სანთელი, ასე გადიან ეს დღეები ნაღველზე მწარე. არავინ იცის, უტკბილესი განცდა რამდენი, გულში ვაცოცხლე და გულშივე დავასამარე. რისთვის მოვედი სამზეოზე, ახლაც არ ვიცი, ან შავი მიწა კალთას როდის გადამაფარებს. ფიქრთა კოცონზე საკუთარი თავი დავიწვი და ფერფლი ისევ უნდო გულში დავასამარე. დაღამდეს ნეტავ, სამუდამოდ დაღამდეს, კმარა! დროა, ღიმილით მივეახლო სამარის კარებს. ვინც კი ამქვეყნად შემიძულა ან შემიყვარა, გულში ვაცოცხლე და გულშივე დავასამარე. გაქრა ნუგეში, ხვალინდელი დღეც გამიმწარდა, სულის სიმშვიდე გავატანე მოხეთქილ ქარებს. რაღა მაქვს მეტი გამოფიტულ სხეულის გარდა, სხვა დანარჩენი უნდო გულში დავასამარე. როდემდის დავალ ქუჩა-ქუჩა სულით ობოლი, ღმერთო ციურო, ესოდენი ტანჯვა მაკმარე. ჭკნება სიცოცხლე უდღეუროდ, როგორც ფოთოლი და ყველაფერი უნდო გულში დავასამარე. **P.S.** ადამ ბობლიაშვილი. კუნკულა.

• ლიკა, იმედია, წაიკითხავ ამ ნომერში მითითებულ მესიჯს. მე გაგა ვარ და ძალიან მიყვარხარ.

• შერონ სთოუნი მინდოდა მენახა სიზმარში და ვერ ვნახე. ხომ არ წავიდა საქართველოდან? იქნებ ჰკითხოთ მანანა მანჯგალაძეს? **P.S.** სატრფომ უარიი შე-(მ)-ომით-ვაა-ლააა.

• მადლობა ლუნას და ქაჯების დედოფალს, თბილი სიტყვებისთვის. აქ იცით, როგორ არის? ვითომ გიმეგობრდებიან და მერე იკარგებიან. დახმარება მართლა ძალიან მინდა. გაკოცეთ, ლი23.

• კასკუ, როგორ ხარ ნეტავ, ჩემო არსებობავ? ძალიან მიყვარხარ და ძალიან გადავიღალე უშენობით, მაგრამ ვცდილობ, მაგრად ვიდგე. ძალიან მეხმარება ეკლესია. 20-ში მარხვა დაიწყო.

• კასკუ, ძალიან გთხოვ, ცოტა აიყვანე თავი ხელში და დაწყნარდი. მესმის, ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენი გულისთვის იქნებ შეძლო. ხომ იცი, რამდენი ადამიანი შემოგყურებთ.

• კასკუ, ჩემო სიხარულო, იქნებ ივარჯიშო და ცოტა ნაკლები მოსწიო. ცოტაც გაუძელი, ჩემო ოცნებავ და დამთავრდება ყველაფერი. ჩვენ არა გვიშავს, უშენობას თუ არ ჩავთვლით. დედა და ბავშვები კარგად არიან. სკოლა მოვრჩით, ორივე ათოსნები არიან. მონატრებას ვერ ვერევით. კას, ძალიან მიყვარხარ გულში და გკოცნი ბევრს, შენი ლიკუნა.

• ბანსი, მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ, სიცოცხლეზე მეტად. ჩემი სუნთქვა ხარ. ბანსულა.

• იკა, დე, როგორ ხარ? ძალიან მენატრები. ბექა და თამუნა მოსკოვში წავიდნენ. სხვა ახალი არაფერია, თუმცა ჩემთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. ჩემი აზრი და ფიქრი მხოლოდ შენ ხარ. კიდევ როდის გნახავ, დე? ყველაფერი კარგად იქნება და შეიძლება ეს ძალიან მალე მოხდეს. აბა, შენ იცი, როგორ ჭკვიანად იქნები. თავს გაუფრთხილდი, ღმერთი არ გაგვწირავს.

• ნათკა, დამაინტერესა შენმა ამბავმა. სულ მეეჭვებოდა რუისპირის ორიენტაცია. ნაომიც მომიყვა რაღაცებს. არ გინდა, გავიცნოთ? მარ, მომე ნათკას ნომერი, რა. ამიერიდან — გრაცია.

• ყველა გავჩნდით ამქვეყნად, როგორც ადამიანი, გავიზარდეთ მშობელთ ზრუნვით, სულელი თუ ჭკვიანი. ისე როგორც ადამიანს, მუდამ გარჯა სჩვევია, მიზნისათვის ბევრ ჩვენთაგანს, ხშირად მიგვილწევია. გულით, სულით ოჯახისთვის ზრუნვა გაგვიწევია, ჩვენთან კაცებს სიტყვა უთქვამთ, ღვინოც დაულევიათ. ლანძღვა, დაჭრა, დასმენა და ქალივით ჭორობა, აი ამით იკარგება ჩვენი წონასწორობა. ასე არის თუკი ისე, ყველას გვმართებს ბრძოლა, ჩვენს ცხოვრებას ალამაზებს კარგი ნაშის ყოლა. კუნკულა.

• პაპაჩემს ძველი ამბების მოყოლა ისე უყვარდა, რომ ხშირად დასთენებია ღამე საყვარელ ბუხართან. ერთხელ, ჩვეული ალერსით მოგვიხმო დაბინდებისას და წამოიწყო მან თხრობა, დიდებულ თამარ მეფისა. შვილებო, ქუხდა ქართველთა, სამშობლო მის დროს განთქმული და მტრებიც, როგორც მწერები, მიწაზე ჰყავდა გართხმული. ამ დროს ილება რუსთველის, მზე ცაზე აბრწყინებული. რამდენიც გინდათ გიამბოთ, თამარზე არ მომწყინდების. ინდოეთამდის გავიდა თამარ დედოფლის დიდება. ტახტზე 20 წლის ავიდა და სიკვდილამდის იმეფა. გარდაიცვალა, გაძნელდა, მისი საფლავის მიგნება. როცა სიკვდილის სამოსელს ესვენა ღონე მიხდილი და როცა ღონეს სტაცებდა დაუნდობელი სიკვდილი. როცა ხმას ვეღარ იღებდა, როცა ძალ-ღონე წაერთო, ჩურჩულით უთხრა სპასალარს, ორ მოყმეს დამიძახეო. შემოიყვანეთ მოყმენი, ჩემი ერთგულნი მარადა, მაქვს საიდუმლო სათქმელი და მსურს, რომ იმათ გავანდვა. დაღონებული გასცილდა სასახლის მხედართმთავარი და არ იცოდა თუ მოყმეთ, რისთვის იხმობდა თამარი. მეფე ქალს, ქართველთ დიდებას... (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

• ვიღაც მაყიშვილი რომ წერდა რუიზე, როდის აქეთ მოგწონს ბიჭებიო, აი, მაგაზე გადავბჟირდი. :) ნიკს ვიცვლი, **WANDERER**-ის მაგივრად ჰუმანოიდი ვიქნები. ჰუმანოიდ.

• სევდიანო ქალო, მეც მომენატრე. რატომ გაქვს ეგეთი ნეგატიური ნიკი? დამაინტერესა. :) **GREEN GIRL**.

• ირაკლი, როგორ ხარ? ყველა შეწუხებული ვართ შენი ამბით და შენ გვერდით ვართ. შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და ამ სიძნელეს გაუმკლავდები. ღმერთი გფარავდეს. დოდო მამიდა.

• 3.198გი, როგორ ხარ? უშენოდ ძნელია ყოფნა. ხშირად მაინც შეგეძლოს შეხმიანება. მენატრები, ბუუს და თვის ბოლოს მოუთმენლად ველოდები, რომ გნახო. გკოცნი, მიყვარხარ. თეე.

• 3.198გი, საბა გნატრობს, ნეტავ აქ იყოს გია, ველოსიპედით ერთად ვივლიდითო. გი, ყველა გკითხულობს. გვენატრები. თავს გაუფრთხილდი. მეც ვეცდები, გავუძლო ამ ტკივილს. შენი თეე.

• რეალურ ფასად, იესო ღმერთის ძალით, შევეცდები შევაჩერო კლიმატური ცვლილებები მსოფლიოს ქვეყნებში. დამიკავშირდით კომპეტენტური პირები. ჩალაძე ოქროპირი.

• მარი, მინდა, გია სურამელაშვილის ყიდვის მსურველს მივმართო: თუ მატრაკვეცას უწოდებ, რად გინდა, სულ სახლში გყავდეს? მატრაკვეცა თავად ხარ! ვინც უარყოფს, ზუსტად ისინი უსმენენ გიას! ჩემი სამამამთილოა და ძალიან მიყვარს. გია, მიყვარხარ, მამიკო, ძალიან თბილი და კარგი ხარ, შენი შურთ და ამიტომ ჭორაობენ. გაკოცე. შენი სოფი.

• 3.198გი, ნინომ მითხრა: არჩილი იყო და ჯეკას წავიყვან, ჩემთან იქნება და ვანადირებო. შენი აზრი აინტერესებს და რომ დარეკავ, უთხარი, თუ თანახმა ხარ. გკოცნი. შენი თე.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო. შენზე ერთ საყვედურსაც არავის შევარჩენდი, დღეს კი უნდა გნახო და დასაცავად კი არა, მოსაფერებლად ვერ უნდა გაგცე ხმა, მაგრამ არა უშავს, ჩემო სიცოცხლევ. გაურკვევლობას გავუძელით ამდენი ხანი ყოჩაღად და ახლა ბოლო გამოჩნდა და უკვე ყველაფერი სხვაც კარგად იქნება. ქეთი.

• კასკუ, შენც დამშვიდდი და არც არაფერზე ინერვიულო. ხომ იცი, შენით ვსუნთქავთ და ვარსებობთ. ჩვენ კარგად ვართ, დარდი არ გქონდეს. მოგიკითხა ყველამ. გკოცნი. ქეთი.

• 3.198გი, შენი ნახვა 28-ში მიწევს, სამშაბათს. მოუთმენლად ველოდები ამ დღეს. რიკოთზე გზა არაა სტიქიის გამო და მე და დიტო შემოვლითი გზით წამოვალთ. მენატრები. თეა.

• გამარჯობა! დიდი ხანია, რაც „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ მოწერა პირველად გადავწყვიტე. ჯერ მხოლოდ 15 წლის გოგო ვარ და ჟურნალისტობაზე ოცნებით ვარ შეპყრობილი. ჩემი ოცნებებით თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ ამბის თხრობაზე გადავალ: გათენდა... ოკეანის ხმაური ისმის. მართალია, ამ კუნძულზე უკვე 10 დღეა რაც ვცხოვრობ, მაგრამ მაინც მეშინია. მეშინია აქ დარჩენის, მეშინია სიკვდილის... არ მინდა აქ... მენატრება ყველაფერი, რაც ჩემთვის ასე ახლობელი და ძვირფასია. სულ ვდარდობ, ვფიქრობ... რაზე ან ვისზე? ყველასა და ყველაფერზე. დრო თავზე საყრელად მაქვს, ფიქრისთვის. მენატრება ჩემი ოჯახი, დედა — განსაკუთრებულად. ალბათ ახლა როგორ

დარდობს... ცრემლები თავისით წამომივიდა, ჩემი ტირილი გრიალში გადაიზარდა. ნელ-ნელა ვწყნარდები, მახსენდება, რომ უამრავი რამ მაქვს გასაკეთებელი. ვიწყებ თავის მოწესრიგებას... ცხელა... გაგრილება გადავწყვიტე... მომბეზრდა მარტო... ვწევარ ჩემთვის უსაქმოდ, უმეგობროდ, უკონტაქტოდ. წიგნის კითხვაც მომბეზრდა, კიდევ კარგი, წიგნები მაინც წამოვიღე. შიში მიპყრობს მომავალი დღის. არ ვიცი, რა მელოდება, როდემდე გასტანს ეს ყველაფერი. ვფიქრობ, მაგრამ გამოსავალს ვერ ვნახულობ. მხოლოდ ერთი ვიცი — აქ არ დავრჩები. ვერ დავრჩები. ასე გადის ჩემი დღე ფიქრებსა და ოცნებებში. მეშინია ღამის, საშინლად მეშინია, მაგრამ მომავლის იმედს არ ვკარგავ. მჯერა, რომ ერთ დღეს აქედან წავალ. მაგ დღეზე ოცნებას კი ცეცხლის პირას მჯდარი განვაგრძობ, ხელში წიგნით. ამ დროს გამომეღვიძა, ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილა. მე ჩემს საწოლში ვწევარ. ბედნიერი ვარ. გავვარდი სამზარეულში, დედას ჩავეხუტე, მერე მამას ვაკოცე. ამის შემდეგ კი გავაგრძელე დილის ძილი. მშობლები გაოცებული დავტოვე, მე კიდე დათუნიაჩახუტებული, უკვე სხვა სიზმარს ვხედავ. ვეცადე, ვყოფილიყავი ორიგინალური! პარასკევა. :))

• ჩემი ცხოვრების წმინდა შუქი ხარ, ჩემს გულში ციურ სანთლად ინთები, ჩემი სიცოცხლე ჩემი გულის თქმა, შენ იყავი და მუდამ იქნები. მენატრები, ნოდარ. ლიზი123.

• მგონი, სულ გავაფრინე... მაგრამ ეგ არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება... მენატრები უზომოდ... ლიზი123.

• გამარჯობა, ხალხნო და ჯამაათნო. პირველად გწერთ. ჯერ ცინცხალი ვარ. მოკლედ, რაც შეეხება თემას, ორი დღის წინ ექსკურსიაზე ვიყავით სკოლიდან, ყაზბეგში. ყველაფერი დავათვალიერეთ და ძალიან დაღლილებმა სასტუმროსკენ ავიღეთ გეზი. მეპატრონე დაგვხვდა კატასტროფა. ჯერ სანამ არ დავარწმუნეთ, რომ ქუთაისიდან არ ვიყავით, არ შეგვიშვა (არადა, შუაგული ქუთაისიდან ვიყავით). მერე ლექცია ჩაატარა, რომ პატიოსნების ეტალონია. საბოლოოდ, ქალბატონმა ნანამ ბიჭების ოთახიდან ორი სართულით დაგვაშორა. თან დაგვიბარა, თქვენი ხმა არ გავიგოო და გატუსტუსდა. ჰოდა, ავირაზმეთ ღვინის ბოთლებით, ბიჭების ოთახისკენ. უტარო კოვზივით რომ ვარ, განვაცხადე, მე გავაფრთხილებ ბიჭებს-თქო. გავემართე ბიჭების ოთახისკენ, შევაღე კარი და სიბნელეა, მტრისას! ხელების ფათურით წავედი, თან ვბურტყუნებ, რამ დაგაძინათ ასე მკვდრებივით, აიყარეთ-თქო. გაგონილა? ვინ იღვიძებს? ცხელ გულზე დავეტაკე, სავარაუდოდ — დათოს და ვანჯღრევ, მაგრამ სადაა დათო? უცებ, ხრინწიანი, დამტკბარი ხმით კითხულობს ჩემს კლანჭებში მოქცეული „ობიექტი“ — ნანა, მოხვედი? მალოდინეო, თან ხელზე მექაჩება. მე იქიდან დავგაზეეე! იმდენი ვიცინე, გოგონებმა ძლივს მომასულიერეს. თურმე, მე ჭკვიანს, ოთახი ამრევია და სხვა ბიძიას ოთახში შევედი. ეს ბიძია კიდევ, ჩვენს ხაზეიკას, ქალბატონ ნანას უცდიდა, რომელიც არათუ გათხოვილი, როგორც თვითონ გვითხრა, შეყვარებულიც კი არასდროს ყოფილა და უცებ, ბრააახ! ზორბა ბიძია უცდის. აი, ასე გადავურჩი ბეწვზე ნანას ბოიფრენდს. არა რა, ერთ სიტყვაზე არ უნდა ენდო დღეს ადამიანს. აბა, უმწიკვლო რეპუტაციის ვარო?! ეჰ, კარგი იყო, რა. ბელა.კ.

• დიკი ანგელ, როგორ ხარ? რატომ მიდიხარ ჩატიდან? ძალიან გთხოვ, არ წახვიდე, მაგრად მიყვარხარ სიხარულო, ხომ იცი? სოფ, გთხოვ, უარს ნუ მეუბნები ცოლობაზე. მიყვარხარ. თემო.

• მე შენ მიყვარხარ ძლიერ, მიყვარხარ და ჩემი გახდი, გთხოვ.

• დიკი ანგელის ნომერი მინდა მაგრად. დიკი, დიკი, დიკი, გამეცანი, გთხოვ, ძალიან სიცოცხლე ხარ, შენი ფანკლუბი უნდა შევქმნა, ჩემნაირო გიჟო, მპააა! ხამსა.

• მაარ, სიხარულო, ათენიდან გწერ, დამიბეჭდე რა, გთხოვ. მინდა, ჩემს უსაყვარლეს ადამიანს მივწერო: ზურო, ძალიან მაგრად მიყვარხარ და ვიტანჯები უშენოდ. მენატრები, ბუნცი.

• სიყვარულის ქალაქი — პარიზი, სიყვარულის ქალაქი 2 — სიღნაღი, სიყვარულის სოფელი — არგოხი. :-) მართლა ჯაფარიძე, არ ვხუმრობ. გუშინდელ დაბადების დღეს გილოცავ, მოგვიანებით. 9717.

• ფიფქია, შენ კიდე ჩუუ, რა. ფისოო. გადარეული.

• ქეთი და ფატი, თქვენ ძაან აბლატავებულები ხართ და თუ არ დაწყნარდებით, მე დაგაწყნარებთ. გადარეული.

• ალსდექ, ჩემო საქართველოვ, დაიცავი მტრისგან თავი, არ ვეგონოთ ვერაგ მტერსა, უსუსური, სუსტი ქალი. ჯერ არ მინახავს ქართველი, შეშინებული მტრისაგან, ბევრი მინახავს ნამუსრი, ნაჩეხი მისი ხმლისაგან. მისი შეტევა, ყიჟინა მდგარი, ვაშას ძახილი, მტრისათვის შემოქნეული, მისი ალმასის მახვილი, ხმალს ჩახაჩუხი გაჰქონდა, მტერს ვაი-უის ძახილი, შემკრთალს და შეშინებულსა, ქედი ძირს ჰქონდა დახრილი... შალვა ბაციკაძე.

• ეს რა ცუდი დრო დაგვიდგა, ხან წვიმს, ხან ქარიშხალია, შუღლმა და გაუტანლობამ ქვეყანა არივ-დარია, უფროსნი ფულში ცურავენ, ვაი, საწყლების ბრალია. ცალ ფეხს კალოში მიმშვენებს, მეორეს — ქალამანია, ვინცა ცხოვრებამ ააწყო, ის მართლა ამირანია, ვინც — არა, ამას ძლიერ ჩამორჩა, სულ აერია კვალია, დარდმა მოიცვა საწყალი, წინ რომ წავიდა სხვანია, ხელმოკლე კაცი რას იზამს, თუ არ აქვს გასაქანია და ის ერთისთვის გიჟდება, ზოგს მოწონს სამი რამეა, ეგ სამი ნეტავ რა არის? ღვინო, დუდუკი, ქალია, დადის და დროსაც ატარებს, ეშხითა არის მთვრალია, მაგას ფეხებზე ჰკიდია, ეგ თქვენი ამირანია... შალვა ბაციკაძე.

• მოახლოვდა მაისი, მთავრდება ჩემი დაისი, კარგისა ღირსი ვერ გავხდი, მოლოდინი მაქვს ვაისი, აჰ, როგორ მინდა მშვიდობა, ძმაო, თოფს ნუღარ გაისვრი, ამდენმა უბედურებამ სულ დამიკარგა ხალისი, ვერ მოვიშორეთ რუსეთი, დედა ვატირე მაგისი, ჩვენს მიწას ეპატრონება, ისე უგდია თავისი... შალვა ბაციკაძე.

• თქვენ გენაცვალეთ, მაინცდამაინც. :) ამ წამს ჩავიგდე ხელში ეს 82-გვერდიანი საოცრება. ფიფქიას ხომ ვერ წაჰგლეჯ ხელიდან? მიყვარხართ. :) ქაჯების დედოფალი.

• წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო... :) აუ, მთვრალი რომ ამ სიმღერას ვუსმენ, მაგარი კაიფია. კიდევ, პივის ლომკაა ძაან მაგარი. გადარეული.

• მარი, საყვარელო, ულრმეს მადლობას გიხდი, რომ ჩემს გზავნილებს არ ბლოკავ და მიბეჭდავ. გაიხარე და ღმერთმა დაგლოცოს! სევდიანი ქალი.

• შენ მაშინ მოხვალ, როცა უკვე გვიან იქნება, შენს სიყვარულში ჩაფერფლილი სხივი ვიქნები, იქნებ ბევრჯერაც მოგენატროს ჩემთან შეხვედრა, მაგრამ ვაი, რომ მე ამქვეყნად აღარ ვიქნები. მაშინ მიხვდები, თუ რად მდიოდა ცრემლები მწარე ან რად დამტოვა თეთრად ისევ შენზე ფიქრებმა, როცა დავდევდი შენს ნაფეხურებს, არ ვიღლებოდი, მაგრამ ვაი, რომ მაშინ უკვე გვიან იქნება! სევდიანი ქალი.

• ნახე, გათენდა! ჰო, მგონი, როგორც იქნა! უჩურჩულა ერთმა ყვითელმა სანთელმა მეორეს. დღეს ჯვრისწერაა, ალბათ, მალე ეკლესიაში დაგვანთებენ. ჰო, ისინი სიყვარულით იწვიან, ჩვენ კი ნამდვილი ცეცხლით ჩავიწვებით და ჩავიფერფლებით. ეჰ, რას იზამ, ასე ყოფილა განგების ნება. ისე, მე მაინც ბედნიერი ვარ, ჩვენ ხომ ორი ადამიანის სიყვარულს ვეწირებით. ჰმ, რა დიდი ბედნიერებაა!.. ჩუ! მგონი მოდიან. აი, ნახე, ნეფე-დედოფალი მოდის! რა ლამაზი კაბა აცვია, არა? შუქით არიან გაცისკროვნებულნი! მეც რომ ადამიანივით გული მქონდეს და მეც შემეძლოს სიყვარულის განცდა, მეც აუცილებლად შევიყვარებდი! მე დედოფალს ვეკუთვნი, შენ კი — ნეფეს! ანუ დღეს მე დედოფალი ვარ, შენ კი... ვაი, ვაი, თავზე ცეცხლი წამეკიდა. ცოტაც მოითმინე ჩემო კარგო, ხომ ხედავ, მე როგორ ვაჟკაცურად ვითმენ. ნახე, ნეფემ რა სინაზით აკოცა დედოფალს. შენ რატომ კანკალებ? მე არ ვკანკალებ, უბრალოდ, დედოფალს უკანკალებს ხელები. ალბათ ეს მისი პირველი კოცნა იყო. ღმერთო, რა ბედნიერები არიან, არ ვნანობ, რომ მათ სიყვარულს ვეწირები. მე კი მათ შემხედვარეს, ლოცვა მომინდა. მიდი, ილოცე, მე კი „ამინს“ გეტყვი ბოლოს. ღმერთო, შენც ხომ სიყვარული ხარ, ჩვენც სიყვარულს ვეწირებით. დაე, ეს სიყვარული ყოფილიყოს ისეთივე წმინდა და უანგარო, როგორც ჩვენგან ჩამოღვენთილი ცრემლებია. გვისმინე, ღმერთო! ამინ! ამინ! სევდიანი ქალი.

• თავში ქაოსია, სულში გრიგალია,

აღარაფერი მწყინს, აღარც მიხარია, ახლა გველი უფრო ჩემზე მდიდარია, რადგან მასში თუნდაც ერთი მიზანია. სძულს მთელი სამყარო და გესლში გარია, ჩემი ცხოვრება კი, აბა, რის დარია? თუკი არაფერი აღარ მიხარია, თუ ლეში დავდივარ, იმედი მკვდარია, ვეღარ გავრკვეულვარ, ნეტავ რის ბრალია? სულ შენი ბრალია, სულ შენი ბრალია! სევდიანი ქალი.

• არ ვიცი, ვინაა ექსკურსიის იდეის ავტორი, მაგრამ მივესალმები მის მოსაზრებას. თუ ექსკურსია არ გამოვა, მაშინ დავთქვათ მგზავნელებმა ერთი დღე და ბომბორას პარკს ვეწვიოთ, მთაწმინდაზე, მერე კი სადმე სახინკლეში მოვსხდეთ. მგონი ურიგო არ იქნება. ან ბოდბეში წავიდეთ, იქ წმინდა ნინოს ტაძარში, წყალში ჩასვლა სამკურნალოცაა და სულიერადაც გაგვწმენდს. სევდიანი ქალი.

• ე.ი. ყველაზე დაუვიწყარი დღე? ჰმ, განა ერთია? მაააგრამ თქვენ ერთს მოგიყვებით. მაშ ასე, იდგა კი არა და, მობრძანდებოდა დიიდი, 2010 წელი; სულ რაღაც სამი საათის სავალი გზა ჰქონდა დარჩენილი. სახლში ვეყარეთ მე, ჩემი და და მამიკო. მივჩერებოდით ე.წ. ეშმაკის ყუთს. მამაჩემს ვატყობ, რომ ვერ ისვენებს, წასვლა უნდა, მაგრამ ვერ გვიტეხავს მე და ჩემს დას (ჰმ, მოუნდა ბიჭს ახალი წლის ღამეს ლოთობა). მისი ტანჯვისთვის რომ არ მეყურებინა, შევაღე ფიქრის დარბაზის უზარმაზარი კარი და ჰოი, საოცრებავ, თავში ერთი უგენიალურესი (ვისთვის — როგორ) აზრი დამებადა. აშკარად ფანტაზიის ოთახის კარი დამრჩა ღია. მოკლედ, მოვახერხე და მამიკო გავაპარე სალოთაოდ. ჩემს დას არაფერი გაუგია. კიდევ კარგი, თორემ 2010 წელს ვერ მივუსწრებდით. დავრჩით სახლში მე და ანა. ჩემი აზრი მოეწონა, შევუდექით საგზლის მზადებას. მე ჩქარ-ჩქარა გამოვაცხვე ჩვენი ეროვნული კერძი — კუბდარი. ანამ ტკბილეულობა მოიძია. დღემდე არ ვიცი, მამაჩემს როგორ გამორჩა. ჩავალაგეთ ხურჯინში და ჰერი-ჰერი, ნათესავმეზობელ-დაქალთან. გამოვიტყუეთ სახლიდან და მივადექით, აგრეთვე ნათესავმეზობელ-ძმაკაცს. ესეც გამოვიტყუეთ და გავუყევით შარას, კოშკის მიმართულებით, მაგრამ რად გინდა? კიბე დაგვხვდა პოსტზე თუ რა? ჩემს სოფელში 8 კოშკი დგას და ერთი კიბეა, საზიარო. ყელამდე თოვლში ამოგანგლულებმა რვავე კოშკს ვუმტვრიეთ საკეტურები და კიბე მაინც მოვძებნეთ. ავათრიეთ დანიშნულების ადგილას, ავძვერით (ავიპარეთ) კოშკზე. ჩვენი მარაგი შეადგენდა 3 კუბდარს, 6 ცალ მანდარინს და 4 ცალ კანფეტს. უნდა დაგვეწყო შარაფი და ისმის ჩემი „საყველაფრო აპარატის“ ხმა. — ჰო, მა, გისმენ, — ვეუბნები მე. — სად გდიხართ, თქვე ჩემისებო? (ციტირებას ვახდენ) — ისმის მამას ხმა. — სახლში ვართ მა, სად უნდა ვიყოთ ამ დროს? — ეკაიფე მამაშენს, სახლში ვარ, მაგრამ რაღაც, ვერ გხედავთ ვერც ერთს, უჩინმაჩინის მოსასხამი გაქვთ თუ რა ხდება? — აუ, მა, მოვალთ ცოტა ხანში, გაძლევ პიონერულ სიტყვას (აქ ვხარხარებდით ორივე). — გათიშა ფრიად ნაგლურად, ჩვენ წავუქეიფეთ, მაგრამ რად გინდა? როცა მოგვშივდა, კუბდარი აღარ იყო, როცა ყელის ჩამანდარინება მოგვინდა, მანდარინიც არ იყო, აი ცეკვის მუღამზე რომ მოვედით, ჰოი საოცრებავ, მობილური ოთხივეს დამჯდარი გვქონდა... რაღა უნდა გვექნა? ვიგუნდავეთ ცოტა ხანს (თოვლი მაინც იყო ოხრად) და მერე ყველაფერამოძუებულები ჩამოვბრუნდით კოშკიდან. სახლში შევედით ჩემთან, მამიკოს უკვე ეძინა. აქვე უნდა დავამატო ისიც, რომ მამიკოს ისეთი ღიმილი ჰქონდა სიფათზე გადაკრული, უეჭველი ანჯელინას კოცნიდა ან ბრეჟნევა დაითანხმა ცოლობაზე. ასეთი იყო ჩემი ერთ-ერთი, ყველაზე სასიამოვნოდ გატარებული დღე. უკაცრავად — ღამე. მენატრება ის დრო. მოკითხვა ანას, მარის და მაშკას. უყვარხართ წრიპას ძალიააან. ქაჯების დედოფალი.

• სალამი მგზავნელებს. განსაკუთრებით მოვიკითხავ „გზის“ კოლორიტს, ოლეგარიოს, ბოას, ემიგრანტს, კლეოპატრა, ძალიან მომწონხარ. სევდიანო, რა ხდება? სიყვარულის ბუშტი გაგისკდა? კარგია, ეგრე გააგრძელე, შე მართლა გიჟპოეტავ, შენა. თქვენი იდუმალი-ქალი.

• ახლა მე და გადარეული ვლაპარაკობთ და ეს არის ყველაზე დაუვიწყარი დღე. დამთხვეულა.

• ოთახში ვარ მარტო, პადვალში ჰკიდია პალტო, ამოვიტანე პალტო, აღარა ვარ მარტო. :-) მაკუნა.

• ვუძღვნი მარტვილის რ-ნი, სოფელ გაჭედილში მცხოვრებ, უკეთილშობილეს ადამიანს, მურად წულაიას. დედაქალაქისკენ წამოსასვლელად როდის მოიცლი, მურიკო?

• ყველა მსხვერპლი დასაშვებია, სიყვარულისთვის არ არსებობს ზომა, ასაკი, გიყვარდეს, მაგრამ მის წინაშე ნუ დაეცემი, შენ შეგიძლია, სიყვარულით იყო ამაყი, თუ შეგიძლია შეყვარება, ბედნიერი ხარ, რადგან ამქვეყნად უნიჭონიც იბადებიან, მთელი ცხოვრება თამაშობენ სიყვარულობას და სიყვარული არ იციან, ისე კვდებიან. ნანიკო.

• მარ, კახეთში ვიყავით მე და ფიფქია. პატივცემული მიშა (9717) გავიცანით და 3 დღე ვლოთობდით. კოცონი, კურდღლის მწვადები და ა.შ. მაგარი იყოოოო. ქაჯების დედოფალი.

• ამქვეყნად მოსვლა, სხვა თუ არა, იმიტომ ღირდა, რომ ერთხელ მაინც მეთქვა, მიყვარხარ! :) **P.S.** მე თუკი ღვინომ ისევ დამათრო, ჩემო, მაგ თვალთა ეშხის ბრალია. 9717.

• სიცოცხლეში თავი უნდა მოგაძულო, რომ სიკვდილით გული აღარ გატკინო. :-) არა და მე კიდევ არც მიცდია, უცდელადაც მოგაძულე თავი. :-( ისე მაინც გძულდე, გული არ გტკიოდეს. 9717.

• გამარჯობა, შერლოკ ჰოლმს. შენი ტკბილი მესიჯები გვათბობს და გვამხნევებს. თუ სურვილი გექნება, მარის გამოართვი ჩემი ნომერი. სევდიან ქალს დიდი მოკითხვა. ტირიფი73.

• შენს ხსოვნას, ჩემო მარადიულო სიყვარულო, შენს ლამაზ სულს, შენს დაბადების დღეს, 19 ივნისს შენ გარეშე ვხვდებით, ეს პირველი დაბადების დღეა, როცა ჩვენთან აღარ ხარ. განისვენებ იქ, სადაც მართალნი და ვაჟკაცნი განისვენებენ. ჩვენთვის დიდი, მოუშუშებელი ტკივილი ხარ, ახლობლებისთვის და ოჯახის წევრებისთვის, ჩემთვის ჩემო გოჩა. 11 ოქტომბრის მერე აღარც ჩემთვის ამოსულა მზე, შენ გარეშე ტკივილის, მონატრების მეტი აღარაფერია ირგვლივ, ამ უსასრულო ტკივილს აღარ უჩანს ბოლო, თუმცა მიხარია, ასე ძლიერად რომ შეგვიყვარდა ერთმანეთი. ესეც რჩეულების ხვედრია, ამ სიყვარულის ხათრით ვაგრძელებ ცხოვრებას. მართალია, შენ ჩემთან აღარ ხარ, მაგრამ მაინც მოგილოცავ დაბადების დღეს, ჩემებურად. 22 წლის გახდებოდი. შენი ქვრივი, ჩემო გოჩა, ჩემო გოჩალა.

• ამ კვირის თემამ ჩემს ცხოვრებაში ბევრი, მართლაც დაუვიწყარი და ისეთი დღე გამახსენა, რომელიც ხშირად მახსენებს თავს. არჩევანი კი იმაზე შევაჩერე, რომლის გახსენებაც უდიდეს სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებს. მთვარიანი, ნათელი ღამე იყო. მეძინა, ამ დროს შეყვარებულმა დამირეკა, მითხრა, რომ დილით ჩემთან ჩამოვიდოდა და სიურპრიზს მომიწყობდა. სიხარულით დავაჭყიტე თვალები, გველნაკბენივით წამოვვარდი საწოლიდან და ღამის 12 საათზე თავის მოწესრიგებას შევუდექი (რა ვართ ეს ქალები, ვითომ დილით ვერ მოვასწრებდი, თუ?!). პრანჭვა-მანჭვაში 2 საათიც მოახლოვდა. დაძინება დავაპირე, მაგრამ ვაი ისეთ ძილს, მთელი ღამე თეთრად გავათენე, სატრფოს ნახვის მოლოდინში. როგორც იქნა, გათენდა. პაემანზე დანიშნულ დროზე ადრე გამოვცხადდი. ისე ვნერვიულობდი (თითქოს პირვლად ვნახულობდი), ყველგან ის მელანდებოდა. ჩემს ნერვიულობას და უთავბოლო შფოთვას ბოლო მაშინ მოეღო, როცა სატრფოს ჩავეხუტე. მან გამიღიმა და მითხრა, დღეს შენს ჭკუაზე გავივლი (ასწყობია ცხოვრება), რასაც მეტყვი, შეგისრულებო. ეს ყველაფერი მეუცნაურა, მაგრამ არ შევიმჩნიე და სიხარულის ნიშნად, თავი გულზე მივადე. ხელი მომკიდა და წამიყვანა. დავემორჩილე. საბავშვო ბაღში მიმიყვანა, სადაც უამრავი პატარა ბავშვი იყო. ჩვენ მათ ბევრი ვეთამაშეთ და მოვეფერეთ. იქიდან პარკში მივედით. ის საქანელაზე ჩემთან ერთად დაჯდა (რაზეც ვერასდროს ვიოცნებებდი) და ძალიან დიდხანს ვიქანავეთ. რადგან ის დღე ჩემი იყო, ვთხოვე, ერთი სურვილიც შეესრულებინა. ახლომახლო, სადაც ჩვენ ვიყავით, ერთი ძალიან ლამაზი, დიდი ხიდია, რომელსაც სიყვარულის ხიდს ეძახიან. ვთხოვე, იმ ხიდზე გაგვევლო, თან ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე სასიყვარულო სიტყვა ეთქვა ჩემთვის. ჩვენ მივდიოდით, უზარმაზარ ხიდზე, მხოლოდ ორნი... მე და ის... შენ ხარ ჩემი სიხარული, სიყვარული, სიცოცხლის აზრი, ჩემი დახატული გოგო... ჩემი პატარა ქალი...

ჩემი სუნთქვა... ჩემი ლამაზი... ჩემი გულის ფეთქვა... ჩემი მომავალი შვილების დედა... ჩემი სიტკბო... ჩემი სითბო... ჩემი იმედი... ჩემი სუნთქვის მიზეზი... ჩემი ჰაერი... ჩემი გულის მალამო... ჩემი თვალებხატულა... ჩემი პაწაწინა გოგო, ჩემი გაცოცხლებული თოჯინა... ჩემი მარწყვის გოგო, ჩემი თაფლზე ტკბილი ქალუკა... ჩემი ოცნება, ჩემი ფიქრები... ჩემი გიჟი და გადარეული გოგო... გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, როცა ამ სიტყვებს (ეს არ იყო მხოლოდ სიტყვები ჩემთვის) ვუსმენდი... ყველაზე ბედნიერი ადამიანი მეგონა თავი და ვიყავი კიდეც. ალარაფერი ალარ გვითქვამს. ჩუმად ვიყავით, თავი მის გულზე მქონდა მიდებული, მის გულის ფეთქვას ვუსმენდი და ისევ ის სიტყვები ჩამესმოდა... მოსაღამოვდა კიდეც. 7 საათი გამხდარიყო ანუ ჩვენი განშორების დრო იყო. კიდევ ერთხელ გამიმეორა ის სიტყვები, ჩამეხუტა. გამაფრთხილა, ჭკვიანად იყავი, არ იცელქოო და დიდი ტკივილის მიუხედავად, ერთმანეთს დავემშვიდობეთ. თითქოს გონება მქონდა დაკარგული (ასეც იყო). უეცრად აზრზე მოვედი, გამახსენდა, რომ გვიანი იყო და ჩემები ინერვიულებდნენ. სასწრაფოდ ამოვიღე ტელეფონი ჩანთიდან. თურმე გამომრთვია. ჩავრთე. უამრავი ზარი შემოვიდა. მივხვდი, სახლში კარგ დღეს არ დამაყენებდნენ. შინ რომ მივედი, სტუმარი დამხვდა. ჩემები მიბღვერდნენ. ჩემს ბედზე სტუმარი გვიანობამდე არ წავიდა. 9 საათზე კი ლოგინში გავექანე და თავი მოვიმძინარე. იმ დღეს გადავრჩი. გამთენიისას სიზმარი ვნახე. თუ იცით, რა მესიზმრა? ჩემი ოჯახის წევრებს მუშტი ჰქონდათ მოღერებული და მემუქრებოდნენ. ამ დროს გამომეღვიძა. თვალები მოვიფშვნიტე. გავიფიქრე, სიზმარი ყოფილა-მეთქი და ამოვისუნთქე. თვალები რომ გავახილე, გათენებულიყო. ბებია კი დოინჯშემორტყმული იდგა ჩემ წინ. მივხვდი, სიზმარი ცუდად ამიხდებოდა და თვალები ისევ დავხუჭე, მაგრამ თავის დაძვრენა ალარ გამომივიდა. იმის მიუხედავად, რომ ბებიამ სართულებიანი ქოქოლა დამაყარა, უაზროდ ბედნიერი ვიყავი და რაც მთავარია, ის დღე დაუვიწყარი აღმოჩნდა ჩემთვის. გაცოცხლებული თოჯინა.

• ჩვენს მოხუცს ერთი ქალიშვილი მალე გაუბედნიერდება... მამუ, ბაბუა გახდები. გილოცავ, ჩემო ძამიკო! იმედია, მეც მალე გაგახარებ. მიყვარხარ! ლუნა.

• მარი, გამარჯობა, როგორ ხარ? ერთი თხოვნა მაქვს შენთან: თუ იცი მგზავნელლი23-ის ნომერი, მომეცი, გთხოოოვ! ხომ არ დამალალატებ? შენი იმედი მაქვს! WANDERER.

• ჩემი ყველაზე დაუვიწყარი დღე იქნება მომავალში, როდესაც ჩემს პატარა სიხარულს, კუტრინას ვნახავ. ეს უეჭველად ზაფხულში იქნება. მე გიოს გაუფრთხილებლად დავადგები თავზე და გავაღვიძებ დილის 7 საათზე. ბევრს იჯუჯღუნებს, რატომ მირეკავ ამ დილაუთენია, დამაძინეო, მე კი ვახარებ, ბათუმში ვარ და თუ გინდა, მნახე-მეთქი. უეჭველი გამოფხიზლდება და ეჭვი არ მეპარება, ოთხით მოვა. ნუ, არ ამცდება ლოყების დაწითლება და ვილოცებ, რომ იოლად გადავურჩე მის ხვევნა-კოცნას. მერე მთელი დღე მოუნდება ჩემს წამებას. სულ იმას მემუქრება ჩემი პატარა ძამიკო, მარტო შენი თავი ჩამაგდებინა ხელში და ნახავ, რას გიზამო. სიაც აქვს, როგორც ვიცი, ჩამოწერილი: გაწუწვა, ნორმალურად ჩემი გამოკვება, ხელში აყვანილი ტარება და უამრავი სხვა. მთელი დღის მხიარულად გატარების მერე კი ქანცგაწყვეტილი, ლოგინამდე მივლასლასდები და ჩემი კუტრინა ლოყაზე მაკოცებს და ყურში მეტყვის: შენს ძმას ძალიან უყვარხარ. მე კი მხოლოდ ერთ რამეს ვინატრებ, რომ ხვალინდელი დღე ამაზე კარგი და დაძმური სიყვარულით იყოს აღსავსე. ბოლოს კი მინდა დავწერო, რომ ეს დღე ჩემს ცხოვრებაში აუცილებლად დადგება. გრუზინკა.



# გილოცავ!

• კანადაში, ჩემს აჩიკო ელჩიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 21 ივნისს. გაზაფხულივით წარმტაცი იყოს შენი მომავალი, სიკეთის ქმნისათვის დაბადებულო ვაჟკაცო. მინდა იცოდე, რომ შენით ვამაყობ და მიყვარხართ ძლიერ, ძლიერ, შენ, ეკა და პატარა მანანიკო. მალე დაბრუნდი საქართველოში ნიჭიერო, კეთილშობილო და გულისხმიერო ახალგაზრდავ. შენს სამშობლოს შეალიე შენი ცოდნა და გამოცდილება. გეამბორებით სამივეს! თქვენი ნანი დუმბაძე.

• 21 ივნისს ICE LADY-ს ვულოცავ დაბადების დღეს, გახარებული და ბედნიერი ყოფილიყავი, ანგელოზო. უფალი გფარავდეს. აკო.

• მარი ჯაფარიძეს: გილოცავ დაბადების დღეს, ხორციელი სიძლიერე და სულიერი სიმტკიცე გქონოდეს მუდამ. იხარე და იბედნიერე. უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს... ლაკვასტი.

• ძამიკო საბა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და პირველობას სწავლაში. ელენიკო და ბერიკა ქართველიშვილები.

• ქვეშეთში ვანო ბუჩუკურს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 ივნისს. ყოველთვის ბედნიერი და ჯანმრთელი იყავი, შენს ოჯახთან და კეთილის მსურველ ხალხთან ერთად. ძალიან მიყვარხარ.

• ჩემს საყვარელ მამიდას, ლილი წიკლაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ყოველივე კარგს გისურვებ. გაიხარე და იდღეგრძელე... ნატალია.

• 18 ივნისს დუდანა თხელიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბებო, 65 წლის ხდები. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ძალიან, ძალიან გვენატრები, ჩემო სიცოცხლევ. ძალიან უყვარხარ ყველას, გფარავდეს უფალი, გკოცნით და გეფერებით.

• 19 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ დავით გულიაშვილს. ბედნიერებას გისურვებ. მიყვარხარ. შენთვის ნაცნობი უცნობი.

• ლიაკო, გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ლამაზუკა, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ ცხოვრებაში... და ჩვენ რომ ვიცით, კიდევ იმას. :) თუთიყუში.

• ხათუნა, 30 ივნისს გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, კეთილის მსურველებით. გფარავდეს ღმერთი. სიყვარულით, შენი ქმარ-შვილი, დათო, მარი გუგა ჩიორაშვილები.

• ჩემს სიცოცხლეს, აჩიკო ვერულაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, ღმერთი იყოს შენი მფარველი და მრავალს დაესწარი, ჩემთან ერთად. მაკო.

• კუკა, ჩემო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს, 10 ივნისს. გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენი სიცოცხლე.

• წმინდა გიორგი დაგლოცავთ, ალალმართალი შვილსაო და დაგიფარავთ მარადჟამს, თქვენ კალთა, ღვთისმშობლისაო, ზეცით უფალი გაკურთხებთ, მოგცემთ წყალობას თვისასო. მრავალ გიორგობას დაგასწროთ უფალმა, ჩემო ძვირფასო მარი და ჩემო საყვარელო მგზავნელებო!

• გიორგობაა დღესაო, ფერი შესცვლია მზესაო. დღეს მისი მადლი გფარავდეთ, გულით ვისურვე ესაო, მუდამ მის მადლით დაფარულს, გხედავდეთ ბედნიერსაო...

• მარინა სიამაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 ივნისს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. იყავი ბედნიერი. ძალიან მიყვარხარ. შენი მეგობარი, ნია.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**



# ტაიმ-აუტი

## სლავა მეტრეველი
## ქართული ფეხბურთის კორიფე



**1964 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ პირველად მოაწყო რეფერენდუმი რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენების ათეულის გამოსავლენად. იმ წელს ჩვენმა ათლეტებმა სოლიდურ წარმატებებს მიაღწიეს: ქართველმა ალპინისტებმა მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით, უშბის ურთულესი მარშრუტის გავლისათვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს; საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვეს თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმაც; რაც მთავარია, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიდან ნუგზარ ასათიანმა და ვაჟა კაჭარავამ ოქროს ჯილდოები ჩამოიტანეს. მიუხედავად ამისა, საქართველოს №1 სპორტსმენად ჩვენმა ჟურნალისტებმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი სლავა მეტრეველი დაასახელეს.**

*გოგი ფრანგიშვილი*

ქართულმა კლუბმა სწორედ იმ სეზონში პირველად გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატში, ეს კი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ მთლიანად დაჩრდილა ყველა სხვა მიღწევა. თანამედროვე მკითხველისათვის შეიძლება, ცოტა გაუგებარიც იყოს — სად ოლიმპიური ოქრო და სად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისო?! გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართველ ათლეტებს ვერც ოლიმპიური ოქრო-ვერცხლით გააკვირვებდით და ვერც მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების უმაღლესი სინჯის მედლებით, მაგრამ მაშინ კრემლის დაუწერელი დირექტივებით, ქვეყნის ჩემპიონი თუ თასის მფლობელი მხოლოდ მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი უნდა ყოფილიყო, ძირითადად — „სპარტაკი“ — რუსეთის სახალხო გუნდი, „დინამო“ — შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბი და ცე-ეს-კა — საბჭოთა არმიის უძლეველობის სიმბოლო. ეს კანონი 1964 წლამდე საკავშირო თასის გათამაშებებსა და ჩემპიონატებში მხოლოდ ორ-ორჯერ დაირღვა: 1944 წელს, ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის შემდეგ(?!) ბროლის თასი ლენინგრადის „ზენიტს“ ერგო, 1954 წელს კი უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით და ურღვევი ძმობის დასტურად, თასი კიევის „დინამოს“ გადაეცა. სხვათა შორის, იმ გუნდის კაპიტანი ყოფილი თბილისის „დინამოელი“ ანზორ ზაზროევი იყო. რაც შეეხება საკავშირო ჩემპიონატებს, კიეველები ოქროს მედლებს 1961 წელს დაეუფლნენ, ხოლო ერთი წლით ადრე ჩემპიონები მოსკოვის „ტორპედოელები“ გახდნენ.

ავტოქარხნელთა კლუბში მაშინ სლავა მეტრეველიც თამაშობდა. ჩემპიონის ტიტულთან რამდენჯერმე ძალზე ახლოს იყვნენ თბილისის „დინამოელებიც“, 1953 წელს კი გახდნენ კიდეც ჩემპიონები, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკთან“ 2:1 გამარჯვების შემდეგ, ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ მატჩის შედეგი გააუქმა და გადათამაშება დანიშნა. მიზეზი — არაკვალიფიციური მსაჯობა იყო, რის გამოც განაწყენებული მოსკოველი მაყურებლები მოედანზე გადავიდნენ. წესით, ასეთ შემთხვევაში მასპინძლები უნდა დასჯილიყვნენ, მაგრამ ჩინოვნიკებმა ქართული კლუბი დასაჯეს. განმეორებით შეხვედრაში ორი ფეხბურთელი გაუგდეს და „სპარტაკელებმაც“ 4:1 გაიმარჯვეს. ჩემპიონი კი ისევ მოსკოვის „სპარტაკი“ გახდა, ხოლო „დინამოელებს“ ვერცხლის მედლებიღა ერგოთ.

აი, ასეთი ხრიკების მიუხედავად, ქართველმა ფეხბურთელებმა 1964 წელს, როგორც იქნა, მაინც მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები და ამ გამარჯვებაში დიდი იყო სლავა მეტრეველის წვლილი.

ფეხბურთის თამაში სლავა მეტრეველმა მშობლიურ სოჭში დაიწყო. ფეხბურთელობაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. თანდაყოლილი ნიჭიც ჰქონდა, საკმაოდ სწრაფიც იყო და ზუსტადაც შეეძლო ბურთის ჩაწოდება. მაგრამ მშობლებს რატომღაც არ უნდოდათ, რომ იგი პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო. სლავამ მაინც თავისი გაიტანა და 16 წლის ასაკში უკვე სოჭის „სპარტაკში“ თამაშობდა, თან — წარმატებითაც. პერსპექტიული ჭაბუკით მალე საკავშირო ჩემპიონატების „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებიც დაინტერესდნენ. მეტრეველი რამდენიმე წელი გორკის „ტორპედოში“ გამოდიოდა, ხოლო 1956 წელს მოსკოვის „ტორპედოში“ ჩაირიცხა. ავტოქარხნელთა გუნ-

დი იმხანად დიდად არ ბრწყინავდა, მაგრამ ქართველმა ფეხბურთელმა აშკარად გააძლიერა კლუბი და უკვე მომდევნო სეზონში, თანაკლუბელებთან ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში პირველი ჯილდო — ვერცხლის მედალი მოიპოვა. 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სადაც საბჭოთა ნაკრები უფერულად გამოვიდა, უფროსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა გუნდი გადაახალისა და მეტრეველი ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვია. დებიუტი იღბლიანი აღმოჩნდა. „ევროპის თასის“ გათამაშების პირველივე მატჩში ქართველმა ფორვარდმა გოლი გაიტანა უნგრეთის ნაკრების კარში, საბჭოთა გუნდმა კი 3:1 გაიმარჯვა. საბჭოთა ნაკრებმა მოიგო საპასუხო შეხვედრაც და ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ესპანეთის გუნდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ესპანელთა ფრანკისტულმა მთავრობამ ორივე მატჩი ჩაშალა. ესპანელებს წაგება ჩაეთვალათ და საბჭოთა ნაკრებმაც ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიელთა ძლევის შემდეგ, ფინალში იუგოსლავიელებთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

ფინალს აშკარად, კვლავ პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა. ამ გუნდებს ერთმანეთში ძველი ანგარიშები ჰქონდათ. ჰელსინკის ოლიმპიადაზე ბალკანელებმა იმარჯვეს, მელბურნის ოლიმპიადის ფინალში — საბჭოელებმა. მესამედ ისინი „ევროპის თასის“ პირველი გათამაშების ფინალურ მატჩში ხვდებოდნენ. პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე გადამწყვეტი შეხვედრა უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ სტალინისა და ბროზ ტიტოს პერიოდიდან მოყოლებული, ერთ დროს მოძმე ქვეყნები ახლა პოლიტიკური მოქიშპეები იყვნენ და მათი მტრობა სპორტშიც გრძელდებოდა. მატჩის დასაწყისი იუგოსლავიელთა უპირატესობით აღინიშნა და პირველივე ტაიმში გალიჩმა ანგარიშიც გახსნა. მაგრამ თამაშის განახლების შემდეგ სლავა მეტრეველმა საპასუხო გოლი გაიტანა, ხოლო დამატებით დროში, მიხეილ მესხის ჩინებული ჩაწოდებით, ვიქტორ პონედელნიკმა გამარჯვების ბურთიც შეაგდო. სლავა მეტრეველთან და მიხეილ მესხთან ერთად, ოქროს მედალი გივი ჩოხელმაც მოიპოვა, ხოლო ზაურ კალოევი სათადარიგო იყო და ამიტომაც ჯილდოს გარეშე დარჩა. მოსკოვში დაბრუნებულ „ევროპის თასის“ პირველ მფლობელებს 100-ათასიან „ლუჟნიკის“ სტადიონზე გრანდიოზული ზეიმი მოუწყვეს, რასაც ნაკრების ფეხბურთელები და მისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი სლავა მეტრეველი ნამდვილად იმსახურებდნენ.

იმ სეზონის ბოლოს სლავა მეტრეველმა მოსკოვის „ტორპედოს“ თანაკლუბელებთან ერთად, კიდევ ერთი, ამჯერად — საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. თუმცა მისი ეს გამარჯვება თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს სულაც არ გახარებიათ, ვინაიდან „ტორპედოს“ მეტოქე ფინალში ჩვენი „დინამო“ იყო. 1960 წლის ოქტომბრის ბოლოს მოსკოვში 3 დღე გადაუღებლად თოვდა. მასპინძლებმა სტადიონის მინდორი კი გაწმინდეს, მაგრამ მოედანი მაინც მოყინული იყო. თბილისური კლუბისათვის ეს მეოთხე სათასო ფინალი იყო. სამჯერ იგი უკვე დამარცხდა და სამივეჯერ — მოსკოვის გუნდთან. ამჯერადაც წააგეს — 3:4 დამატებით დროში და, რაღა თქმა უნდა, მსაჯის — ცაპოვეცკის „წყალობით“, რომელსაც არც მანამდე და არც შემდეგ უმაღლესი ლიგის არც ერთ მატჩში არ უმსაჯია.

1961 წელს საბჭოთა ნაკრებმა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. მეტრეველი იმ პერიოდისათვის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში შედიოდა და მის გარეშე ნაკრებს არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. სლავას თავადაც გაჰქონდა გოლები და პარტნიორებსაც ეხმარებოდა. სეზონის ბოლოს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა ტურნე მოაწყო სამხრეთ ამერიკაში, სადაც სლავამ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. ნაკრებმა სამივე მატჩი მოიგო — არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის გუნდებთან. არგენტინული კლუბების მენეჯერები მეტრეველის, მესხისა და მეკარე ლევ იაშინის გადასაბირებლად, იმ პერიოდისთვის ფანტასტიკურ თანხებს იხდიდნენ. გულშემატკივრები კი სლავას ქუჩებში დასდევდნენ ავტოგრაფისთვის, ხოლო სტადიონზე მატჩის დამთავრების შემდეგ კინაღამ მაისური შემოახიეს, სუვენირად რომ დარჩენოდათ.

1962 წლის ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საბჭოთა ფეხბურთელები ფინალური ტურნირის ფავორიტთა შორის მიიჩნეოდნენ. ევროპელი სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ლევ იაშინს, ვალერი ვორონინს, სლავა მეტრეველს, ვალენტინ ივანოვს, ვიქტორ პონედელნიკს, მიხეილ მესხსა და მათ თანაგუნდელებს „ძველი კონტინენტის“ გუნდებიდან, „ნიკეს“ თასის დაუფლების ყველაზე კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ სამწუხაროდ, მეტრეველმა მხოლოდ პირველ მატჩში მიიღო მონაწილეობა...

საბჭოთა ფეხბურთელები სტარტზევე ძველ „მეგობრებს“ — იუგოსლავიელებს შეხვდნენ. ევროპის ჩემპიონებმა აშკარად დაჯაბნეს ბალკანელები. ფლანგებზე განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეტრეველი და მესხი. მცველები ვერ ახერხებდნენ მათ შეჩერებას და ხშირად უხეშობდნენ. სლავას სახე გაუტეხეს, ხოლო ედუარდ დუბინსკის ფეხი მოსტეხეს. მსოფლიოს ჩემპიონატი ისე დასრულდა, მოედანზე ისინი აღარც გამოსულან, საბჭოთა ნაკრებმა კი მეოთხედფინალში 1:2 წააგო მასპინძელთა გუნდთან და ჩემპიონატს გამოეთიშა.

1963 წელი მნიშვნელოვანი იყო როგორც სლავა მეტრეველისთვის, ასევე თბილისის „დინამოსათვის“. მაშინდელი მეწარმეების — ირაკლი ნემსაძისა და ძმები ლაზიშვილების ძალისხმევით, მეტრეველი ჩვენს „დინამოში“ გადმოვიდა და ქართულ კლუბსაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსიც გაუჩნდა. სლავას გულშემატკივრები ყურადღებას არ აკლებდნენ. საქმოსნები ხშირად ყუთებით უგზავნიდნენ შამპანურს, ხილსა და სხვადასხვა სურსათს. მალე მისი ბინა ლამის საწყობად იქცა.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სლავა მეტრეველმა პირველად, 1963 წლის 31 მარტს ითამაშა, ლენინ-

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სლავა მეტრეველმა პირველად, 1963 წლის 31 მარტს ითამაშა



გრადის „ზენიტის“ წინააღმდეგ. „დინამოელებმა“ ჩემპიონატის სტარტზე 4:0 გაანადგურეს სტუმრები, მაგრამ ფინიშზე



პელე ქართველი ფეხბურთელების გარემოცვაში

სატურნირო ცხრილში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდნენ. სამაგიეროდ, ჩვენი გუნდისათვის უფრო იღბლიანი აღმოჩნდა მომდევნო, 1964 წელი. პირველ მატჩში „დინამომ“ მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლა, რომელთანაც ყოველთვის უჭირდა თამაში. ახლაც ძალზე გაუჭირდა გამარჯვება. შეხვედრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ბორის სიჭინავამ თავის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის გატანა შეძლო და თბილისელებმაც 1:0 მოიგეს. ქართველმა ფეხბურთელებმა მომდევნო მატჩებშიც წარმატებით ითამაშეს და ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთში დაკარგეს ქულა, დანარჩენებში კი იმარჯვეს. აი, შემდეგ კი მოსკოვში, ადგილობრივ „დინამოსთან“ დამარცხდნენ, რაც გუნდის უფროსი მწვრთნელის, მიხაილ იაკუშინის მოხსნის მიზეზი გახდა. აქ ერთი მომენტიცაა საყურადღებო: 1964 წელს „ევროპის თასის“ მეორე გათამაშება ტარდებოდა. იაკუშინი იმ პერიოდში საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და რატომღაც, მეტრეველი და მესხი გუნდიდან აღარ მიიწვია, ჩვენი მთავარი კონკურენტების, მოსკოვის „ტორპედოს“ წამყვანი ფეხბურთელები კი ნაკრებში დატოვა. შესაძლოა, მწვრთნელი იძულებული იყო, კრემლის დირექტივები შეესრულებინა, რაც ადრეც ხშირად მომხდარა. ასეა თუ ისე, საბოლოოდ, ამით ქართულმა კლუბმა უფრო იხეირა, ვინაიდან „ტორპედოელები“ ორ ფრონტზე იბრძოდნენ.

იაკუშინის გათავისუფლების შემდეგ, თბილისის „დინამოში“ მისი პოსტი გავრილ კაჩალინმა დაიკავა. მან კარგა ხანს ვერ ააწყო გუნდი და მხოლოდ კიევის „დინამოელებთან“ გამარჯვების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა კვლავ ირწმუნეს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეეძლოთ. კიეველებთან იმ პრინციპულ მატჩში ერთი ბურთი სლავა მეტრეველმაც გაიტანა. პრინციპული იყო მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრაც. მეტრეველმა აქაც გამოიჩინა თავი. ამ გამარჯვებების მიუხედავად, მოსკოვის „ტორპედოელები“ მაინც 3 ქულით წინ იყვნენ. მთელი სეზონის განმავლობაში ოქროს მედლებისთვის პრაქტიკულად, ეს ორი გუნდი იბრძოდა, ამიტომ ამ მეტოქეთა შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და „დინამოელებმა“ ეს თამაში მოიგეს კიდეც. ავტოქარხნელთა მეკარეს, ანზორ კავაზაშვილს სლავამ თავისი გოლითაც დაამახსოვრა თავი.

ის ჩემპიონატი ჩვენთვის კიდევ ერთი რამით იყო გამორჩეული: ქუთაისის „ტორპედოს“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ემუქრებოდა. ამიტომაც, ერთ-ერთ უკანასკნელ ტურში, მასთან „გარიგებულ“ თამაშზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რიონისპირელებმა თავიდანვე შეუტიეს „დინამოს“ და გოლიც გაიტანეს. თბილისელები კი ისევ სლავამ იხსნა. მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა. მაგრამ „დინამოელთა“ თავგადასავალი ამით არ დამთავრებულა. დასკვნით ტურში ისინი იაროსლავლის „შინიკს“ ხვდებოდნენ. „შინიკს“ რომც მოეგო, უმაღლესი ლიგიდან მაინც ვარდებოდა. ე.ი. მათთვის უმოტივაციო მატჩი იყო, მაგრამ რატომღაც თავი მოიკლეს, გეგონებოდათ, სტალინგრადისთვის იბრძოდნენ, ისე იცავდნენ თავს... თამაშის შემდეგ გაირკვა: კრემლი შეჰპირებია, თუ „დინამოს“ ერთ ქულას მაინც დააკარგვინებთ, ლიგაში დაგტოვებთ და უცხოეთში ტურნესაც მოგიწყობთო. მატჩი უკვე მთავრდებოდა, როცა სლავა მეტრეველის გოლმა იაროსლაველთა წინააღმდეგობა გატეხა და „დინამოელებმა“ გაიმარჯვეს.

ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ ჩემპიონი უცნობი იყო. თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ 46-46 ქულა მოაგროვეს. გამარჯვებულის გამოსავლენად, საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში პირველად, დამატებითი მატჩი დაინიშნა. აქ უკვე ქართველებს ღმერთმა გადმოგვხედა. ეს დამატებითი მატჩი 1964 წლის ნოემბერში შედგა, ერთი თვით ადრე კი საბჭოთა კავშირში „ოქტომბრის გადატრიალება“ მოხდა და №1 ჩინოსანი ნიკიტა ხრუშჩოვი მოხსნეს. ასე რომ, პოლიტბიუროს ფეხბურთისთვის არ ეცალა და გადამწყვეტი შეხვედრისათვის ობიექტური მსაჯი, ბალტიისპირელი მიკენას რუბენისი დაინიშნა.

რუბენისმა მართლაც ობიექტურად იმსაჯა, რისთვისაც იგი შემდგომში დასაჯეს და უმაღლეს ლიგას აღარ გააკარეს. თბილისის „დინამოელებმა“ კი დამატებით მატჩში 4:1 დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“ და პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები. ჩემპიონატის ბოლო გოლი სლავა მეტრეველმა გაიტანა. სხვათა შორის, ქუთაისის „ტორპედოც“ გადარჩა. „დინამოელთა“ შემდეგ, ტაშკენტშივე, ლიგაში დასარჩენად, მათაც დამატებითი მატჩი ითამაშეს და 4:1 დაამარცხეს გორკის „ვოლგა“.

1966 წელს სლავა მეტრეველმა მეორედ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირში. პორტუგალიის ნაკრებთან მესამე ადგილისათვის მატჩში მან გოლიც გაიტანა, მაგრამ საბჭოთა ნაკრები მაინც დამარცხდა — 1:2. მიუხედავად ამისა, ფიფამ მეოთხე ადგილზე გასული გუნდი მაინც დააჯილდოვა ბრინჯაოს მედლებით. ეს მედლები სულ თერთმეტი იყო და ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნიკოლაი მოროზოვმა ისინი თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილა. სლავას იგი არ ერგო. თბილისელთაგან ჯილდო მხოლოდ მურთაზ ხურცილავას შეხვდა. სამაგიეროდ, მას ცოტა მოგვიანებით, კერძოდ — 1968 წელს, ქართველ ფეხბურთელთაგან ერთადერთს ერგო მსოფლიოს ნაკრებში თამაშის პატივი. ბრაზილიის ეროვნული გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვების 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამხრეთამერიკელებმა „მარაკანაზე“ პლანეტის რჩეულ ფეხბურთელებთან ითამაშეს, რომელთა შორისაც სლავა მეტრეველიც იყო.

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავრილ კაჩალინმა რევაზ ძოძუაშვილთან, კახი ასათიანთან, მურთაზ ხურცილავასთან, ანზორ კავაზაშვილთან და გივი ნოდიასთან ერთად სლავა მეტრეველიც მიიწვია, მაგრამ მეხიკოს „აცტეკას“ სტადიონზე იგი არც ერთხელ არ გამოსულა.

34 წლის ვეტერანისათვის დიდი ფეხბურთიდან წასვლის დროც დადგა. 1971 წელს მან თავისი ბოლო მატჩი ითამაშა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. თუმცა „დინამოსთან“ ერთად მან კიდევ მოიპოვა ჯილდოები, ოღონდ — უკვე მწვრთნელის რანგში: 1976 წელს ნოდარ ახალკაცმა იგი თავის თანაშემწედ მიიწვია და იმავე სეზონში „დინამოელებმა“ პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი. სლავასთვის ეს მეორე თასი იყო, ხოლო მომდევნო წელს ჩვენი ფეხბურთელები უკვე საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. ეს კი მისი მესამე ვერცხლი იყო. თუმცა სლავა მეტრეველის სახელი ქართულ სპორტში ოქროს ასოებით შევიდა. ■

# მილიონები გარდაცვალების შემდეგ

⅄ მუსიკოსი — მაიკლ ჯექსონი 2009 წლის 25 ივნისს, 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2010 წლის ბოლოსთვის, მომღერლის მემკვიდრეებმა ჯექსონის სახელის, სიმღერებისა და ფილმების გამოყენებისთვის 275 მლნ დოლარი მიიღეს.

⅄ მომღერალი — ელვის პრესლი, 1977 წლის 16 აგვისტოს, 42 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა. გრეისლენდში ყოველწლიურად მომღერლისადმი მიძღვნილი კონკურსი ეწყობა. პრესლის დაბადებიდან 75 წლის იუბილეს აღსანიშნავად, გრეისლენდში გრანდიოზული კონცერტი ჩატარდა. აგრეთვე, მოეწყო თემატური კრუიზი ბაჰამის კუნძულებზე. შემოსავალმა 60 მლნ დოლარს გადააჭარბა.

⅄ მწერალი — ჯონ ტოლკიენი, 1973 წლის 2 სექტემბერს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის — „ბეჭდების მბრძანებელი" — პრემიერიდან 8 წელი გავიდა, მაგრამ იგი ჰოლივუდში კვლავინდებურად პოპულარულია. გაყიდული წიგნებისა და ფილმების ეკრანიზაციამ მწერლის შთამომავლებს 50 მლნ მოუტანა.

⅄ კომიქსების ავტორი — ჩარლზ შულცი, 2000 წლის 12 თებერვალს, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გამოგონილი პერსონაჟი Peanuts-ი დღესაც პოპულარობით სარგებლობს. რამდენიმე წლის წინ შულცის გმირების გამოყენების უფლება ერთ-ერთმა კომპანიამ 175 მლნ დოლარად მოიპოვა. შულცის გმირებზე კომიქსი 75 ქვეყნის 2200 გაზეთში იბეჭდება. ოჯახის ყოველწლიური შემოსავალი 33 მლნ დოლარია.

⅄ მუსიკოსი — ჯონ ლენონი 1980 წლის 8 დეკემბერს, 40 წლის ასაკში, თაყვანისმცემელმა მოკლა. მისი სიმღერები დღესაც პოპულარულია. ლენონის ქვრივი — იოკო ონო ქმრის სიმღერებისა და სახელის გამოყენებისთვის წელიწადში 17 მლნ დოლარს იღებს.

⅄ მწერალი — სტიგ ლარსონი 2004 წლის 9 ნოემბერს, 50 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა. მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი წიგნი — „გოგონა დრაკონის სვირინგით", რომელიც 44 ენაზე ითარგმნა და 40 მლნ ტირაჟით გაიყიდა. მოგვიანებით, წიგნის სიუჟეტის მიხედვით ფილმი გადაიღეს. მწერლის ოჯახმა წიგნისა და ფილმის შემოსავლიდან 15 მლნ დოლარი მიიღო.



ჩარლზ შულცი



თეოდორ გეიზელი



ალბერტ აინშტაინი

⅄ მწერალი — თეოდორ გეიზელი, 1991 წლის 24 სექტემბერს, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გმირები ატრაქციონებისა და პარკების პოპულარული პერსონაჟები არიან. მწერლის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა 11 მლნ დოლარი მიიღეს. ახლახან გეიზელის კიდევ ერთი წიგნი გამოიცა და მისი შემოსავალი 3 მლნ დოლარით გაიზარდა.

⅄ მეცნიერი — ალბერტ აინშტაინი, 1955 წლის 18 აპრილს, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. მეცნიერის სახელის გამოყენების უფლება აქვს კომპანია — „დისნეის", რომელიც ბავშვებისთვის შემეცნებით პროგრამებს ქმნის. გარდა ამისა, აინშტაინი თავსატეხისათამაშოსა და ვიდეოთამაშის გმირია. მისი მემკვიდრეები წელიწადში 10 მლნ დოლარს იღებენ.

⅄ ბეისბოლის ნაკრების მფლობელი — ჯორჯ შტაინბრენერი, 2010 წლის 13 ივლისს, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. შტაინბრენერი New York Yankees-ის მფლობელი იყო. მისი მემკვიდრეების შემოსავალი მანამდე გაიზრდება, სანამ გუნდი მატჩებს მოიგებს. შარშან შტაინბრენერის შემოსავალმა 8 მლნ დოლარი შეადგინა.

⅄ სიმღერების შემქმნელი — რიჩარდ როჯერსი 1979 წლის 30 დეკემბერს, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიმღერების გამოყენების უფლება კომპანია IMG -მა 200 მლნ დოლარად იყიდა და მას მერე როჯერსის მემკვიდრეების შემოსავალი 7 მლნ დოლარით გაიზარდა. როჯერსის შექმნილი სიმღერებია: My Funny Valentine, The Lady is a Tramp და სხვები.

■



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. 1906 წელს ენრიკო კარუზო პოლიციამ ნიუ-იორკის ზოოპარკში მაიმუნების გალიასთან მდგომი უცნობი ქალბატონის შეურაცხყოფისათვის დააპატიმრა. რითი შეურაცხყო მომღერალმა ქალბატონი?

2. მინდვრის თაგვებისთვის წრუწუნების ხოცვა ჩვეულებრივი ამბავია. მდედრები შვილებს უხოცავენ მეზობლებს, რათა გააფართოონ საკუთარი ტერიტორია. რისთვის კლავენ პატარებს მამრები?

3. რომელი რუსი პოეტი ქალის პორტრეტი აქვს დახატული ამედეო მოდილიანის?

4. რომელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ უწოდა თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს „გამქრალი ეპოქის სურათები“?

5. დაასახელეთ ადამიანი, რომელიც ინდური რუპიის ყველა ნომინალის კუპიურაზეა გამოსახული.

6. რას იპარავს ცნობილი რუსული გამოთქმის თანახმად არაყზე დასაყოლებელი საჭმელი?

7. რას ნიშნავს მუსიკალური ტერმინი „ფუგა“?

8. რა არის კაბაბური?

9. რას ეძახიან ფურს ერთიდან ორსამ წლამდე (პირველი ხბოს მოგებამდე)?

10. რა არის ბალარჯი?

11. XX საუკუნის 30-იან წლებში გერმანიაში, ბრანდენბურგის ციხეში სიკვდილმისჯილს გილიოტინით ჰკვეთდნენ თავს. სასჯელის სისრულეში მოყვანამდე იმ დარბაზის კედელზე, სადაც სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა, ინთებოდა ტაბლო. რა ეწერა ამ ტაბლოზე?

12. ამ სახელმწიფოს მოქალაქეები სიხარულით შეხვდნენ ჰიტლერის მიერ მათი ქვეყნის ანექსიას. ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის მიხედვით, მოსახლეობის 99,9%-მა მხარი გაერთიანებას დაუჭირა და მიიღო ჰიტლერის მოწოდება — „ერთი ღმერთი, ერთი ფიურერი, ერთი რეიხი“. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

13. რომელ ქალაქში მდებარეობს ყველაზე გრძელი საცხოვრებელი სახლი მსოფლიოში?

# ანეკდოტები



***

— ექიმო, მგონი, ფეტიშისტი ვარ...

— საიდან დაასკვენით?

— სამსახურში, კედელზე კულულებიანი ქალის სურათი მიკიდია. საკმარისია შევხედო, რომ ეგრევე ვიგზნები. არადა, ვერაფრით გავიმეტე გადასაგდებად.

— ხვალ ის სურათი მომიტანეთ.

მეორე დღეს პაციენტი პორტრეტით მიადგა ექიმს. ექიმმა პორტრეტს შეხედა და თავი გააქნია:

— თქვენ ფეტიშისტი კი არა, ჰომოსექსუალისტი ყოფილხართ!.. ეს ქალის კი არა, ლომონოსოვის სურათია!..

***

სარა მოთქვამს:

— მოშეე, შე საცოდავო, რას ერჩოდი ამ ახალთახალ სკამს, რომ გატეხეეეე! ან ასეთი ძვირფასი ჭაღი რატომ დალეწეეეე! რაღად ვარ ცოცხალი, სხვაგან ვერსად ჩამოიხრჩე თავიიიიიი?!.

***

კაცთან სტუმრები მოვლენ.

— დაბრძანდით, ოღონდ მაგ დივანზე არა, რწყილებიანია.

— მერე, ვერ გადააგდებ?

— გადავაგდე, მაგრამ ორ საათში რწყილებმა ისევ უკან ამოიტანეს!

***

მეგრელი რუსთაველზე გამვლელებს შორის გზას მიიკვლევს და ბუზღუნებს:

— აუ, არ გეივსო ეს თბილისი ამ თბილისელებით!..

***

სვანი დაასობს ბოძს, აძვრება ზედ და ზომავს, ბოძი ვარდება და სვანი ძირს ეცემა. ისევ დაასობს, ისევ აძვრება და ისევ ვარდება.

— რას აკეთებ, თუ ძმა ხარ? — ეკითხება გამვლელი.

— ბოძის სიმაღლე უნდა გავზომო.

— მერე დააწვინე და ისე გაზომე.

— მე სიგრძე კი არა, სიმაღლე მაინტერესებს!

***

ჭიჭიკია მანქანას რეცხავს. პირველად ნომრები გარეცხა. მოვიდა მეზობელი.

— რას შობი, ჭიჭიკია?

— მანქანას ვრეცხავ!

— მაგი, ბიჭო, ზემოდან უნდა დეიწყო და ნომრებთან დაამთავრო.

— მასე გავაკეთე გუშინწინ და ნომრებთან რომ მივედი, სხვისი მანქანა აღმოჩნდა.

***

4 წლის მიხო წყალში იხრჩობა.

— მამა უფრო გიყვარს თუ დედა? — ეკითხება მამამისი.

— დედაააა! — აღრიალდა ბავშვი.

— ჰოდა, დაელოდე, ის ამოგიყვანს.



***

ექთანს ავადმყოფი გორგოლაჭებიანი სავარძლით მიჰყავს. ავადმყოფი კვნესის:

— დაო, იქნებ ნემსი გამიკეთოთ, ძალიან მტკივა!..

— არა!

— იქნებ რეანიმაციაში მაინც ამიყვანოთ!

— არა! ექიმმა მითხრა, მორგშიო, ესე იგი, მორგში!

***

ცოლ-ქმარი მეორე შვილს ელოდება. დედა თავის უფროს შვილს ეკითხება:
— ვინ გინდა — დაიკო თუ ძამიკო?
— მე ცხენი მინდა!
— ამ მაღაზიაში ცხენები არ იყიდება. ასე რომ, აირჩიე, დაიკო გინდა თუ ძამიკო?
— ხომ გითხარი, ცხენი მინდა!
— საყვარელო, გიმეორებ, ამ მაღაზიაში არ იყიდება ცხენები!
— ოოო, წადი მაშინ და აბორტი გაიკეთე!

***

— რას იცინი?
— ბიჭი შემეძინა!
— გილოცავ!
— ხმადაბლა ილაპარაკე, ცოლმა არ იცის!

***

2 ქალი საუბრობს:
— ჩემი ქმარი მხოლოდ მაშინ სვამს სასმელს, თუკი რაიმე დღესასწაულია ან აბანოში მიდის.
— უი, რა კარგი ქმარი გყოლია!
ცოტა ხანში შემოდის ქმარი და ცოლს ეკითხება:
— დღეს რამე დღესასწაული ხომ არ არის?
— არა.
— წავედი მაშინ აბანოში!

***

ჭარბწონიანი ქალბატონი ექიმთან მივიდა:
— ექიმო, ძალიან მინდა გახდომა! იქნებ დიეტა დამინიშნოთ, ან რაიმე ვარჯიში მასწავლოთ!
— ეფექტიანი ვარჯიში ვიცი: — თავი უნდა ამოძრაოთ მარჯვნივ და მარცხნივ, აი, ასე, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს!
— და როდის უნდა შევასრულო ეგ ვარჯიში, დილას თუ საღამოს?
— ყოველთვის, როცა საჭმელს შემოგთავაზებენ.

***

ქალი ეკითხება ქმარს:
— თმა რომ შევიჭრერი, ხომ აღარ ვგავარ მოხუც ქალს?
— ჰოო, ახლა მოხუც კაცს ჰგავხარ!..

***

— სიცოცხლევ, გიყვარვარ?
— კი, ძალიან.
— იტირებ, როცა მოვკვდები?
— კი.
— აბა, მაჩვენე, როგორ იტირებ.
— ჯერ შენ მოკვდი...

***

სიდედრი:
— როდის გადის ჩემი მატარებელი?
სიძე:
— 2 საათში, 34 წუთსა და 18 წამში, დედა!..

***

— რა განსხვავებაა ქმარსა და შვილს შორის?
— შვილი შეგიძლია, ძიძასთან მარტო დატოვო, ქმარი კი — არა!

***

პატარა ბიჭი თავის მამაკაცურ ღირსებას ათვალიერებს:
— დედიკო, ეს ჩემი ტვინია?
— არა, შვილო, ჯერ არა!



***

— რა ღირს ღვიძლი?
— 25 ლარი.
— გადასანერგად კი არ მინდა, შე კაცო!

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. საჯდომზე უჩქმიტა.

2. რათა მდედრთან შეწყვილება დააჩქარონ.

3. ანა ახმატოვასი.

4. უინსტონ ჩერჩილმა.

5. მაჰათმა განდი.

6. გრადუსს („ზაკუსკა გრადუს კრადიოტ“).

7. რამდენიმე ხმით ერთი მუსიკალური თემის თანამიმდევრულ გამეორებას ფუგა ეწოდება.

8. ბავშვის საბანი.

9. დეკეულს.

10. ცომის საფუარი.

11. „თქვენი თხოვნა შეწყალების შესახებ უარყოფილია“.

12. ავსტრია.

13. ქალაქ ვენაში. კარლ-მარქს-ჰოფად წოდებული საცხოვრებელი სახლი ტრამვაის სამ გაჩერებას მოიცავს.

## ჩვენი ფოტო მაღეჩეა



# ჰოროსკოპი

## 23-29 ივნისი

### ვერძი

კვირის დასაწყისში მგზავრობა და ნათესავების პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. საყვარელ ადამიანთან ერთად ცხოვრებას გადაწყვეტთ.

### კურო

კარგი პერიოდია ბინის, აგარაკის შესაძენად და გასარემონტებლად. გაფრთხილდით, რათა არ გაგიფუჭდეთ ურთიერთობა ნათესავებთან ან მეზობლებთან. მოერიდეთ ფიზიკურ გადაღლას.

### ტყუპი

მეგობრებთან ერთად ახალ საქმიანობაში ჩაებმებით. კვირის ბოლოს ბავშვებისა და საყვარელი ადამიანის კეთილდღეობისთვის ფულის ხარჯვა გელით.

### კირჩხიბი

საკუთარი საქმეები სხვების დაუხმარებლად მოაგვარეთ. მოერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან და საყვარელ ადამიანთან.

### ლომი

შესაძლებელია, ინტერნეტის საშუალებით ენის ცოდნა გაიღრმაოთ ან რაიმე საქმეში დაოსტატდეთ. მგზავრობისგან თავი შეიკავეთ. მეგობრები ბინძურ ჭორებს გაგივრცელებენ.

### ქალწული

გათავისუფლდით მავნე ჩვევების, ნივთების და არაფრის მომტანი ურთიერთობებისგან. ორშაბათისთვის ახალი იდეების განხორციელებას შეუდექით. არც გაასესხოთ და არც ისესხოთ ფული.

### სასწორი

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, გამოცდებს წარმატებით ჩააბარებთ. მოერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან.

### მორიელი

შეადგინეთ გრაფიკი, რათა არ გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი საქმეები. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას. ეცადეთ, არ დაარღვიოთ კანონი.

### მშვილდოსანი

რომანტიკული შეხვედრები განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. შვილები სასიამოვნო სიურპრიზებს გპირდებიან. მეგობრებთან კონფლიქტი არ გაამწვავოთ.

### თხის რქა

ეცადეთ, ყველა მნიშვნელოვანი სამსახურებრივი თუ საოჯახო საქმე ამ პერიოდში მოაგვაროთ. ოჯახის წევრები დაიხმარეთ და გადააადგილეთ ავეჯი.

### მერწყული

რომანტიკული ურთიერთობისთვის საუკეთესო პერიოდია. განწყობილება გაგიუმჯობესდებათ და დაგროვილი პრობლემების მოგვარებას მარტივად შეძლებთ. გააკონტროლეთ რაციონი. მიიღეთ მეტი ხილი და ბოსტნეული.

### თევზები

მეტი დრო და ყურადღება დაუთმეთ საბინაო საკითხის მოგვარებას. სანამ თავად არ გაერკვევით საკუთარ გრძნობებში, საყვარელ ადამიანს ნურაფერს დაჰპირდებით.

# ჭამა და ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძს** მარტო ჭამა არ უყვარს. უბრალო, მაგრამ გემრიელ სადილებს ამზადებს. მოგზაურობისას ეგზოტიკურ კერძებსაც აგემოვნებს. დროულად ასადილეთ; მშიერი უმიზეზოდ ჩხუბობს. ენერგიულმა ვერძმა დიდი რაოდენობით უნდა მიიღოს: რძე, თევზი, ბანანი და ზღვის პროდუქტები.

**კურო** გურმანია. ხორცეული უყვარს. ხშირად იტანჯება ჭარბი წონისგან, მაგრამ დიეტას არ იცავს. სასმელებიდან უპირატესობას ანიჭებს ლუდს. გაამდიდრეთ თქვენი რაციონი კვერცხით, ღვიძლით, ახალი ხილით, ბოსტნეულითა და მწვანილით. იოდის შემცველი პროდუქტებით. ხშირად მიიღეთ წყალი.

**ტყუპს** თუ მოშივდა, შეუძლია, ჰამბურგერითა და პიცით ისადილოს. ნერვული სისტემის გასაძლიერებლად გაამდიდრეთ რაციონი ნუშით, ატმით, ფორთოხლით, ყურძნითა და ქიშმიშით; კალციის შემცველი პროდუქტები — რძე, ხაჭო მიირთვით. ნუ მიეძალებით ყავას.

**კირჩხიბი** ყოველთვის აკონტროლებს წონას და არასდროს სუქდება. უყვარს რძისა და ზღვის პროდუქტები. კირჩხიბი კარგი მზარეულია და სუფრაზე გემრიელი, ლამაზად გაფორმებული კერძები მიაქვს. სასმელებიდან ხილის ღვინოებსა და მსუბუქ კოქტეილებს ანიჭებს უპირატესობას.

**ლომს** ნივრით შეზავებული კერძები არ უყვარს, უპირატესობას სუნელებსა და ეგზოტიკურ სანელებლებს ანიჭებს. თუ სტუმრად დაპატიჟეთ, სუფრაზე მდიდრული, გემრიელი კერძები დაახვავეთ. უნდა მიეძალოს ხილს, თხილსა და კაკალს, რძის პროდუქტებს, ფრინველის ხორცს. სასმლიდან წითელ ღვინოს ან კონიაკს მიირთმევს.

**ქალწულს** ხილი და მაგარი ალკოჰოლური სასმელები უყვარს. ხილიდან უპირატესობა მიანიჭეთ ბანანს, ნესვს, ლიმონსა და ფორთოხალს. გირჩევთ, ვიტამინების დოზა ხილითა და ბოსტნეულით შეივსოთ. ქალწულს უყვარს შოკოლადი და თხილი, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ ეს პროდუქტები ალერგიულია და ზედმეტი რაოდენობისგან თავი უნდა შეიკავოს.

**სასწორს** შეუძლია სადილის ნაცვლად ტკბილეული მიირთვას. განსაკუთრებით მოსწონს მიხაკით, დარიჩინითა და ვანილით შეზავებული კერძები და დესერტი. ხილს შამპანურს აყოლებს. უარი უნდა თქვას ცხიმიან და შემწვარ კერძებზე.

**მორიელი** ცხიმიან, ცხარე საკვებსა და მაგარ ალკოჰოლურ სასმელს ეტანება. უმჯობესია, თუ ბოსტნეულითა და თევზეულით ისადილებს. გაამდიდრეთ რაციონი ხილით, თხილითა და ჩირით. უფრთხილდით მშიერ მორიელს. თუ გსურთ, თქვენს ჭკუაზე ატაროთ, გემრიელი სადილი მოუმზადეთ.

**მშვილდოსანი** თევზებივით მალე თვრება, ამიტომ სასმლის მიღების დოზა უნდა აკონტროლოს. უმჯობესია, მსუბუქი კოქტეილი მიირთვათ. კერძებიდან უპირატესობა მიანიჭეთ — ყველს, ბატკნისა და ფრინველის ხორცს, ბოსტნეულსა და ბრინჯს.

**თხის რქას** შეუძლია მთელი დღე მშიერი იყოს, მაგრამ ერთხელ და საფუძვლიანად ისადილოს. რაციონი უნდა გაამდიდროს კალცისა და ცილის შემცველი კერძებით, ხილითა და ზღვის პროდუქტებით. კერძებს ჯინი, მარტინი და მშრალი ღვინო დააყოლეთ.

**მერწყული** ვეგეტარიანულ კერძებს ანიჭებს უპირატესობას. უყვარს ხილი, ბოსტნეული, ჩირი. ალკოჰოლსა და გაზიან სასმელებს კომპოტები და ნატურალური წვენები ურჩევნია. მოძრავი და აქტიური ნიშანია და ამიტომ არასდროს სუქდება.

**თევზებს** ხმაურიან წვეულებებს რომანტიკული საღამოები ურჩევნია. უყვარს სხვადასხვა სასმლის დაგემოვნება და ძალიან მალე თვრება. წუნიაობის მიუხედავად, გურმანია, სუფრაზე უნდა ჰქონდეს ყველის, თევზეულისა და ხორცეულის ასორტი. ■



1. კოსმონავტის კოსტიუმი
2. ყვავის ნაშიერი
3. ქვეყანა აზიაში
4. ზნე, ხასიათი
5. კოლექტივის თავმოყრა მოსათათბირებლად
6. პასუხი გარე ზემოქმედებაზე
7. „Pink Floyd“-ის წევრი
8. ჰოლანდიელი მოჭადრაკე
9. კალმანის ოპერეტა
10. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო
11. სასწავლებლის ტიპი
12. ბედი, იღბალი
13. ავტოსპორტის სახეობა
14. ქცევის თავისებურება
15. შოკოლადის ხე
16. ცუდი ამინდი
17. მანქანა
18. კვების გარკვეული რეჟიმი
19. იტალიური პისტოლეტი
20. ქალბატონი გერმანიაში
21. ფენა
22. ალალბედზე მოქმედება
23. ფე ... ლორანი
24. ცხვირის გარეთა ხვრელი
25. დაბალი ხარისხის
26. ნარკოტიკი
27. უდაბნო აფრიკაში
28. ჩინური სამაგიდო თამაში
29. ქვეყანა აფრიკაში
30. ტელეგრამა
31. საფოსტო გზავნილი
32. სამირო არაბეთში
33. პირის ნაცვალსახელი
34. კრაზანა
35. მკვდარი ცხოველის სხეული
36. სამშენებლო მასალა
37. დაბადების მოწმობა



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. შეიკერი; 2. გილაური; 3. კალა; 4. გრებენშჩიკოვი; 5. ირანი; 6. პროტესტი; 7. რეალობა; 8. ერბო; 9. ნოე; 10. ურო; 11. გო; 12. გარსონი; 13. გრადუსი; 14. დოლაბი; 15. ბუხარი; 16. ფრე; 17. შავი; 18. ცეცე; 19. ჩადი; 20. თხოვნა; 21. ექიმი; 22. მიდამო; 23. სუბარუ; 24. კოალა; 25. კამა; 26. რენომე; 27. მენი; 28. ანგელოზი; 29. ზვინი; 30. ბონო; 31. იგი; 32. ვერსი; 33. გნუ; 34. გალგო; 35. თებერვალი; 36. ტაიბეი; 37. სამოა; 38. ორე; 39. სირინოზი; 40. ტანძია.

**სურათებზე:** შერონ სთოუნი; ენდი გარსია.

# საფირმო კროსვორდი

| გ | ზ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | ა | ს | დ | რ | ო | ს | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | ი | ა | უ | ი | ა | | ქ | კ | ა | ნ | ო | ო | ი | რ | ი | ლ | ტ | ლ | ე | ლ | რ | ი | ქ | ტ | მ | ა | ა |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი; **ზ**. მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ა**. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ს**. რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **თ**. თავის ქალას ზედა ნაწილი; **ა**. ქვითკირის სამარე; **ნ**. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ე**. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **რ**. აფთიაქში წარსადგენად ექიმის მიერ შედგენილი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია წამლის შემადგენლობა და ავადმყოფის მიერ მისი მიღების წესი; **თ**. წვრილი ღვედი; **ა**. რა ერქვა კაცს, რომელიც გიორგი კუჭატნელს შემოაკვდა? **დ**. ზღაპრული ურჩხული; **ა**. ინგლისის ძველი სახელწოდება; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ა**. ალჟირის დედაქალაქი; **ს**. ინგლისელი მწერალი, „რობ როისა“ და „აივენჰოს“ ავტორი; **დ**. შიგაწვის ძრავა, რომელიც მუშაობს მძიმე თხევადი საწვავით; **რ**. სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ო**. თურქის მეორენაირი სახელწოდება; **ს**. პატარა თევზსაჭერი გემი; **მ**. რედიარდ კიპლინგის ნაწარმოები; **ო**. საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი (იციან რაჭაში); **ი**. ფულის ერთეული ჩინეთში; **წ**. მიწის სათხრელი იარაღი; **ყ**. მცენარის ნორჩი ტოტი; **ე**. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ**. გაყოფა; **ზ**. ზაური; **ა**. აორტა; **ვ**. ვეძისი; **ი**. იანუსი; **ს**. სტიმული; **თ**. თასმა; **ვ**. ვექილი; **ი**. ილუმენი; **ს**. სორბონა; **ა**. აუდი; **ო**. ოდინი; **დ**. დონჯი; **ა**. ალაფი; **მ**. მანაგუა; **კ**. კევრი; **ი**. იტალია; **თ**. თარაზო; **ხ**. ხაშლამა; **ვ**. ვაიმარი; **ე**. ელდა; **ლ**. ლიახვი; **ი**. ისინდი; **ს**. სოკრატე; **თ**. თავლა; **ვ**. ვოევოდა; **ი**. ისხარი; ს. სანტინო; **ა**. ალიონი; **ო**. ოფსაიდი.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**ყურძნის ქურდი იანვარში დაიკვეხნის**

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 9 | 5 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 | 3 | 1 | 4 |
| 1 | 5 | 9 | 3 | 4 | 2 | 6 | 8 | 7 |
| 4 | 9 | 3 | 1 | 2 | 8 | 7 | 5 | 6 |
| 7 | 2 | 8 | 9 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 |
| 5 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 8 |
| 8 | 7 | 5 | 2 | 3 | 9 | 4 | 6 | 1 |
| 9 | 1 | 4 | 6 | 5 | 7 | 8 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 2 | 8 | 1 | 4 | 5 | 7 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 9 | 8 | 5 | 6 | 7 | 3 | 2 |
| 3 | 5 | 7 | 9 | 2 | 1 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 2 | 6 | 3 | 4 | 7 | 9 | 1 | 5 |
| 5 | 9 | 8 | 6 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 5 | 3 | 8 | 6 | 4 | 9 |
| 4 | 6 | 3 | 2 | 7 | 9 | 5 | 8 | 1 |
| 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 2 | 1 | 5 | 3 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 6 |
| 6 | 1 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 7 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 8 | 4 | 9 | 1 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 7 | 5 | 4 | 9 |
| 9 | 1 | 4 | 2 | 5 | 3 | 6 | 8 | 7 |
| 4 | 6 | 1 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 5 |
| 2 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 | 3 | 6 | 4 |
| 5 | 3 | 7 | 4 | 6 | 8 | 2 | 9 | 1 |
| 1 | 5 | 6 | 7 | 8 | 4 | 9 | 2 | 3 |
| 7 | 9 | 3 | 5 | 2 | 6 | 4 | 1 | 8 |
| 8 | 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 7 | 5 | 6 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | | 5 | 8 | | | | 2 |
| | 6 | | | | 4 | | 5 | 3 |
| | | 1 | 9 | | | 4 | | |
| | 1 | | | 4 | | 9 | | |
| 3 | | 2 | 7 | | | 8 | | 5 |
| | | 5 | 3 | 1 | | | 2 | |
| | | 6 | | | 2 | 3 | | |
| 5 | 3 | | 6 | | | | 8 | |
| 1 | | | | 9 | 3 | | 4 | 6 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | 8 | 4 | | |
| | 4 | | 6 | | 9 | | 1 | |
| 8 | 2 | | | | 5 | 9 | | 7 |
| | 9 | | | 8 | 3 | 5 | | |
| | 6 | 4 | | | 1 | 2 | 8 | |
| | | 3 | | | 4 | | 7 | |
| 9 | | 2 | 4 | | | | 5 | 8 |
| | 3 | | 8 | | 2 | | 9 | |
| | | 8 | 3 | | | | | 1 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 4 | | 8 | | | 2 |
| | | 1 | | | 5 | 7 | 3 | |
| | 6 | 2 | | | 7 | | | 9 |
| | | 8 | | 6 | 3 | 2 | | 7 |
| 3 | | | 1 | | | | | 6 |
| 5 | | 6 | 2 | | | 9 | | |
| 4 | | | 7 | | | 8 | 2 | |
| | 1 | 7 | 8 | | | 3 | | |
| 2 | | | 9 | | 1 | | 7 | |

# ფოტოკურიოზები














# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები

## სამი გოჭი




გვ. რაოდ.: 12 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი: 22X27
სამი ძმა გოჭი: ნიფ-ნიფი, ნაფ-ნაფი და ნუფ-ნუფი თავიანთთვის ცალ-ცალკე სახლებს აიშენებენ. მათ თავს დაესხმება ბოროტი მგელი,მაგრამ გოჭები მის გაძევებას მოახერხებენ. წაიკითხეთ ეს ყველასათვის საყვარელი ზღაპარი, რომელიც ექვსი შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრაციით არის გაფორმებული.

ფასი: 14.99

## ჯადოსნური სამყარო






გვ: 20 გვ.
ყდა: მაგარი.
ფორმატი: 27X32
გაინტერესებს, რა ხდება ფერიების მეჯლისზე? რა თამაშობებით ერთობიან ქალთევზები? შეუერთდი მარისა და გიგის მომხიბვლელ და ჯადოსნურ სამყაროს, სადაც შენ ამომწურავ პასუხს მიიღებ ამ კითხვებზე და კიდევ ბევრ საინტერესო და საოცარ ამბავს შეიტყობ.
ამ მოძრავი ილუსტრაციებით გაფორმებულ წიგნში შეხვდები პრინცესებს, პრინცებს, ქალთევზასა და თვით მეფე ნეფტუნს.

ფასი: 24.99

## საოცარი თვითმფრინავები




სიახლე!
ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 10 გვ
ყდა: მაგარი
ფორმატი: 22.5X26
თქვენ წინაშეა საოცარი წიგნი ავიაციაზე. ისტორიული ფოტოების, დეტალური დიაგრამებისა და ფერადი კომიქსების საშუალებით გაეცნობით ავიაციის პიონერებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ დარგის განვითარების საქმეში. წიგნს ახლავს 5 ასაწყობი თვითფრინავის მოდელი, რომელთა აწყობის შემდეგ თვალწინ გადაგეშლებათ მსოფლიო ავიაციის შთამბეჭდავი ისტორია...

## ტკბილეული პატარებისთვის




ფასი: 15.99

გვ. რაოდ.: 61 გვ.
ყდა: მაგარი
ფორმატი: 21.5X27.5
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ გემრიელი კერძების მომზადება მხოლოდ უფროსებს შეუძლიათ, მაგრამ როცა ამ პატარა დიასახლისებისთვის შექმნილ წიგნს გადაშლით და მარტივ, სახალისო რეცეპტებს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ თურმე ნაირ-ნაირი ნუგბარებისა და სასუსნავების მომზადება დედის დახმარების გარეშეც იოლად შეიძლება. ხომ გაინტერესებთ, როგორ უნდა გამოაცხოთ „დედოფლის ნამცხვარი" ან „ნამცხვარი-მანქანა? ეს წიგნი დაგეხმარებათ, სასიამოვნოდ გააოცოთ თქვენი მეგობრები.

## ბაჭიების ძილისპირული




გვ. რაოდ.: 69 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი: 25.5X25.5
ძილის წინ ამ საყვარელი ბაჭიების თავგადასავალს რომ მოისმენ, სიზმარშიც მათთან ერთად განაგრძობ თამაშსა და გართობას.

ფასი: 14.99

## წითელქუდა




ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 12 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი: 22X27
ამ წიგნში მოთხრობილია წითელქუდასა და მისი ბებიის ამბავი, რომლებმაც მამაცი მეტყევის წყალობით თავი დააღწიეს ბოროტი მგლის მახეს. ეს ძალზე პოპულარული ზღაპარი, ექვსი შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრაციით, უთუოდ გაახარებს პატარა მკითხველს.

## მოხერხებული ღრუტუნა

ქართულ და ინგლისურ ენებზე!




ფასი: 9.99

გვ. რაოდ.: 12 გვ.
ყდა: ბალიშა
ფორმატი:15X19
ამ მშვენიერ, პაზლებიან წიგნში პატარები წაიკითხავენ ზღაპარს გონიერ ღრუტუნაზე, რომელმაც მოხერხებულად დაიხსნა თავი მგლისაგან და გადაარჩინა თავისი პატარა გოჭებიც.

*შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!*

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

# CAUCASUS HEALTHCARE'11

11th International Specialized Fair for Medical Technology, Laboratory Equipment, Dentistry, Pharmaceuticals, Optics Hospital Equipment

კოსმეტიკისა და ესთეტური მედიცინის მე-6 საერთაშორისო გამოფენა

## 23-26 June, 2011 ივნისი

# TBILISI BEAUTY '11

6th International Exhibition for Cosmetics and Aesthetic Medicine

სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტომატოლოგიის, ფარმაცევტიკისა და ოპტიკის მე-11 საერთაშორისო სპეციალიზირებული გამოფენა

**Organized by ExpoGeorgia Co.** Expo Georgia

თბილისი 0119, ა. წერეთლის გამზ. 118 ტელ: 341100, ფაქსი: 351100
ელ-ფოსტა: expo@expogeorgia.ge , www.expogeorgia.ge




# წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

**11-დან — 18 ივლისამდე**




მარკ ტვენი

**25 ივლისიდან — 1 აგვისტომდე**



კონსტანტინე გამსახურდია

**8-დან — 15 აგვისტომდე**




სერვანტესი

**27 ივნისიდან — 4 ივლისამდე**

## წიგნი 16
## თომას მანი
„ბუდენბროკები“ (ტომი II)

და ჩვენ დიდი წიგნებში...

ყოველ ორ კვირაში „კვირის პალიტრასთან“ ერთად!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

## წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

**უკვე გამოსული ტომები:** ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი, ფრედერიკ ბეგბედერი, ედგარ პო, ჰომეროსი, მაინ რიდი, თომას მანი

**შეგიძლიათ შეიძინოთ ნიგნის მაღაზიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! **ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი**